# არილი

№4 (190) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი 30 ივნისი
ფასი 1.50 თეთრი

1134
2003



ეროვნული ბიბლიოთეკა


# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" გამოცემა

The Literary Magazine ARILI

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი



მთავარი რედაქტორი
**შადიმან შამანაძე**

სარედაქციო საბჭო
მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
შალვა ბაკურაძე
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრალიძე
თამაზ ვასაძე
ეთერ ვიბლიანი
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

*მენეჯერი* - ნანა ჩხვიმიანი
*კომერციული დირექტორი* -
გიორგი სუბარი

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
თამაზ ჩხაიძე
ელისო კალმახელიძე
მანანა კორძაძე



ტელ: 93-37-43; 99-83-00
ფაქსი: 98-67-90;
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: ლესელიძის ქ. №4



ჟურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე





№30 ივნისი, 2003

## ლიტერატურა


ლაშა ბუღაძე
ბებო ....1

რატი ამაღლობელი
ლექსები ....5

ანა კორძაია-სამადაშვილი
სამი კარგი დღე ....6

ზურაბ ლეჟავა
ქათმის ქურდები ....11

სოსო მგელაძე
თუ რატომ მოკლა ჰარკანმა არტურა ....22

კაისა ებერგ ლინდსტენი
ასტრიდ ლინდგრენი და შვედეთის საზოგადოება ....27

ისააკ ბეშევის ზინგერი
მათუსალას სიკვდილი ....31

კარენ ჰიუიტი
გრემ სვიფტის შესახებ ....34


## პერსონა


ე.ლ.დოქტოროუ
სიტყვის ძახილი ....40

ე. ლ. დოქტოროუ
უოლტერ ჯონ ჰარმონი ....44


## ხელოვნება


თამარ სუხიშვილი
რეზო კიკნაძე - სიჩუმეთა გახმიანება ....54


## პუბლიცისტიკა


რიჩარდ რორტი
პოსტმოდერნული ბურჟუაზიული ლიბერალიზმი ....60

ლაშა ბუღაძე

# ბებო

ბებო ბუხართან იჯდა და კალთაზე საქსოვი ედო. შვილიშვილები - ექვსი-შვიდიოდე წლის გოგო და ბიჭი - ცეცხლისგან შემთბარ ხის იატაკზე ისხდნენ და ბებოს თვალებით სთხოვდნენ ზღაპრის მოყოლას. ცეცხლს ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა, ეზო-კარში ლურჯად თოვდა და ცაზე ზამთრის ობოლი მთვარე ანათებდა.

ფინია, სახელად ბენჯი, ბებოს ფეხებთან მიწოლილიყო და ცალი თვალი დაეხუჭა, - ნახევრად ეძინა. ბებო სიყვარულით დასცქეროდა მთვლემარე ფინიასა და ლოყებშეწითლებულ შვილიშვილებს, რომლებისთვისაც სქელ წინდებს ქსოვდა. შობა ახლოვდებოდა და ბავშვებსაც საჩუქრების მოლოდინში სული გალეოდათ. გოგონა დედოფალას ელოდა წვერგაბარდნილი თოვლის პაპასგან, ბიჭუნა - ხის ათკაციან რაზმეულს, ფინია ბენჯის კი, აგერ უკვე მესამე დღეა, დიდი ძვალი და პატარ-პატარა ხრტილეული ესიზმრებოდა.

სიჩუმე ბიჭუნამ დაარღვია: ბებო, გეხვეწნები, ზღაპარი მოგვიყევი. ბიჭუნას გოგონაც აჰყვა: მეც გეხვეწნები, ბებოვო. მძინარე თვალი ფინია ბენჯიმაც დაჭყიტა და ყეფით გამოჰხატა ზემორე სურვილი.

ბებოს ღიმილმა გაუნათა სახე, თუმც, სულ ცოტა ხნით. საქსოვი გვერდზე გადადო და ბენჯის დაუყვირა:

- გააჯვი აქედან!

მერე კი წიხლიც ამოჰკრა. ფინია წკავ-წკავით წამოხტა და კარისკენ გაქანდა, ყეფა კრუსუნად გადააკეთა და ბებოს ცრემლიანი მარცხენა თვალით გამოჰხედა, - მარჯვენას ჯერ კიდევ ეძინა. ბებომ ხელი აუქნია, ნუ მიყურებო და შემცბარ შვილიშვილებს ალერსიანად მიუგო: შვილებო, ყველას თავისი ადგილი აქვს ამ წუთისოფელში - ძაღლი კართან უნდა იწვეს, ბებო ბუხართან უნდა იჯდეს და ბავშვებს, კიდენა, აწ უკვე უნდა ეძინოთო.

ბავშვები მიუხვდნენ ბებოს და წუწუნს მოჰყვნენ, მანამ არ დავიძინებთ, სანამ ზღაპარს არ მოგვიყვებიო და ნორჩი ხმებიც ააკანკალეს - სულ ცოტაც და ტირილს დავიწყებთო. რა უნდა ექნა მოხუც ბებოს, რა გაეწყობაო, კვლავ ღიმილმა გადაურბინა სახეზე და მზადყოფნა ჩახველებით გამოჰხატა, რაკი თქვენსას არ იშლით, ერთ პატარა და ჭკუის სასწავლებელ ზღაპარს მოგიყვებითო.

გამარჯვებულმა ბალღებმაც ტაში შემოჰკრეს და სულგანაბულები მიაჩერდნენ ბებოს, რომლის ვეებერთელა ოთხმოცდაორი წლის სხეულიც მათთვის სხვა არაფერი იყო, თუ არა დიდი, გამძლე და დაუცლელი ზღაპრის ტომარა.

ფინია ბენჯი კართან მიყუჩდა, ბავშვები თბილ იატაკზე მოკალათდნენ, ბებომ კი თქვა:

- ზოგს ჰგონია, რომ არაფერი არ არის იქა.

- სადა, ბებო? - უნებლიედ წამოცდა ბიჭუნას.

- მაცალე, შე შობელძაღლო, - ეწყინა ბებოს, - თუ მაცალი, აგიხსნი ყველაფერს!

...ზოგს ჰგონია, რომ ცაში არ არის ცხოვრება, ზოგს ჰგონია, რომ მოვკვდებით - ფაფუ... გავქრებით! არ არის ეგრე!.. ჩემს ახალგაზრდობაში, შვილებო, ამას გვიიმასაშვრებოდნენ... რა ქვია?.. გვინერგავდნენ. მაშ! წამლავდნენ ხალხსა! ბოვშებს, თინეეჯერობას, მთლად პაწაწებსაც...

- ჩვენნაირ პაწაწებსა, ბებო?

- ხო, თქვენნაირ პაწაწებს, შვილო. ძლივას მოვიდა მერე კავშირის რღვევაი და ხალხმაც იწამა ზეციური. თქვენი მშობლებიც, ბღარტებო, თქვენი დედ-მამა, ავარიაში გარდაცვლილნი, ცაში არიან ამჟამად და იქიდან დაგვცქერიან...

აქ კი ბებოს ცრემლი მოადგა თვალთან, ოღონდ, ბენჯისგან განსხვავებით, ორივე თვალი დაუწყლიანდა.

- ეხლა მე მოგიყვებით ზღაპარს ერთი კაცის შესახებ, რომელსაც ეგონა, რომ იქ არაფერი არ არის.

გოგონას მოსასმენი ამბის, ცოტა არ იყოს, შეეშინდა და ამიტომ ბებოს კალთაში ჩაუჯდა. ბიჭუნამ და ბენჯიმ კი ეულად გადაწყვიტეს უხუცესის მონაყოლის აღქმა.

ბებომ მოყოლა დაიწყო:



* * *

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? არც არაფერი. იყო ზეცა და იყო ქვესკნელი. ორი ჯგუფი იყო: კეთილი სულები და ბოროტი სულები.

არ არსებობს ჯოჯოხეთი!

არსებობს მხოლოდ სამოთხე.

ბოროტ სულებს სახლ-კარი არა აქვთ - მაწანწალები გახლავან.

არქიტექტურა ზეციური შენობისა ასეთია:

მესამე სართული ღმერთისაა. მეორე სართულზე კეთილი სულები ცხოვრობენ. პირველზე ჩვენ, ადამიანები. ხოლო ქვემოთ, სარდაფი არც ეთქმის, სათავსოში, ხანდახან ბოროტი სულები ათენებენ ღამეს. თუმცა, ეს სათავსოც ჩვენია, ადამიანების.

სახლის წინ ეზოა. ეზოში ჩვენ გვიშვებენ ხოლმე სათამაშოდ. მერე გვიხმობენ: ამოდი, ჭამე, იმეცადინე და ასე შემდეგ.

ეს მეტაფორაა, ბალღებო. დაბადებისა და სიკვდილის მეტაფორა.

ზოგი კვდება, ზოგი იბადება...

მოდი, გაჩენის დღიდან დავიწყოთ.

ერთი სუბიექტი იყო - მომავალში მამრი. მოჰკიდეს ამ მამრს ხელი კეთილმა სულებმა და ჩასწერეს მიწაზე გასაგზავნთა სიაში.

სახელი რა ჰქვიაო?

ჯერ არ დაურქმევიათო. დაბადებამდე ბავშვს სახელს ვინ არქმევსო.

დედ-მამა თუ აარჩიაო?

თვითონ თქვასო.

კიო. ავარჩიეო. ერთი ყოვლად პატიოსანი წყვილიაო.

სად იბადებიო?

მტკვრის პირასო, თბილისში.

აუ, ძველი ბიჭი გამოხვალო.

არა, როგორ გეკადრებათო.

წესიერად იცხოვრე, თორემ სათავსოში ჩაგაგდებთო.

საქართველოს პარლამენტის

ეგ თქვენი საქმე არ არიო.

როგორ თუ არ არიო?

როგორ და ჭრელადო. ყველას თავისი ბედი აქვსო.

უყურე ამას, როგორი ტლიკინი სცოდნიაო.

რამდენი წლით მიშვებთო?

ოთხ ათეულამდე ვერ მიაღწევო.

ბევრიაო.

იქ ასე აღარ იტყვიო.

როგორ მოვკვდებიო?

ჯერ არ დაბადებულხარ და უკვე სიკვდილზე მეკითხებიო?!

რა ვქნა, ცნობისმოყვარე ვარო.

მანქანით შეასკდები ხესო.

მანქანა რა არიო?

ცხენია, ოღონდ, აპიპინებსო.

ცოლ-შვილი თუ მეყოლებაო?

კი, როგორც ცოლი, ასევე ორი შვილიცო.

ხოო... კიდევ რა მაინტერესებდაო?!

დანარჩენს იქ გაიგებო.

ჭკუას არ დამარიგებთო?

დაიმახსოვრეო: ჩვენი მეთვალყურეობის ქვეშ იქნებიო. ბოროტი სულებიც დაგაკვირდებიანო. მერე ერთად ავწონდავწონით ყველაფერსო.

გასაგებია. დიდი მადლობაო.

არაფრისო. უი, ერთი წუთითო!

დიახო.

ხედავ იმ გზასო?

კიო.

იმ ქალს თუ ხედავო?

კიო.

იმ კაცსო?

კიო.

შენი მშობლები არიანო.

იქითაც დგას ხალხიო.

იმათ გზა და გზა გაიცნობო.

იფ, რას გავერთობიო.

გართობისა რა მოგახსენოო.

რატო, იქ ასე ცუდიაო?

ადამიანს გააჩნიაო.

მე როგორი ვარო?

რა ვიციო.

უიმე, ეს რანაირი აბსტრაქტული ლაპარაკი გცნოდიათო.

მიდი, მიდი, საქმეს მიხედეო.

გავიდა ერთი-ორი წუთი და დაიბადა ეს კაციც. შემოსცხეს დუნდულოზე და აკივლდა.

მეორე დღეს მამამისმა დედამისს ბარათი შეუგზავნა პალატაში.

ბარათში ეწერა:

"ჩემო კოშკავ,

გილოცავ და ჩემს თავსაც ვულოცავ. ჩვენთან ერთად უხარიათ მანანა დეიდას, შოთიკოს, იკოს, ხათოს და სხვებსაც.

რას ვარქმევთ? მამაშენისას, თუ მამაჩემისას? ვაღიარებ: მამაშენს უკეთესი სახელი ჰქვია. მამაჩემის "ჯუმბერი" ბავშვო-ბიდან მძულს.

მაქვს რამდენიმე ვარიანტი: ნიკოლოზი (მოფერებით: ნიკუშა), ვახტანგი (მეფურია. მოფერებით: ვახო), ალექსანდრე (მოფერებით: სანდრიკა), კონსტანტინე (მოფერებით: კოტე, კოწო, კოწიკო), ბექა (მოფერებით: ბექუცი).

იფიქრე. და გახსოვდეს, კოშკავ: სახელი - ბედია.

გკოცნი.

მეამაყები.

(მიყვარხარ-მეთქი)

შენი ჯონი."

ბავშვს კონსტანტინე დაარქვეს. იგივე კოტე. იგივე კოწო.

შვიდ წლამდე უცოდველი იყო. შვიდი წლისამ კინაღამ კატა მოახრჩო. წვიმისგან დაყენებულ გუბეში ახრჩობდა. ზეცა გაისხნა. კოწოს ზემოდან ორმოცი კეთილი და ორმოცი ბოროტი სული დაჰყურებდა. საშინელი წუთები იყო. მოლოდინის. ამჯერად ბოროტები დამარცხდნენ. კოწოს კატა ხელიდან დაუსხლტა. კეთილმა სულებმა ღმერთს მადლობა შესწირეს - კოწო გადარჩა!

ჯონმა (ქართულად - ჯონიმ) და მისმა მეუღლემ, რა დასამალია და, ისე რა გაზარდეს მონაი იგი ღვთისა კოტე. მცენარესავით იყო. ოთახის ყვავილივით. იყო და იზრდებოდა.

სკოლა იყო და პირველ-მეორე-მესამე კლასში სულ ფრიადები ჰყავდა, როგორც ყველას. ანბანი დაისწავლა ოცდამეხუთე ასომდე. მეოთხე კლასიდან ქუჩაში გავიდა და უკან აღარც შემოსულა. საცოდავ დედამისს ასე ეუბნებოდა ხოლმე: "სკოლაში მივდივარ," - ამ დროს, ქუჩაში საწანწალოდ გადიოდა სახლიდან. დედამისს ატყუებდა, ატყუებდა ბატონი ჯონის საწყალ მეუღლეს! ეგ რა ტყუილიაო, იტყვით თქვენ. ტყუილი - ტყუილია, შვილებო! მარტო კოწოს საკუთრება კი არ იყო ცოდვაი ესე.

უბრალო მოკვდავის თვალით ეს ყოველივე ასე ჩანს:

წარმოიდგინეთ დილა. სახლი. კოწოს დედა და თავადვე კოწო. კოწო სახლიდან გასვლას აპირებს, ჩქარობს. დედა ეკითხება:

- სად მიდიხარ?

- სკოლაში.

ატყუებს შვილი და ქუჩაში საწანწალოდ გადის სახლიდან.

ნათელმხილველი კი ამ ყველაფერს სხვაგვარად ხედავს:

კიდევ ერთხელ წარმოიდგინეთ დილა. სახლი. კოწოს დედა და თავადვე კოწო. და იქვე, ზეცაში უხილავი რაზმი ანგელოზთა, ასევე დემონთა ჯგუფიც. ანგელოზები - ბუკებით, მთავარი დემონი - ცელით. კოწო სახლიდან გასვლას აპირებს, ჩქარობს. დედა ეკითხება:

- სად მიდიხარ?

ანგელოზები ინაბებიან, დემონები ისუსებიან.

- სკოლაში.

იტყუება შვილი და ქუჩაში საწანწალოდ გადის სახლიდან.

ანგელოზები ქვითინით იშლებიან, მთავარი დემონი კი შემზარავად ხარხარებს. უახლოვდება კოწოს და თმის ღერს აჭრის უხილავი ცელით.

ბალღებო, წარმოგიდგენიათ, რა ხდება ზეცაში, როდესაც კაცი კაცსა ჰკლამს და ქალი ბოზობას იწყებს, ანდაც ბომბებსა ჰყრიან უცოდველ მიწაზე?! ჩვენი ცოდვები ჩვენ არ გვეყუდნის, შვილებოუ!

აქ ბებომ თითქოს წაამღერა კიდეც.

ფინია ბენჯის და ბავშვებს ერთნაირი თვალები ჰქონდათ. მოყოლა განაგრძეო, ამბობდნენ ეს თვალები.

ასეც მოხდა. ერთი ჩახველება და მერე სიტყვები:

მის ცხოვრებაში ბევრი არაფერი მომხდარა. მოკლედ გიამბობთ. ჯერეც სკოლა, მერე ის რაღაც, დიდი და თეთრი. წინ ძეგლებით. ლაპარაკები... მპა-მპუ... შენა და... ხო, ბიჭო... მე რა?.. ტო... მტ... გამარჯობათ... ფული გააქ?.. ე?.. ვინა?.. რატო?..თუ ჩემი ძმ... ქალბატონო მერ... კრ... და ასე შემდეგ და ასე ამგვარად.

ჩვეულებრივი იყო.

ერთხელაც დედათქვენი გაიცნო.

ბებოს თვალები დაუწყლიანდა:

- ჩემი შვილი. ჩემი თინიკო.

შეუყვარდა ამ კრეტინს! გავიპარეთო, დამირეკა რაიონიდან. გავიცანი ჯონი და გავიცანი მისი მეუღლეც, საწყალი. ჩამოვიყვანეთ შვილები და დავსწერეთ ჯვარი. მერე ბიჭი გაჩნდა. სულ მერე გოგო.

მანამდე აირია, როგორც ქვეყანა, ასევე კოწოც. ძმაკაცმა ილომ მანქანა აჩუქა. მე ვიტყოდი, საბედისწეროო. იმ მანქანით ერთი ქალი მიაცილა სახლამდე ილოს დღეობიდან. ქალიც შემთვრალი გახლდათ და თავისთავად - კაციც.

მანქანა პროსპექტზე მიჰქროდა. როგორც კეთილი, ასევე ბოროტი სულებიც ძლივს ეწეოდნენ მესაჭე კოწოს.

წითელი მანქანა. მანქანაში - წყვილი. მანქანის ზემოთ, იქვე, ჰაერში, უხილავი რაზმი ანგელოზთა და დემონთა ჯგუფი - უხილავი ასევე.

- ცოტა ნელათ. - ამბობს ქალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



– გეშინია? – ეშმაკურად იღიმება კაცი.

ქალი დუმილით პასუხობს. ღიმილი მასაც შეუფერადებს სახეს.

ზემოთ კი დისკუსიაა:

მრისხანე დემონი – ღალატის სუნი მცემს!

კეთილი სული – ნუ ჩქარობ, იყურე. კონო ქალს სახლამდე მიაცილებს და უმალ უკან დაბრუნდება, ოჯახში, შეუბღალავი სინდისითა და ერთგული გულით.

მრისხანე დემონი – ვნახოთ.

კეთილი სული – ვნახოთ, კი ბატონო.

მანქანა პლატოზე ადის. ჩერდება 11-სართულიან სახლთან. ბნელა. მანქანის სალონში რაღაცის სუნი დგას. ქალის მუხლები მთვარის შუქზე ვერცხლისფრად ლაპლაპებენ.

კაცი ტუჩებს უშვერს ქალს. ქალიც იგივეს შვრება.

მრისხანე დემონი – ესეც მე ვარ?!

კეთილი სული – არაფერია. ვის არ მოსვლია!

ქალი ამბობს:

– ცოლის არ გეშინია?

– კაცი კაცობს. ცოლი ცოლობს. – თავისივე მოგონილი ანდაზით პასუხობს კაცი.

მერე ხელს ფეხზე უსვამს...

ბებო გაჩუმდა. გაახსენდა, რომ მისი მსმენელები ბავშვები არიან.

– მერე... მერე რა მოხდა? – ნერწყვს ყლაპავს ბიჭი.

– მერე ის რომ... სხვა შეუყვარდა. უფრო სწორად, სხვები. ხან ერთი, ხან მეორე... ჩემი საწყალი გოგო ჯერ ვერაფერს ხვდებოდა. მერე გაიგო... ისტერიკა დეემართა.

– ისტერიკა რაღაა, ბებო?

– უძილობა და უმიზეზო კივილი. ასევე, უმიზეზო შარდვაც.

– მერე?

– მერე... მერე სულ კინკლაობდნენ. ღმერთმა სხდომაც მოიწვია.

რა ვქნათო? რა ვუყოთო?
წარმოდგენა არა გვაქვსო.
რამდენი დარჩაო?
ერთი-ორი წელიწადიცო.
რამდენი ცოდვა აქვსო?
ჯერჯერობით, სამიმილიონექვსასიათასშვიდა-ორიო.
არც ისე ბევრიაო.
ცოდვა – ცოდვააო.
მაინც ვნახოთო.
ესე იგი, იმედი ვიქონიოთო?
ალბათო.

თინიკო ჩემთან მოვიდა. ტიროდა. ასე და ასე მაწვალებს კონოვო. ე მაშინ დავიწყე მე ჟარგონით ლაპარაკი... რა თქმა უნდა, სიბრაზისაგან. გაშორდი-მეთქი, მაგის ასე და ასე. ვერაო. თან მიყვარსო. იმასაც, ვიცი, ვუყვარვარო.

მოკლედ, იყვნენ ასე და ხან უყვარდათ ერთურთი და ხანაც სძულდათ. მერე გათენდა ის დღეც.

შორიდან დავიწყებ:

წყნეთის გზაზე ერთმა კაცმა ნაძვები დარგო. სულ ოცდაათი. ოცდამეოთხეს შეეჯახა კონო წითელი მანქანით და სული განუტევა, როგორც მან, ისე ჩემმა თინიკომ.

ის დილა ასე დაიწყო:

კონომ წყნეთში აიყვანა ცოლი და ის ორი ბავშვიც, მოფერებით – შვილები. თინიკოს, წმინდანს, – მაგას ენაცვალოს ან უკვე მთლად ბებერი დედა – მემანქნე გააცნო და 50-ის ეკვივალენტიც მისცა, სამ-ოთხ დღეში კიდევ ამდენს ამოგიტანო.

რას ნიშნავს ამოგიტანო, შეეკითხა თინიკო, – ჩემი აზრით, წმინდანი, – განა შენც ჩვენთან ერთად არა რჩებიო?

– თინუშკები, ვერ დავრჩები, რა... საქმეები მაქვს...

აქ კი მოთმინების ფიალა აევსო დედის სიამაყეს: ვიცი მე შენი საქმეებიო, და ქალაქურად დაჰკივლა: მომბეზრდა, კონო! მომბეზრდა, შენი ჭირიმე... მეც ადამიანი ვარ, ღირსება მეც მაქვს...

– თინუშკები, არ გინდა, რა. წააგებ!



წავაგებო?! მე შენ გიჩვენებ წაგებასო! დაჰკივლა და დაჰკივლა ოქრომან დედისამან:

ბოზებში გასცვალეო ოჯახი!

(ბოზი, ბავშვებო, ნიშნავს მეძავს, მეძავი ნიშნავს კახპას, კახპა როსკიპს, ხოლო როსკიპი ბოზს ნიშნავს).

და ჩამოთვალა ბოზობაში ექვმიტანილნი:

– იგივე კლავა... იგივე ირა... იგივე დიანა... იგივე იგივე!

და აი აქ კი ველარ მოითმინა ხელებგახმობადმა და სილა სტკიცა დედის ბაჯაღლოს:

ტყ... უფრო სწორად, ტკც!

მერმეთ დაჰკრა ცაცი და ოთახიდან გავარდა. ხელისგული დეემჩნა თინას მარჯვენა ლოყაზე. ატირდნენ ბოვშნიც. თუმც, დედის სიამაყე არ დაბნეულა – ეჰ, ნეტამც და დაბნეულიყო! – გაეკიდა კონოს და დაეწია წითელ მანქანასთან. უწივლა იქვე და პაწაწა მუშტები ცხვირწინ უტრიალა. გამოეფინენ დამსვენებელი ქალებიც და ცქერად იქცნენ – დახეთ, ქალებო, ცოლქ-მარი ერთმანეთს წაეკიდაო.

კონოს, რასაკვირველია, ხალხის მოერიდა და უხმოდ მოთავსდა საჭესთან. არსადაც არ გაგიშვებო, დასჭექა თინიკომ და ქმარს გვერდით მიუჯდა, მეც უნდა წამოვიდეო.

– რა გინდა, ქალო! – უბღავლა ქმარმა, – რამ გაგაგიჟა!

სიტყვა "ქალო"-ზე ცოტა მწყრალად იყო ჩვენი თინიკო. ვინ არის შენი ქალიო! და ქუსლი ნიკაპზე დაჰკრა. (მაშ, მინვდა!) კონო კინაღამ გასკდა ბოღმისგან, მანქანა დაძრა, მაგრამ რა დაძრა – მტვერის ღრუბელი დააყენა სრულიად წყნეთში. იფიქრა: სადმე, ტყეში შევიყვან და იქ გავლახავო.

გასცდა ზემო-წყნეთს, გასცდა ქვემოთას და საბურავთა კივილით აიკლო მოსახვევები.

სიცოცხლის 8 წუთი ჰქონდათ დარჩენილი მასაც და თინასაც.

და ამ 8 წუთში თინას აღმოხდა ასზე მეტი საყვედური:

– გამთენიისას მოდიოდი სახლში... თავს ვიმძინარებდი... ნამუსს გინახავდი... მინდოდა ტერფზე დამეკიდე, მაგრამ არ შემეძლო... მიყვარდი, ოხერო!.. მიყვარდი, გესმის?

ვაი... სადა ვარ?

– მობრძანდით. ნუ გეშინიათ.

– კონო სადაა?

– ნუ ღელავთ.

– რა მოხდა?

– დიდი არაფერი.

– მაინც?

– ხეს შეეჯახეთ.

– მერე?

– მერე... ყველაფერი კარგად დამთავრდა.

– გადავრჩით?

– კი. გილოცავთ, თქვენ უკვე სამოთხეში ხართ.

ხო, შვილებო, იმ მოსასპობ ნაძვს შეეჯახა კონოს წითელი მგონინივა. შეჯახება და თინიკოს სამოთხეში მოხვედრა ერთი იყო. ხოლო კონო ზეციური სასამართლოს წინაშე წარსდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადა ვარო?
ზეციურ სასამართლოზეო.
უი, გიცანითო. თქვენ არ გამიშვით მიწაზეო! თითქოს გუშინ იყოო.
ახლა გაგახსენდითო?
ხოვო, მაპატიეთო...
ცუდიაო.
ვიციო.
რატომ არ გვიხსენებდიო?
აბა, მე რა ვიციო...
რბილად რომ ვთქვათ, შტერულად გიცხოვრიაო.
როგორც შემეძლო, ისე ვიცხოვრეო.
სტყუიო. მეტი შეგეძლოო.
ის გოგო სად არიო? ვაი... სახელი დამავიწყდაო.
იმაზე ნუ დარდობო. კარგად არიო.
მე რა მეშველებაო?
მოვიფიქრებთო.
ცხოვრება ერთი წამი ყოფილაო.
ნუ ფილოსოფოსობო... დებილო შენაო.
ჯოჯოხეთში უნდა მიკრათ თავიო?
ჯოჯოხეთი არ არსებობსო.
ა, ხო... გამახსენდა... სათავსოშიო.
ვნახოთო.
იქ რატომ ვერ გხედავდითო?
ეგრე არ არის, გენაცვალეო!
არაფერი მახსოვსო. მომეცით კიდევ ერთი შანსიო.
მერამდენედო?
რა მეშველებაო?
ცოდვები ბევრი გაქვსო.
მაინც რამდენიო?
სამიმილიონექვსასიათასშვიდა... ორი? არა, უკვე ხუთიო.
უიმეო!
ნუ გეშინია, ეს არც ისე ბევრიაო. თუმცა, ცოტაც არ არიო.
ეს რა შარში გავეხვიეო.
მთავარია, თინიკო რას იტყვისო.
თინიკო ვინააო?
ეჰ, საკუთარი ცოლის სახელიც აღარ ახსოვსო.
ჩემი რა ბრალიაო...

ხოლო თინიკომ, სამოთხის ბინადარმა, სთქვა:
- რას მეკითხებით? გამიმეორეთ შეკითხვა.
- კოწოზე გეკითხებით.
- ჩემს ყოფილ ქმარზე?
- დიახ. მის სულს დემონები ითხოვენ. ცოდვილი კია, მაგრამ იმისთანაც არა.
- დეგენერატი!
- თქვენი აზრი მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. დავუთმოთ დემონებს?
- დემონეებს?
- დიახ.
- უიმე, გაგიჟდით!.. კრეტინი კია, მაგრამ დემონებისთვის ცოდოა... რა სისულელეა!.. რა თქმა უნდა, არა!.. დაეტიოს სამოთხეში, დებილი ეგ!.. იქნებ ჭკუა მოემატოს!.. თუმცა, სადღა აქვს... ერთი სიტყვით, იმ დამპლებისთვის არ მემეტება... კი გამამწარა, მაგრამ მაინც მიყვარს... იყოს. აქ ეგდოს.
- დიდი მადლობა.
- როგორ გეკადრებათ... არაფრის.
მოკლედ, ჩემმა თინიკომ მონაი ღვთისა კონსტანტინე გადაარჩინა. აი, მართლა, ჭეშმარიტად გადაარჩინა, შვილებო! მერე ერთი წესიერი საქციელიც გაუხსენეს, რომელიც იმ ცოდვების საპირწონედ გამოიყენა კოწომ: თვითმკვლელი ცუგა გადაურჩენია ყრმობაში - საბრალო ძაღლი ლიანდაგზე გაწოლილიყო და თავის მოკვლას აპირებდა, მეუღლეს ვულალატე და სიკვდილის ღირსი ვარო. კოწოს ხელში აუყვანია და ფსიქოლოგობაც უცდია, ნუ გეშინია, მე გიშველიო. ძაღლი კი ჰპენდა, მომეცი სიკვდილის უფლებაო, მაგრამ კოწომ მაინც გადაარჩინა და თვითმკვლელობაზეც ააღებინა ხელი - ხალხს ცოცხალი უფრო სჭირდები, ვიდრე მკვდარიო. ამ დროს, მანამდე, თუ გახსოვთ, კატას ახრჩობდა.
ერთი სიტყვით, სასწორი კოწოს სასარგებლოდ გადაიხარა და მამათქვენი სათავსოში მოხვედრას გადაურჩა.
დიახ, ბაღლებო, როგორც თავად მიხვდებოდით, მამათქვენზე გიამბობდით... მამათქვენზე და დედათქვენზე!.. ჩემი თინუცი ხომ დედა იყო თქვენი...
ბებოს კვლავ ცრემლი მოადგა თვალთან. რა დასამალია და, კართან მწოლი ბენჯიც ტიროდა, ოღონდ, რასაკვირველია, მხოლოდ ცალი თვალით. გოგონას კი სამარცხვინოდ ჩასძინებოდა ბებოს კალთაზე.
ხოლო ბიჭი განრისხდა:
- ეს რანაირი ზღაპარი იყო, ბებო!.. კინაღამ გული გამიხეთქე... კინაღამ ჩავიფსი ამოტოლა ბიჭმა...
- მორჩა!.. გაიზარდეთ უკვე... გვეყო ზღაპრები! ჭირიც იმათ ჰქონდეთ, ლხინიც, ქატოც, ფქვილიც, ჯანდაბაც და დოზანაც! აი, ეგრე!.. არ მომკლეს, კაცო!.. ნაღდი!.. ნაღდია საჭირო!.. პრუწუნი კი არა... სხვანაირი დრო მოვიდა!.. სხვანაირი ახალგაზრდობა მოდის!.. როდემდე უნდა დამემალა სიმართლე?.. ჯერ ადრეა, ნუ მოუყვებიო... რატომაა ადრე?.. შეხვალთ მერმე გარდატეხის ასაკში და სულ აღარ მომისმენთ... აქედანვე უნდა იცოდეთ, რო იქაც არის რაღაც... რაღაც კი არა, მთავარი იქაა!..
უეცრად ბენჯიმ ხმა ამოიღო:
- უკაცრავად, ქალბატონო, მაგრამ თქვენ საიდან იცით, რა მოუვიდა სიკვდილის შემდეგ ქალბატონ თინიკოსა და ბატონ კოწოს? თქვენ ხომ მედიუმი არა ხართ.
არ უნდა ეთქვა ეს ბენჯის. როგორც კი ლაპარაკი დაიწყო, მაშინვე მიხვდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ბებომ ფეხი აიქნია, ფლოსტი ჰაერში გაიძრო და ბენჯის მიმართულებით ისეთი ძალით ისროლა, რომ საბრალო ძაღლს არათუ ლაპარაკი, ყეფაც კი დაავიწყა სამუდამოდ. ბენჯის დინგაპირში (ანუ ცხვირ-პირში) მოხვდა ვეება ფლოსტი და საუკუნოდ თავბრუ დაახვია.
გოგონა ძაღლის წკავ-წკავმა გაააღვიძა. ბებომ თმაზე ხელი გადაუსვა და ალერსიანად ჰკითხა:
- გაიღვიძე, შვილო?
როგორც გოგონას პასუხიდან გაირკვევა, ჯერ კიდევ ბევრი უკლდა მის საბოლოო გამოღვიძებას. ბავშვმა ძილისგან დაბოხებული ხმით იკითხა:
- რაა?
და ბებოც გააბრაზა:
- ...ტრაკში ქვა, შვილო.
იყო პასუხი.

*2003, ივნისი*


არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## რატი ამაღლობელი

### ყვავილი - ჩიტი

* * *

დილისკენ თვალებს გავახელ თუ არა
აივნის კარებს გავაღებ, მერე
შემოდის ოთახში ხმა და ტროტუარი
თავის თავისივე ფერი

და მე

ვიცი რომ ეს მხოლოდ ყოფაა. ონკანში
არა თუ წყალი, არამედ
წამოვა დილა, რომელიც დალიეთ,
რომელიც ისმის წყალივით.

დილა ფანჯარასთან თავის თავს მოიტანს.
სიზმარი ცხადში - დილა
შადრევანს, ქუჩას, პროსპექტს და მოედანს
ფრთხილად

ყოველ დღე დანიშნულ საათზე ეხება.
თვალებს ახამხამებს წამით
და ამ წამს ყველაფერს თავისფრად შეღებავს
ღამე.

* * *

ხანდახან მოსვლა ისე მინდება -
სურვილს არ უჩანს არსად ნაპირი.
მინდა საღამო და შებინდება.
გითხრა: მოვედი, ან - არაფერი.

ამას, რომ ვამბობ ისე გამომდის,
რომ თითქოს მართლა ხარ და არსებობ -
ნეტავი ფეხქვეშ მიწა არ მქონდეს
და მხოლოდ ზეცა იყოს თავს-ზემოთ.

* * *

რა რჩება. ალბათ ის რაც გვახსოვს
რატომ არ გვახსოვს
რაღაცეები -
მარტივი, როგორც ცუდი რითმა,
როგორც დღეები -
მუდამ სხვები რომ გვახსენებენ
შემთხვევითობის
წყალობით, რომლის, უფრო სწორად
ურომლისოდაც
ცარიელია სიზმრები და
სამოთხეები.
რატომ არ გვახსოვს, რომ ოდესღაც
უკვე ვიყავით,
ანდა ოდესმე, რომ ვიქნებით -
არ გვეხსომება
ცხოვრებებს შორის ჩაკეტილი
ჩვენი ცხოვრება
ყოფით, არაფრის მთქმელი ყოფით,
მისი სიყალბით.

რჩება. რა რჩება.
ის რაც გვახსოვს
და რაც არ ჩნდება.

* * *

ყვავილი ამოდის, ყვავილი ჭკნება
და ისევ ამოდის.
შვიდი წლის ვიყავი
საშინაო წერას რომ ვწერდი.
თან ფანჯარაში ვუყურებდი ჩიტებს
და ამინდის
ცვალებადობას.
ვთვლიდი ჩიტებს, რვეულში წერტილს
მე ვსვამდი ყოველ გადათვლილ ჩიტზე,
ვითვლიდი თითზე
და ვღებულობდი ჩემთვის ახალ ციფრებს
თითებზე.

დღეს ამ ჩიტების შვილიშვილებს ვხედავ იმავე
ფანჯარაში და კვლავ იგივე წყობით ფრინავენ
ჩიტები ადრე თითებზე რომ დავაბინავე.

ყვავილი ამოდის, ყვავილი ჭკნება
და ისევ ამოდის.
ყვავილი არის.
ორ დილას შუა ღამე წვება -
ყვავილი ჭკნება.
ორ სიკვდილს შორის სიცოცხლეა
და თოვლი დნება -
ყვავილი ყვავის.

შეღამდებოდა
და დაორთქლილ მინაზე თითით
მე ჩემ საკუთარ სახელს ვწერდი -
ნაწერს იქით
მოსჩანდა დიდი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვარსკვლავები,
რომელთაც ვთვლიდი
იმავე თითით -
ღამის ყვავილებს
დილით რომ ქრება.

ახლა ვდგავარ და
ფანჯრის რაფაზე
ქვის ყვავილებს ვრწყავ
ოცდაექვსი წელიწადია,
რომელიც ამოდის, მერე ჭკნება
და ისევ ამოდის
ყვავილი - ჩიტი.

* * *

სკოლის დროს ფეხით დავდიოდი და ტროლეიბუსით.
ტემპი მარტივი. ტემპი ნელი. ტემპი იოლი.
მისდევდა ქუჩებს, ან პირიქით. და დრო - რებუსი
არ იყო მხოლოდ, რასაც ქვია ემპირიული,
ანუ ხომ გესმით. და ქალაქიც ტროლეიბუსიდან
ჩანდა ჩემხელა, სკოლის ფორმით, მოწაფესავით,
რომელსაც ესმის რადიოდან რაღაც მუსიკა -
ღია ფანჯრებს რომ ეზოებში გააქვთ. ეს არის
ალბათ რაიმე კამერული, სიმებიანი.
მე უმაღლესში ჩავაბარე და სამარშრუტო
ტაქსით დავიწყე სიარული. წვიმებიანი
ქუჩების რიტმი იმატებდა. უფრო გაშუქდა
სამივე ფერი შუქნიშანის. გადასასვლელი
აივსო ხალხით, ჯიხურებით. უნივერსიტეტი
მე უმეტესად მაჩქარებდა და მეც სავსებით
დავკარგე ჩემში მოსეირნე ბავშვი - ესთეტი.
ახლა სულ სადღაც ვაგვიანებ და სამსახური
ჩემგან სიარულს ტაქსით ითხოვს. გამოსახული
მკვეთრი, შავ-თეთრი ქალაქების გეომეტრია
წამით, მანქანის სარკეში რომ შემოეტევა -
აჩქარებული ტემპო-რიტმით გარბის - შემორბის,
უკუ-იქცევა და სახეზე ჩრდილი მეცემა
ხალხის, ძეგლების, ვიტრინების, გრძელი შენობის,
რომლის ფანჯრებშიც ჩვენ რაიმე ამბავს ვეძებთ და
გვიშლის ფარდები. და როდესაც სარკის იმავე
ჩანს ანარეკლში ცა, ღრუბელი და თვითმფრინავი -
სადაც მგზავრები დაჰყურებდნენ ციდან ქალაქებს,
რომლებიც დგანან, მაგრამ მათში რაღაც განაგებს
ყოველგვარ შიდა მოძრაობას ქალაქებისას
და ჩვენც ვმოძრაობთ მუდამ მათი განლაგებისდა
მიხედვით. მაშინ სადღაც ვხვდები - თავისუფლება
არის პაუზა ერთ რიტმსა და მეორეს შორის,
რომელიც მხოლოდ შიგნით ისმის, აზრში სრულდება
და მერე, ისიც იშვიათად სიტყვებში ჟონავს.

## ანა კორძაია-სამადაშვილი

# სამი კარგი დღე

### ფოთი, 2003, 6-8 ივნისი, "პენმარათონი"

"მწერალი თუ ვერ გამოხვალ,
წერას მაინც ისწავლიო..."
ვიღაცამ თქვა, აღარ მახსოვს.

შენ მაინც ხომ იცი, ჩემო მახო, რომ ძალიან ცნობისმოყვარე ვარ, ყველგან ცხვირის ჩაყოფა და ყველანაირ სისულელეში გახვევა მჩვევია. მაგრამ რაღაცების ძალიან მეშინია, მაგალითად, მიწისქვეშა გარაჟების, ინდუსტრიული კვანძების და მიტოვებული შენობების. ამათ შეგნებულად არ ვეკარები. ეტყობა, ამერიკული ფილმების ბრალია, თუ რა ჯანდაბა მჭირს, არ ვიცი.

უნდა მოგახსენო, რომ ის მიდამო, რომელშიც ღამეს ვათევდით, დიდად არც თავიდან მეამა. შენობაც მეტისმეტად დიდი იყო და მეტისმეტად ცოტა ხალხიც ცხოვრობდა, თან ვერც სასტუმროს არქიტექტორის ჩანაფიქრს მივხვდი - ან სად იწყებოდა, ან სად მთავრდებოდა... ასეთი ადგილები მხოლოდ სუხის (თამარ სუხიშვილს) ახარებს ხოლმე, ჩვენს ჟურნალისტს. ერთი შეხედვით როგორი ნაზია, არა? არადა, საშინელებათა ფილმების დიდი ტრფიალია, "ზარი" რომ ვერ ნახა, დარდით აღარ იყო, და ნებისმიერი ამბისგან იმისთანა კოშმარის ატრიალება შეუძლია! ეს სახლი ზუსტად ისეთი იყო, სუხის ფანტაზია რომ ფრთას გაშლიდა - აფსუსიც კია, პენ-მარათონში რომ არ მონაწილეობდა, ხომ უკან მოგვრჩებოდა ჰიჩკოკის პატარა შედევრები, რას აღარ ჩაასახლებდა იმ ხმელეთზე ამოთრეულ გემში...

მოკლედ, სასტიკი ადგილი იყო, მაგრამ ჩასვლისას ამას დიდად არ ავუღელვებივარ. ბევრნი ვიყავით, თან მეგობრები იყვნენ, თან გზაშიც ძალიან გავერთე, ბერიკაშვილი ისეთებს ყვებოდა, რომ მახსენდება, დღესაც სულელივით ვიცინი ხოლმე. თან ოთახში სამნი დავსახლდით - ნინო სვანიძე, სუხი და მე, და ვიფიქრე, თუ მაინცდამაინც ჭაობის სულები ამოცვივდნენ, მე ნამდვილად არ მეცემიან, სუხის შეჭმას ამჯობინებენ-მეთქი.

მანამდე იმ მხარეში მხოლოდ გავლით ვიყავი ნამყოფი. მთელს ამ ამბავში ძირითადად სწორედ ზღვის ეშხით გავერიე, რადგან თინეიჯერებთან ერთად დისკოთეკებზე ხტუნაობას და სიმინდის ტაროებით და კოკა-კოლას ქილებით დაფარულ სანაპიროზე წოლას მხოლოდ აგვისტოში თუ ვეღირსები, და ისიც არა ვარ დარწმუნებული, რომ ამ პერსპექტივაზე ვგიჟდები. არადა, ზღვაზე მოხვედრა ნამდვილად არ მაწყენდა, სხვა თუ არაფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



წერილის ავტორი ფოტოების ავტორთან ერთად

რი, ფეხი ვერ გამომიჩენია, ნაზამთრალ-გაუბედურებული... თან წამსვლელთა ნაწილი ძალიან მომწონდა - ჯერ მარტო ორი სოლომანაშვილი რად ღირს! შუაში ჩაუჯდები, სურვილს ჩაიფიქრებ და აგისრულდება! თან წასვლის წინა დღეს გადაწყდა, რომ ნინო სვანიძეც წამოვა, გულშემატკივრის სტატუსით, ჩვენებიდან კი, როგორც მოგახსენე, სუხი იყო. მოკლედ, შესანიშნავ ხალხში გავერიე.

ყველაფერო კარგი იყო, მაგრამ დაზაფვრა მაინც არ ამცდა. პირველი შოკი უნივერსიტეტთან მივიღე, სანამ ავტობუსის გასვლას ველოდით. პირდაპირი ჩართვა უნდა ყოფილიყო, და კამერის წინ სამნი ალმოვჩნდით - მწერალი პაატა ბერიკაშვილი, დრამატურგი და ამჟამად მარათონის ორგანიზატორი ჯარჯი აქიმიძე, და მე. უკან, კიბეზე, ნინო სვანიძეც იყო ჩამომჯდარი და გახარებული ადევნებდა თვალს ჩვენს ვაებას, მერე ვახო კომახიძემაც ჩაიარა, იმანაც მწერლის სტატუსით. ჰოდა, გამახსენდა, რომ უკანასკნელად აქ ერთად როცა ვიდექით, გაგანია კომუნისტების ხანა იყო, ჩვენ სტუდენტები ვიყავით, და იმის მერე ასაკი სერიოზულად მოგვემატა, სულ არ დაგვკლებია. თითო-თითოდ დაბერებას ვერავის ვამჩნევდი, აქ კი გაჭირდა. მოფამფალებული და მოტეხილი კი თითქოს არცერთი ვყოფილვართ, უბრალოდ, რალაცა ველარ იყო კარგად, не первой свежести, თუ რა ვიცი, რაც ჰქვია: ცოტა ჭალარა, ცოტა დაჭმუჭნული, ცოტა ლიპიანი, ცოტა იმედგაცრუებული, და სხვა და სხვა. მაგრამ ეგ არაფერი, მაინც რა გვიშავს, არა?

ჯარჯიმ გაიხსენა, რომ ოდესლაც მთაში დავდიოდით. ბრძანა, მთის ავადმყოფობა ნამდვილად არა მაქვს, ზღვისა რა ვიციო. წესით, ზღვის ავადმყოფობისა არც მე მეშინია, თავის დროზე ხშირად მიწევდა გემით მგზავრობა. ერთი ისაა, გემი, რომელშიც ვიჯექი ხოლმე, უზარმაზარი იყო, "ბალტიკა". გემი კი არა, მთელი ქალაქი იყო. მე, ცხადია, გემბანზე მქონდა ადგილი, აბა, 25 დოლარად ნორმალურ ადგილს ვინ მალირსებდა, მაგრამ მაინც არაფერი მიგრძვნია. მართალია, იქ საწერიც არაფერი მქონდა, ვიჯექი ხოლმე და ზღვას გავყურებდი. ბოლოჯერ რომ გადავედი იმ მშვენიერი ხომალდიდან, ერთ კვირაში ჩაიძირა კიდეც. ძალიან ცხადად წარმოვიდგინე, როგორ ისიამოვნეს ზედ მყოფებმა. სამ წუთში წყლით აივსოო. მჯერა. ბევრი ხალხი კი გადარჩა, მაგრამ მაინც ბევრი ვერაფერი მოგონებაა.

ჩასვლამდე მეგონა, რომ "კაპიტანი თავართქილაძეც" ასეთი იქნებოდა, უზარმაზარი. არადა, ერთი ციდა გემი დაგვხვდა, თან ისე კარგად ქანაობდა! რომ დავინახე, გულს შემომეყარა. მხოლოდ იმან მანუგეშა, რომ სხვებიც შეიშმუშნენ, მარტო მე არ ვყოფილვარ ფეთიანი. მერე კი ძალიან კარგი გემი ალმოჩნდა, იცი, როგორია, აი, ერთი ათი კაცი რომ ვიყოთ, სულ ახლობლები, და იმით რომ ვიმოგზაუროთ, ჩვენზე ბედნიერი არავინ იქნება. მერე, მთელი დღე რომ ზედ ვიყავით, "კაპიტანი თავართქილაძე" ყველას შეგვიყვარდა, უბრალოდ, დავფრთხით პირველ დანახვაზე.

მაგრამ ეგ მერე იყო. ჯერ თბილისში ვიყავით და



ჯემალ მონიავა, ნუგზარ შატაიძე და ვანო ჩხიკვაძე

ავტობუსის გასვლამდე ერთმანეთს ვათვალიერებდით. სხვებისა არ ვიცი, მაგრამ მე მთელი ეს ამბავი ძალიან მახალისებდა. თან გაჩერებაზე თეო ხატიაშვილი და გურამ წიბახაშვილიც აღმოვაჩინე - ფერადი და მხიარული თეო "კაკადუდან" იყო წამოსული თავის ახალგაზრდა კოლეგასთან, ფოტოგრაფთან ერთად. თავიდან ცოტა დარდი მომეცა, ამ ბიჭს შეშლილები არ ვეგონოთ-მეთქი: ხანდახან კონტროლი გვეკარგებოდა და მისი თანდასწრებით საოცრებებს ვიგონებდით, მაგრამ ბიჭს ყველაფერი საუკეთესოდ ესმოდა. საერთოდ, კარგი ბიჭი იყო. გურამს რაც შეეხება, გვერდით მივუჯექი - ვინ ამაგლეჯდა! გზაში უამრავ ამბავს ყვებოდა, მე კი მიყვარს, გურამი როცა ყვება ხოლმე, განსაკუთრებით, თუ "უდარშია".

გურამმა გვიამბო, რომ დიდი ხნის წინათ, როცა თბილისში ფერადი ფოტოსურათები ჯერ კიდევ უცხო ხილი იყო, ასეთ ფოტოებს მთელს ქალაქში ერთადერთი კაცი ამჟღავნებდა და ბეჭდავდა. ცხადია, ყველა მასთან დადიოდა და მასაც ძალიან ბევრი საქმე ჰქონდა ხოლმე. ყველანაირი ფირი მოჰქონდათ, და ისე გამოვიდა, რომ ამ კაცმა ყველაფერი იცოდა, რაც თბილისში ხდებოდა - ვინ სად ქეიფობდა, ვინ ვისთან იყო, მოკლედ, ყველაფერი.

ცხადია, თავისი ფირები გურამსაც მასთან მიჰქონდა, და თითქოს დაამხანაგდნენ კიდეც (მგონი საერთოდ ყველას მიაჩნია, რომ გურამის ამხანაგია. გურამს რა მიაჩნია, არ ვიცი), და ერთ დღესაც ამ კაცმა თავისი "საგანძური" აჩვენა. თურმე ეს ჯიგარი ზოგ ფოტოს ორ-ორ ცალად ბეჭდავდა, ცხადია, მფლობელებისგან უჩუმრად, და ცხადია, მთაწმინდის ხედებს არა. მოკლედ, მონსტრად ჩამოყალიბების ყველა წინაპირობა ჰქონდა. გურამის სახე კარგად წარმოვიდგინე, რას ისიამოვნებდა...

დათო ტურაშვილიც "უდარში" იყო. ჯერ ნიაზ დიასამიძე მოითხოვა, აი, ნახავთ, როგორც გაგვისწორდებაო; მერე სიტყვობანაზე გადავედით და უნდა ვაღიარო, რომ დათოს ბადალი ამ საქმეში არავინ ყოფილა, ჰა-ჰა, ნინო სვანიძე, ჰე-ჰე - ბესო სოლომანაშვილი... დათო უწყვეტლივ ლაპარაკობდა და ჩვენც უწყვეტლივ ვიცინოდით, ერთი ისაა, რომ ამის შესახებ წერას აზრი არა აქვს, არ გაგეცინება - იქ უნდა ყოფილიყავი.

ჟურნალისტები სხვა ავტობუსში ისხდნენ, ჩვენთან მხოლოდ პატარა ნუხი იყო - მერე რა, რომ საშინელებები უყვარს. ტურაშვილი რომ გასძახოდა ხოლმე ვილაცეებს, ეს სიტყვა თუ არ იცი, აბა, რა ჯანდაბა იცი, გადაგიშვებ ახლავე ჟურნალისტების ავტობუსშიო, ჯერ კოლეგიალობის ამბავში ძალიან შფოთავდა, მაგრამ მერე ბედს შეურიგდა, მით უმეტეს, რომ მას სხვა ავტობუსში გადასვლა არანაირად არ ემუქრებოდა.

სიტყვობანათი გატაცებული ლიტერატორები უკან ისხდნენ, მე კი ხან მათ ვუერთდებოდი, ხან ისევ გურამთან ვჯდებოდი, რომელიც, ჩემი არ იყოს, გამოუძინებე-





ლი იყო და დროდადრო ტკბილად მილულავდა ხოლმე თვალს. მოკლედ, "ფეოლასაც" ვუყურე - ნანახი არ მქონდა, გურამის ჯადოსნური ამბებიც ვისმინე, მწერლებზეც ვერთობოდი: "ჩ-ზე რა მწერია, ხალხო, არ გადამრიოთ!"

იქითობას ჯარჯიც დაძინებას ლამობდა. ვინაიდან მისი მთავარი პარტნიორი, თამარ ლებანიძე, ავად გახდა და ვერ წამოვიდა, და ჯარჯი, როგორც ჩანს, თავს ობლად გრძნობდა, გზაში ჩვეულებრივზე მეტს ჯუჯღუნებდა, მაგრამ მთლად "ჯანდაბა, კორძაიამდე" საქმე არ მისულა. თან ალბათ უფროსებისაც ერიდებოდა.

უფროსების მეც მერიდებოდა, განსაკუთრებით ნუგზარ შატაიძისა. მხოლოდ მეორე დღეს გავბედე და დაველაპარაკე - მას და ჯემალ მონიავას. იმიტომ კი არა, რომ წარბშეკრულები ისხდნენ ან თავს არ გვიყადრებდნენ, სულ პირიქით. უბრალოდ, რა ვიცი, უფროსებიც არიან და თან მე ხომ ვიცი, როგორ წერენ, და სერიოზულად რომ ვილაპარაკოთ, ცოტა სასაცილო იყო, რომ ერთ კონკურსში ვიღებდით მონაწილეობას.

მე კიდევ ჯანდაბას, და სალომე! სალომე თერთმეტი წლისაა, ერთი ციდა, ლამაზი და ზრდილობიანი. მჯერა, რომ ყოჩაღი და ნიჭიერი გოგოცაა, მაგრამ მამაზეციერი ვერ დამაჯერებს, რომ იმდენივე და ისევე ექნება სათქმელი, რამდენიც და როგორც, ვთქვათ, გელა ჩქვანავას. ეს კაცი პირველად ვნახე, მაგრამ წაკითხული ხომ მქონდა, და თან საოცარ ამბებსაც მოყვა. ღვთის წინაშე, მე კი არა, თამრი ფხაკაძეს მოუყვა, მაგრამ მე, ცხადია, წავუყურშე (მართალი ხარ, ბევრი ვერაფერი ზრდილობაა) და თამრიმაც მიამბო, და ამიტომ მაინც მოგიყვები, მართალია, გელასავით არ გამომივა.

თურმე ომის დროს მარტო ადამიანებს კი არა, ცხოველებსაც ცუდი დღე ადგათ. ისე, უცნაური კია, მანამდე არასოდეს დავფიქრებულვარ, იმათ რა მოსდით - ძაღლებს, კატებს, ფრინველებს. ფილმებში ნანახი მაქვს, რომ ბრძოლის ველზე ცხენები იხოცებიან, და მაგრადაც მეცოდებოდნენ, ეგ იყო და ეგ. გელამ კიდევ თქვა, რომ დაბომბვების მერე ცხოველები ყრუვდებიან, და მერე დანგრეულ ქალაქში უწყვეტლივ ისმის კატების ჩხავილი. კნავიან, არ ესმით და ამაზე სულ გიჟდებიან. რა კოშმარია, არა? და მერე ამ კატებს ხოცავენ ხოლმე, რომ ადამიანებიც არ გააგიჟონ.

ჰო, სალომეზე გეუბნებოდი. თან ეს პატარა სალომე ალბათ ცოტა ცოდოც იყო, წესით, დაიღლებოდა. ის კი არა, ჩვენც დავიღალეთ: ჯერ ფოთამდე ვიჩაქჩაქეთ, მერე გემის მორთვას ვლამობდით, მერე ზღვაში გავედით და "რუსთავი-2"-ს პირდაპირი ჩართვა ჰქონდა და დიდი მოთმინების მქონე მარინა ელბაქიძემაც კი ჩაილაპარა, მგონი, დავიღალეო...

საბოლოოდ იმ დალოცვილ სახლში აღმოვჩნდით, რომლითაც მთელი ამ ამბის თხრობა დავიწყე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდესღაც სპორტული ბაზა თუ სპორტსმენების სასტუმრო თუ რაღაც ეგეთი ყოფილა. ძეგლი რომ დგას, ხომ გახსოვს, თეთრი, ტალღა რომაა და ქვეშ რომ ყმაწვილია, იმასთან უნდა ჩაუხვიო და იქვეა. დახურული ზონაა, საკმაოდ მოვლილი, ოღონდ უკაცური, და იქვე არსებობს საბილიარდო "ფისო" - გადასარევი ამბავია, ღამე გადავაწყდით, თვალებს არ დავუჯერე. განათებული მარტო ის იყო, და იქიდან მეგრული საუბარი ისმოდა, მგონი ჩხუბობდნენ, სიტყვები კი ვერ გავიგე, მაგრამ ტონი ისეთი იყო... გურამმა, რომელსაც ამ მხარეში კარგა ხანს უცხოვრია (სრულიად განსაცვიფრებელი მისიით - სასაფლაოებს იღებდა), მითხრა, რომ ირგვლივ უამრავი ლამაზი ადგილია. ერთხელ პალიასტომზეც კი წასულა და ნავით როცა მიცურავდნენ, ხეებიდან კუები ხტებოდნენ წყალში - ვინ თქვა, კუ ნელია და ზანტიო! თურმე ხეზე გასათბობად ადიან ხოლმე.

ის დაჟანგული ხიდიც ლამაზი იყო - კარგი ფერი ედო, და ისიც გულს უხაროდა, რომ ზღვა ახლოს იყო. მეტი რა გითხრა. ჭაობია, რა. თავის დროზე მითხრეს, ეგ მხარე ზღვის დონეზე დაბლააო. მე კი ვერ ვხვდები, ეგ როგორ, მაგრამ დაბლა რომაა, ფაქტია: ჰაერი ფილტვებში კი არ აღწევს, აქვე, ყელში იჭედება, ნესტია, ჩემი საყვარელი ბარაბულკა მაშინათვე თუ არ შეჭამე, თხუთმეტ წუთში ის მშვენიერი კანი რეზინივით უხდება. მე კი უამრავი ბარაბულკა ვჭამე და პორტში მცხოვრებ ცალთვალა კატას იმდენი თევზის თავი მივართვი, იმის კატების ღმერთი არ დამივიწყებს, მაგრამ მაინც საძაგელი ჰავაა. მოკლედ, ზღვის დონეზე დაბლა ყოფნა აშკარად არ მიყვარს. ჩვენი ფანჯრის წინ ტბორი იყო, მის ნაპირზე დაუდგენელი დანიშნულების სახლი იდგა, წყალში კი იმდენი ბაყაყი ცხოვრობდა, და ისეთ ხმაზე გასძახოდნენ! კი, "ყოველი სული ადიდებს უფალსა" და სხვა და სხვა, მაგრამ მაინც სულ არ მიზიდავს ჭაობები და მსგავსები. საერთოდ, მე რომ მკითხო, ადამიანის საცხოვრებლად არცაა განკუთვნილი. ამ ადგილის შესახებ მამაჩემმა მიამბო, მერე გურამსაც მოვუყევი.

მამაჩემს ეს ამბავი, ცხადია, თვითონ არ უნახავს, წაკითხული აქვს. ფოთის არსებობა ხომ ნიკო ნიკოლაძის დამსახურებაა. ჰოდა, მშენებლობის დროს ორატორები გამამხნევებელი სიტყვით და ცეცხლოვანი მოწოდებებით როცა გამოდიოდნენ ხოლმე, სპეციალურად მათთვის ჭაობზე (ანუ "ბოლოტოზე" - ჭაობი რთული სიტყვაა) მორებს ალაგებდნენ. სანამ კაცი ლაპარაკობდა - ჰა, ამდენი რა უნდა ელაპარაკა! დიდი-დიდი, ნახევარი საათი, ჰო? მორი იძირებოდა, ისიც მეორე მორზე გადადიოდა, და ასე... მოკლედ, მაგარი ადგილია, მაგრამ მე რა, სამი დღით მანდ კი არა, ჩიტაშიც წავიდოდი, საინტერესოა. იმათ იკითხონ, ვისაც სულ იქ უწევთ ყოფნა.

იმას მოგახსენებდი, რომ ბაყაყების ყიყინის მიუხედავად, მკვდრებივით გვეძინა. დილით ნინომ თქვა, სუხის



ირაკლი სოლომონაშვილი



ლევან ჯანელიძე

მზე ისე უჭყიტინებდა, შემეცოდა და ვიფიქრე, შავ სათვალეს გავუკეთებო. აი, რა მაკლდა: შავი სათვალით მძინარე სუხი!

მთელს ამ პენ-მარათონს ერთი დიდი სიკეთე სჭირდა: მაინცდამაინც საქმიანად არავინ უდგებოდა, არავინ იძაბებოდა, ცხადია, ორგანიზატორების გარდა: გემზე როცა ავედით, ჯარჯი აღელდა და ლებანიძის ქალს სამ წუთში ერთხელ ურეკავდა, და "დიოგენეს" ნინო და თამუნაც ცოტა ანერვიულდნენ. დანარჩენებს დიდი ღლიცინი გაუდიოდათ, თან, თუ რამე მესმის, ძალიან მოგვწონდა ერთმანეთი. მერე რომ ვილაპარაკეთ, აღმოჩნდა, რომ ვისაც არ უნდა გაემარჯვა, ყველა მაინც კმაყოფილი იქნებოდა, "ლუკმა გავარდეს - ჯამში ჩავარდეს" პრინციპით. ეპიგრაფი რომ გამოაცხადეს (სიმართლე გითხრა, შენი არაჯანსაღი იდეა მეგონა, მახო ჩემო, ვიფიქრე, მარტო მაგას გაახსენებდნენ ეშმაკები ამ საშინელ ანაქარსისსმეთქი), ცოტა კი შეჩქვიფდნენსავით, მაგრამ მალე მოინელეს. მერე ჟურნალისტები, ფოტოგრაფები და ცნობისმოყვარეები წავიდნენ, ბოლოს უკვე გახდილ და მზეზე გაშოტილ ნინოს, "მის საცურაო კოსტუმ-2003"-ს მოვკარი თვალი, რომელმაც მთელს პორტზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა... გადაწყდა, რომ წერას ვიწყებთ.

ერთი კი გამიკვირდა: ზღვით და მზით მხოლოდ ერთი-ორი კაცი დაინტერესდა, წყალშიც მხოლოდ გია კაჭარავას უსკუპია (ამ სცენას პირადად არ შევსწრებივარ), გემბანზეც ძირითადად მამაკაცები ჩამოსხდნენ. უცნაურია, არა? მაკა მიქელაძის ადგილზე მე საერთოდ გავიხდიდი და დანამდვილებით მეცოდინებოდა, რომ ვეღარავინ ვეღარაფერს დაწერდა - მაკა ხომ გინახავს? მაგრამ არა, ისიც კი კაიუტაში იჯდა, ჯინსებიან-პერანგიანად. ეტყობა, მარტო მე ვარ არანორმალური, გემბანიდან ვერ ჩამომათრიეს და ფეხი დავიწვი, ცალი, რაც ნამდვილად არ მეკადრებოდა. ღირსი ვარ.

ყველა ისეთი გაბადრული წერდა, მივხვდი, რომ ჩინებულად ჰქონდათ საქმე. დიდად ზღვის ავადმყოფობაც ვერავის შევამჩნიე. ბიჭებს რომ ვკითხე, ღამე რა ხდებოდა-მეთქი, მითხრეს, იგივეო. ისე, რა უნდა მომხდარიყო. წერდნენ.

მერე დათო ტურაშვილი მოყვა, რომ მე გავიხადე, წყალში გადავხტი და ნაპირისკენ გამოვცურე. თუ შენც ასე გითხრა, არ დაუჯერო - ასე კარგად ნამდვილად ვერ ვცურავ. ჟურნალისტები რომ მოიყვანა (ვერ მივხვდი, რისთვის), იმ ნავს გავყევი. მერე ჯარჯიც მეჯაჯღანა, სად ჯანდაბაში წახვედიო, და თბილისშიც მკითხეს, რამ გიბინაო, მაგრამ რაღა მეკეთებინა? რაც ვიცოდი, დავწერე და წამოვედი.

ისე, ნაპირზე ამოთრეულ გემზე როცა ვფიქრობდი, ჯარჯის შევჩივლე, მგონი საძაგელი ცხოვრება მაქვსმეთქი. კარგი კი არაფერი გამახსენდა... ბიჭო, მე ხომ არ ვარ ტრაგიკული ტიპი, არა? თან გემი იყო, ზღვა,

მეგობრები, მხიარული ხალხი, "ძველი თბილისი"... არა, მაინც ათასგვარი საძაგლობა წამომიტივტივდა.

საძაგლობა მერე გენახა, მახო ჩემო, ნაპირზე რომ გამოვედი და, ცხადია, სანაპიროსკენ გავეშურე, ნინოს და სუხის საძებნელად. იმ სასწაულ სასტუმროში მითხრეს, ზღვაზე არიანო. აბა, სად წავიდოდნენ...

გადავიარე ის დაჟანგული ხიდი და ნამდვილ ჭაობში ამოვჩნდი. კი არ ვეფლობოდი, უბრალოდ, ის დამპალი მცენარე რომაა, ხორციანი და ბასრი ფოთლები რომ აქვს, ის ხარობდა და რაღაცნაირი სუნიც იდგა. მეამათქო, ვერ ვიტყვი. მერე სანაპიროზე გავედი და გადავწყვიტე, რომ უნდა მომწონებოდა, რადგან ქვიშა იყო, ზღვა სულ არ ღელავდა და მზეც ჩადიოდა. მაგრამ არ მომეწონა. მე ხომ სუხივით არ მიყვარს "უჟასი" ამბები, მაგრამ თავად განსაჯე: ჯერ იყო და, არც სუხი ჩანდა და არც ნინო, საერთოდ, კაცი არ ჭაჭანებდა; ეს შორიდან მიმზიდველი ქვიშის ზოლი დამსხვრეული ბოთლებით და ნათურებით იყო მოფენილი. ბოთლების წარმოშობას მივხვდი, ნათურებისას - ვერა; მერე საშინელებას გადავაწყდი - უზარმაზარ, მკვდარ და კბილებდაკრეჭილ ძაღლს; მერე აღმოჩნდა, რომ სანაპიროზე აუშენებელი და მიტოვებული სახლი დგას, მამონტის ჩონჩხივით; მერე ვიფიქრე, აი დარდი, ვიბანავებ მაინც-მეთქი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ წყალი კოჭამდეა და ასე უნდა ვიარო სამყაროს დასალიერამდე, აბა, ქვიშაში ხომ არ ჩავწვებოდი... ჰოდა, ვიარე და ვიარე, და მერე ქვიშამ მუხლამდე ჩამითრია - зыбучие пески! და სულ წივილ-კივილით გამოვვარდი. ისე, მეტისმეტად ულირსი სიკვდილი იქნებოდა, არა? თან ვინ მომიკითხავდა, და ვიქნებოდი ასე, კაცმა არ იცის, ზღვაში თუ ქვიშაში დამხრჩვალი...

მერე ისევ იმ მკვდარ ძაღლს გადავაწყდი, ისევ ნამსხვრევებში ვიარე და ბუჩქნარში ბილიკის ძებნას რომ შევუდექი, გავიგონე: აანაა! მე მოვკვდე, არავინ იყო. აანაა! შენ რას იფიქრებდი? მე გადავწყვიტე, რომ უჟმურია.



დიდად არ ვიცი, რა სულიერია, მაგრამ კარგი რომ არაა, ვიცი, ჯერ სახელი როგორი ჰქვია, და ისიც ვიცი, რომ ჭაობში ცხოვრობს. საერთოდ, ისიც ვიცი, როგორ უნდა ველაპარაკო. გასწავლო? რომ დაგიძახებს, უნდა ჰკითხო: "რომელი ხარ?" ცხადია, არაფერს გიპასუხებს, ხომ არ იტყვის, რომ უჟმურია. და მერე უნდა უთხრა: "რომელი ხარ? როცა მოხვალ, სამი პაპის მერე მოხვალ". და თურმე შეგეშვება.

მაგრამ მე შელოცვაც დამავიწყდა და ყველაფერიც. ჩამოვდექი და ვიფიქრე, ახლავე გავარკვევ, ეს დამპალი ვინლაა-მეთქი, და მორჩა სიმპათიურის ბაირამობა-მეთქი. როგორ მომინდა "კაპიტან თავართქილაძეზე", ჩემს ლამაზ ბიჭებთან! აბა, ბესო და ირაკლი ყოფილიყვნენ, ამდენს თუ იბლატავებდა ეს დამპალი უჟმური!

უჟმური აბსოლუტურად შინდისფერი ნინო და უშავესი სუხი აღმოჩნდნენ. ამ უკანასკნელს რომ შევხედე, მივხვდი, რატომ ეძახი არუნდატი როის. იმათ ფონზე ფიფქია ვიყავი, მთელი დღე სანაპიროზე უგორავიათ და



თამარ სუხიშვილი, ნინო სვანიძე და ანა კორძაია-სამადაშვილი

ერთი მებადურიც გაუცნიათ, და მეც მიამბეს მებადურის სევდიანი ამბავი:

ნაპირზე რომ იწვნენ, ერთი მებადური მოვიდა, დაინახა სუხი და იქვე შეუყვარდა. სუხისაც ძალიან მოეწონა. ოღონდ იმ კაცმა არ იცოდა, თავისი გრძნობა როგორ გაემხილა და უთხრა: "ბადეებს მიმიხედე, მე ახლა წავალ და მალე მოვალო". სუხის ბადეების ყარაულობა დაეზარა და უთხრა: "რა შემატყე, ბიჭო, მაგნაირიო". ქართველი ქალი ხომ ამაყი და გოროზია...

არ დაიჯერე, ხომ? მართალი ხარ. სვანიძე რომელ მებადურს გააბედნიერებდა რამეს. უ, წარბს რომ აუწევდა...

სასტუმროში გვიან დავბრუნდით, რადგან იქვე, ტრასაზე, ვიპოვეთ შესანიშნავი დაწესებულება, სახელად "ჯარგვალი", რომელიც ჯერ ჩაბნელებული იყო, მაგრამ რომ მივუახლოვდით, განათდა, და აღმოჩნდა, რომ შიგ აფხაზეთიდან წამოსული ქალბატონი მუშაობს, და სტუმართმოყვარეცაა და არნახული მზარეულიც ბრძანდება. ჩვენ შევჭამეთ ყველაფერი, რაც კი ჯარგვალში მოიპოვებოდა, ვილაპარაკეთ ყველაზე, ვინც კი მარათონში მონაწილეობდა - რა ვიჭორავეთ! და იქვე მოწრიალე ძაღლების გულიც მოვიგეთ: ისინი ყველაფერს გეახლებოდნენ, კიტრსაც კი. ერთი მაინც ძალიან საწყალი თვალებით იყურებოდა, თან დიდი ძუძუები ჰქონდა, შვილები ჰყოლია. "გვანდალა," გაუჯავრდა ჩვენი მასპინძელი, "სულ დაკარგე, გოგო, ნამუსი? წადი აქედან, გველო შენ!"

საერთოდ, საოცარი ტექსტები იმ ღამეს უხვად ვისმინეთ. მაგალითად, სუხის ჰკითხეს: "ტანზეც შავი ხარ?" არა, ქურთუკში იწვა ზღვასთან. "ასე ადრე რატომ წამოხვედი?" შენ რას უპასუხებდი? "იცით, ვანო შატბერაშვილმა მცემა, და..."

ისე, კიდევ კარგი, ან ვერ გაიგონეს, ან არ დამიჯერეს, და რომ მცოდნოდა, რა ფანტაზიის მქონე ხალხთან მქონდა საქმე, მაგას როგორ ვიტყოდი! რადგან მეორე დღეს ხმა დაირხა, რომ ერთი ლიტერატორი გოგოებს ღამე ოთახში უვარდებოდა. ჯერ უბრალოდ უვარდებოდა - ალბათ დასახოცად, არა? მერე ლეგენდა, როგორც ლეგენდის წესია, დეტალებით გამდიდრდა: ერთი ვერსიის თანახმად, იგინებოდა, მეორე ვერსიის თანახმად - იმუქრებოდა, მესამე ვერსიით კი ერთი კი არა, სამი კაცი იყო, თან ლიტერატორი კი არა, ბუა, ბუბუკა და ბუკაკა - ზუსტად არ ვიცი. მოკლედ, მარათონზე ერთი შედევრი ნამდვილად შეიქმნა, ოღონდ ზეპირსიტყვიერების ნიმუშად დარჩა, მაგრამ გოგოების იმედი მაქვს - დავიწყებას არ მიეცემა. არც მე დავივიწყებ.

არც ის დამავიწყდება, როგორ ამღერდნენ უკანა გზაზე მწერლები. იცი, რა მაგრად მღერიან? დალიეს, მოდუნდნენ და ამღერდნენ, თბილისამდე მღეროდნენ. "ლიახვო, ჩემო ლიახვო..." თუ ოდესმე გაიგებ, რომ სადმე იკრიბებიან, მეც მითხარი, კარგი? ძალიან კარგი იყო და კიდევ მინდა მათი ნახვაც და მოსმენაც.

მოკლედ, ჩემო მახო, ვერ გეცი პატივი. არადა, პენმარათონის შესახებ მინდოდა მომეყოლა. იცი, ბესო სოლომანაშვილი დამპირდა, თუ ჯილდო მივიღე, ერთი წვეულება ჩემზე იყოსო. ჰოდა, სიტყვა სიტყვაა, და რომ შევიკრიბებით, ბიჭები უკეთ მოგიყვებიან. ისე, პენ-მარათონივით კი გამოვა, ერთი თემა და ბევრი ამბავი...

გვერდები გაფორმებულია
გურამ წიბახაშვილის ფოტოებით.

არილი

ზურაბ ლეჟავა

# ქათმის ქურდები



მოქმედება ხდება სულ ახლო მომავალში. საქართველოში წამოწყებული პროექტების ქრონიკული განუხორციელებლობისა და დაკარგული ფულის აუნაზღაურებლობის გამო, მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა უარი თქვეს საქართველოსთან ყოველგვარ ურთიერთობაზე, გადაკეტეს გასავალ-შემოსასვლელი გზები და ჩვენი თავი ჩვენვე მოგვანდეს.

პარლამენტის შენობა ჩამონგრეულ-მინგრეულ-მონგრეულია, ბევრი მოსაპირკეთებელი ქვა ჩამოცვენილია, შენობის კედლებზე წერია: "საქართველო", "ძირს ხუნტა!", "ძირს თვითმპყრობელობა!", უხამსი სიტყვები და სხვა უამრავი რამ. კიბეებზე სხედან მომიტინგეები, ზოგიერთს კარვები გაუშლიათ, ზოგიერთები ყიდიან ანტისახელისუფლებო ლიტერატურას, ვილაცები კი მიწის თხილსა და მზესუმზირას. მზესუმზირისა და "ანტის" გამყიდველები ერთმანეთს ზოგჯერ ადგილებში ეცილებიან და ჩხუბობენ. შესასვლელის წინ, კიბეზე აღმართულია დანჯღრეული ტრიბუნა, რომელსაც გარს უწყვია ასევე დანჯღრეული ხმის გამაძლიერებელი აპარატურა. ტრიბუნასთან დგას შიზოფრენიული გარეგნობის წვერებიანი ორატორი (არაჰიგიენური), რომელიც მრისხანედ და მგზნებარედ გმობს არსებულ რეჟიმს - ზოგჯერ ქილიკობს, ზოგჯერ ოხუნჯობს, მეტწილად კი გოროზია და შეუვალი. იგი ძალიან ხშირად იმეორებს სიტყვას - "ძირს!", რასაც მომიტინგეთა საპასუხო შეძახილიც მოსდევს - "ძირს!"; გაჰყვირის აგრეთვე სიტყვას - "გაუმარჯოს!" - იგი ამ სიტყვას შუაზე ჰყოფს - ჯერ მარტო ამ სიტყვის პირველ ნაწილს იძახის - "გაუმარ", ხოლო შემდეგ მომიტინგეებთან ერთად - "ჯოს!", "გაუმარ-ჯოს!", "გაუმარ-ჯოს!", "გაუმარ-ჯოს!", "ჯოს!", "ჯოს!"...

პარლამენტის წინ ჩერდება დამტვრეულ-დანჯღრეული მარშრუტკა, რომლიდანაც გად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდის აჩაჩულ-დაჩაჩული ოცდათხუთმეტიოდე წლის დეპუტატი არჩილ აბუსერიძე და ტანსაცმლის სწორება-სწორებით მიემართება შესასვლელისკენ. გზაში მას მეორე ასეთივე დეპუტატი ირაკლი ყაფლანიშვილი ხვდება. ისინი ერთმანეთს კოცნიან და პარლამენტის შენობისკენ მიემართებიან. ზოგიერთი მომიტინგე მათ ცნობს და წყევლა-კრულვით აცილებს, ხოლო განსაკუთრებით ტემპერამენტიანები ჩქმეტენ და მუჯლუგუნებითაც უმასპინძლდებიან. დეპუტატები მაინც მიიკვლევენ გზას კარებში მდგომი უხეში პოლიციელისკენ. ის მათ ცნობს და ატარებს.

ულიმღამო, ბინძურ ფოიეში ათასი ჯურის ხალხი ტრიალებს. ბევრი მათგანი ერთობ საეჭვო გარეგნობისაა. აქ ზოგი დეპუტატია, ზოგი საჩივარზეა მოსული, ზოგი მიღებაზე, მოკლედ, ხალხის დიდი სიჭრელეა...

აბუსერიძე და ყაფლანიშვილი დერეფანში უხვევენ, ერთხელ კიდევ უხვევენ და გამშვები პუნქტისკენ მიემართებიან.

- უჰჰ, ისევ შავი სერგოა დღეეს?! - შეიცხადებს აბუსერიძე.

- რა იყო, ტილები ხომ არა გყავს?! - ეკითხება ასევე შემცბარი ყაფლანიშვილი.

- რა ვიცი აბა! - მარშრუტკით დავდივარ და არ არის გამორიცხული! - ამბობს აბუსერიძე.

სერგო პარლამენტის დაცვის სამსახურის ლეიტენანტია, სიშავის გამო მეტსახელად შავი. იგი გამტარ პუნქტში შმონბრიგადის ერთ-ერთ ცვლას ხელმძღვანელობს, შიშის ზარს სცემს დეპუტატებს და შენობაში შესვლის ყველა მსურველს. შავი სერგო მოუსყიდავი და შეუვალია. მისი მოთხოვნით ხელქვეითები არსებული წესების სრული დაცვით ჩხრეკენ შემომსვლელებს - ჩხრეკენ და ამოწმებენ. მოთხოვნა ერთია და კონკრეტული: პარლამენტის შენობაში შემსვლელს არ უნდა ჰქონდეს თან არავითარი იარაღი და არ უნდა ჰყავდეს პარაზიტი მწერები. ეს ორი მოთხოვნა კი თითქმის შეუსრულებადია ჩვენში. სერგო ამას მოითხოვს, თავად კი საერთოდ არ იცავს ეთიკის ნორმებს. ის ახლა დერეფნის ბოლოში დგას და აშარდავს კედელს, წარბქვეშიდან არხეინად გამოსცქერის მოფუსფუსე შმონიკებს, ჩაცმულ, გახდილ თუ ნახევრად გახდილ შესვლის მსურველებს, აგრეთვე იმათ, ვისაც შესვლაზე უარი უთხრეს. ეს უკანასკნელნი კი, რომელთა შორისაც ქალებიც არიან, ყვირიან, წივიან, ჯიკაობენ, მაგრამ სერგო უდრტვინველია და მისი შარდიც რაკრაკით მიედინება დერეფანში ქაფიან ნაკადულად.

ჩხრეკის (შმონის) ოთახში დგას გრძელი მაგიდა, რომლის ერთ მხარეს - კედელთან ახლოს გამწკრივებულან შმონშიკები, ხოლო მეორე მხარეს გასაჩხრეკი ადამიანები. ეს უკანასკნელნი პატარ-პატარა ოთხ-ხუთ კაციან ჯგუფებად შემოყავთ, ახდევინებენ ტანზე და აიძულებენ ფლოქსში გავლას. ფლოქსი დანადგარია, რომელიც ლითონის გატანის შემთხვევაში ანთებს წითელ ნათურას და რეკს გამაფრთხილებელ ზარს. ფლოქსი ისეა მოწყობილი, რომ არ რეაგირებს ოქროს კბილებზე და ფერადი ლითონის სხვა მცირე ზომის საგნებზე. ეს დანადგარი ადრეც ფუნქციონირებდა პარლამენტის მისაღებში, თუმცა შესვლის მსურველებს არ აიძულებდნენ გახდას. გახდა დაიწყეს მას შემდეგ, რაც რამდენიმე პარლამენტარმა სცადა (და წარმატებითაც) ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის შეტანა საკუთარი სხეულით, ხოლო როდესაც დეპუტატ ბომბოხიძეს პირდაპირ სწორ ნაწლავში გაუვარდა "მაგნუმის" ტიპის რევოლვერი, რომლის პარლამენტის შენობაში შეტანასაც ის ამ გზით ლამობდა - დეპუტატებმა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს გამტარ პუნქტზე ზომების გამკაცრება, რათა საპარლამენტო ჩხუბების დროს მაქსიმალურად შეემცირებინათ პისტოლეტების, დანების, კასტეტებისა და ხელკეტების გამოყენება. ამიერიდან ამგვარ ჩხრეკას ექვემდებარება ყველა დეპუტატი, განურჩევლად სქესისა. სადეპუტატო იმუნიტეტი ამ შემთხვევაში ბათილია. რაც შეეხება დეპუტატ ბომბოხიძეს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, საბედნიეროდ, რევოლვერის ლულა გასროლისას ქვევით იყო მიმართული და არა ზევით.

შმონის ოთახში აბუსერიძე იხდის და ცდილობს მღელვარება არ შეიმჩნიოს. ის აუჩქარებლად ალაგებს თავის ტანსაცმელს მაგიდაზე, ცდილობს შმონშიკს გულითადი საუბარი გაუბას. შმონშიკიც თითქოს უბამს მხარს, თუმცა მაინც ფხიზლად არის. მისი მოქნილი თითები გაფაციცებით ეძებენ აბუსერიძის ნივთებში სამხილს. ტანსაცმელში თითქოს საეჭვო არაფერია, მაგრამ შმონშიკი ერთ ფეხსაცმელს წვდება, პორტატულ ფლოქსს აუტარ-ჩაუტარებს, გადასწევს, გადმოსწევს, მერე აბუსერიძეს უმზერს თვალებში და ეუბნება:

- აქ რაღაც არის!

- არა, როგორ გეკადრება უფროსო, - პასუხობს აბუსერიძე, - არაფერი არ არის!

- უნდა ინახოს! - ამბობს შმონშიკი, უჯრას აღებს და იქიდან ქუსლის საძრობი სპეციალური ინსტრუმენტი ამოაქვს.

- რას ამბობ კაცო, რა უნდა ინახოს. ერთი წყვილი ქეციანი ფეხსაცმელი დამრჩა და ისიც გინდა გამიფუჭო?! - ყვირის აბუსერიძე.

შმონშიკი ყურსაც არ იბარტყუნებს აბუსერიძის ყვირილზე. ხელის ერთი მარჯვე მოძრაობით ფეხსაცმელს ქუსლს აგდებინებს. იატაკზე ჩხაკუნით ეცემა რაღაც საგანი. შმონშიკი საგანს იატაკიდან იღებს და სერგოს ეძახის:

- სერგო!

- რა არი! - ეპასუხება სერგო.

- რა არი და მოდი, დეპუტატს კასტეტი ვუპოვნე! - პასუხობს შმონშიკი.

შემოდის ზორბა და მედიდური შავი სერგო, ავისმომასწავებლად უახლოვდება აბუსერიძეს, ხელში პატარა, სამ თითზე წამოსაცმელ პლასტიკატის კასტეტს იღებს, დასცქერის და ღრენით კითხულობს:

- რაა ბიჭო ეს?!

თავდახრილი და ცხვირჩამოშვებული აბუსერიძე დუმს.

- ჩაგაფაროს კაცმა თავში - გამოსცრის შავი სერგო და საკმაოდ ღონივრად ჩაუბარტყუნებს აბუსერიძეს მისსავე კასტეტს თავში, - პლასტიკისა გააკეთებინე, რომ ფლოქსმა არ დარეკოს?!

- რა ვქნა, აბა უფროსო, იქ ყველას რაღაც შეაქვს და ყოველდღე ჩხუბია, მეც ორი თავი კი არ მაბია, ცარიელი შევიდე დარბაზში... თანაც დღეს მნიშვნელოვანი საკითხია განსახილველი - ბიუჯეტის სეკვესტრი. მაგარი ჩხუბი ატყდება! - იმართლებს თავს აბუსერიძე.

- ოხ, ი-ი-მუ-ნი-ტე-ტი არ გქონდეთ და მე თქვენ მოგიწყობდით ყველას სეკვესტრს! - ღრიალებს შავი სერგო და ხელს კრავს აბუსერიძეს, თან მისივე კასტეტს ესვრის თავში.

- შეაგდე ეს ბოქსში და შეადგინე კიდევ ერთი ოქმი!

აბუსერიძეს აგდებენ ბოქსში და უკეტავენ კარს. ბოქსში მჯდომი აღშფოთებული დეპუტატები, როგორც ახლადგამოჩეკილი ბარტყები, წამოცვივდებიან და საპროტესტო ჟივილ-ხივილს ტეხენ, მაგრამ კარი იმავე სისწრაფით იკეტება, როგორც გაიღო.

- აჰა, აი კიდევ ერთი, - წარმოთქვამს ბოქსში მჯდომი ერთ-ერთი ზორბა დეპუტატი როხროხით, - შენ რაღა გიპოვნეს შვილო ჩემო აბუსერიძევ?!

- კასტეტი! - პასუხობს მოკლედ აბუსერიძე.

ამ დროს საპირისპირო მხრიდან ანუ შმონის ოთახიდან ისმის ყვირილის, ჯიკაობის ხმა და სხვადასხვა შეძახილები: "მო-დი შენი!", "მო-ო-დი შე ტილიანო!", "ტილიანები თქვენა ხართ!", "მოდი მოგ...". იღება კარი და ბოქსში ხელისკვრით აგდებენ დეპუტატ ყაფლანიშვილს, გაცვეთილი, ჭრელი, "ნუპაგაძის" ტრუსის ამარას. კარი წამით იხურება და ვიღაც ფორმიანის ხელი მოქნევით ყრის ტანსაცმელს პირდაპირ იატაკზე.

- აჰა შენი გნიდნიკები!

დეპუტატები ისევ წამოცვივდებიან შიშველი ბარტყები-

ვით, მაგრამ კარი ისევ მალე იხურება.

შმონი დამთავრებულია. შმონის ოთახს თანამშრომელი ქალი ალაგებს და აქანდაზზე აგროვებს აკრძალულ ნივთებს.

- არის რამე მნიშვნელოვანი? - კითხულობს სერგო.

- არა! - პასუხობს ქალი, - დანებია, კასტეტები, კამათლებია და შპრიცია ერთჯერადი. ინსულინშიკის ცნობა ჰქონდა, მაგრამ ყალბი აღმოჩნდა.

- ჰო, კარგი, - ამბობს სერგო და გადის. ქალი დალაგებას განაგრძობს და ჩამორთმეულ ნივთებს აქანდაზით ნაგვის ყუთში ყრის.

გარკვეული დროის შემდეგ ბოქსში დამწყვდეული დეპუტატები ბოქსიდან გამოჰყავთ და მუჯლუგუნებითა და პანჩურების კვრით გარეთ ყრიან. გაძევებულ დეპუტატებს შორის არიან ქალებიც.

გამოყრილ დეპუტატებს სტვენით, ღრიანცელით, სიცილ-ხარხარით, ჩქმეტითა და მუჯლუგუნებით ხვდებიან მომიტინგეები. შიზოფრენიული გარეგნობის ორატორი ერთხანს სწყვეტს თავის გამოსვლას პირქუშად და ზვიადად, როგორც უძლეველი რომაელი სენატორი, იბრუნებს პირს პარლამენტის შენობიდან გამოყრილ დეპუტატებისკენ და ღრიალებს:

- აი, ჩვენი რჩეულნი - ტილიანები, ნარკომანები, ხულიგნები!

- ვაჟკაცი და ჯიგარი ხალხი, მაგარი დამრტყმელები, ხელჩართული ბრძოლის დიდოსტატები, ძლიერი ყომარბაზები და მურტალი პლანის მწეველები, საქმის გამკეთებლები და ჩალიჩმეისტერები!!! - უმატებს ოხუნჯობის მოყვარული როხროხა დეპუტატი, სწორედ ის, აბუსერიძეს რომ ჰკითხა - "შვილო ჩემო აბუსერიძევ, შენ რა გიპოვნესო".

- უყურეთ, უყურეთ ამას, კიდევაც რომ ოხუნჯობს! ქვეყანა დაღუპეთ და ახლა ოხუნჯობთ! - ყვირის ორატორი თითის შვერით.

- ოჰ, შენ თუ მოხვალ, სულ ააყვავებ ამ ქვეყანას, ხომ იცი! - არ ეპუება როხროხა.

როხროხას ამგვარი ლაპარაკი სხვადასხვაგვარად მოქმედებს მომიტინგეებზე. მათ ძირითად ნაწილს ის კარგ ხასიათზე აყენებს, თუმცა რამდენიმე უიუმორისგრძნობოს აბრაზებს და ჩხუბის ხასიათზე აყენებს. უიუმორისგრძნობოები როხროხას საცემრად იწევენ, თუმცა ეს უფრო "გამიშვი-არგამიშვას" ვარიანტია. ეს ორი საპენსიო ასაკის მამაკაცია, რომლებსაც თავისიანებივე აკავებენ სიცილით.

- დგახარ აქ და ატყუებ ხალხს, - არ ისვენებს როხროხა დეპუტატი, - რა, არ გერგო ყველის ნაჭერი, კუმ ფეხი გამოყო, მეც პენალტი დამარტყმევინეთო! არ დაუჯეროთ ხალხო მაგას, ეგეც ჩვენნაირია, ოღონდ უსავარძლოდ დარჩენილი! ჩვენ ცუდები ვართ, ეგენი კი ჩვენზე უარესები იქნებიან! ქვეყანას დააქცევენ, ჩვენს დანგრეულს ეგენი დააქცევენ!!!

- ა, ელაპარაკე ახლა ამას, - იშვერს ხელს ორატორი და მიკრაფონში ჩაყვირის:

- ვაი შენს პატრონს უბედურს!!!

- მალე მენახოს შენი გაბანჯგვლული თავი!.. - ყვირის ხუმრობის ხასიათზე მდგარი როხროხა და სიტყვებს ეძებს, მაგრამ ვერ პოულობს, თანაც კიბეებზე მჯდომი მომიტინგე ხნიერი დედაკაცი ეჯაჯგურება შარვლის ტოტზე:

- ჰე, წაი ახლა, წაი! გეყოფა, წაი აწი!

დეპუტატი ხელს ჩაიქნევს და მიდის. სხვა დეპუტატებიც მიდიან.

- შენ ეხლა საით მიდიხარ? - ეკითხება აბუსერიძე ყაფლანიშვილს.

- რა ვიცი აბა? ჯერ სახაჭაპურეში შევალ, ხაჭაპურს შევჭამ და ლიმონათს დავლევ, მერე სახლში წავალ, ტანსაცმელს მაინც დავიუთოვებ, იქნებ ეს ტილები და წილები დავხოცო!

- ტილებსა და წილებს შენ მერეც დახოცავ! ეხლა კი, თუ გინდა, საქმეზე წამომყევი! - ეუბნება აბუსერიძე.

- რა საქმეზე? - კითხულობს ყაფლანიშვილი.

- მოსაპარია რაღაც! - ეუბნება აბუსერიძე.

- მართლა?!

- ჰო!

- სასროკოა თუ იმუნიტეტი გვიშველის?!

- ნუ, რა ვიცი ახლა - კანონს ხომ იცი, როგორც მიუდგები ისეა, პრინციპში ამ დროში ალბათ არც არის სასროკო!

- რა არის მოსაპარი? - კითხულობს ყაფლანიშვილი.

- ქათმები! - პასუხობს აბუსერიძე.

- ქათმები?! რა ქათმები, საიდან?! - კითხულობს ისევ ყაფლანიშვილი.

- რა ქათმები და ქათმები საქათმიდან!

- საქათმიდან?!

- ჰო, საქათმიდან!

- ვა, ბევრია?!

- ნუ საქათმეა, რა ვიცი, ბევრია ცოტაა, ერთი თხუთმეტი-ოცი ცალი იქნება!

- შორს არის?! - კითხულობს ყაფლანიშვილი.

- ავჭალაში! - პასუხობს აბუსერიძე, - გაწყობს თუ არა?!

- მაწყობს!

- ჰოდა, მაშინ წამო ეხლა ვაგზალზე, სადმე "პივნუშკაში" შევიდეთ, თან ცოტა დავლიოთ, თან ცოტა დეტალებზეც ვილაპარაკოთ, თან ცოტა დროც გავა!

- შენა და ღამეს უნდა დაველოდოთ? - კითხულობს ყაფლანიშვილი.

- ჰო! - პასუხობს აბუსერიძე.

დეპუტატები მეტროს სადგურისკენ მიემართებიან და ცდილობენ დეპუტატების წიგნაკების ჩვენებით უფასოდ იმგზავრონ.

- ა-არ გაგატარებთ მაგ წიგნაკებით! - ყვირის რკინიგზელის შავ უნიფორმაში გამოწყობილი მეტროს თანამშრომელი ხნიერი პატარა ქალი.

- როგორ?! - ჩვენ დეპუტატები ვართ ქალბატონო!

- დეპუტატები კი არა, მაიმუნები ხართ! - ყვირის ქალი, - თქვენ ყველას საბუთები გაქვთ ჯიბეში, ზოგი დეპუტატი ხართ, ზოგი ალტერნატიული პარლამენტის წევრი, ზოგი ლტოლვილი და ზოგიც ინვალიდი! - თქვენი გულისთვის რა, მეტრო გავაჩეროთ?!

- ჰაიტ! - ყვირის ყაფლანიშვილი, - ჩვენ ხალხის რჩეულები ვართ!

- ხალხის რჩეულები კი არა, მაიმუნები ხართ! - ყვირის ქალი.

ყვირილზე სამორიგეოდან გამოდიან პოლიციელები და ზლაზვნით უახლოვდებიან დეპუტატებს.

- რა არი, რაშია საქმე?! - კითხულობს ერთი.

- რადა, დეპუტატები ვართო და უფასოდ უნდათ შესვლა! - მიაგებებს ქალი.

- ბუს კვერცხები არ უნდათ? - კითხულობს უფრო შორს მდგომი პოლიციელი.

- მერე, დეპუტატები თუ ხართ, თქვე კაი ხალხო, ჟეტონის ფული აღარ გაქვთ, რომ ბარემ კაცურად იმგზავროთ?! - მიუტრიალდება დეპუტატებს მეორე პოლიციელი.

- საქმე მაგაში არ არის, - ყვირის ყაფლანიშვილი, - საქმე ისაა, რომ ჩვენ გვეკუთვნის უფასოდ შესვლა.

- თქვენ გეკუთვნით ბაბუათქვენისა! - არცთუ ხმადაბლა ჩაილაპარაკებს ცოტა მოშორებით მდგომი პოლიციელი.

- მეც ბევრი რამე მეკუთვნის! - მოუჭრის სიტყვას დეპუტატებს ახლო მდგომი პოლიციელი, - იყიდეთ ჟეტონები და შედით! - მერე კი აბუსერიძეს მიუბრუნდება, ხმადაბლა ამატებს, - მომეცი ოცი თეთრი და გაგატარებთ ორივეს!

აბუსერიძე ჩუმად უდებს პოლიციელს ოცთეთრიან ქრთამს. პოლიციელიც ატარებს დეპუტატებს. მეტროს თანამშრომელი ქალი კრინტსაც კი არ ძრავს, რამეთუ იგი ისევე, როგორც ეს პოლიციელები, მიწისქვეშა სარკინიგზო მაფიის წევრია. დიახ, ეს ქალიც მაფიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზია, პატარა, უსუსური, მაგრამ ერთგული წევრი ძლევამოსილი მაფიისა.

მეტროს სადგურში ჩასვლისთანავე დეპუტატები მეტად ტრაგიკული და ოდნავ ალბათ კომიკური სცენის მოწმენი ხდებიან:

- საშუალო ასაკის ვიღაც მსუქანი ქალი მოახლოებული მატარებლის დანახვისას თვალებს მაგრად ხუჭავს, გარბის და ლიანდაგებში ჩახტება, მაგრამ შემდეგ მატარებლის შეეშინდება და მაშინვე კივილით უკან ამოხტება, ამოხტომისას ფეხი უსხლტება და იდაყვებით დაეკიდება ბაქნის კიდეს, გამოცდილი კასკადიორივით სწრაფად ამოძვრება და გადმოგორდება ბაქანზე. გაქანებული მატარებელი მილიმეტრებში ჩაუქროლებს ქალს და გაჩერდება. ვაგონიდან ზღვის ტალღასავით შეკრული ხალხის ნაკადი გადმოეშვება, იატაკზე გაგორებულ ქალს ზედ გადაუვლის და პატარ-პატარა შხეფებად და წინწკლებად დაშლილი გადატვირთული ესკალატორისკენ გაექანება; ახლა მეორე ზღვის ტალღად შეკრული ხალხის ნაკადი მეორე მხრიდან გადაუვლის საცოდავ წაქცეულ ქალს. ამ ნაკადში კარი წვალებით იხურება და მატარებელიც შხუილით შედის გვირაბში. ბაქანზე რჩება შეშინებული, ბრბოს მიერ ფეხქვეშგათელილი ქალი, რომელმაც ეს წუთია თვითმკვლელობა სცადა და რომლის შესახებაც ახლა აღარავინ არაფერი იცის, რადგან იქ უკვე სხვა ხალხია, წამსვლელები უკვე წავიდ-წამოვიდნენ, ზოგი მიწის ზევით და ზოგიც მიწისქვეშეთში. ახლად მისულ ხალხში არის ორი გოგონა, რომელთაგან ერთი ეკითხება მეორეს:

- რატომ ზის ეს ქალი ძირს, შველა ხომ არ უნდა?

- დაანებე გოგო თავი! - პასუხობს მეორე, - რა იცი, ვინ არის!

- მოდი ავაყენოთ, ცოდოა!

- დაანებე, თვითონ ადგება, რა იცი, ვინ არის!

ქალს ეს ყველაფერი ესმის. ის დგება და ლასლასითა და ტირილით მიდის ესკალატორისკენ. ესკალატორი ამჟამად ცარიელია და ქალი მარტო დგება მოძრავ კიბეზე. კიბეს ის ზევით აჰყავს.

მეტროს ვაგონში შესული ხალხი, ანუ ისინი, ვინც ამ ამბავს შეესწრნენ, მომხდარის თაობაზე ქოთქოთებენ:

- ეს რა იყო კაცო, ა? - ამბობს ყაფლანიშვილი, ნახე, რა ნახტომი იკისრა?! - არა, რას ხტებოდა, თუ ისევ უკან ამოხტომა უნდოდა!

- შეეშინდა და იმიტომ ამოხტა! - მშვიდად და ხმადაბლა მოუჭრის აბუსერიძე.

ის სერიოზულია და ჩაფიქრებული - თავისი საფიქრალიც ბევრი აქვს. ცოტა ხნით მყარდება სიწყნარე, მატარებელი ამუხრუჭებს და ჩერდება. იღება კარი, საიდანაც ისევ გავარდება ერთი დიდი ტალღა ხალხისა, მეორე ტალღა კი შემოვარდება. ამ ტალღას შემოყვება კიდევ ერთი უცნაური ტალღური წარმონაქმნი, რომელიც ყველას აწვება და ქმნის ეგრეთწოდებულ ხელოვნურ "დავკას". ეს ექვსკაციანი ჯიბგირთა ბრიგადაა. ისინი სხვადასხვანაირები არიან: ზოგი მათგანი ასანთის ღერივითაა გამხდარი, ზოგი ჩაკურატებულია - ექვსივე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თუმცა არის მათში რაღაც ისეთიც, რაც ყველას აერთიანებს - ისინი არსად და არასდროს, არაფრისდიდებით სხვაგან არ იმუშავებენ. ისინი მხოლოდ უნდა დახოცო. აი რამდენიმე მათგანი გარს შემოერტყა ვიღაც სოფლელ, მშრომელ კაცს. ერთმა პარკი ააფარა, მეორე მხრით გაეხახუნა, მესამეც აეფარა - ერთი სიტყვით, ალყაში მოაქციეს და შეძლებისდაგვარად ჯიბეებში ხელს უყოფენ. კაცი უხერხულად იშმუშნება. ხან ერთს მიუტრიალდება, ხან მეორეს, როცა პირველს მიუბრუნდება, ეს უკანასკნელი თავს ხრის მორჩილად და ხელებს მაღლა აღაპყრობს - აქაოდა, ცამდის მართალი ვარო, ამასობაში სხვები სხვა მხრიდან უყოფენ ხელებს. ამას ყველანი ხედავენ, მაგრამ თვალს არიდებენ, მშრომელი კაციც თითქოს ვერაფერს ხვდება, სინამდვილეში კი ხვდება ან თითქმის ხვდება - მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს - ხვდება თუ არა. საქმე ისაა, რომ ყველაფერი მიდის კანონზომიერად. ამ კაცს გაძარცვავენ და მისდგებიან შემდეგს. აბუსერიძემ და ყაფლანიშვილმა ზურგები გაუმაგრეს ერთმანეთს, ანუ ზურგებით მიეკვრნენ ერთურთს და ჯიბგირთა მოსაგერიებლად ემზადებიან. აი ნელ-ნელა უახლოვდებიან ჯიბგირები დეპუტატებს. ერთი მათგანი ცდილობს აბუსერიძეს ჯიბეში ჩაუძვრეს. აბუსერიძე კი ისეთნაირად დგება, რომ არ აძლევს ჯიბგირს ჯიბეში ჩაძრომის საშუალებას. ჯიბგირი არ ეშვება.

- ბიჭო, - ჩასჩურჩულებს აბუსერიძე ჯიბგირს, - ხელი გაწიე, მე თვითონ ვბომბავ!

- ბომბავ? - დამცინავად გაიკვირვებს ხმადაბლა ჯიბგირი, - რას ბომბავ?

- რას ვბომბავ და მეც ისევე ვიპარავ, როგორც შენ! - პასუხობს აბუსერიძე.

- შენც იპარავ?! - კითხულობს ჯიბგირი.

- ჰო, მეც ვიპარავ! - პასუხობს აბუსერიძე.

- ვა-ა, მერე რატო იპარავ?! - კითხულობს ჯიბგირი.

- მინდა და ვიპარავ! - პასუხობს აბუსერიძე, - აბა შენ რატო იპარავ?!

- მე რომ ვიპარავ, ჩემი ტრასაა და იმიტომ ვიპარავ! და შენ რატო იპარავ აქ?! წადი და თუ მომპარავი ხარ, შენ ადგილში მოიპარე!!!

- ჰა, რა არი, რა ამბავია, რა არი! - ერევა საუბარში მეორე ჯიბგირი, მაღალი, კუნთმაგარი, აგრესიული გამომეტყველებისა.

- რა არი და რა ვიცი ვბომბამო, ესაო, ისაო... - ჩამოთვალა პირველმა ჯიბგირმა.

- შეეშვი, დაანებე თავი! - ეუბნება ჩუმად მეორე ყურში.

- შეეშვი კარგია, იცი რამხელა კაშილიოკი უდევს ჯიბეში! - ეუბნება ჩურჩულით პირველი ჯიბგირი.

- მართლა?! - უბრწყინდება თვალები მეორეს და უფრო ახლოს ეტმასნება აბუსერიძეს.

ამასობაში დანარჩენი ჯიბგირებიც გარს ერტყმიან დეპუტატს და ალყაში აქცევენ.

- ეგ კაშილიოკი ჩვენ ტრასაზე მოიპარე ბიჭო?! - ეკითხება აგრესიულსახიანი არჩილს.

- არა ძმაო, რა კაშილიოკი, რის კაშილიოკი, სად მაქვს მე კაშილიოკი! - ლუღლუღებს შემცბარი აბუსერიძე.

- ჩუმად, რა გაყვირებს შენი! - ისმის ერთ-ერთი ჯიბგირის სისინი.

- ჯიბეში რომ გიდევს, აბა რა არი?! - ეკითხება პირველი ჯიბგირი.

- ეს ბლოკნოტია! ტელეფონების ბლოკნოტი!

- ბლოკნოტი არა, ისა! აბა ამოიღე! გვიჩვენე! ჩვენ ტრასაზე კაშილიოკი იჩალიჩე და ეხლა იძახი, ბლოკნოტიაო?! შე კრისიატნიკო?! შე ვირთხიატნიკო!!! - და პირველ ჯიბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გირს ორი გაშლილი თითი აბუსერიძის თვალებთან მიაქვს მოქნევით, დანარჩენებიც ავისმომასწავებლად უბიძგებენ გვერდებში.

აბუსერიძე ხვდება სიტუაციის სიმძაფრეს და სწრაფად იყოფს ჯიბეში ხელს, სწრაფადვე აძრობს ჯიბიდან დეპუტატის მანდატს, ზე აღაპყრობს და ყვირის:

- დეპუტატი ვარ ხალხო, დეპუტატი. ეს კაშილიოკი კი არა, დეპუტატის მანდატია. ცოტა ფულის მაქვს! - ყვირის გაგულისებული აბუსერიძე. ამ სიტყვებზე მეორე ჯიბიდან იღებს წვრილ ფულს. 15-20 ლარის ოდენობით - და მაგრად ჩაბღუჯულს იქნევს მეორე ხელით, - მაქვს, მაგრამ ვერ წამართმევთ! ვე-რრ წამართმევთ თქვენი!!!

- ჰო, კარგი, კარგი, რა გაღრიალებს, ეგრე გეთქვა რო დეპუტატი ხარ და შეგეშვებოდით! აბა, რაღაც იძახდი ვბომბავო, ესაო, ისაო! - ამ სიტყვებით და ამნაირი ლაპარაკებით ცდილობენ ჯიბგირები გაგულისებული არიფის დაშოშმინებას.

მატარებელი ჩერდება და ჯიბგირები ვაგონიდან გადიან.

გათამამებული ხალხი ხმამაღლა მსჯელობს ჯიბგირთა თავხედობაზე, ალვირახსნილობაზე, მათ პოლიციელებთან შეკრულობაზე და დეპუტატებთან შეკრულობაზეც.

ბოლოს და ბოლოს, მატარებელი ჩერდება და ხალხის კიდევ ერთი მოზრდილი ზვირთი გადმოხეთქავს გაღებული კარებიდან. ჩვენი დეპუტატებიც ამ დიდი ზვირთის ნაწილნი არიან.

ზვირთი მიისწრაფის ესკალატორისკენ და ჭყლეტა-ჭყლეტით განლაგდება ესკალატორის კიბეზე, ადის მაღლა, გადის გარეთ, განინთხევა სივრცეში - სივრცეში, რომელიც უკვე საფუძვლიანადაა ათვისებული სხვების მიერ და სულაც არ არის თავისუფალი. აქ ყველაფერი იყიდება და შედარებით იაფად, ამიტომ აუარება გამყიდველი და უთვალავი მყიდველი ირევა, ჯიბგირებს და უსაქმურებს ხომ ნუღარ მოთვლით. მრავლად არის გარშემო იაფფასიანი კაფეებიც, სასადილოები, სახინკლეები, სალობიე-სახაჭეები, "პივნუშკები" და სხვა. აბუსერიძე წინ მიუძღვის ყაფლანიშვილს და გაფაციცებით ეძებს ისეთ ადგილს, სადაც არც სიცხეა, არც ხალხმრავლობა და, რაც მთავარია, არც სიძვირეა.

"საკუჭმაჭე" - აწერია ერთ შედარებით მყუდრო, იაფფასიან კვების დაწესებულებას და არჩილსაც იქით მიჰყავს ირაკლი.

საკუჭმაჭეში შედარებით გრილა. აუჩქარებლად ბრუნავს ჭერზე ჩამოკიდებული, ოდესღაც სამფრთიანი, ხოლო ამჟამად ორფრთიანი ვენტილატორი, მაგიდაზე გადაკრულია ძველი, გაყვითლებული ალაგ-ალაგ გაცრეცილი კლიონკები, იგრძნობა ჭურჭლის ნარეცხის სუნი. ერთ-ერთ მაგიდას უსხედან ბოშა ქალები. ისინი სამნი არიან - ერთს, შედარებით მოზრდილი ბავშვი მუხლებზე უზის, მეორე ფეხმძიმედაა, მესამეს კი სულ პატარა ბავშვი, ბოხჩაში გამოკრული ზურგზე აუკიდებია. ბოშები კუჭმაჭს ჭამენ, ღვინოს სვამენ და ხმამაღლა ყაყანებენ. მათ ასდით შარდის სუნი.

აბუსერიძე როგორც მასპინძელ-დამპატიჟებელი პირველი მიიწევს დახლისკენ. ყაფლანიშვილიც მიყვება მას, ოღონდ უფრო მოკრძალებულად, ასე ვთქვათ, სტუმრის უფლებებით.

ცხელი საჭმელი რა გაქვთ? - ეკითხება აბუსერიძე მებუფეტე ქალს, რომელიც ჭიქებს ამშრალებს ტილოთი.

- კუჭმაჭი! - პასუხობს ქალი ყვირილით.

- რისი კუჭმაჭი?! - კითხულობს ქალის ყვირილით გაღიზიანებული აბუსერიძე.

- ასორტი! - ყვირის ქალი.

- რისი ასორტი?! - კითხულობს გაბრაზებული არჩილი.

- კუჭმაჭის!!! - ყვირის ქალი და თან ღონივრად და აგრესიულად ბღუჯავს ხელში კათხას.

აბუსერიძე თავიდან ვერ ხვდება ქალის ასეთი გაგულისების მიზეზს და განაწყენებულმა ლამისაა თავადაც წაატანოს ხელი კათხას ან სხვა რამე მძიმე საგანს, მაგრამ ამ დროს ამჩნევს ქალის დასიებულ ზედა ტუჩს, რომლიდანაც იგი ქვედა ტუჩისა და ენის დახმარებით მოდენილ წყალ-წყალა სისხლს იწოვს, ცხვირიც დუდუკივით შესიებული აქვს. ერთი სიტყვით, ვიღაცას მისთვის ცხვირ-პირში კარგად მოურტყამს. ქალი ოცდათხუთმეტი-ოცდათვრამეტიოდე წლისაა, ძარღვიანი მარცხენა ხელის არათითზე მოზრდილი ნიშნობის ბეჭედი უკეთია. "მაშასადამე ვიღაცას ან რაღაცას დაეძებს!" - გაიფიქრა არჩილმა. ყოველ შემთხვევაში არის საბაბი ამ თემაზე დალაპარაკებისა. აბუსერიძის აზრით, ქალს ალბათ ჰქვია გულნაზი, გულნაზი თუ არა ნარგიზა, ან რაღაც ამდაგვარი. მისი გარეგნობის ქალს ყოველ შემთხვევაში ასე უნდა ერქვას - ან გულნაზი, ან ნარგიზა, ან რაღაც ამდაგვარი. ასეც რომ არ ერქვას, მასთან კამათი მიზანშეუწონილია. მას ხომ მარცხენა ხელის არათითზე უკეთია ბეჭედი და თანაც, შეიძლება ითქვას, სექსუალურიცაა; ის ერთგვარი კაპარჩხანაა, რომლის ბუნებრივ, თანდაყოლილ სექსუალურობას კიდევ უფრო ხაზს უსვამს დარტყმისგან ოდნავ შესიებული დრუნჩი.

- ჰო, კარგი, კარგი, გულნაზი, - ეუბნება მას არჩილი შემრიგებლურად და თითქმის მეგობრულად. ასორტი ნიშნავს სხვადასხვა რაღაცეებიდან დამზადებულ კუჭმაჭს, ხომ?!

- ჰო! - პასუხობს შემცბარი ქალი და თითქოს ნანობს, ასე რომ შეუტია კლიენტს, - ჰო, მაგრამ მე გულნაზი არ მქვია! - ამბობს ქალი.

- აბა, რა გქვია ლამაზო! - ერევა საუბარში დამტკბარი ღიმილით ირაკლი.

- ნარგიზა! - პასუხობს ქალი წამწამების ძირს დახრით და კათხის მშრალებას განაგრძობს.

საუბარში ერევა ყაფლანიშვილი.

- ისე, ასორტი ალბათ უფრო ნიშნავს არა სხვადასხვა რაღაცებიდან დამზადებულ კუჭმაჭს, არამედ სხვადასხვა რაღაცების კუჭმაჭების ნაზავს, ანუ აქ არის საქონლის კუჭმაჭი, ღორის კუჭმაჭი, ქათმის კუჭმაჭი, კურდღლის კუჭმაჭი და კიდევ ათასი რაღაცის კუჭმაჭი, ხომ ასეა?! - მიმართავს იგი მებუფეტე ქალს.

- ეგრეა! ეგრე! ოღონდ შენ ჯობია, იქ სადმე მაგიდასთან ადგილი დაიკავო, ნარგიზას კი მე თვითონ მოველაპარაკები კუჭმაჭისა და სხვა რამეების შესახებ! - ამ სიტყვებზე აბუსერიძე თვალს უკრავს მებუფეტე ქალს და მეგობრული ხელის კვრით თავიდან იშორებს ყაფლანიშვილს.

- მოდი ეხლა შენ ნარგიზა, ორი კუჭმაჭი გაგვიკეთე, ორი ლუდი დაგვისხი! ჩამოსასხმელი არაყი გაქვს?!

- გაზავებული სპირტი მაქვს! - პასუხობს ქალი.

- ჰოდა, ე სპირტიც ჩამოგვისხი.

- ვანო! - უყვირის ვანოს კედელში გამოჭრილ პატარა ფანჯარაში ნარგიზა, - ორი კუჭმაჭი!

- მომაქ! მომაქ! - ისმის შიგნიდან ვანოს ხმა და მალე ბანჯგვლიანი ხელი ორ თეფშს აწვდის ქალს მწვანილმოყრილი კერძით.

ქალი თავის მხრივ აწვდის კერძებს აბუსერიძეს - უსხამს ლუდს და უსხამს ჩამოსასხმელ არაყს პლასტმასის ნახევარლიტრიან ბოთლში - "ისპადბორჯომი", აწვდის დაჭრილ პურსაც თეფშით. ამ მიწოდება-გადაწოდებაში მათი თითები ერთმანეთს ეხება და აბუსერიძე წამით დაიჭერს მებუფეტე ქალის თითებს, სწორედ იმ თითებს, რომელთაგან ერთ-ერთზე ნარგიზას ნიშნობის ბეჭედი უკეთია.

- გასათხოვარი ხარ ნარგიზა?! - ეკითხება აბუსერიძე ნარგიზას.

- მერე შენ რა! - პასუხობს ნარგიზა ღიმილით.

- რადა ის, რომ მეც უცოლო ვარ! - ეუბნება არჩილი და ნარგიზას თითებს თითებში სრესს.

ნარგიზა ართმევს თითებს და ღიმილითვე ამბობს:

- ი-ი-ი, თქვენ ყველანი უცოლოები ხართ!

არჩილი იღებს თავისსა და ირაკლის კუჭმაჭს, ანუ ამ პროდუქტისგან დამზადებულ ორ წვნიან კერძს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუდს, არაყს, ჭიქებს, პურს, ნელ-ნელა ყველაფერი გადააქვს მაგიდაზე, თან დროდადრო ბოშებისკენ იხედება, აქაოდა, მათი სუნი მცემსო. ბოშები ამას არ ამჩნევენ, ლაქლაქს განაგრძობენ, ღვინოს სვამენ და კუჭმაჭს ჭამენ.

- მერე შემოგვიერთდი და ერთი ჭიქა დაგვილიე! - ეუბნება არჩილი მებუფეტე ქალს.

ქალი იცინის, ეტყობა, რომ წინააღმდეგი არაა.

არჩილი და ირაკლი სუფრას უსხდნან: არაყს სვამენ, ლუდს აყოლებენ, სიგარეტს ეწევიან და ჭამენ კუჭმაჭს.

- კაროჩე, ერთი ტრაქტორისტ-კომბაინერია გიგლოევი - ეუბნება მის მოპირდაპირედ მჯდომ ყაფლანიშვილს აბუსერიძე, - ავჭალაში ცხოვრობს, უფრო სწორედ კი ზაჰესში, მუშაობს რომელიღაც საცდელ მეურნეობაში. კომბაინი ჰყავს ძალიან მაგარი. ეს მეურნეობა ნორვეგიელების დაარსებულია და კომბაინიც მაგათი ჩამოყვანილია. ეგ კაცი ისედაც მაგ კომბაინს ევლება დღე და ღამე თავს და ახლა მით უმეტეს, რადგან მოსავლის აღების დროა. ცოლშვილი ქობულეთში ჰყავს გაშვებული დასასვენებლად. ერთი გერმანული ნაგაზი ეზოში დაურბის, მაგრამ მაგის მოწამვლას რა უნდა: შევუგდებთ რაიმე საჭმელს თაგვების წამლით და მოვწამლავთ, მერე გადავძვრებით და საქათმეში შევალთ!

- კარგია! - იფშვნეტს ხელებს ირაკლი, - მერე რა ვუყოთ ამდენ ქათმებს ამ სიცხეში - მე მაგალითად მაცივარი არა მაქვს!

- ჩვენთვის დავიტოვოთ ორ-ორი ქათამი, დანარჩენი კი გავყიდოთ! - მიუგებს არჩილი.

- ვის მივყიდოთ ბიჭო ნაქურდალი, რომ ჩაგვიშვან?! - კითხულობს ირაკლი.

- ვის მივყიდოთ და... - ჩაფიქრდება წამით არჩილი და მისი მზერა ნარგიზას შეეჩეხება, ვის მივყიდოთ და აი, ამ ნარგიზას მივყიდოთ! კუჭმაჭის მეტი რომ არაფერი აქვს საჭმელი, ქათმები, რა აწყენს?!

- მერე არ ჩაგვიშვებს?! - ეკითხება ირაკლი.

- როგორ უნდა ჩაგვიშვას, როცა არ გვიცნობს! - პასუხობს არჩილი, - დავუძახო?!

- დაუძახე!

- ნარგიზ, მოდი რა ერთი წუთი! - ეძახის აბუსერიძე.

- რა არი? - კითხულობს ნარგიზა.

- მოდი რა, ერთი ჭიქა დაგვილიე! - სთავაზობს აბუსერიძე.

ნარგიზა წლაწუნით მოდის. არჩილი ქალს ჭიქას უვსებს, სკამს უდგამს და დაჯდომას სთავაზობს. ქალი არ ჯდება, მაგრამ ჭიქას იღებს და ფეხზე მდგომი ადღეგრძელებს მეგობრებს, შემდეგ მადიანად სვამს. არჩილი ჩანგლით უდებს პურის ნაჭერზე კუჭმაჭს, აწვდის ქალს, მაგრამ ქალი უარზეა და ხელით ანიშნებს არ მინდაო, ამიტომ აბუსერიძე ხელმეორედ შეთავაზების შემდეგ თავად ჭამს მის მიერ შეკოწიწებულ ჰოთ-დოგს.

- ნარგიზ, შენ ქათმები გინდა?! - ეკითხება აბუსერიძე ქალს.

- რა ქათმები?

- ნუ, ქათმები რა, დედლები, რა ვიცი, მამლები!

- ცოცხლებია თუ დაკლულები? - კითხულობს ნარგიზა.

- ცოცხლებია, მაგრამ თუ გინდა დაგიკლავთ!

- რამდენია? რა ღირს?! - კითხულობს დაინტერესებული ნარგიზა.

- ნუ, ერთი 15-20 ცალი იქნება! - პასუხობს აბუსერიძე.

- 15-20 ცალი, - ამბობს ქალი. მერე კი რატომღაც კითხულობს: - მოპარულებია?!

- არა კაცო, ჩვენია! - ეუბნება ამჯერად ყაფლანიშვილი.

- თქვენ მექათმეებს არ გავხართ! - იცინის ქალი.

- მექათმეები ვართ ნამდვილად! - ეუბნება შეზარხოშებული აბუსერიძე და თეძოზე ეტანება ქალს.

ქალი იწევა გვერდზე, მაგრამ არ მიდის. იგი სკამს გამოწევს, მაგიდას მიუჯდება და საქმიანად კითხულობს:

- რა ეღირება ქათმები?

- იაფი! - პასუხობს აბუსერიძე.

- როდის მოიტანთ? - კითხულობს ქალი.

- საღამოს დავრეკავთ! - პასუხობს არჩილი.

- ტელეფონი მოგცე? - ეკითხება ქალი.

- მომეცი! - ეუბნება ორაზროვანი ღიმილით არჩილი და ისევ თეძოზე ეტანება ქალს.

ქალი ხელით იშორებს არჩილის ხელს და სალფეტკის ქაღალდზე აწერინებს არჩილს თავის ნომერს.

- სამოცი-სამოცი-ოთხმოცი, ნარგიზა!

- სამოცი-სამოცი-ოთხმოცი, ნარგიზა! - იმეორებს დამარცვლით აბუსერიძე, - მარტო ცხოვრობ ნარგიზა?!

- ეგ შენი საქმე არ არის! - პასუხობს ნარგიზა მაცდურად და მიდის.

აბუსერიძე კი ავსებს ჭიქებს, იღებს ხელში არყით სავსე ჭიქას და წარმოთქვამს სადღეგრძელოს:

- მოდი ამ ჭიქით, ჩემო კეთილო კაცო! ჩემო ირაკლი! ჩემო ძმაო და მეგობარო, ვაჟკაცო და გულითადო ადამიანო - მოდი ჩვენს სიყვარულობასა და ჩახუტებულობას გაუმარჯოს!

- გაუმარჯოს ძმაო, გაუმარჯოს! - ეპასუხება გულაჩუყებული ყაფლანიშვილი.

ორივენი სვამენ. შემდეგ კი აბუსერიძე წამოიწყებს სიმღერას. ის მღერის: "ჩემო ტკბილო სამშობლოვ, რაზედ მოგიწყენია, აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია!" ყაფლანიშვილიც აჰყვება, მაგრამ სიმღერა არ გამოუდით, რადგან არც ხმა უვარგა არცერთს, არც სმენა და არც სიტყვები იციან ბოლომდე. იქით სუფრაზე სიმღერას შემოსძახებენ ბოშებიც და თავიანთი "ოი-ნენე, ოი-ნენეთი" ასე ვთქვათ გადაუჯოკრავენ დეპუტატებს. ეს უკანასკნელნი გაჩუმდებიან, ხოლო შეზარხოშებული ბოშა ქალები მღერიან: "ოი-ნენე, ოი-ნენე!" და დროდადრო აკეთებენ რაღაც საცეკვაო მოძრაობებს, ხოლო ერთ-ერთი მათგანი (ფეხმძიმედ როა და ზურგზე ბავშვი რო ყავს ბოხჩაში გამოკრული) წამოხტება და ბოშურად იქნევს მხრებს.

- ერთჯერადი პარკი გაქვს ნარგიზა? - ითხოვს პარკს აბუსერიძე.

- მაქვს! - პასუხობს ნარგიზა.

- მომიტანე!

- რად გინდა ბიჭო პარკი? - კითხულობს ყაფლანიშვილი.

- რად მინდა და პარკში ეხლა ჩვენ ჩავყრით ცოტა კუჭმაჭს, მერე შევურევთ თაგვების წამალს და მოვწამლავთ ტრაქტორ-ტრაქტორ-ტრა-ქტორისტ-კომბაინერის ძაღლს!!!

- ა-ა-ა!!! - ხვდება ყაფლანიშვილი.

- ბე-ე-ე-ე!!! - აჯავრებს აბუსერიძე.

ორივენი გულიანად იცინიან, გამოდიან გარეთ და ბაზრობაზე ეძებენ ვირთხების წამალს. ერთ-ერთ დახლთან აბუსერიძე ხელში იღებს ორ პატარა პლასტმასის კოლოფს. ერთ კოლოფს რუსულად აწერია "Крысаня" და ახატია მკვდარი ვირთხა, ხოლო მეორეს აწერია "Нишаня" და ახატია მკვდარი თაგვი. არჩილი ყიდულობს ვირთხიანს, შემდეგ ყიდულობს დიდ პოლიეთილენის ტომარას და ამფსონები ზაჰესის მარშუტკების გაჩერებისკენ მიემართებიან.

მარშუტკა მგზავრებით მეტისმეტად გადატვირთული არ არის, მაგრამ ძალიან დანჯღრეულია, გარდა ამისა, ყოველ მგზავრს თან აქვს დიდი რაოდენობის ბარგი: ქილები, ჩანთები, ვედროები...

- აი, აქ გააჩერე! - ეუბნება აბუსერიძე მძღოლს.

მძღოლი აჩერებს. აბუსერიძე ფულს იხდის. ამფსონები ჩამოდიან. უკვე ბინდია. ღამდება.

- ეხლა ცოტა ფეხით უნდა ვიაროთ! - ეუბნება არჩილი ირაკლის.

ისინი მიდიან. მიდიან და თვალს ეფარებიან. შემდეგ კი უცებ გამოჩნდებიან შემაღლებულ ფერდობზე ჩასაფრებულნი. ფერდობს იქით კი მინდორია, მინდორზე გამრჯედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობს კომბაინი - მისი პროჟექტორები მთელ გარემოს ანათებს, ხოლო საათივით აწყობილი მექანიზმის ნაზი ხმა სასიამოვნოდ ელამუნება ყურს. კომბაინი უცხოურია და ძალიან ლამაზი. მის ფართო და ნათელ კაბინაში, რომელიც უცხოპლანეტელთა ხომალდის კაბინას წააგავს ზის კაცი და თუმცა შორიდან ამ კაცის მხოლოდ სილუეტი ჩანს, მოძრაობებზე ეტყობა, საოცრად არის შესისხლხორცებული ამ კომბაინთან. ის, ასე ვთქვათ, შემადგენელი ნაწილია ამ რთული და ლამაზი მანქანისა.

- აი, ეს არის გიგლოევი, თავისი კომბაინით! - ეუბნება აბუსერიძე ყაფლანიშვილს, - ეს ალბათ დილამდე არ გამოვა კომბაინიდან, თუ გამოვა, მაშინ კომბაინიც გაჩერდება და ჩვენც მივხვდებით, რომ არიფი სახლში მოდის. გაიგე?!

- გავიგე!

- აი, იქ კი მაგისი სახლია! - მიუთითებს მაღლობის მეორე მხარეს აბუსერიძე, - სახლში არავინაა, ისე რომ, ყველაფერი კარგად მიდის!

- ჰოდა, წავიდეთ! - ამბობს თამამად ყაფლანიშვილი.

ისინი მიდიან. რჩება მხოლოდ ადგილი, საიდანაც კარგად ჩანს მომუშავე კომბაინი და კომბაინერის სილუეტი. ეს სილუეტი სულ უფრო და უფრო ახლოვდება, სულ უფრო ნათლად მოჩანს და აი, კომბაინერიც - მისი გაბადრული სახე, ამაყი, ტარაკანისებრი ულვაშები და ძარღვიან ხელებში ჩაბღუჯული კომბაინის საჭე. ეს გიგლოევია, რომელიც ყანას მკის, ლეწავს და ანიავებს.

გიგლოევის მაღალი, ლითონის ფურცლებით მყარად შემორაგული ეზოდან გერმანული ნაგაზის ბოხი ყეფა ისმის. არჩილი იღებს ჯიბიდან ცელოფნის კუჭმაჭიან პატარა პარკს, მეორე ჯიბიდან - ვირთხების წამალს და ამ წამალს ზედ აყრის კუჭმაჭს, შემდეგ პარკს თითებით სრესს და ღობის იქით აგდებს. უცებ ძაღლის ყეფა გადაიზრდება ბღუილში, ბღუილი წკმუტუნში, წკმუტუნი წკავწკავში, ხოლო წკავწკავი ხროტინში. ხროტინიც წყდება.

- მორჩა, ძაღლი მკვდარია! - აცხადებს არჩილი, - ეხლა შენ ღობეზე გადადი, საქათმეში შედი, ქათმებს თავები წააწყვიტე და ღობის აქეთ გადმოყარე, მე კი ატანდაზე ვიდგები და შენს მიერ გადმოყრილ ქათმებს პარკში ჩავალაგებ!

- ბიჭო, მე რომ საქათმე არ ვიცი სად არი?! - კითხულობს შემცბარი ირაკლი.

- ბიჭო, საქათმის პოვნას რა უნდა, შედი და სადმე ეზოში იქნება! - ეუბნება არჩილი ირაკლის.

- და, თუ აგრეა შენ რატო არ გადადიხარ? გადაძვერი და მე აქ დაგელოდები! მე დავდგები ატანდაზე! - გამოთქვა აზრი ირაკლიმ.

- ბიჭო, საქმეს ეგრე სჭირდება და იმიტომ გეუბნები! შენ რა ყველაფერი მზამზარეული გინდა?! ქათმები მე დავაყენე! ძაღლი მე მოვწამლე! აქ მე მოგიყვანე და ახლა კიდევ მე მეუბნები გადაძვერიო?! აბა მაშინ შენ რაღაში მჭირდებოდი, წამოვიდოდი და მარტო მე გავაკეთებდი მაგ საქმეს!

ამ არგუმენტმა დამაჯერებლად გაიჟღერა და ყაფლანიშვილიც დაჰყვა ამფსონს:

- ჰო კარგი, კარგი, - უთხრა მან არჩილს, - გადავალ, რაც იყოს, იყოს!

- მოდი, აგწევ და მოგეხმარები! - ეუბნება არჩილი და ღობიდან გადაძრომაში ეხმარება, - თუ რაღაცაა, ორჯერ დავახველოთ, თუ საშუხეროა, სამჯერ დავახველოთ!

- კარგი! - პასუხობს ყაფლანიშვილი და ღობეზე ძვრება.

ღობის იქით ბინდბუნდში ჩანს სახლი, სხვადასხვა სათავსოები და საქათმე. ირაკლი მიიკვლევს საქათმისკენ გზას, აღებს კარს და შედის, ანთებს სანთებელას. ქათმებს ქანდარაზე სძინავთ. ირაკლი ერთ მძინარე ქათამს ეპოტინება და ცდილობს, თავი წააგლიჯოს, მაგრამ ვერ გლეჯს, ქათამი კი კრიახებს და ხროტინებს. ირაკლი კისერმოგრეხილ ქათამს ძირს აგდებს, საქათმიდან გადის, კარს ხურავს და იქით მიდის, საიდანაც გადმოძვრა. ახველებს ორჯერ.

- რა არი! - კითხულობს ღობის მეორე მხრიდან არჩილი ხმადაბლა.

- ბიჭო, არის ქათმები! - ჩურჩულებს ირაკლი.

- მერე წააწყვიტე თავები და გადმოყარე! - ეპასუხება არჩილი.

- არ შემიძლია! ვერ წავაწყვიტავ, ძალიან სქელი კისრები აქვთ! - წუწუნებს აზიზი ირაკლი.

- ო შე, დედალო შენ, - თითქოს აძაგებს, სინამდვილეში კი აქეზებს არჩილი ირაკლის, - სქელი კისრები არა ისა აქვთ, სირაქლემები ხომ არ არიან! ეგ შენა გაქვს სქელი კისერი, შე ინდაურო, შენა!

- ბიჭო, ვერ ვაგლიჯავ თავებს და რა ვქნა! - ჩივის ყაფლანიშვილი.

- მაშინ მოუგრიხე კისრები და გადმოყარე!

- გადმოაგდე პარკი და ბარემ პარკში ჩავყრი და მერე ერთიანად გადმოვაგდებ.

აბუსერიძე უგდებს დაკეცილ პარკს. ყაფლანიშვილი საქათმეში შედის, კარს იხურავს, ანთებს სანთებელას, აქრობს სანთებელას და სათითაოდ ხსნის ქანდარიდან მძინარე ქათმებს, კისრებს უგრიხავს და დიდ, გამძლე პარკში ყრის. შემდეგ პარკს პირს უკრავს და საკმაოდ დამძიმებულს იმ ადგილისკენ მიათრევს, საიდანაც გადმოძვრა. მიდის და სამჯერ ახველებს.

- რა არის? - ეპასუხება ხმადაბლა აბუსერიძე ღობის მეორე მხრიდან.

- მანდა ხარ?! - კითხულობს ყაფლანიშვილი.

- აქა ვარ, აბა სად მამაჩემის მამასთან ვიქნები! - ბრაზობს ხმადაბლა აბუსერიძე, - რა არის?!

- რადა, მოვიტანე!

- მერე გადმოაგდე!

ირაკლი ცდილობს ღობის იქით გადააგდოს ტომარა, მაგრამ ვერ ახერხებს, ვერ ერევა.

- ვერ ვერევი! - ჩურჩულებს ის.

- მაშინ სათითაოდ გადმოყარე!

ირაკლი ასეც იქცევა: პარკს პირს უხსნის და სათითაოდ უყრის არჩილს ქათმებს. დამხრჩვალი და ასევე ნახევრად დამხრჩვალი ქათმები კრიახითა და ბარტყუნით ცვივიან ბალახზე.

- პარკი! პარკი გადმოაგდე! - იძახის აბუსერიძე.

ყაფლანიშვილი უგდებს პარკს და თავადაც ძვრება ღობეზე. ამფსონები დიდი ხნის უნახავი ძმებივით ეხვევიან ერთმანეთს და ქათმებს აგროვებენ.

თერთმეტია! - ამბობს არჩილი.

- ცოტაა! - ამბობს ირაკლი.

- კარგია! - ამბობს არჩილი, ძმაბიჭს ხელს მხარზე ხვევს და ისინი ჩუმად მიიძურწებიან. არჩილს ცალ ხელში პარკი უჭირავს, მეორე კი ირაკლისთვის გადაუხვევია. ისინი სიბნელეში ნელ-ნელა უჩინარდებიან.

კომბაინის ხმა მთელს მიდამოს რაკრაკით ეფინება, ნეტარებით ალსავსე გიგლოევი კი კომბაინის კაბინაში ზის და პურის ყანას ამუშავებს. ამფსონები მას შორიახლოს ჩაუვლიან და ტევრში გაუჩინარდებიან.

ტრასაზე გამოსულთ ერთი პატარა სიურპრიზი ელით: სამ პოლიციელს პოლიციის მანქანა გაფუჭებია და უხასიათოდ უკირკიტებენ. ორი ადამიანის დანახვა ღამით და თანაც ტომრით. ერთ-ერთ მათგანში თითქოს ეჭვის გრძნობას ბადებს. იგი წელში სწორდება და თვალს უსწორებს გამვლელებს - ცდილობს თვალი თვალში გაუყაროს, მაგრამ არჩილი არ იბნევა, იგი პროვინციულად უქცევს:

- ბიჯო-ო, რა არი რო მოჩანჩალებ, მაიტა ეგ მეშოკი აქა და გამაადგი ფეხი, - მეტად ოსტატურად გამოსდის. ყაფლანიშვილს კი ალბათ თავის არტისტიზმში ეჭვი ეპარება, ამიტომ რაღაცას ბურტყუნებს თავისთვის გაუგებრად:

- ჰო-ო, ჰო რაა იყო ბიჯო-ო! - და აწვდის ტომარას აბუსერიძეს. ეს უკანასკნელი გლეხის ბიჭივით

საქართველოს პარლამენტის ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიგდებს ტომარას მხარზე და ჩქარი ნაბიჯით მიდის. პოლიციელი ერთხელ კიდევ გაუყრის მათ თვალს თვალში, განსაკუთრებით აბუსერიძეს, შემდეგ კი ეჭვი ალბათ უქარწყლდება, აღარ აჩერებს მომხდურთ და მხოლოდ თვალითლა აცილებს მათ.

- რა ვქნათ, გადავუხვიოთ? - ეკითხება შეშინებული ირაკლი არჩილს გულის ბაგა-ბუგით.

- არა! - პასუხობს აბუსერიძე, - ჯერ ცოტა გავცდეთ. მიდიან.

- აი, აქ შეიძლება გადახვევა! - იძლევა განკარგულებას აბუსერიძე.

ისინი უჩინარდებიან ტევრში. მათ გვერდში ჩაუქროლებს პოლიციის მანქანა, სწორედ ის, წეღან პოლიციელები რომ უკირკიტებდნენ. ეჭვიანი პოლიციელი კიდევ ერთხელ გამოხედავს აბუსერიძეს და ყაფლანიშვილს. მანქანა თვალს ეფარება.

- უ-უჰ! - შვებით ამოისუნთქავს არჩილი.

- უ-უჰ! - შვებით ამოისუნთქავს ირაკლი.

- მოდი მტკვარზე ჩავიდეთ! - ეუბნება არჩილი.

- მტკვარზე რა გვინდა? - კითხულობს ირაკლი.

- ჩავიდეთ, ხელები დავიბანოთ, ტალახები ჩამოვირეცხოთ, მოვწესრიგდეთ! - ეუბნება აბუსერიძე.

ჩადიან მტკვარზე. ნაპირი ფრიალოა და ხეებიანი, ანათებს მთვარე. ყაფლანიშვილი წინ მიუძღვის აბუსერიძეს, რომელსაც ხელში უჭირავს ქათმებიანი ტომარა. ტომარა დროდადრო კრიახებს. მათ ბალახზე ფეხი უცურავთ. ჩადიან. იბანენ ხელებს და შარვლის ტოტებიდან იცილებენ ეკლებს, ტალახს. სხდებიან მიწაზე და ისვენებენ. ყაფლანიშვილი მხიარულია, აქტიური, აბუსერიძე კი რაღაცას თავისთვის ფიქრობს და მოკლედ, ზერელედ ეპასუხება ლაპარაკის საღერღელაშლილ ყაფლანიშვილს.

- ისე, რა კარგად გამოვიდა არა?! - ცმუკავს ყაფლანიშვილი.

- ჰო, კარგად გამოვიდა! - პასუხობს ჩაფიქრებული აბუსერიძე.

- გიგლოევი რა მაგარია არა?! ახლა რო მოვა, გაგიჟდება! - ცმუკავს ისევ ყაფლანიშვილი.

- ჰო, გაგიჟდება! - პასუხობს აბუსერიძე.

- ისე შენც მაგარი ხარ, პოლიციელებთან გლეხის როლი, რომ გაითამაშე ჰი, ჰი!

- იცი რა, - ეუბნება არჩილი, - მოდი, შენ მაგ ქათმებს კისრები კიდევ ერთხელ მოუგრიხე, თორემ ზოგი მათგანი ცოცხალია, მე კი ჩემს ფეხსაცმელს ვნახავ, მგონი ეკალი შემერჭო.

ამ სიტყვებზე არჩილი ტომარას მიუგდებს მდინარის ნაპირას არხეინად მჯდომ ყაფლანიშვილს, თავად კი ფეხსაცმლის ქუსლს უკირკიტებს.

- შენ როგორ ფიქრობ, - ეკითხება აბუსერიძე ყაფლანიშვილს, - კარგად მუშაობენ შავი სერგო და მაგისი ბიჭები?

- კი, კარგად მუშაობენ... მაგათი! - პასუხობს ყაფლანიშვილი ქათმების კისრების გრეხით.

- მე კი ვფიქრობ, რომ ცუდად მუშაობენ, - ამბობს აბუსერიძე, - ისინი ბოლომდე არ ჩხრეკენ ადამიანს, - ამ სიტყვებზე არჩილი ფეხსაცმლის გადახსნილი ქუსლიდან ირაკლისდა უჩუმრად იღებს მეორე, სამ თითზე ჩამოსაცმელ პლასტიკატის კასტეტს, ზურგს უკან მალავს, თითებზე იცვამს, კარგად მოირგებს და ფეხზე დგება.

აბუსერიძე ახლა თავზე ადგას მიწაზე მჯდომ ყაფლანიშვილს. მას ხელები ზურგს უკანა აქვს დაწყობილი. მარცხენა ხელით ბღუჯავს მარჯვენა ხელის მაჯას, მარჯვენა ხელის თითები კი მუშტად შეუკრავს. ამ მუშტზე უკეთია პლასტიკატის კასტეტი.

- ისე, თერთმეტი ქათამი... ძნელი გასაყოფია! - ამბობს აბუსერიძე ავისმომასწავებლად.

ყაფლანიშვილი ქვევიდან ამოსცქერის უნდობლად აბუსერიძეს.

- ჰო... ძნელი გასაყოფია, - პასუხობს ყაფლანიშვილი, - ისე რატო იყო თერთმეტი, წესით მეტი უნდა ყოფილიყო! შენ არ ამბობდი, 15-20 ცალიო!

მყარდება სიჩუმე. აბუსერიძე არაფერს პასუხობს ყაფლანიშვილს, ყაფლანიშვილი თითქოს მოახლოებულ საფრთხეს გრძნობს და ცდილობს აღელვება არ შეიმჩნიოს.

- თუმცა მერე რა, შენ წაიღებ ექვს ცალს, მე წავიღებ ხუთ ცალს, მორჩა და გათავდა! - ამბობს ხელოვნური მხიარული ღიმილით ირაკლი, აბა იმ მეთერთმეტეს მართლა შუაზე ხომ არ გავჭრით! ალალი იყოს ძმაო, ჰი-ჰი!

- ამ სიტყვებზე იგი ცდილობს როგორმე წამოდგეს, რათა გაუპირისპირდეს აბუსერიძეს, მაგრამ აბუსერიძე იმის ჩიტი არ არის, რომ ეს ყლაპოს.

- ვწუხვარ, მაგრამ ჩემი ბუცეფალი ვერ გაუძლებს ორს! - ამბობს აბუსერიძე ავისმომასწავებლად. შეშინებულ ყაფლანიშვილს ენა ებმის, ცდილობს ადგეს, მაგრამ მუხლები ეკეცება. ხელში კი ქათამი უჭირავს, რომელსაც უგრეხს და უგრეხს კისერს ერთი მიმართულებით.

- არჩილ, ჯერ ერთი, ბუცეფალი კი არა, ბოლივარი, მეორეც...

მაგრამ სათქმელის დამთავრებას ვეღარ ასწრებს. მას თვალებშუა ხვდება აბუსერიძის მიერ მოქნეული კასტეტიანი მუშტი.

- ხოო! ბოლივარი! ბოლივარი! ბოლივარი!.. ბო-ლი-ვა-რი შენი!!! - დასჭყივის თავზე ყაფლანიშვილს და გამეტებით ურტყამს მუშტებს, ბოლოს წაქცეულს ზედ მოაჯდება და ქათამივით კისერს მოუგრეხს. კისერმოგრეხილი ყაფლანიშვილი მკვდარია, პირიდან სისხლი სდის, ხელში კი მკვდარი ქათამი უჭირავს. აბუსერიძე ხელიდან გამოგლეჯს ირაკლის ქათამს, გარდაცვლილს ჯიბეებში ქვებს ჩაულაგებს და მტკვარში მოისვრის. შემდეგ ქათმებს ტომარაში დებს, პირს კარგად უკრავს და მიდის, ტრასაზე აჩერებს მარშუტკას, რომელსაც იგი ვაგზლამდე მიჰყავს.

ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე დახლები უკვე თითქმის ალაგებულია და მხოლოდ აქა-იქ შემორჩენილი მოვაჭრეებიღა დარჩენილან, ისინიც ალაგებენ თავიანთ დახლებს. ტერიტორია ჭუჭყიანია. ბევრი საეჭვო პირია. უმეტესობა მთვრალია. არჩილი ტელეფონების ავტომატებისკენ მიდის, ტომარას ნაფურთხებიან ასფალტზე დებს და ცდილობს დარეკოს. ავტომატი არ მუშაობს, გვერდითა ჩამოგლეჯილია, იქით სულ არ არის. აბუსერიძე იღებს თავის ტომარას და სხვა ავტომატებთან მიდის. ასე გადაადგილდება იგი ტომრით და აგნებს იმ ავტომატს, რომლიდანაც ისმის სუსტი უწყვეტი ზუმერი. აბუსერიძე იღებს ჯიბიდან სალფეტკის ქაღალდს და ურეკავს ნარგიზას - კრეფს ნომერს, მაგრამ ვერ უკავშირდება. უცბად ზურგსუკნიდან ესმის ხმა:

- ვა, ეს ის არ არის, დილით მეტროში რომ ყვიროდა, მეც ვბომბამო, დეპუტატი ვარო, ესაო, ისაო! ეხლა მგონი მილიციაში რეკავს!!!

აბუსერიძე არაფერს იმჩნევს და რეკვას განაგრძობს. მას ვიღაც მხარზე უთათუნებს ხელს.

- ბიჭო, შენ ის არა ხარ, დილით რო იძახდი ვბომბამო, ესაო, ისაო, კაშილიოკიო, რამეო! - ეუბნება მომხდური.

მომხდური კი სწორედ ის ჯიბგირია, რომელმაც დილით არჩილს კინაღამ დეპუტატის მანდატი წაართვა. ჯიბგირთან არიან მისი მეგობრებიც. ყველანი შეზარხოშებულები ჩანან. ზოგიერთ მათგანს ხელში ლუდის ბოთლები უჭირავს, დროდადრო მოიყუდებენ ხოლმე და სვამენ. აბუსერიძე კიდებს ყურმილს და ჯიბგირებისკენ ტრიალდება.

- რა არი, არ იღებენ შენი ძმაკაცი პოლიციელები ყურმილს?! - ეკითხება დამცინავად ჯიბგირი აბუსერიძეს.

- ბიჭებო, დამანებეთ ჯობია თავი, - ხომ იცით, რომ უბრალო კაცი არა ვარ. დეპუტატი ვარ! - აცხადებს არჩილი.

- დეპუტატი კი არა, მაიმუნი ხარ! რას დაეხირები ამ შუაღამისას ჩვენს ტერიტორიაზე, ან მაგ ტომარაში ნეტავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გიდევს! შენ რა, მართლა ხო არ ბომბავ! აბა ერთი ამოალაგე რა გაქ! გვაჩვენე, რა მოიპარე ჩვენს ტერიტორიაზე! - ეუბნება აბუსერიძეს მეორე, აგრესიულსახიანი ჯიბგირი და ქათმებიან ტომარას ეტანება ხელებით. იწყება გაწამაწია: ჯიბგირები ცდილობენ წაართვან არჩილს ტომარა. ამ დროს მათ წინ ჩერდება პოლიციის მანქანა, სწორედ ის, ქათმის ქურდ დეპუტატებს ავჭალის გზაზე რომ შეხვდათ გაფუჭებული.

- ჰა, რა არი აბა ეხლა ესა! ჰა, რა არი აბა ეხლა ესა! - ბურტყუნებს მძღოლის გვერდით მჯდომი პოლიციელი, აღებს კარს და ზლაზვნით გადმოდის მანქანიდან.

ეს სწორედ ის პოლიციელია, დამპლური მზერა რომ მიაპყრო ირაკლის და არჩილს ტრასაზე. ორი სხვა პოლიციელიც გადმოდის მანქანიდან.

- ფიგარო, შე ტრაკო, რავა ხარ! - მიმართავს აგრესიულსახიანი ჯიბგირი ეჭვიან პოლიციელს, მიდის მასთან და როგორც საყვარელ ძმას, ისე ეხვევა.

ფიგაროც ეხვევა ჯიბგირს, ოღონდ უფრო თავშეკავებით, მოკრძალებულად, თან საყვედურობს:

- ბიჭო, თუ ჯიბგირობთ, იჯიბგირეთ! აქ შუა ქუჩაში ხალხს რატო ძარცვავთ, დაგავორს რატო არღვევთ!

- მაიცა რა, ფიგარო, - იმართლებს თავს აგრესიულსახიანი ჯიბგირი და იქით ედავება პოლიციელს, - ვის ვძარცვავთ?! რას ვძარცვავთ?! პირიქით, ჩვენ გვძარცვავენ! ჩვენს ტერიტორიაზე იპარავენ! თქვენ რისთვისა ხართ აქა? რატო არ იჭერთ ამათ?! თქვენ თვითონ არღვევთ დაგავორს და მერე ჩვენზე ლაპარაკობთ! აი, ეხლა შეხედე ამას, ამ მათხოვარს, ნახე რამხელა მეშოკი მოუპარია! ეს ხომ ჩვენია!!!

ფიგარო ღრმად ჩაისუნთქავს, მოიქუფრება, აბუსერიძეს თვალს თვალში გაუყრის და ეჭვით, ბრაზითა და აღშფოთებით წარმოთქვამს:

- მეცნობაა, თვაალები მეცნობაა!..

ამის შემდეგ კი თითქოს წამიერი ეჭვები გადაუვლის და კითხულობს:

- რა გაქვთ ტომარაში მოქალაქევ?!

- ქათმები! - პასუხობს არჩილი.

- გახსენით ტომარა! - ბრძანებს პოლიციელი.

- მე დეპუტატი ვარ და იმუნიტეტი მაქვს! - პროტესტს აცხადებს არჩილი.

- იმუნიტეტი არა, ის გაქვს! - ყვირის პოლიციელი, - გახსენი!

- გახსენი რა, შენი! - ღრიალებს გაბრაზებული აგრესიულსახიანი ჯიბგირი და თავში სასაცილოდ ჩააფარებს აბუსერიძეს.

აბუსერიძე ხსნის ტომარას. პოლიციელი შიგ იხედება.

- გადმოაპირქვავე! - ბრძანებს პოლიციელი.

დეპუტატი აპირქვავებს ტომარას. მკვდარი ქათმები ძირს იყრება.

- სალოლ! კარგად გიმუშავია! - ქილიკობს ერთ-ერთი ჯიბგირი.

- რატოა ქათმები გაუპუტავი? - კითხულობს ფიგარო მრისხანედ.

- იმიტომ, რომ ვერ მოვასწარი მათი გაპუტვა! - პასუხობს ყვირილითვე აბუსერიძე, რომელიც ჯერ კიდევ დიდ გულზეა.

- ო-ო-ო, ცხელი კვალი აგიღია ფიგარო! - ქილიკობს ერთ-ერთი ჯიბგირთაგანი ისევ.

- მეცნობა თვალები, თვალები! - იმეორებს ფიგარო ადრე ნათქვამ სიტყვებს, - კისრები რატომღაა მოგრეხილი, რატომ არაა ისინი დაკლული?!

- იმიტომ! - პასუხობს დეპუტატი.

- იმიტომ?! - ყვირის უფრო ხმამაღლა ფიგარო.

- დიახ! იმიტომ! - პასუხობს არჩილი ოდნავ შემცბარი.

- ჰოდა, აბა, თუ იმიტომ, მაშინ თქვენ დაკავებული ხართ! - ყვირის ნიშნისმოგებით ფიგარო.

- მე დეპუტატი ვარ და იმუნიტეტი მაქვს, ვერ დამაკავებთ! ამისთვის უზენაესი პროკურორის სანქციაა საჭირო! - ყვირის აბუსერიძე.



- წარმოადგინეთ მანდატი! - ითხოვს მანდატს პოლიციელი.

აბუსერიძე ჯიბიდან იღებს მანდატს, შლის შუაზე და წინ უფრიალებს ფიგაროს, - არის თუ არა ეს მანდატი?! - უყვირის იგი პოლიციელს, - გეკითხებით, არის თუ არა ეს მანდატი?!

ფიგარო ართმევს საბუთს აბუსერიძეს, ყურადღებით დასცქერის საბუთში ჩაკრულ სურათს, ყურადღებით შესცქერის არჩილს სახეში და თითქოს რაღაცას იხსენებსო, ამბობს:

- მეცნობაა, თვალები მეცნობა!..

- რა არი, - კითხულობს ერთ-ერთი ჯიბგირი, - რა პრობლემაა ფიგარო?

- თფუ, ამის დედა ვატირე! - ამბობს ფიგარო.

- რა იყო კაცო, აღარ იტყვი? - ერევა საუბარში კიდევ ერთი ჯიბგირი.

- რა იყო შენ შემოგევლე და, ეს გასაშვები არ არის, ამის იმუნიტეტის მოხსნას კი მთელი ამბავი უნდა, პროკურორიო, მოსამართლეო, ესაო, ისაო... კაცი ვერ დაგიჭერია ამ ქვეყანაში, ყველას პატრონი ყავს, ყველას იმუნიტეტი აქვს, ერთმანეთზე არიან გადაბმულები ამათი... მერე გამოდიან იძახიან, პოლიცია ცუდად მუშაობსო! ბჭო, ცუდად ვიმუშავებ, აბა კარგად როგორ ვიმუშავებ, როცა ასეთი ვითარებაა ქვეყანაში შექმნილი.

- ნუ გეშინია ფიგარო, ჩვენ შენთანა ვართ! - ამშვიდებს ფიგაროს ერთ-ერთი ჯიბრიგი, - რა პროკურორი, რის პროკურორი, ერთი პანჩური ამოარტყი და მილიციაში წაიყვანე, თუ წინააღმდეგობას გაგიწევს, გავუსიებ თავს.

ფიგარო ფიქრობს.

- მოკლედ, - ამბობს ფიგარო, - ეს ნისირიოზნი ბაზარია! ყველაფერს ჯობია, საქმე ქურდულად გადავწყვიტოთ: ეს ქათმები გავინაწილოთ და ბლაგაროდნათ დავიფანტოთ! ეს ბაზარიც მოვკლათ! გაწყობთ?!

- გვაწყობს! გვაწყობს! - პასუხობენ ჯიბგირები.

- გაწყობს? - ეკითხება პოლიციელი არჩილს.

არჩილი სდუმს, დანა პირს არ უხსნის.

- ჰა, გაწყობს თუ არა! ჩქარა ეხლა თქვი, იმპიჩმენტის პროცესი არ დამაწყებინო იცოდე! - ყვირის ფიგარო.

- მაიცა რა, ამას ვინ ეკითხება! - ერევა საუბარში ერთ-ერთი ჯიბგირი, - მაიტა აქ ქათმები, დღეს არაფერი მოგვიპარია!

- არა! - ამბობს ფიგარო, - თავის პირით თქვას, აწყობს თუ არა!

- ჰა, თქვი რა, შენც რა გაახურე, - ერევა საუბარში აგრესიულსახიანი. - გაწყობს თუ არა?!

- მაწყობს! - ამბობს მწარედ არჩილი.

- ჰოდა, ძალიან კარგი, - იფშვნეტს ხელებს ფიგარო, - რამდენი ვართ სულ აქა?! ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, აჰა, აჰა, აჰა, ცხრა, ათი! მძღნერში კარი თათი! ქათმები რამდენია?! ერთი, ორი, სამი, ოთხი, აჰა, აჰა, აჰა, აჰა, ცხრა, ათი, თერთმეტი!

- ვა, რა ზუსტად გამოგივიდა! - ამბობს ერთ-ერთი ჯიბგირი.

- მაიტათ აქ ყველაზე მსუქანი! - იძახის ფიგარო.

- აჰა, შენ ყველაზე მსუქანი! - აწვდის ფიგაროს აგრესიულსახიანი კარგ მსუქან დედალს, - მობრძანდი უფროსო! - იპატიჟებს იგი მეორე, შედარებით თავმდაბალ პოლიციელს.

პოლიციელი მიდის და იღებს აგრესიულსახიანის მიერ გაწვდილ დედალს. მიდის მეორე პოლიციელიც და ისიც იღებს.

- ჩვენც თითო-თითოს ავიღებთ და შენ ორი დაგრჩება! - ეუბნება არჩილს ჯიბგირი.

- დიდი შეღავათია! - ბურტყუნებს არჩილი.

- რას იზამ ძმაო, ქურდული ცხოვრება ძნელია! - ამბობს დამცინავი ხითხითით ჯიბგირი.

პოლიციელები დედლებით ხელში სხდებიან მანქანაში და მიდიან.

- მეცნობაა, თვალები მეცნობაა! - ამბობს ფიგარო წასვლის წინ და ერთხელ კიდევ ათვალიერებს დეპუტატს.

ერთ-ერთი ჯიბგირი არჩილს ეუბნება:

- შენ ტომარა მაინც აღარ გჭირდება, ჩვენ მოგვეცი, შენ კი ხელით წაიღე შენი ორი ქათამი!

არჩილმა იცის, რომ უარის თქმას აზრი არა აქვს, ამიტომ ხმასაც არ იღებს.

ჯიბგირები ალაგებენ თავიანთ ქათმებს ტომარაში და მხიარული ღრიანცელით მიდიან. ქათმებიან ტომარას ერთმანეთს აჩეჩებენ. ტელეფონის ავტომატებთან დგას დაღვრემილი და თავჩაქინდრული დეპუტატი არჩილ აბუსერიძე. მის წინ, ნაფურთხებიან ასფალტზე ორი დამხრჩვალი ქათამი აგდია.

ცოტა ხნის შემდეგ არჩილი ნარგიზასთან რეკავს. რამდენიმე ფუჭი მცდელობის შემდეგ ზარი გადის.

- ალო, ნარგიზა ხარ?!

- ნარგიზა ვარ!

- ნარგიზა, ქათმები მოგიყვანე! - ყვირის ყურმილში აბუსერიძე.

- ააა, შენა ხარ, რამდენია?

- ორია!

- ორი?!

- ჰო, ორი!

- შენ ამბობდი, თხუთმეტი-ოციო!

- დანარჩენებს მერე მოგიყვან!

- კარგი, წამოიღე, აქვე ვცხოვრობ, ცხრა ძმის ქუჩაზე. ქუჩის დასაწყისში დაგელოდები! რა ღირს?!

- იაფი, იაფი ღირს! მისამართი მითხარი და სახლში მოგიყვან! - ყვირის ყურმილში არჩილი.

- ცხრა ძმის ქუჩის დასაწყისში ამოდი! - პასუხობს ქალი.

- მისამართი მითხარი!

- არ შემიძლია! მე მარტოხელა ქალი ვარ!

- მერე მეც მარტოხელა კაცი ვარ! - ყვირის არჩილი.

- არ შემიძლია გენაცვალე, შენ კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ ორი ქათმის გულისთვის მეზობლებს ვერ ავალაპარაკებ! თანაც, მე ისეთი ვინმე არა ვარ.

- ისეთი ვინმე არც მე ვარ! - ჩაჰყვირის ყურმილს აბუსერიძე.

- ა-რა, მოდი იქ, სადაც გითხარი!

- გეხვეწები!

- არა!!! ტუ-ტუ-ტუ, - ისმის ყურმილში.

აბუსერიძე წელისტკივილით იღებს ასფალტიდან ქათმებს და ცხრა ძმის ქუჩისკენ მიდის. ერთ ხელში ერთი ქათამი უჭირავს, მეორეში მეორე.

ცხრა ძმის ქუჩის დასაწყისში მას ნარგიზა ელოდება. სხვათა შორის, გამოპრანჭულა - თვალები და ტუჩები შეუღებია, დარტყმისგან შესიებული დრუნჩი კი მას სექსუალურობას მატებს.

- აქეთ! აქეთ მოდი! - ეძახი ქალი არჩილს, - სკამზე დავსხდეთ!

ისინი სკამზე სხდებიან.

- მაჩვენე! - ეუბნება ქალი და ქათმებს ეტანება, - მჭლეებია!

- მჭლეებია?! - იკვირვებს არჩილი.

- ჰო, მჭლეებია! - უდასტურებს ქალი.

- ეს ქათმებია ქალო, მჭლეები?! - იკვირვებს ნაწყენი არჩილი.

- ჰო, ეგ ქათმებია მჭლეები! - ამბობს ქალი.

- აბა, ეს ქათმებიც თუ მჭლეებია და მაშინ მსუქანი ჩემი ის არის!

ქალი იცინის. ეტყობა, რომ ასეთი ხუმრობა არც ალიზიანებს და არც სწყინს, პირიქით, მოსწონს მსგავსი ლაპარაკები.

- შენი ის შენ ჯანში იყოს! - ამბობს ის კმაყოფილი ჩურჩულითა და პროვინციული ღიმილით.

- აბა, რა ვიცი, ქათმები მჭლეებიაო და მსუქანი კიდევ ეს არის! - იცინის არჩილი. იგი გრძნობს, რო ალლო აუღო ქალს - ერთგვარი, თუ შეიძლება ითქვას, გასაღები უპოვნა.

- ჰო, კარგი, კარგი! - იცინის ქალი, - ქათმები მსუქნებია და კარგებია. ეს მე ისე ვთქვი, მჭლეებია-მეთქი, სიტყვის მასალად. კი მაგრამ, კისრები რატო აქვთ მოღრეცილები? გაუპუტავები რატოა? მოიპარე სადმე?!

- კაცო, შენ რა გინდა, მოვიპარე თუ გადავიპარე! მებაღეს რას კითხულობ, ხილი მიირთვი! - ეუბნება აბუსერიძე ქალს.

- ეგ ხო ეგრეა, მაგრამ...

- რა მაგრამ, არავითარი მაგრამ! - ყვირის აბუსერიძე.

- ჰო კარგი, კარგი, რა ღირს? - ეკითხება ქალი.

- ორივეს მოგცემ ექვს ლარში, პლიუს ცეცხლოვანი ღამე გატარებული შენთან. მეტი რა გინდა!

ამ სიტყვებით არჩილი ნარგიზას თეძოზე ხვევს ხელს. ნარგიზა მის ხელს იშორებს და ოდნავ გვერდზე იწევა.

- ცეცხლოვან ღამეებს შენ თავი დაანებე, - ეუბნება ნარგიზა, - აი, მაგ ქათმებში კი ათ ლარს მოგცემ.

- არ გამოვა ეგრე ლამაზო, - ამბობს არჩილი და ქალისკენ მიიწევს, - რად მინდა შენი ათი ლარი. მე შენთან ცეცხლოვანი ღამე უფრო მინდა.

- ცეცხლოვანი ღამეები შენს ცოლთან გაატარე!

- უცოლო ვარ!

- თქვენ ყველანი უცოლოები ხართ!

- ყველანი არ ვიცი და მე უცოლო ვარ!

- უცოლო ხარ თუ ცოლიანი, ღამის დაქალები ჯობია სადმე სხვაგან ეძებო! ქათმებში კი თუ გინდა, ათ ლარს მოგცემ!

- არ გამოვა ეგრე, - ეუბნება დეპუტატი ქალს, თან ისეთნაირად ხვევს თეძოზე ხელს, რომ ვერ გამოუძვრეს. თუ გინდა, სულ ნუ მომცემ ქათმებში ფულს, მაგრამ ცეცხლოვანი ღამე სავალდებულოა!

ქალი იშმუშნება, ცდილობს ხელიდან დასხლტომას, მაგრამ უშედეგოდ.

- მაგ ორი ქათმის ფასი ათი ლარია, - იცინის ქალი, - ესე იგი შენ გინდა, ათ ლარად მიხმარო?

- ჰო, რა მოხდა?! - იცინის არჩილი, - როგორც უცოლო კაცს ცოტა შეღავათი გამიკეთე!

- ბიჭო, ვაგზლის ბოზები არიან მინიმუმ თხუთმეტლარიანები და შენ გინდა, რომ ათ ლარად მიხმარო? თანაც ფულის ნაცვლად ქათმებს იძლევი?!

- აბა, მაშინ როგორ მოვიქცეთ? - ეკითხება აბუსერიძე.

- როგორ და ფული უნდა დამიმატო!

- რამდენი დაგიმატო?

- რამდენი და თხუთმეტი ლარი მაინც!

- ე, რა ამბავია! ორი ქათამი და კიდევ თხუთმეტი ლარი, ვა, მამაძაღლი, დეკეულია?! - ეჩურჩულება ნარგიზას არჩილი და ამ ჩურჩულისას გავაზე ჩქმეტს ვნებიანად.

- ნუ, თუ არ გინდა, მაშინ კარგად იყავი, - ამბობს დასერიოზულებული ნარგიზა და ოდნავ გაკაპასებული ისე

იშორებს არჩილის ხელებს, რომ ეს უკანასკნელი ველარფერს აკეთებს საპირისპიროს.

- კარგი, დაგიმატებ, ოღონდ თხუთმეტს არა, ათს! - ეუბნება არჩილი, - რაიმე დასალევიც ხომ უნდა ავიღოთ და საჭმელიც.

- დასალევად მაქვს გაზავებული სპირტი, საჭმელიც მაქვს - კუჭმაჭი!

- კარგი, იყოს ეგრე!

ქალი დგება და მიდის, დეპუტატი კი უკან მისდევს ქათმებით. ოცდაათიოდე მეტრის გავლის შემდეგ ქალი ეუბნება:

- ჯერ მე წავალ, მერე შენ წამოდი, აქედან მეხუთე სახლია მარჯვნივ. ჭორიკანა მეზობლები მყავს და არ მინდა, რომ კაცთან დამინახონ. ეზოს კარს და სახლის კარსაც ღიას დავტოვებ! შემოდი!

- კარგი! - ეუბნება არჩილი და ტუჩებით საკოცნელად იწევს, მაგრამ ქალი თავიდან იშორებს და მიდის. ცოტა მოშორებით უკან მისდევს დეპუტატი. ისინი შედიან ძველ ულამაზო სახლში, რომელსაც აქვს პატარა ეზო - იტალიური ეზოს მსგავსი, ეზოდან შედიან სახლში - ჯერ ქალი, მერე კი კაცი. სახლში კაცი სულ ეტანება ქალს. ქალი კი თავიდან იშორებს. შლის სუფრას: გამოაქვს გრაფინი გაზავებული სპირტით, არყის ჭიქები, გაზქურაზე გაცხელებული კუჭმაჭი, პური და აჯიკა. ისინი რთავენ ძველი ყაიდის ტელევიზორს, ვახშმობენ, აქრობენ შუქს და წვებიან. იწყება ცეცხლოვანი ღამე.

თენდება დილა. დეპუტატი და მებუფეტე ქალი ერთ ლოგინში წვანან.

- გაიღვიძე? - ეკითხება ქალი დეპუტატს.

- ხო. უნდა ავდგე! - პასუხობს დეპუტატი.

- რა, მიდიხარ? - ეკითხება ქალი.

- არა, ჯერ არა! - პასუხობს დეპუტატი.

- აბა, რატო დგები? - კითხულობს ქალი.

- ტუალეტში მინდა შევიდე! - პასუხობს დეპუტატი.

- მაშინ ტელევიზორი ჩართე და თუ არ გეზარება, ყავა მოადუღე!

- ტელევიზორს კი ჩავრთავ, ყავა შენ თვითონ მოადუღე. მე არ ვიცი, სად დევს. თუ გინდა, არაყს დაგისხამ!

- ჰო, კარგი, ტელევიზორი ჩართე და კუჭმაჭი მაინც გააცხელე გაზზე! - ეუბნება ქალი.

არჩილი რთავს ტელევიზორს. გადის ტუალეტში. შემდეგ ხელებს იბანს და კუჭმაჭს აცხელებს. ტელევიზორში კი ახალი ამბებია. ისმის დიქტორის ხმა:

- დღეს დილით, გამთენიისას მდინარე მტკვარში აღმოჩენილია დეპუტატ ირაკლი ყაფლანიშვილის გვამი ძალადობის ნიშნებით.

არჩილი ელდანაკრავივით გარბის სამზარეულოდან ოთახში და გაფაციცებით შესცქერის ეკრანს. ეკრანზე ჩანს დიქტორის სახე.

- გარდაცვლილის სხეულზე შეინიშნება მრავალი მოტეხილობა, ნაიარევი და ნაკაწრი. გარდაცვლილს ჯიბეებში უპოვეს ქვები, რომლებიც, სავარაუდოდ, მკვლელმა ჩაუწყო, რათა კარგად ჩაძირულიყო წყალში, მაგრამ დინებამ გვამი ნაპირზე მაინც გამორიყა. გარდაცვლილს თითებში ჩაბღუჯული ჰქონდა ქათმის ბუნდღა, რომელიც იდენტურია მოქალაქე გიგლოევის საქათმიდან მოპარული ქათმების ბუნდღისა. არის თუ არა რაიმე კავშირი ამ ორ დანაშაულს შორის, ანუ დეპუტატ ყაფლანიშვილის მკვლელობასა და მოქალაქე გიგლოევის კუთვნილი საქათმიდან მოპარულ ქათმებს შორის, ამას გამოძიება დაადგენს!

ამის შემდეგ ტელევიზორის მთელ ეკრანზე აჩვენებენ ყაფლანიშვილის პორტრეტს, ხოლო წამყვანი საუბრობს მის შესახებ, - მაყურებლებს უყვება დეპუტატის ბიოგრაფიას.

- ე, ეს ის არ არის, შენთან ერთად რომ იყო საკუჭმაჭეში?! - ეკითხება ქალი აბუსერიძეს.

აბუსერიძე ავისმომასწავებლად დუმს.

- ე! ეს ის არ არის, შენთან ერთად რომ იყო?! - ხელმეორედ ეკითხება ქალი.

- არა! რას ამბობ, - პასუხობს აბუსერიძე, - მე დეპუტატებს საერთოდ არ ვიცნობ! ისე კი მართლა ძალიან ჰგავს, ხომ იცი, ჩემს ძმაკაცს! ნეტა ვინ მოკლა საწყალი?! ალბათ, პოლიტიკური მოტივით მოკლეს! ხელისუფლების ბრალი იქნება - ეგენი ყველას ეგრე იცილებენ, ვინც არ აწყობთ. პრეზიდენტის ბრალია! მაგისგან მოდის ყველაფერი!!! ე-ეჰ, წავალ, კუჭმაჭს გადმოვდგამ, არ დაიწვას.

აბუსერიძე გადის.

- არაყი მოგიტანო თუ ადგები?! - ეკითხება ხმამაღლა სამზარეულოდან ქალს აბუსერიძე.

- აქ წამოიღე! - ხმამაღლავე პასუხობს ქალი.

- ბუტერბროდიც მოგიტანო?! - ყვირის სამზარეულოდან არჩილი.

- რა ბუტერბროდი?! - კითხულობს ქალი.

- ნუ, კუჭმაჭის რა, მეტი რა გაქ?! პურზე წავუსვამ კუჭმაჭს და მოგიტან! გინდა?!

- მინდა!

აბუსერიძე სამზარეულოში ფუსფუსებს. იგი ქვაბიდან კუჭმაჭს იღებს და პურზე უსვამს. მერე მეორე პურის ნაჭერს იდებს წინ, ჯიბიდან იღებს ვირთხების წამლიან კოლოფს, ღიღინით ხსნის კოლოფს და ღიღინითვე აყრის პურზე წამალს, ზევიდან კი კუჭმაჭს უსვამს კოვზით. მერე არაყს ასხამს ჭიქებში და ბუტერბროდებსა და არყით სავსე ჭიქებს პლასტმასის პატარა ხონჩაზე ალაგებს. ღიღინზე სულ ოდნავ ეტყობა ნერვიულობა. ოთახში შესვლისას ღიღინს წყვეტს. ქალი ლოგინში წევს. ტელევიზორი ჩართულია. აბუსერიძე ხონჩას მაგიდაზე დებს და ქალს ჭიქასა და კუჭმაჭიან ბუტერბროდს აწვდის. თავადაც იღებს ჭიქას და ბუტერბროდს. იგი ჭიქას ჭიქაზე უჭახუნებს ნარგიზას და სადღეგრძელოსაც ამბობს:

- ამით სიყვარულს გაუმარჯოს!

აბუსერიძე სვამს არაყს.

- ეგრე იყოს! - ამბობს ქალი და ისიც სვამს.

გაზავებული სპრტის დალევის შემდეგ ორივენი ერთნაირად იღრიჯებიან და ბუტერბროდებს მიეტანებიან.

- რა ცეცხლივით წავიდა, რატოა ასე მწარე?! - კითხულობს ქალი, ფითრდება და ხველას იწყებს, - მიშველე!!!

- ვერ გიშველი, - პასუხობს მშვიდად არჩილი, - ვერ გიშველი, რადგან, სამწუხაროდ, შენ უკვე ძალიან ბევრი იცი! ჩემი ბოლივარი ვერ დაუშვებს ამას!

ქალი ხროტინებს, იკრუნჩხება, კრუსუნებს და კვდება. აბუსერიძე მას თითიდან აცლის ნიშნობის ბეჭედს და ჯიბეში იდებს. სამზარეულოში გადის, მაცივრიდან იღებს კისერმოგრეხილ, გაუპუტავ ქათმებს, აწყობს იქვე ნაპოვნ ჩანთაში და სახლიდან გადის, მიიხედ-მოიხედავს, შემდეგ კი გადის ეზოდანაც. ქუჩაში გასული ეზოს კარს გაიხურავს და წავა. ასე მიდის დეპუტატი არჩილ აბუსერიძე გზაზე. ხელში მას ჩანთა უჭირავს, რომელშიც ორი დამხრჩვალი დედალია. აბუსერიძე თანდათან სულ უფრო პატარავდება, პატარავდება და ქრება.





სოსო მგელაძე

# თუ რატომ მოკლა ჰარკანმა არტურა



## "ადემიქი"

"ადემიქი" დაივერების საყვარელი ბარი იყო, ყოველ საღამოს აქ იკრიბებოდნენ ისინი, ვისაც მთელი ბოდრუმი შურით შესცქეროდა; ახალგაზრდები განსაკუთრებული მოწიწებით ეპყრობოდნენ ბებერ ზღვის მგლებს, ადგილის დათმობა და ხელზე კოცნა ჩვეულება იყო. ზაფხულობით განსაკუთრებით გადაჭედილი იყო ბარი, თანაც მთელი მსოფლიოდან აქ იყრიდნენ თავს მყვინთავები - ავსტრალიიდან, ალჟირიდან, ინგლისიდან თუ ბელგიიდან; ფრანგები ბარში ისევე სასაცილოდ იქცეოდნენ, როგორც წყალქვეშ.

"ადემიქამდე" რამდენიმე ქუჩა მიდიოდა და ბოდრუმელები ხშირად იტყოდნენ ხოლმე, ყველა გზა "ადემიქში" მიდისო. ნებისმიერი, ვისაც "ადემიქისაკენ" ჰქონდა გეზი, სხვებისგან უკვე გამოირჩეოდა, ახალგაზრდები ისე ლაღად მიაბიჯებდნენ, თითქოს ქუჩაც მათი იყო და მთელი ქვეყნიერებაც. ხანშიშესულებს კი სიარულში სიდინჯე, საოცარი თვითდაჯერებულობა ეტყობოდათ. კიდევ იყვნენ ისინი, ვინც პირველად მიდიოდა, სულ პირველად. გაუბედაობა, მაგრამ საოცარი ინტერესი იკითხებოდა მათ თვალებში. სმენოდათ "ადემიქის" შესახებ და ჯერ არ ენახათ, ეს კი იმას ნიშნავდა, მუსლიმანს მექაში რომ არ ელოცა, რადგან ის, ვინც "ადემიქში" მიღებული არ იყო, დაივერად არ თვლიდნენ; და ნებისმიერი, ვისაც დაივერობა უნდოდა, ამ გზას ისე მიარღვევდა, ტანკიც რომ დაგეყენებინათ, მაინც გადაუვლიდა და "ადემიქამდე" მიაღწევდა. ყველას, ვინც "ადემიქამდე" მიდიოდა, ერთი რამ აერთიანებდა: ირგვლივ მყოფთა ყურადღება. როგორც კი ვინმე "ადემიქისაკენ" მიმავალ ქუჩაზე ჩაივლიდა, მას დაჟინებული მზერა აცილებდა, ქუჩის დასაწყისიდან მოსახვევამდე, სანამ ფეხის ხმაც კი არ მიყრუვდებოდა, არადა ფეხის ხმა დიდხანს ისმოდა, რადგან ასფალტის მაგივრად ქვაფენილი ეგო, თანაც ქუჩებს საოცრად მისტიკურ ელფერს სძენდა ვაზით გადაფარული ტიხროვანი, რომელიც "ადემიქისაკენ" მიმავალ გზებს ბოლომდე ფარავდა და დღისით მზის მცხუნვარე სხივებისაგან იცავდა, ხოლო საღამოთი განუმეორებელი რომანტიზმის ბურუსში ახვევდა ვაზის ფოთლებს შორის მიმალულ მთვარეს.

არადა, დღისით "ადემიქი" ერთი ჩვეულებრივი ბარი იყო, საშუალო ზომის, ორსართულიანი, თუმცა მეორე სართულზე არც არასოდეს იყო ვინმე, რადგან აქ არც სკამი იდგა და არც მაგიდა და მხოლოდ ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ადიოდნენ ხოლმე, რადგან ერთადერთი ტუალეტი სწორედ მეორე სართულზე იყო. ტეკილა აქაც 2$ ღირდა და "რახიც" ისეთივე "დეშოვი სამაგონი" იყო, როგორც მთელ თურქეთში. მომსახურე პერსონალი ბარის დაარსებიდან უცვლელად მოყვებოდა. ისე, ზოგადად, "ადემიქში" ერთ მინიშნებასაც ვერსად ნახავდით, რომ ეს დაივერების ბარია. არც ძველი რეგულატორები ეკიდა სადმე, ვერც წნევისაგან გაგლეჯილ ბალონს იპოვიდით, და ვერც დაბლოკილ კომპიუტერს, პატრონის მიღწევის უკვდავსაყოფად: 100 მეტრი სიღრმეში სუფთა ჰაერით. ვერც კედლებზე შენიშნავდით უკვდავ დაივერულ ლოზუნგებს: "divers do it deeper" ან "ჩვენ ვართ თაობა, გადაყოლილი ყვინთაობას". მაგრამ ერთადერთი, რაც ამ ბარის დაივ-კლუბობაზე მიანიშნებდა, ის გახლდათ, რომ ყველა ნაღდი დაივერის მისამართი სწორედ "ადემიქი" იყო.

ღამის 11 საათიდან ბარი ისე იცვლებოდა, როგორც ფანტასტიკურ ზღაპრებში, - ყველა ქუჩიდან იწყებდა დენას ხალხი, ნელ-ნელა მუსიკაც ტემპს იკრეფდა, 12-ზე ჯერ კიდევ მაგიდებთან ისხდნენ ხოლმე და ტეკილას ურახუნებდნენ, მაგრამ 12-ის მერე უკვე ყველა თავდავიწყებით ცეკვავდა, ბარი ბოლომდე ივსებოდა, ისე ივსებოდა, რომ სუნთქვა ჭირდა და მაინც არავინ ადიოდა მეორე სართულზე წყვილების გარდა, ეს "ადემიქის" დაუწერელი კანონი იყო, კიბე იყო პირველი ადგილი, სადაც ვაჟს შეეძლო გოგონა ტუალეტისაკენ აეცილებინა და რათა ნასვამ მეგობარს ფეხი არ დასცდენოდა, ხელი შეეშველებინა. რაღა თქმა უნდა, ხელის შეშველებას ყველა ცდილობდა, რადგან გოგოებს, რატომღაც ყველას, გამონაკლისის გარეშე, ერთ-ერთ საფეხურზე ფეხი უცდებოდათ და ვაჟის მკლავებში ამოყოფდნენ ხოლმე თავს, საფეხურის შეკეთებას კი რატომღაც არც არავინ ჩქარობდა.

გიჟური როკვა, გიჟურივე მუსიკის ქვეშ პირველ საათზე აპოგეას აღწევდა და "ადემიქის" დიჯეის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მეტისმეტად კარგად იცოდა თავისი საქმე, ზუსტად რთავდა ხოლმე რაიმე წყნარსა და რომანტიულს. ზუსტად იმ დროს, როცა საჭირო იყო და პირველ სართულზეც, მხოლოდ წყვილებიღა რჩებოდნენ, ყველანი თავთავიანთ მაგიდებს უბრუნდებოდნენ და ისევ გრძელდებოდა გაცხარებული სჯა-ბაასი. რას არ გაიგონებდით აქ: რომ რუსები თურმე ეგვიპტეში 153 მეტრზე ჩავიდნენ და ხანშიშესულები მკაცრად აფრთხილებდნენ ახალგაზრდებს, რომ არ გაებედათ ამის გამეორება, თუმცა კი ყველამ კარგად იცოდა, რომ ვერავინ შეაჩერებდა იმას, თავზე ხელი ქონდა აღებული. კარგად ახსოვდათ, როგორ დაიღუპა ყველასათვის საყვარელი ორი ინსტრუქტორი გემის ნარჩენებთან. 90 მეტრის სიღრმეში იპოვეს, აზოტის ნარკოზმა ორივე იმსხვერპლა, მშვიდი ძილით ეძინათ, შეშფოთება მათი არც არავის არ უცდია, როგორც იპოვეს, ისევე დატოვეს ზღაპრულ სამყაროში; იმასაც გაიგონებდით, თუ როგორ გაძლო უჰაეროდ ზეკიმ "happy bubles"-იდან 6 წუთი წყალქვეშ და მერე როგორ გასკდა, რომ თურმე პონი-ბალონიდან სუნთქავდა, გოგოებს წაემარიაჟა რა, მაგრამ ზოგჯერ იმასაც გაიგონებდით, თუ როგორ მოკლა ჰარკანმა არტურა და იდუმალება დაისადგურებდა ირგვლივ. ზღვის გახელებული შრიალიღა აღწევდა დაივერებამდე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მამა

ჰარკანი ზღვის ბებერი მგელი იყო, პატარა ტანის, მაგრამ საოცრად ჩაფსკვნილი, მზისა და ქარისგან დაღარული სახით; მწვანე თვალები ჰქონდა და რომ გიყურებდა, გეგონებოდა სადღაც შენს შიგნით იყურებაო. ჯერ კიდევ სულ პატარა მამას საყვინთავად დაჰყავდა. მამამისი ზღვის ღრუბლების შემგროვებელი მყვინთავი იყო, მაშინ იმ ახმახ ფრანგს - კაპიტან კუსტოს რომ ეძახდნენ, ჯერ კიდევ არ ჰქონდა აკვალანგი გამოგონილი და მამამისიც ოდინდელი, ზედაპირიდან ხელით ჰაერსაქაჩი აპარატით ჩადიოდა ხოლმე პოსეიდონის სამყაროში. ძველი ბერძნები უხსოვარი დროიდან ნადირობდნენ ზღვის ღრუბლებზე და დაბალ სიღრმეებზე ღრუბელი ნელ-ნელა გაქრა, ბერძნების შემდეგ აქაურობას თურქები დაეპატრონენ და მათაც იმავე საქმიანობას მიჰყვეს ხელი, ახლა უკვე ყვინთვა სულ უფრო და უფრო ღრმად უწევდათ ხოლმე. სიღრმე კი ადამიანს ნელ-ნელა ეპარება, იტყუებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მხედველობა 40 მეტრია: ზევით რომ აიხედავ, გგონია, ნებისმიერ დროს ამოყვინთავ, სიღრმე კი გექაჩება, გექაჩება და ჯერ სიფხიზლეს გაკარგვინებს, მერე თვითდაჯერებულობას გმატებს, სულ უფრო და უფრო ეშვები, შემდეგ ჰალუცინაციები მოდის და უკვე თევზებს საკუთარ ჰაერს სთავაზობ, ბოლოს იძინებ, იძინებ ტკბილი და სამუდამო ძილით, არანაირი დახრჩობის შეგრძნება, ძალიან მშვიდად და ლამაზად იპარები... სწორედ ასეთი იპოვა ჰარკანმა მამა სიღრმეში. ნავიდან გადახტა, როცა მიხვდა, რომ მამამისმა მეტისმეტად დააგვიანა, გამწარებული უსვამდა ხელ-ფეხს, უფრო ღრმად და ღრმად, ყურებში წუილი გაუდიოდა, ცხვირზე ხელს იჭერდა და მძლავრი ჩაბერვით წნევას ათანაბრებდა, აი ცოტაც, რაღა დარჩა და უკვე მიაღწევს, ფილტვები ლამის იყო გაუსკდა, მიხვდა, რომ ასე ვერ ჩააღწევდა, ისევ ზევით... ზევით... ნავისკენ გაცურა, სიმძიმეების ქამარი გადმოათრია, ღრმად ჩაისუნთქა და მეტეორივით ჩაეშვა... ძლივს მიცურა მამასთან, სიმძიმეების ქამარი შეხსნა და მთელი ძალით ზევით აქაჩა, არასოდეს ეგონა, ასეთი მძიმე თუ იყო მამამისი, ძლივს მიათრევდა, ყოველი წამი ძვირფასი იყო, ფილტვები უსკდებოდა, გაიფიქრა კიდევაც, ხელი გაეშვა, მაგრამ იმავ წამს გადაწყვიტა: ორივე ერთად ან ზევით, ან ქვევით, ბოლო ძალები მოიკრიბა, ხელ-ფეხი მოიქნია და ზედაპირზე ტალღებიც გამოჩნდა, წყლიდან ლამის წელამდე ამოხტა, ღრმად შეისუნთქა, რაც შეეძლო ღრმად, ხარბად, კიდევ, კიდევ... გვერდზე გაწვა, მამას მკლავი გაუყარა და ძალუმად მოუსვა ნავისაკენ, ხელები ნავზე დაადებინა, ხელი ხელზე დააჭირა და ნავზე ახტა, მამა ამოათრია, შლემი მოხადა. კარგად ახსოვდა, ასეთი შემთხვევისათვის მამამისის დარიგება: გაჩერდი, იფიქრე, იმოქმედე; ღრმად შეისუნთქა, დაწყნარდა, ხმამაღლა გაიხსენა მოქმედების გეგმა: უყურე, უსმინე, შეიგრძენი; ყური მამის სახესთან მიიტანა, სუნთქვას დააყურადა, არაფერი, მკერდს შეხედა - არანაირი ნიშანწყალი, პულსი მოსინჯა, არ არის, სასწრაფოდ ხელოვნური სუნთქვა, გულის მასაჟი, არაფერი, ისევ, ისევ, ისევ... სიბნელემ გამოაფხიზლა, მზე ჩადიოდა, მიხვდა, რომ მამა აღარ დაბრუნდებოდა, მიხვდა, რომ ის იქ დარჩა... დიდხანს ტიროდა, ბოლოს თავი აიყვანა, ძალუმად მოუსვა ნიჩბებს, გაშლილ ზღვაში გავიდა, სიმძიმეები წელზე მოაბა, შუბლზე და ხელზე აკოცა და წყალში ჩაუშვა, თან ჩაყვა, ღრმად არა, ისე, უკანასკნელ გზაზე გააცილა; იქ, სადაც ყოველთვის სიხარულით ეშვებოდა, იქ, სადაც ადამიანების ადგილი არ არის, მაგრამ მხოლოდდამხოლოდ იქ, სადაც თავს ნამდვილ ადამიანად გრძნობდა. მაშინ პატარა იყო ჰარკანი...

## მეგობრები

მას შემდეგ სიღრმეზე თავისუფლად ეშვებოდა, სიღრმისადმი ადამიანის თანდაყოლილი შიში გაუქრა, მაგრამ სიფხიზლე არ დაუკარგავს. ღრუბლების შეგროვება არ უყვარდა, ეცოდებოდა დასაჭრელად, მკვდარ ზღვის ზღარბების ოვალურ ნარჩენებს აგროვებდა, დედამ მათი გახმობის ძველისძველი ბერძნული ტექნიკა ასწავლა და ზღაპრულ ფერებს უნარჩუნებდა, შემდეგ გამყიდველებს აბარებდა, თვითონ ვაჭრობა არ უყვარდა, გაჩუქება უფრო სიამოვნებდა; ფულის გამო ცოცხალი არაფერი და არავინ ამოუყვანია, თუმცა კი ფულს დიდს სთავაზობდნენ ხოლმე, წყალქვეშ მხოლოდდამხოლოდ იმდენს ნადირობდა, ოჯახში რომ ყოფნოდა საჭმელად, ზომიერების გრძნობას არ კარგავდა და დიდ და იშვიათ თევზებს არ ეკარებოდა. ბევრი უცნაურობა გამოარჩევდა სხვებისაგან, გარდა იმისა, რომ სუნთქვას ექვსი წუთი იკავებდა და მასზე ღრმად ბოდრუმში ვერც ვერავინ ყვინთავდა, ყოველ დილას, თითქოს ჩათქმული აქვსო, მზის ამოსვლას ხვდებოდა ზღვის პირას; კიდევ, დიდხანს იჯდა ხოლმე წყალქვეშ და კლდეს შეხეთქებულ ტალღებს აკვირდებოდა ქვემოდან.

აკვალანგის შემოსვლასთან ერთად ბოდრუმი წყალქვეშა ტურიზმის ცენტრად გადაიქცა და ჰარკანიც წყალქვეშა გიდი გახდა. ყოველდღე უხსნიდა ამ ულამაზეს სამყაროს კარებს ათეულობით ადამიანს, და ხშირად იტყოდა ხოლმე, რომ მისთვის მთავარი გასამრჯელო მათი ბედნიერი თვალები იყო, წყალქვეშ გატარებული ოცი წუთი მთლიანად ცვლიდა ადამიანების შინაგან მდგომარეობას, საოცარი აგზნება და ბუნებასთან განახლებული კავშირი, ბავშვობისდროინდელ თვალებს უბრუნებდათ, ჰარკანიც ამით იყო ბედნიერი. სამსახურისაგან თავისუფალ დროს მარტო დაცურავდა ხოლმე, ახალ-ახალ ადგილებს ეძებდა, ძველ კლიენტებს ნაცნობი გარემო მალე ბეზრდებოდათ, განსაკუთრებით უყვარდა კლდეების პირას გამოქვაბულებში შეყვინთვა, ხანდახან გამოქვაბულის სიღრმეში ნაპრალებიდან ტალღებზე არეკლილი მზის სხივები აღწევდა და იქაურობა ფანტასტიკურად ნათდებოდა ხოლმე, ზოგჯერ საათობით იჯდა სიცივისაგან აკანკალებული შიგნით, ზუსტად თვითონაც ვერ გეტყოდათ რატომ, მაგრამ ის კი იცოდა დანამდვილებით, რომ ამ სიბნელეში თვითონ ანათებდა.

ერთხელაც, მორიგი სოლო ჩაყვინთვის დროს, რიფის ჩრდილოეთ ნაწილში გავიდა, აქეთკენ საერთოდ ჯგუფებთან ერთად არ დადიოდა ხოლმე, რადგან რიფის გარშემოვლას დიდი დრო მიჰქონდა და ჯგუფის წევრებს ჰაერი არ ჰყოფნიდათ, თანაც რიფის ეს მხარე დიდი სილამაზით არც გამოირჩეოდა და შედარებით უდაბური იყო, ამიტომაც ერიდებოდნენ იქაურობას, მარტოს კი მშვიდად შეეძლო უფრო დაბალ სიღრმეებზე დაეთვალიერებინა რიფის ეს ნაწილი, უხილავის შეცნობის სურვილს უფროდაუფრო ღრმად მიჰყავდა ჰარკანი, რაღაც უცნაური გრძნობა დაუფლებოდა, თითქოს ზღვის სიღრმე ეძახდა, ეძახდა დაჟინებით; ყურადღებით ათვალიერებდა გარემოს, ფრთხილად, მაგრამ სულ უფროდაუფრო ქვემოთ ეშვებოდა. მოულოდნელად, რიფის კედელი გადასხვაფერდა, წყალქვეშა მცენარეების ტყე გადაეშალა თვალწინ, ის, რაც ზღვას ადამიანის თვალისათვის ზედაპირთან დაემალა, აქ იყო გამოქცეული... წყალქვეშა ცხოვრება მთელი ალტაცებით როკავდა, ჰარკანი გაოგნებული აცეცებდა თვალებს, ფარანი ჩართო და ფერების მრავალფეროვნებამ დააბრმავა, არასოდეს ენახა

ეროვნული ბიბლიოთეკა



თევზების ასეთი მრავალრიცხოვნება, გაოგნებული იყო და სწორედ ამ მომენტში შეეჩეხა მას...

ჯერ კიდევ მამა უყვებოდა პატარობისას; არტურზე, თეთრ, უზარმაზარ გრუპერზე, ზურგიდან გარპუნგამოჩრილზე, ეტყობა ვიღაც ნაძირალას ხელი მოსცარვოდა მასზე ნადირობისას და გარპუნი სამუდამოდ ჩარჩენოდა ზურგში. ჰარკანის დანახვაზე არტურა თითქოს გაგიჟდაო, ჯერ არასოდეს ენახა ასეთი აგრესიული გრუპერი, უზარმაზარი თევზი აქეთ-იქით აწყდებოდა. ჰარკანმა იგრძნო, როგორ აასხა ადრენალინმა ტვინში იმის გაფიქრებაზე, თუ რა დაემართებოდა ეს თევზი თავს რომ დასხმოდა, მაგრამ ადგილიდან არ იძვროდა, კარგად იცოდა, რომ ზედმეტად ახლოს აღმოჩნდა და ნებისმიერი გაუთვალისწინებელი მოძრაობა დაღუპავდა. ფრთხილად მოსინჯა ფეხთან მიმაგრებული დანა, რომლის გარეშეც არასდროს ყვინთავდა, თითქოს გაყინული ადევნებდა თვალს თევზის ამ საოცარ ცეკვას. ბოლოს, ეტყობა, მასაც მობეზრდა, ისე გამოხედა ჰარკანს, თითქოს აფრთხილებსო და ფარფლების ერთი მოსმით სიღრმეში გაუჩინარდა. ჰარკანს ბევრი არც უფიქრია და უკან მიყვა, კლდის ფსკერზე, სადღაც 40 მეტრის სიღრმეზე მიაგნო გამოქვაბულს, შიგნით შეანათა, არაფერი არ ჩანდა, მაგრამ კვალი აშკარად მიუთითებდა ადგილსამყოფელს, ქვიშის მცირე ნაწილაკებს ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ უკან, ფსკერზე დალექვა, მას შემდეგ, რაც თევზმა კატერივით შეცურა შიგნით, ჰარკანმა მიმოიხედა, ადგილმდებარეობა დაიმახსოვრა, თან გამოქვაბულის წინ უზარმაზარი ორმო შენიშნა, - აი, სად ნებივრობს ხოლმე, - გაიფიქრა, გაეღიმა, და ბედნიერი ზემოთ ამობრუნდა, ასე იპოვა ჰარკანმა არტურა...

მას შემდეგ თავისუფალი დრო გამოუჩნდებოდა თუ არა, არტურას აკითხავდა, თან ყოველთვის რაიმე სასუსნავი მიჰქონდა ხოლმე, თევზი არც კი ენახვებოდა, მაგრამ გამოქვაბულთან დატოვებულ პურის ნაჭრებს და მოხარშულ კვერცხს სიამოვნებით მიირთმევდა ხოლმე, კლდეს ამოფარებული ჰარკანიც გატრუნული ადევნებდა თვალს ზემოდან ამ მსუნაგს; თევზი, მართალია, ახლოს არ იკარებდა, რადგან უნდობლობა ადამიანების მიმართ მაინც ღრმად ჰქონდა გამჯდარი. საკმარისი იყო ჰარკანი გამოჩენილიყო, რომ თავის ორმოში ნებივრად წამოწოლილი ისარივით შევარდებოდა ხოლმე გამოქვაბულში, მაგრამ გამოქვაბულთან ყოველი მიახლოებისას ჰარკანი უკვე სულ უფროდაუფრო ახლოდან გრძნობდა მის მზერას.

ერთხელაც, რიფზე ჩვეულებრივზე უფრო ადრე გავიდა, სამსახურში წასვლამდე უნდოდა არტურასთვის შეევლო, რიფის ჩრდილოეთ მხარეს ნავი შენიშნა, არ ესიამოვნა, რადგან არავის უმხელდა ამ საიდუმლოს. კარგად იცოდა, რომ თევზზე ნამდვილი ნადირობა დაიწყებდა. გულმა რეჩხი უყო, ძრავა გამორთო და ნავს მიუახლოვდა, შიგნით არავინ იჯდა. ჩაიხედა და მიხვდა, ნავში რომ ვინმე ყოფილიყო, ალბათ ცემით მოკლავდა. ნავი სავსე იყო მკვდარი თევზით, დიდი და პატარა განურჩევლად დაეხოცათ. ჰარკანი ნავში გადახტა, ირგვლივ ყოველივე გულისამრევ წითელ სითხეში ცურავდა. მთელი თევზი წყალში გადაყარა, მათი აღჭურვილობაც თან მიაყოლა, მერე ნავს ფსკერი გაუბურღა და მანაც ნელ-ნელა დაიწყო ჩაძირვა. სწრაფად ჩაიცვა აღჭურვილობა და ნავს გადაევლო. ახლა მხოლოდ არტურილა ადარდებდა, მთელი ძალით იქნევდა ლასტებს, გადატვირთვისაგან ეგონა ფილტვები გაუსკდებოდა. მოსახვევს გაცდა და არტურაც გამოჩნდა, წყნარად იჯდა თავის სილის ორმოში. ჰარკანმა მიმოიხედა, უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ არავინ უთვალთვალებდა თევზს, ვინმე რომ ყოფილიყო ჩასაფრებული, გამონასუნთქი ჰაერის ბუშტებით ადვილად იპოვიდა, ადამიანის არანაირი კვალი არ ჩანდა, ალბათ, რიფის მეორე მხარეზე არიან, - გაიფიქრა და სწორედ ამ დროს შენიშნა, თუ როგორ უახლოვდებოდა არტურას სიღრმიდან შავი ლაქა, ჰარკანი ყველაფერს მიხვდა, მონადირეს არტურა დაენახა, მაგრამ გაეაზრებინა, რომ ზემოდან ვერ მიეპარებოდა შეუმჩნევლად და ქვემოდან, უკნიდან მოევლო. არტურა საფრთხეს ვერ გრძნობდა, მშვიდად ნებივრობდა ორმოში თავისთვის, არადა მანძილი მონადირესა და თევზს შორის სწრაფად მცირდებოდა. ჰარკანი მთელი სისწრაფით გაექანა და ადამიანსა და თევზს შორის ჩადგა, დამიზნებით გართულმა მონადირემ გვიანღა შეამჩნია, უკვე მაშინ, როდესაც ისარი გაშვებული იყო, საოცარმა ტკივილმა მთელ ტანში დაუარა და ირგვლივ მწვანედ შეიღება ყველაფერი, ბოლოს, იმის გარჩევაც მოასწრო, როგორ შევარდა არტურა გამოქვაბულში, გადარჩა, - გაიფიქრა და გონებაც დაკარგა...

შემდეგ მოუყვნენ, თუ ნახევრადდამხრჩვალი როგორ მიიყვანეს საავადმყოფოში მონადირეებმა, ისარი მკერდში გაჭედვოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ფილტვი არ დაეზიანებინა. მთელი ბოდრუმი მასზე ლაპარაკობდა, რამდენჯერმე გაზეთიდანაც მოვიდნენ, ქალაქის ჟანდარმერიის უფროსმა პირადად მადლობაც კი გადაუხადა, ჰარკანს დიდხანს ახსოვდა მისი გაოგნებული სახე, როდესაც მადლობის სანაცვლოდ, მონადირეთა გაშვება სთხოვა; ისინი მართლაც გაუშვეს მისი გადარჩენისათვის, მაგრამ ჰარკანი არტურას შესახებ კრინტსაც არ ძრავდა.

საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ პირველი არტურა ინახულა, გვიან ღამით, ისე, რომ ვერავის დაენახა, გამოქვაბულთან მივიდა და ქვა ქვაზე დააკაკუნა, ასე იქცეოდა ხოლმე ყოველთვის, როცა სასუსნავს უტოვებდა, მაგრამ თევზი არც ამჯერად ჩანდა, ნუთუ არ გამოვა? გაიფიქრა... მაგრამ იმ დღეს არტურა მაინც გამოვიდა მის შესახვედრად, კვერცხი მისი ხელიდან გაფცქვნა და ასე შეჭამა. ასე დამეგობრდენ ჰარკანი და არტურა.

## ცოდვა

ვერ მოისვენა, მთელი ღამე თვალი ვერ მოხუჭა, თუმცა კი რა დააძინებდა, წამოდგა, საწოლმა გაიჭრაჭუნა, ფრთხილად გადახედა სალიმას, საბანი გადააფარა, სწრაფად ჩაიცვა, ბავშვთან შევიდა, დიდხანს უყურა, შუბლზე აკოცა და ოთახიდან სწრაფად გამოვიდა. ნაბიჯებზე შეეტყო, რომ მტკიცე გადაწყვეტილება მიეღო. ეზოში გა-

ვიდა, ჰაერით სავსე აკვალანგი შეარჩია, რეგულატორი ბალონებს მიუერთა და წნევა შეამოწმა: 150 ბარი, მეყოფა, გაიფიქრა და ბალონები ნავში ჩადო, სარდაფში გავიდა აღჭურვილობის ასაკრეფად, გარპუნს გადახედა, ხელი მოკიდა, ზურგზე უნდა გადაეკიდა და გადაიფიქრა, უკან დადო, დანას დაწვდა, გვერდით უჯრა გამოაღო და სილიკონით გაწმინდა, ზედმეტად დიდხანს გამოუვიდა წმენდა, მიხვდა, რომ დროს ჭიმავდა. ადგა, დანა ქარქაშში ჩააგო. ლასტებს მოკიდა ხელი, ნიღაბი, ტრუბკა, კომბინიზონი, ჟილეტი და სიმძიმეები აკრიფა, ფარანი შეამოწმა და ყველაფერი ნავში ჩაყარა, კიდევ ერთხელ გადაათვალიერა,რამე ხომ არ მრჩებაო,ნავს ნელა მიაწვა, ზღვაში შეაცურა, ცდილობდა,რაც შეიძლება ნაკლებად ეხმაურა, ზღვა კი ჯიუტობდა, თითქოს არ უშვებდა ნავს, - არ გინდა!- ჩაესმა უცაბედად, გაოგნდა, მიაყურადა, თითქოს მხოლოდ ტალღების ხმა არღვევდა მყუდროებას ირგვლივ, მიმოიხედა, სახლს გახედა და ბავშვის ფანჯრებს დაადგა თვალი, "ფეხებზე მკიდია",გაიფიქრა და მთელი ძალით მიაწვა ნავს. ტალღები გაქრა და ღრმად შეაცურა ზღვაში, უკან მიჰყვა და შეახტა, ნიჩბებს დაწვდა, არ უნდოდა, ვინმეს ძრავის ხმა გაეგო, ძალუმად მოუსვა. ერთი საათი მაინც დამჭირდება რიფამდე, გაიფიქრა, ისე უსვამდა ნიჩბებს, თითქოს მთელი ბოლმა მათზე უნდოდა ამოეყარა. "შავი კუნძულიდან" შუქურა გამოჩნდა, დრო როგორ გავიდა, ვერც კი შეამჩნია, ირგვლივ მიმოიხედა, მარჯვნივ "მგლის ყური" ჩანდა, მეორე მხარეს კი ბოდრუმის ღამის შუქები დალანდა, ეგაა, ზუსტად ადგილზე ვარ, გაიფიქრა. ნიღაბი გაიკეთა და წყალში ჩაანათა. რიფმა შუქი აირეკლა და ფანტასტიურმა სილამაზემ მონუსხა. - არ გინდა! - ახლაც მკაფიოდ გაიგონა, გააზრებაც კი ვერ მოასწრო, ისე ამოწყვიტა თავი წყლიდან, გული ლამის მკერდიდან ამოვარდნოდა, ნიღაბი გვერდზე მიაგდო და ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, ნელნელა დაწყნარდა, თავს მოერია და კომბინიზონის ჩაცმა დაიწყო. უცბად ჩაიცვა, დაყოვნება აღარ იქნებოდა, უკვე თენდებოდა, მალე სანაპირო დაცვაც გამოივლის - გაიფიქრა, ბალონზე ჟილეტი მიამაგრა და ლასტები ჩაიცვა, დანა შეამოწმა, ნიღაბში ჩააფურთხა და შუშაზე გაზელა, შემდეგ წყალში გაწმინდა, სახეზე მოირგო და რეგულატორი პირში ჩაიდო, ჰაერი შეამოწმა, მარჯვენა ხელით რეგულატორი და ნიღაბი მიიმაგრა სახეზე და ნავს თავუკუღმა გადაევლო...

ცივია წყალი, პირველი ეს აზრი მოუვიდა თავში, შემდეგ გაახსენდა, რისთვის იყო მოსული და სწრაფად დაიწყო დაშვება, ფარანი ჩართო და რიფი შეათვალიერა. მეორე მხარეს გაცურა და კედელს ჩაუყვა, არ უნდოდა იმაზე ეფიქრა, რაზეც აგერ უკვე მთელი კვირაა ფიქრობდა, მაგრამ წარმოსახვა თვითონ უხატავდა სცენებს და ეს აგიჟებდა. თავი რომ შეექცია, რიფს მიანათა შუქი და ათასგვარმა ფერმა ერთბაშად იფეთქა და დააბრმავა, ტირილი მოუნდა, გაახსენდა პირველი ღამის ჩაყვინთვა, მაშინაც სიხარულისგან ნიღაბი ცრემლებით ჰქონდა სავსე, მაგრამ ახლა სასიხარულოდ აღარ ჰქონდა საქმე. არ გინდა, არ გინდა, არ გინდა... - უცაბედად კივილი დაიწყო ირგვლივ ყველაფერმა, ათასგვარმა თევზმა წრე შეკრა მის ირგვლივ და ქაოსში გადაიზარდა მათი ყოველი მოძრაობა. შეეშინდა, არასოდეს ენახა ეს სამყარო ასეთი შეშლილი და მიხვდა, რომ მიზეზი თვითონ იყო. შეჩერდა, კლდის ქიმს წაავლო ხელი და ზევით აიხედა. დავბრუნდეთ, გაიფიქრა, მაგრამ ბავშვის სახე წარმოუდგა თვალწინ და მიხვდა, რომ სხვაგარად არ შეეძლო, ხმებიც გაქრა, ქვემოთ ჩაიხედა, ჩაანათა - სიცარიელე - თუმცა კი ფსკერი კარგად ჩანდა, მაგრამ ის არსად იყო, გამოქვაბულს მიანათა, არ არის - გაიფიქრა, - გამოქვაბულის წინ იქნება თავის სილის ორმოში და ახლა იქითკენ გადაიტანა სინათლის სხივი, ორმოც ცარიელი დაუხვდა... ულონოდ დაეშვა ფსკერზე და ირგვლივ თვალი მოავლო,არსად ჩანდა. უძლურად ჩაჰკიდა თავი და ატირდა,დიდხანს იტირა, ყოველ შემთხვევაში, თვითონ დროის შეგრძნება დაკარგა, თვალები დახუჭა და ისე ტიროდა. უცებ ზურგიდან ჩაესმა - მე აქ ვარ.

თავი ასწია, მაგრამ უკან ვერ მიაბრუნა, არ უნდოდა მისთვის თვალებში ჩაეხედა.

- მე ვიცი, რისთვისაც მოხვედი.

თვალები გაუშეშდა და კლდეზე ერთ წერტილს მიაშტერდა, ძლივს ამოღერღა:

- მაპატიე...

- ჩემი სიცოცხლე შენ გეკუთვნის... მას შემდეგ, რაც გადამარჩინე; რომ არ დაგჭირვებოდა, არ მოხვიდოდი.

- ჩემთვის არ მინდა.

- ვიცი, შენ სიცოცხლე მაშინ ჩემთვის გაწირე, მე ბებერი ვარ, მაგრამ არაფერი მავიწყდება.

- ჩემი ბავშვისთვის მჭირდება შენი სიკვდილი.

- ისიც შენნაირია?

- არა, ის ვერასოდეს ჩამოვა აქ.

- იქ, თქვენთან, ზევით, როგორია?

- ძალიან ლამაზია.

- უფრო ლამაზი, ვიდრე აქედან მზე?

- კი, ის მზეს ეთამაშება და მზე მას.

- მზე ძალიან ლამაზია.

- ხო, მზე ძალიან ლამაზია.

- კარგი, მე ბებერი ვარ და ის - მზეზე ლამაზი, აქ, ძვლების სასაფლაოზე წოლა არასოდეს მინდოდა, ჩემს მეგობარს მივეხმარები, მზეზე ლამაზი რომ გადაარჩინოს.

ფარფლები მოუსვა და მის წინ გამოცურდა. ჰარკანმა თვალებში ჩახედა, არტურამაც თვალი თვალში გაუყარა და გაუღიმა.

- დაწყნარდი, ასეა საჭირო.

- მაპატიე.

- გპატიობ, მაგრამ ზღვა არ გაპატიებს არასოდეს.

- სხვა გზა არა მაქვს.

- გაქვს, მაგრამ მე მაინც გპატიობ.

ამოიოხრა არტურამ, ჰარკანმა ხელი მოხვია, არტურა შეფართხალდა და უკან დაიხია, მაგრამ იმწამსვე მოცურდა და თავი მორჩილად დაადო მუხლებზე.

- ნუ ტირიხარ, ასეა საჭირო, მე შენ მიყვარხარ და მალე ისევ განახავ, მეგობარო.

- მე შენ მიყვარხარ და მალე ისევ განახავ, მაპატიე, მეგობარო.

ჰარკანმა დანა ამოიღო...

- არა, არა, ზემოთ ამიყვანე და იქ, აქ არა, არ მინდა სხვებმა დაინახონ, ხომ ხედავ, ყველა ჩვენ გვიყურებს, წავიდეთ ზემოთ, დაე იფიქრონ, რომ მე თვითონ გამოგყევი, თან ამ იდიოტმა მურენამაც არ მინდა დაინახოს, გაუხარდება, რომ როგორც იქნა, გამოქვაბული გათავისუფლდა, დიდხანს იცეკვებს.

ნელ-ნელა აცურდნენ, არცერთს ხმა აღარ ამოუღია, ჩუმად ამოდიოდნენ და ჰარკანმა შეატყო, როგორ ემშვიდობებოდა არტურა ირგვლივ ყველას და ყველაფერს და უცბად საოცარი სიცარიელე იგრძნო, და ისიც იგრძნო, თუ როგორ გაუქრა ის ტანჯვა სხეულიდან, ამდენი ხანი რომ აწამებდა...

გვერდიგვერდ მიცურავდნენ მეგობრები: ჰარკანი და არტურა, ადამიანი და თევზი...

## დასასრული ანუ აღსასრული

ნავი ნაპირს მიაყენა, მიმოიხედა, გათენებამდე ჯერ კიდევ ადრე იყო, კაციშვილი არ ჩანდა, თუმცა კი, უკვე სულერთი იყო მისთვის,დაინახავდა ვინმე თუ არა, ნავიდან გადმოხტა და პირდაპირ სანაპიროზე მდგარ თევზის რესტორან "თეთრ დელფინში" შევიდა.

- ალი ნერდე? - იკითხა (ალი საითაა?).

კაბინეტისკენ მიუთითეს, კარები შეაღო და მიესალმა:

- გიუნაიდენ!

- გიუნაიდენ ალი აბი, ნეოლდუ? (რა მოხდა?)

- გამომყევი.

- ნერდე? (სად? რატომ?), გაიკვირვა ალიმ.

- შენც კარგად იცი, რატომ, მე არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი, - უპასუხა ჰარკანმა.

- შეენც, ჰარკან? გაკვირვება ვერ დამალა ალიმ, შენ ხომ არასდროს...

- ახლა მაგის დრო არ არის, წამო!

ნავთან მივიდნენ, ალიმ ჩაიხედა.

- ალა, ალაა... - გაკვირვებისგან სუნთქვა შეეკრა, - ამხელა არაფერი მინახავს, - ჰარკან, ეს ჩვენს შორის უნდა დარჩეს, ხომ იცი, რომ გამიგონ...

- ვერავინ გაიგებს.

- ფულს ახლავე გამოგიტან.

- არ არის საჭირო, შევკეტს მისცემ საავადმყოფოში, ეტყვი, რომ ჩემი ბავშვის მკურნალობისაა... სხვა გზა არ მქონდა...

- გასაგებია, ჩაიბურტყუნა ალიმ, - ამ დილითვე მივიტან.

- მიიტან, აბა რას იზამ, - კბილებში გამოსცრა ჰარკანმა.

ალიმ შნირებს დაუძახა, მათაც თევზი ნავიდან გადმოათრიეს და გაკვირვების შეძახილებით რესტორნისკენ წაიღეს, ჰარკანი ამ დროს ზღვას მიშტერებოდა, მერე ნავს მიაწვა, ზღვაში შეაცურა და შიგნით ჩახტა.

- კარგად აბა! - მიაძახა ალიმ.

- სითქირ გით! (წადი შენი) - გაიფიქრა ჰარკანმა.

- მადლობა! - უპასუხა და ძრავა აამუშავა, გეზი რიფისკენ აიღო.

ზღვაში უკვე გამოსულიყვნენ დაივგემები, არ უნდოდა, ვინმეს თვალში მოხვედროდა, მაგრამ მაინც შეამჩნიეს, "crystaldiving"-დან, თოლგამ ხელი დაუქნია, ჰარკანიც საპასუხოდ მიესალმა. ნავი რიფის ბოლოში გააჩერა, ყველა სხვა გემებისგან გაცილებით შორს, მიმოიხედა, ვინმე ხომ არ მიყურებსო, თოლგას გაკვირვებული მზერა შეამჩნია, ვერ მიმხვდარიყო, თუ რატომ იყო სამუშაო დღეს ჰარკანი ნავით მარტო გამოსული, ჰარკანმა ორივე ხელი თავს ზემოთ შეკრა, თოლგამაც იმავე ჟესტით უპასუხა და გაბრუნდა. ჰარკანმა თორმეტი კილო ტყვიის სიმძიმე მიამაგრა ქამარზე და წელზე შემოირტყა, მზეს ახედა და ნავს გადაევლო... ქამარმა საოცარი სისწრაფით ჩაითრია, ქვასავით დაეშვა, თვალწინ ათასგვარმა სილამაზემ გაუელვა, ესეთი მშვენიერი აქაურობა არასოდეს ენახა, სულ უფრო და უფრო ღრმად ეშვებოდა, წნევის გათანაბრებას ველარ ასწრებდა, უჰაერობისაგან პირველი სპაზმები დაეწყო, შორს დელფინის სილუეტი დალანდა, პატარა ლიფსიტამ ნიღაბთან გაუელვა. რაც უფრო ღრმად ჩადიოდა, მით უფრო სწრაფად ეშვებოდა, წყვდიადი შემოიჭრა სიღრმეში, მზის სხივები რვაფეხას საცეცებივით დაიკლაკნენ. წნევას უკვე აღარ ათანაბრებდა, ტკივილისაგან ყრუდ დაიღმუვლა, მარჯვენა ყურის ბარაბანი გაუსკდა, პირში სისხლის გემო იგრძნო, ნახვამდის! - გაიფიქრა და გონება დაკარგა...

- გამარჯობა მეგობარო! - მოესმა...

არც არასოდეს მანამდე და არც მას შემდეგ, ბოდრუმელებს ასეთი გახელებული ზღვა არ ენახათ, ზღვა მეგობრებს გლოვობდა.

**შენიშვნები:**

* დაივერი - მყვინთავი აკვალანგისტი.
* ბოდრუმი - დასახლება სამხრეთ თურქეთის სანაპიროზე (ეგეოსის ზღვა).
* აზოტის ნარკოზი - სიღრმეში, წნევის ქვეშ, აზოტი ჰაერის შემადგენლობაში ტვინზე გამაბრუებლად მოქმედებს.
* ლაპარაკია წყალქვეშა კომპიუტერზე, გამოიყენება დეკომპრესიასთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან აცილების მიზნით.
* პონი-ბალონი - მცირე მოცულობის ბალონი.
* აკვალანგი - ავტონომიური სასუნთქი აპარატი, ძველად გამოიყენებოდა ზედაპირიდან ხელით ჰაერსაქაჩი აპარატი, რომლითაც ჰაერი მილით მიეწოდებოდა მყვინთავს, რაც მისი მოძრაობის თავისუფლებას მნიშვნელოვნად ზღუდავდა.
* სოლო - მარტოსული.
* გრუპერი - თევზის სახეობა, გამოირჩევა დიდი ზომებით და ჭკვიანი თვალებით.
* სიღრმეზე წითელი ფერი მწვანედ ჩანს - საერთოდ, ფერები მწვანისა და ლურჯის გარდა საკმაოდ მალე იკარგება წყალქვეშ, განსაკუთრებით წითელი და მხოლოდ ხელოვნური განათების შემთხვევაში, ფარნით ან პროჟექტორით შეიძლება ფერების გარჩევა.
* 150 ბარი - ატმოსფერული წნევის ერთეული.
* სილიკონის ნიღბები ადვილად იორთქლება წყალქვეშ, ნერწყვი კი შუშაზე დამცავ შრეს წარმოქმნის.
* მურენა - წყლის მტაცებელი, გამოირჩევა ბასრი კბილებით.
* თავს ზემოთ შეკრული ორივე ხელი დაივინგში ნიშნავს - O.K.-ს.



არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

კაისა ებერგ ლინდსტენი

# ასტრიდ ლინდგრენი და შვედეთის საზოგადოება

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე შვედეთის პერიოდიკაში ყოველწლიურად გაისმოდა მოწოდებები ასტრიდ ლინდგრენისათვის ნობელის პრემიის მინიჭების შესახებ. განა ის მსოფლიოს ერთ-ერთი დიდი მწერალი არ იყო? ან იქნებ ყველაზე გამოჩენილიც კი?

მაგრამ საბავშვო მწერლებს ნობელის პრემიას არასოდეს ანიჭებდნენ. რაღაც მიზეზთა გამო საბავშვო ლიტერატურა საზოგადოდ ლიტერატურას არ ეკუთვნის. ის განკერძოებულია და ცალკე მდგომი. საინტერესო კია, რატომ. იქნებ იმიტომ, რომ საბავშვო ლიტერატურის წინაშე ტრადიციულად არა მხოლოდ ლიტერატურული ამოცანები დგას. ამ ლიტერატურის ფუნქცია პედაგოგიურიცაა: საბავშვო წიგნმა უნდა აღზარდოს ბავშვები, აზიაროს მშობლიურ ენას, სოციალურ ნორმებს, გაუღვიძოს განსაზღვრული ემოციები და მიაგნოს იმ სიტყვებს, რომელთა მეშვეობითაც სათქმელი უნდა გამოითქვას. ამისდა კვალად, საბავშვო ლიტერატურა უფროსთათვის განკუთვნილ ლიტერატურაზე უფრო მეტად ასახავს იმ საზოგადოებას, რომელშიც იქმნება. მაშასადამე, ის არამარტო ესთეტიკური ფენომენია, არამედ საზოგადოებრივი მოვლენაცაა.

საბავშვო ლიტერატურის კრიტიკოსთა მდგომარეობა კი საკმაოდ რთულია. დემოკრატიულ საზოგადოებაში ხელოვნება თავისუფალია, ასეთივეა მხატვრული კრიტიკა. ტაბუს დარღვევა და ახალი გზების გაკაფვა მხატვრული შემოქმედების კანონიერი პრეროგატივაა. ამავე დროს, საბავშვო კულტურა სხვაგვარ დღეშია. ლიტერატურა აქ საზოგადოების განვითარებას სდევს კვალში. ახალი ფორმები საზოგადოებრივ კლიმატს ქმნის - და საბავშვო ლიტერატურა სწრაფად ითვისებს მას. ყოველ შემთხვევაში, შვეციაში ასეა. საბავშვო ლიტერატურის კრიტიკოსი აღმოჩნდება ხოლმე სიტუაციაში, როცა მან უნდა შეაფასოს წიგნის ღირსება, მისი უნარი სინამდვილის ასახვისა. და განსაზღვროს რამდენადაა ის ბავშვისთვის ღირებული.

1945 წელს გამოიცა ასტრიდ ლინდგრენის წიგნი "პეპი გრძელწინდა". იმხანად ბავშვის აღზრდის თემა ძალზე აქტუალური იყო შვეციაში. განახლებული სოციალური პოლიტიკა ყოველმხრივ უჭერდა მხარს ძლიერ ოჯახს და ბავშვთა დაბადებას. დამატებით იყო მსჯელობა იმაზეც, როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს უკვე შობილი ბავშვების მდგომარეობა. ინგლისურ ყაიდაზე იხსნებოდა საბავშვო ფსიქიატრიული კლინიკები და 1947 წელს დაარსდა საბავშვო სოფელი სკო, სადაც პრობლემატური ბავშვების აღზრდის საკითხებს ამუშავებდნენ, მალე კი ოჯახების მოვლა იტვირთეს. ახალგაზრდა ჟურნალისტი ლიზ ასკლუნდი რადიოგადაცემებს უძღვებოდა ინვალიდი ბავშვების სახლებიდან. ის ეთერს თავად ბავშვებს უთმობდა.

ამ კეთილქმედებამ ის შედეგი გამოიღო, რომ მრავალი დაწესებულება დაიხურა. მას აქეთ, რაც გაუზარდეს დახმარება მარტოხელა დედებს და ინვალიდებს, ბევრი ბავშვი, რომელთაც ადრე საგანგებო დაწესებულებებში აგზავნიდნენ, თავთავიანთ ოჯახებში იზრდება. ბავშვთა სახლებში მათი რაოდენობა მკვეთრად შემცირდა.

იმავდროულად საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი პედაგოგიური ექსპერიმენტების მიმართ. საჭირო იყო საკუთარ თავში დაჯერებულ, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანთა ინიციატივა. მშენებარე ინდუსტრიულ საზოგადოებაში ბავშვთა საზრიანობა უფრო ფასობდა, ვიდრე დამჯერობა.



გამომცემლისადმი მიწერილ წერილში, რომელიც დაერთო "პეპი გრძელწინდას", ასტრიდ ლინდგრენი იშველიებს ინგლისელ ფილოსოფოსს ბერტრან რასელს: "რასელთან წავიკითხე, რომ ბავშვის ფსიქოლოგიის მთავარი ნიშანი არის მისწრაფება ზრდასრულობისაკენ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს ძალაუფლების წყურვილია". გამომცემლობამ წიგნის გამოცემაზე უარი თქვა. ერთი წლის შემდეგ იგივე გამომცემლობა მწარე სინანულს მიეცა, ვინაიდან წიგნი სხვა გამომცემლობაში გამოიცა და ბესტსელერად იქცა. ბავშვები გიჟდებოდნენ პეპის ონავრობებზე, თანადროული კრიტიკა კი აღნიშნავდა ბავშვთა ფსიქიკაზე კეთილისმყოფელ ზემოქმედებას. "პეპი გამოგონილი პერსონაჟია, ის ახორციელებს ბავშვურ ოცნებას ყოველგვარი აკრძალვების დარღვევის შესახებ, გრძნობს თავის ძლიერებას და რასაც უნდა, იმას სჩადის, წიგნი თავდახსნის საშუალებად იქცა ყოველდღიურობისგან და ავტორიტარული რეჟიმისგან - აი, აქ ძევს წარმატების საიდუმლოება", - წერენ საბავშვო ლიტერატურის გავლენიანი სპეციალისტები (გრეტა ბულინი და ევა ვონ ცვეიგბერგი) 1948 წელს. სხვა კრიტიკოსი უფრო ძლიერ ემოციურ აღტკინებას გამოხატავს, როცა "არაჩვეულებრივ ანარქიზმზე" ლაპარაკობს და პეპი "40-იანი წლების თავმომწონე გენიაა, ყოველგვარ პირობებს და საზღვრებს არღვევს".

იყო სხვაგვარი გამოხმაურებები, ნაკლებად კე-

თილგანწყობილი. ერთმა პროფესორმა აღშფოთებული სტატია გამოაქვეყნა, სადაც პეპის სულით ავადმყოფი უწოდა, არაბუნებრივად მიიჩნია მისი ხასიათი და ქცევა, და ამასთანავე, ეს წიგნი სულიერი სიმახინჯის გამომწვევ ფაქტორად შერაცხა.

ეს გამკიცხავი თვალსაზრისი დიდხანს ბოგინებდა კონსერვატულ წრეებში. 1995 წელს ყოველდღიურ გაზეთში დაბეჭდილ სტატიაში ნათქვამი იყო, რომ "პეპით აღტაცებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა: სკოლა, ოჯახი, ნორმალური ყოფაქცევა. თავლაფდასხმულია წესრიგი, პატივისცემა, ზრდილობა. ხოტბაშესხმულია ეგოიზმი და ეგოცენტრიზმი, რეალობის უგულებელყოფა და გაქცევა სინამდვილიდან. გონიერების მაგივრად ავტორი თავშეუკავებლობას ადიდებს". ეს სტატია გამოქვეყნდა 8 მარტს, ქალთა დღეს, რაც თავისთავად ცხადია, აღნიშვნის ღირსია. აქ ამოიკითხებოდა დაპირისპირება ფემინისტი ქალების მიმართ, რომლებმაც პეპის ბავშვობა სანიმუშო ქალის ბავშვობად დასახეს.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ პეპის ამჯერადაც გამოუჩნდნენ მრავალრიცხვოვანი ქომაგები და მხარდამჭერები. მართალია მრავალ ონავრობას სჩადიოდა ეს თავმომწონე გოგონა, მაგრამ მუდამ უხინჯო გულით, სითბოთი და პასუხისმგებლობის გრძნობით იზიდავდა ადამიანებს. პეპის ბევრი რამე აქვს საერთო განვლილი ათწლეულის ონავარ პერსონაჟ გოგონებთან. ვთქვათ, პოპულარულ ანასთან ("ანა გრენკულიდან", 1998), რომელიც კანადელმა მწერალმა ქალმა ლ.მ.მონტგომერიმ აჩუქა მკითხველს. არც იმის დავიწყება ეგების, რომ "პეპი გრძელწინდას" დაწერამდე ასტრიდ ლინდგრენმა ორი თავშესაქცევი და აქტუალური წიგნი დაწერა გოგონებისთვის.

პეპისთან დაკავშირებული ყველა დისკუსია არაჩვეულებრივად საჭირბოროტო გამოდგა: დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონით განმტკიცებული საყოველთაო ქველმოქმედების მოძველებული ნორმების გადასინჯვა ყველასთვის არსებითი იყო. 1952 წლის გამოცემას ასტრიდ ლინდგრენმა კიდევ ერთი თავი დაუმატა, რაც დროის მოთხოვნამ განაპირობა.

მწერალ ქალს არაერთხელ განუცხადებია, რომ ყველა მისი წიგნი მისივე ბავშვობის გახსენებაა. ლინდგრენი ამბობდა, ჩემი ბავშვობის წლები ბედნიერი იყოო. ბიულერბიუზე დაწერილი წიგნები ჰარმონიით და იდილიით არის აღსავსე. ისინი შეიძლება მოსაწყენიც კი გვეჩვენოს. მოსაწყენობას ბავშვის ფსიქოლოგიაზე და ქცევაზე ზუსტი დაკვირვებები აქარწყლებს. საკვირველია, რა ბრძნულად და თანამედროვედ ამყარებენ ურთიერთობებს ამ წიგნში მშობლები შვილებთან.

თხრობა რვა წლის გოგონას მეშვეობით მიმდინარეობს. აქ კარგად ჩანს მწერლის გამოცდილება და მისი ღრმა დაინტერესება ბავშვთა აღზრდის პრობლემებით. თამაშის მნიშვნელობა არაერთხელ არის ხაზგასმული. წიგნის ნორჩმა გმირებმა იციან, რომ ბავშვებთან საუბარი თბილი და ალერსიანი უნდა იყოს: "ასეთ დროს ისინი დამჯერნი არიან. ასე წერდნენ გაზეთში ამ დღეებში".

ბიულერბიუს სამოთხისეული იდილია ტრ იორგიაში XX საუკუნის პირველი წლებით არის ნასაზრდოები. ზღაპრების კრებულში "ცეროდენა ნილს კარლსონი" 1949 წელს ლინდგრენს ბავშვის ახალი ტიპი შემოჰყავს თხრობაში – მარტოსული, უბედური და ავადმყოფი. ეს ბავშვი მოკლებულია თამაშის ბედნიერებას. აქ პირველად ჩნდებიან გამოგონილი მეგობრები.

ამ წიგნში მონიშნულია ლინდგრენის სამომავლო შემოქმედების თემები. მოგზაურობა ბინდბუნდის ქვეყნებში – სინათლესა და წყვდიადს შორის ან ასტრიდ ლინდგრენის სიტყვით რომ ვთქვათ, "ქვეყანაში, რომელიც არ არსებობს", ანუ სიკვდილის ქვეყანაში ერთი ამგვარ თემათაგანია. აქვე წარმოჩნდება პირველად ლირიკული ინტონაციის და დიალოგების მონაცვლეობა. ეს სტილისტური თამაში კიდევ ერთხელ შეგვხვდება მწერალთან, როგორც ზღაპრის ფორმა. იმავე 1949 წელს ასტრიდ ლინდგრენმა დაბეჭდა მოთხრობა ცხრა წლის ბიჭზე, რომელიც აიჩხლმა მშობლებმა იშვილეს. ის სტოკჰოლმში ცხოვრობს ტაგნერის პარკის სიახლოვეს. ხუთი წლის შემდეგ ამ ისტორიამ გაგრძელება ჰპოვა წიგნში "მიო, ჩემი მიო!". ეს შესანიშნავი ზღაპარია, სიკეთის და ბოროტების შესახებ დაწერილი. აქ პათეტიკური რომანტიკული რიტორიკა ერწყმის ბიჭის უშუალო რეაქციებს. ბიჭი შიშით, მარტოობის ტანჯვით, მშვენიერებისადმი ლტოლვით არის შეპყრობილი. ვარდის ბაღში გალობს მწუხარე ჩიტი გორიუნი. ჟღერს ექო ორუელის საშიში სურათებისა ("1984") და შვედი მწერალი ქალის კარინ ბოიუსი ("კალოკაინი"). გარდა ამისა, წიგნში ძალიან შთამბეჭდავად არის აღწერილი ნამდვილი მამისადმი აღძრული დარდი, რომელიც გვერდიგვერდ დაჰყვება შვილს და სამზარეულოს მაგიდაზე აწყობს თვითმფრინავის მოდელებს. "მიო, ჩემი მიო" აღფრთოვანებასაც იწვევდა და მწვავე კრიტიკასაც. ერთგვარი გაბედულება იყო ასეთი წიგნის შექმნა ოპტიმისტურ და იდილიურ 50-იან წლებში. ზოგიერთები ამ წიგნს დესტრუქციულად და პესიმისტურად მიიჩნევდნენ. 1987 წელს ამ წიგნის მიხედვით გადაიღეს ფილმი (მონაწილეობას იღებდა რუსი რეჟისორი ვლადიმირ გრამატიკოვი).

1955 წელს გამოჩნდა მხიარული და ხალისიანი წიგნი "ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი". აქ მფრინავი ბატონი ლილიონკვასტი წიგნიდან "ცეროდენა ნილს კარლსონი" აღარ იხურავს ბოლოწამახულ შლიაპას, გამოეთიშა სიკვდილის სამეფოს და "მსოფლიოში საუკეთესო კარლსონად" იქცა. ის სასაცილო, სქელი და თვითკმაყოფილია, ზურგზე პროპელერი აქვს მიმაგრებული. კარლსონი შეუცვლელი მოთამაშეა და ბავშვების მესაიდუმლე, ამ ნიშნით იგი პეპის წააგავს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კარლსონი პეპი გრძელწინდასავით მზრუნველი და თანამგრძნობელი არ არის. ის მხოლოდ თავისთავზე ფიქრობს. მასთან ყოფნა კარგია, თუმცა თამაში ცოტა ძნელიცაა. და მაინც, წიგნის მთავარი გმირი მორცხვი, ფიქრიანი, მგრძნობიარე ბიჭია. ბიჭი ცხოვრობს 50-იანი წლების სტოკჰოლმში, ძალზე ჩვეულებრივ ოჯახში, დედასთან და მამასთან ერთად, უფროსი ძმა ბოსე და დაიკო ბეტანიც იქვე არიან. მამა უმეტეს დროს სამსახურში ატარებს, დედა სამზარეულოში საქმიანობს. ბოსე და ბეტანი თავისი თინეიჯერული ცხოვრებით ცხოვრობენ. ტიპური საშუალო კლასის წარმომადგენლები არიან. ბიჭს ევიწროება კეთილმოწყობილი და ფართო ბინა, მას თავისი ოთახიც აქვს. კარლსონს აქვს ბიჭთან მიფრენის შესაძლებლობა. ბიჭი მოწყენილია ხოლმე სახლში და კარლსონის მოსვლას ელოდება. შემდეგ წიგნში "მაწანწალა რასმუსი" ასტრიდ ლინდგრენი კვლავ მიმართავს თავის საყვარელ თემას – ობოლი ბავშვების ყოფაცხოვრებას. რასმუსი იზრდება უპატრონო ბავშვთა სახლში. აკლია სითბო, მზრუნველი ხელი და სიყვარული. აიძულებენ დაამუშაოს კარტოფილის ნათესები, ასწავლიან თავის დახრას და მადლობის გადახდას. რასმუსი ოცნებობს თავის მშობლებთან შეხვედრაზე. მათ ნაცვლად



იგი მაწანწალა ოსკარს ხვდება, რომელიც ზაფხულობით, ორი თუ სამი თვე სოფლის გზებზე დაწანწალებს. ოსკარი ასტრიდ ლინდგრენის ერთ-ერთი შესანიშნავი პერსონაჟია. ეს არის აბსოლუტურად უხინჯო გულის, სამართლიანი კაცი. წიგნში აღწერილია საზაფხულო მოგზაურობა შვედეთის პროვინციაში, აქვე გადმოცემულია ამავე ქვეყნის სოციალური სინამდვილე. ისიც უნდა ითქვას, რომ დროის შესატყვისად ნაწარმოებში დეტექტიური ამბავიცაა ჩართული. 1946 წელს ასტრიდ ლინდგრენის წიგნი "კალე ბლუმკვისტის თავგადასავალი" საუკეთესო საბავშვო დეტექტივად აღიარეს.

სოციალური დაკვირვებებით, მკაფიო ნატურალისტური აღწერებით და მშრომელი ადამიანის თვითმყოფადი სახით "მაწანწალა რასმუსი" გვაგონებს 1930-იანი წლების შვედურ პროლეტარულ ლიტერატურას. გახსენდება ივარ ლუ-იუჰანსონი, აგრეთვე ნათელმხილველი, პოეტი და პროლეტარი მწერალი ხარი მარტინსონი. ზოგიერთი კრიტიკოსი აღნიშნავდა ასტრიდ ლინდგრენის სისხლისმიერ და სულიერ მეგობრობას მხატვარ და მწერალ ალბერტ ენგსტრიუმომთან, რომელიც კარიკატურებთან ერთად სლომანდის პროვინციის მაცხოვრებლებზე წერდა მოთხრობებს.

არ არის გასაკვირი, რომ "მაწანწალა რასმუსის" მიხედვით გადაიღეს ფილმი. მაწანწალა და ბავშვი - კლასიკური თემაა კინოსთვის (ჩაპლინის "ბიჭუნა", "ქაღალდის მთვარე" ბოგდანოვიჩისა). 1959 წელს ასტრიდ ლინდგრენმა დაწერა ოთხი ზღაპრისგან შემდგარი წიგნი - "მზიური მდელო". გამომცემლობა საკმაოდ სკეპტიკურად მოეკიდა წიგნს. ხალხური ზღაპრები არ იყო მთლად მოდაში: საჭირო იყო თანამედროვე ყოფითი იდილია. ერთ ინტერვიუში მწერალი ქალი ლაპარაკობდა იმის შესახებ, "რომ მას სურდა სახალხო სახლის მუნიციპალური პარკიდან წამოეყვანა კარგად ნაკვები, ნაპატივები ბავშვები და მათთვის მიეცა მზიურ მდელოზე ფეხშიშველა სირბილის უფლება. ერთი შვედი მწერალი გაკვირვებული ამბობდა, "ყველაზე თანამედროვე საბავშვო მწერალმა ხალხური ზღაპრის ჟანრული ხერხები გამოიყენაო"; ეგონა, რომ ხალხური ზღაპრები უკვე დიდი ხნის დაძველებული იყო. მან "მზიური მდელო" სენტიმენტალურ საბავშვო წიგნს - "ბავშვები ქვიშის გორაკებიდან" - შეადარა.

"მზიური მდელო" იყო ადექვატური რეაქცია ქვეყანაში მომხდარ ცვლილებებზე. ზოგიერთი კრიტიკოსი იმასაც ფიქრობდა, ეს ასტრიდ ლინგდრენის საუკეთესო ნაწარმოებიაო. მიუხედავად ამისა, მკითხველთა წრეში წიგნი განსაკუთრებული წარმატებით არ სარგებლობდა. ამავე ჟანრს მწერალი თოთხმეტი წლის შემდეგ მიუბრუნდა.

"მადიკენის" (1960) გმირი ქალი ცხოვრობს წყნარ, კეთილმოწყობილ, შეძლებულ ქალაქში. ყოველივე ეს პირველ მსოფლიო ომამდე ხდება, მადიკენი უფრო ფიცხია, ვიდრე ბავშვები ბიულერბიუდან და წიგნიც სოციალურად უფრო ანგაჟირებულია, თუმცა ყოფითი იდილია უფროა, ვიდრე სხვა რამ. მამა მადიკენი - ქალაქის გაზეთის რედაქტორია და კარგად ესმის თანამედროვე სოციალური და პოლიტიკური პრობლემატიკა.

თექვსმეტი წლის შემდეგ დაიწერა გაგრძელება - "მადიკენი და პიმსი იუნიბაკენიდან" (1976), აქ მამის ანგაჟირებულობა უფრო აშკარად ჩანს. ეს რომანი არ შეიძლება ჩაითვალოს "პოლიტიკურ" ან "სოციალური პრობლემატიკის" რომანად. და მაინც, ამ წიგნში იგრძნობა ახალი ქარის ქროლა: 70-იან წლებში პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემატიკას საბავშვო წიგნებშიც აღბეჭდავდნენ. ამავე რომანში ბავშვს პირველად გაუცხადდება უფროსი ადამიანების ინტიმური ცხოვრების საიდუმლოებანი. მადიკენის დედა ცუდად გრძნობს თავს ფეხმძიმობისას. მამა თანაუგრძნობს მას და ეკითხება

– მე ხომ არა ვარ დამნაშავეო. რაზედაც დედა პასუხობს: "ვინ არის დამნაშავე, თუ არა შენ, და ეს შესანიშნავად იცი!" საერთოდ, მადიკენის მშობლები მეორე წიგნში გაცილებით უფრო მომხიბლავად არიან წარმოდგენილნი, ვიდრე პირველში. მათი სიყვარული ერთმანეთისადმი ისეთივე არაჩვეულებრივია, როგორც თვითონ ასტრიდის მშობლების ურთიერთობა აღწერილი ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში "სამუელ ავგუსტი სევედსტორპიდან და ხანა ხულტში" (1957).

1963 წელს გამოქვეყნდა რომანი "ემილი ლიონებერგიდან". ასტრიდ ლინდგრენი აღიარებდა, რომ ეს მისი ყველაზე საყვარელი პერსონაჟი იყო და დაუსრულებლად უნდოდა ხორცი შეესხა მისთვის. ტრილოგიის მოქმედება მიმდინარეობს სმოლანდში XIX საუკუნის მეორე ნახევარში. პირველი ნაწილი – საბავშვო წიგნია. გმირი ხუთი წლისაა და გამუდმებით ონავრობს. მეორე ნაწილში ის უკვე დავაჟკაცებულია და მამასთან დაპირისპირებამ ნამდვილ მეამბოხედ აქცია. ერთხელ შაბათ საღამოს სარდაფის სხვენში ისე დაიღრიალა, რომ მისი სიტყვები მთელ ასიონენბერგს მოეფინა: "ამ საღამოს სადურგლო დაინგრევა და მე აქ აღარასოდეს ვიჯდები". ემილში სოციალური პათოსი იღვიძებს, ის ღარიბებისთვის მართავს ნადიმებს. მან იცის, რომ დედას გაუხარდება, რადგან კეთილია, მამა უფრო ხელმოჭერილია.

ბოლო წიგნი ემილზე "ლიონენბერგელი ემილი ცოცხალია!" (1970) ალბათ ყველაზე საინტერესოა. ემილის სახე აქ საბოლოოდ ჩამოყალიბდა და გამოიკვეთა. მთავარი თემა წიგნისა არის ემილის სიახლოვე გამრჯე და ხელმარჯვე ალფრედთან. ამ სიახლოვის მეშვეობით ემილი მამის ზეგავლენას ძლევს და მის უნებლიე აღფრთოვანებასაც იმსახურებს.

ბოლო თავი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ მიჰყავს ემილს ქარბუქში ტყის გავლით ავადმყოფი ალფრედი ექიმთან. აქ ერთმანეთს შეერწყა ყველაფერი: პოეზია და რეალიზმი, მიწიერი და ამაღლებული, ბავშვის უმწეო ცრემლები და პირველყოფილი ადამიანის ყიჟინა. ამ ეპიზოდში იგრძნობა მსგავსება ლევ ტოლსტოის მოთხრობასთან "ბატონი და მოჯამაგირე". ამ მოთხრობაშიც ხომ ქარბუქი და თავგანწირვა ერთმანეთშია გადაქსოვილი.

1973 წელს მკითხველმა მიიღო ასტრიდ ლინდგრენის ყველაზე აღიარებული წიგნი "ძმები ლომგულნი". აქ მწერალმა ქალმა შეაერთა ყველა თემა და იდეა, რომელიც ოდესმე თავის შემოქმედებაში შეხვედრია – სიყვარული, სიკვდილი, კეთილის და ბოროტის ბრძოლა, თავგადასავლები და ფათერაკები. პოეტურ აღფრთოვანებას ცვლის ნატურალისტური განცდები.

1970-იან წლებში შვედეთში საკმაოდ პოლიტიზირებული ატმოსფერო იყო. ესთეტიკა კულტურაში უკანა პლანზე გადავიდა და ადგილი პოლიტიკას დაუთმო. ასტრიდ ლინდგრენს "ნაკლი" გამოუძებნეს და მისი გმირები ელიტარულებად და ინდივიდუალისტებად შერაცხეს. არადა, ამბობენ, რომ "ძმები ლომგულნი" ყველაზე პოპულარული წიგნია შვედეთის საბავშვო საავადმყოფოებში. ექიმები ამ წიგნსი წაკითხვას ურჩევენ დაავადებულ ბავშვებს, ვინაიდან დამამშვიდებელი ზემოქმედების ფაქტორს ითვალისწინებენ.

1976 წელს ასტრიდ ლინდგრენი თვითონ ჩაერთო პოლიტიკურ პოლემიკაში. მწერალმა ქალმა დაწერა სატირული ზღაპარი ქალ პომპერიპოსზე და შვედეთის საგადასახადო კანონმდებლობაზე, რომელიც ახრჩობდა მცირე ბიზნესს. ლინდგრენის აზრით, შვედეთის სოციალ-დემოკრატიამ დაივიწყა თავისი იდეალისტური სათავეები და უმნიშვნელო წვრილმანად გადაიქცა. მომდევნო არჩევნებისას სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ მარცხი იწვნია. ამაში ასტრიდ ლინდგრენის დამსახურებაც იყო.

ცხრა წლის შემდეგ ასტრიდ ლინდგრენმა მიიღო მონაწილეობა დისკუსიაში შინაური საქონლის შესახებ. ახალმა სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ იჩქარა კანონის მომზადება. ამ კანონს "ლინდგრენის კანონი" დაერქვა. მისი მიღება ითვალისწინებდა ჰუმანურ დამოკიდებულებას ხბორებისა და გოჭებისადმი.

ჩვენ მივადექით ასტრიდ ლინდგრენის ბოლო დიდ წიგნს "რონი, ყაჩაღის ქალიშვილი" (1981). ჟანრის თვალსაზრისით ეს ყაჩაღური რომანია, ტყის ზღაპარი, მისი გმირი გოგონაა. რონი და დედამისი ლუვისი უჩვეულო ძალას და სიცოცხლისუნარიანობას ფლობენ. და აქ ნამდვილად ჩანს თანამედროვე გენდერული თეორიების კვალი. "ლუვისი შვილს აჩენდა და მღეროდა. ის ამბობდა, რომ ასე უფრო იოლია ყოფნა და სიმღერის ჰანგით შექმნილი ბავშვიც უფრო ხალისიანი დაიბადება".

ასე და ამრიგად მწერალმა შემოგვთავაზა ბავშვის გაჩენის ალტერნატიული მეთოდი. ამ მეთოდს პროპაგანდას შვედეთში უწევდნენ 1970-1980 წლებში.

ძნელია შეურიგდე იმ აზრს, რომ ასტრიდ ლინდგრენი ჩვენს შორის აღარ არის. როგორ მოვუაროთ მის მემკვიდრეობას? შვედეთის ქალაქებში მოედნებს და პარკებს ცნობილი მწერალი ქალის სახელს არქმევენ. გაჩნდა მოთხოვნა მისთვის სიკვდილის შემდგომ ნობელის პრემიის მინიჭების თაობაზე. ლინდგრენის ოსტატობა იმ დონისაა, რომ ნებისმიერ კრიტიკას გაუძლებს. მის მიერ დახატული საზოგადოება წარსულს ჩაბარდება, მაგრამ ბავშვის ფსიქოლოგიის ღრმა წვდომა, თანაგრძნობა პატარებისადმი და ყოველგვარი სულდგმულისადმი, სამუდამოდ გაჰყვება მის შემოქმედებას ნათელ ნიშანსვეტად.

ასტრიდ ლინდგრენის სიკვდილის შემდეგ გიოტებორგში შედგა პრემიერა საბავშვო ოპერისა, რომელიც შვედი მწერლის ზღაპრის მიხედვით დაიდგა. ეს ზღაპარია "რაინდი ნილსი მუხნარიდან". ნაწარმოები ჰომეროსისეული ეპიურობით არის გაჯერებული, პროზაული რიტმით სუნთქავს და ყველა სხვა ნაწარმოებისაგან განირჩევა.

თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ისააკ ბაშევის ზინგერი

# მათუსალას სიკვდილი



ზაფხულის ერთ ცხელ დღეს მათუსალას წნული კარვისთვის შეეფარებინა თავი. მარტოოდენ ლელვის ფოთოლთა წელსარტყამით შემოსილი მოხუცი ირმის, თხისა და ხარის ტყავებისგან შეკერილ საგებელზე იწვა. მთრთოლვარე ხელს ჟამ-ჟამად იწვდიდა სურისკენ და წყალს სვამდა. ლოყები ყბებზე შესტკნობოდა. ოდესღაც ძლიერი ვაჟკაცი ახლა, ცხრაას სამოცდაცხრა წლის ასაკში, დასაპყრებულიყო. მცხუნვარე მზისგან კანი მთლად გაშავებოდა. ხორცგანლეული სხეული დაწყლულებოდა და დაკოჟრებოდა, ხოლო ამოზნექილი ნეკნები კასრის სალტეებს მიუგავდა.

ხვატისგან რეტდასხმული მათუსალა უკბილო პირით რაღაც აბდაუბდას ჩიფჩიფებდა, მაგრამ სავსებით საღად აზროვნებდა. კარგად იცოდა თავისი ვინაობა - ის იყო მათუსალა, ძე ენუქისა, რომელიც კი არ მომკვდარა, არამედ უფალმა წაიყვანა თავისთან: ერთხელ, ტრამალზე მიმავალი ენუქი უეცრად გაუჩინარდა. ზოგიერთნი ამბობდნენ, მიწამ პირი დააღო და გადაყლაპაო, მაგრამ სხვანი ამტკიცებდნენ, ზესკნელიდან უფლის ხელი ჩამოეშვა და კაცი ცად აიტაცა, რადგან ენუქი ნამდვილად ის ადამიანი იყო, ვინც ღმერთთან დადიოდაო.

მათუსალა იმედოვნებდა, რომ მასაც იგივე ბედი ეწეოდა. უფალი თავისი ღვთაებრივი ხელით აიყვანს მას ენუქთან, ანგელოზებთან, სერაფიმებთან, ქერუბიმებთან... მაგრამ - როდის? ის უკვე ცხრაას სამოცდაცხრა წლისა შესრულდა და იცოდა, რომ ყველაზე ასაკოვანი კაცი გახლდათ ამქვეყნად. მასზე უფროსი იყო მხოლოდ ნოემა, ქალი, რომელიც უხსოვარი დროის წინ თავდავიწყებით უყვარდა. ნოემა, ლამექისა და სელას ასული, დაი რვალისა და რკინის საჭურვლის მჭედლის, თუბალ-კაენისა... ამ ქალს მათუსალა მრავალი საუკუნის წინ შეხვდა, ხოლო შემდეგ მუდამჟამს ვნებით აყრჟოლებდა მისი გახსენებისას... ნატრობდა, კვლავ დაუფლებოდა ნოემას ცხელ წიაღს. ამბობდნენ, თითქოს ნოემას მამა ლამექი კი არა, ერთ-ერთი დაცემული ანგელოზი იყო, რომელიც მოიხიბლა მოკვდავ ასულთა მშვენიერებით და შეიცნო ზოგიერთი მათგანი. მოგვიანებით ნოემა გაქრა. ფიქრობდნენ, რომ ის შეუერთდა დემონთა ბანაკს, ასულებს ლილითისა, რომელიც ადამის ცოლი იყო ასორმოცდაათი წლით ადრე ევას შექმნამდე.

* * *

სიცხისგან ქანცმილეულ, თითქმის სულთმობრძავ მათუსალას რული მოეკიდა. ყოველ ღამით, ხშირად კი - დღისითაც ეზმანებოდა ნოემა. ძლივს განასხვავებდა ზმანებებსა და ღრმა ძილს. თვალებგახელილს, გარდაცვლილი ძმებისა და დების, ვაჟებისა და ასულების ხმები ესმოდა. მათუსალამ თავის ვაჟს ნოემას მამის, ლამექის სახელი დაარქვა. ამ ვაჟის ძეს ნოე უწოდეს. მათუსალას დანარჩენი ვაჟიშვილები შორეულ მიწებზე დასახლდნენ. მისი ასულები გათხოვდნენ მამაკაცებზე, რომელთა სახელები ბერიკაცს აღარ ახსოვდა. თავის მრავალ შვილიშვილსა და შვილთაშვილს ის არასოდეს შეხვედრია და მათ შესახებ არაფერი იცოდა. ადამიანები გაიფანტნენ დედამიწის ვეება სივრცეებზე. ბევრი მათგანი მისდევდა ნადირობას. ისინი ხოცავდნენ ცხოველებს, ჭამდნენ მათ ხორცს, თრიმლავდნენ ტყავს და იკერავდნენ ტანისამოსსა და ფეხსაცმელს. მრავალი კაცი დახელოვნდა მშვილდისრის ხმარებაში და, თუბალ-კაენის მსგავსად, რვალისა და რკინის საჭურველსაც ამზადებდა. მათ დაიწყეს ბრძოლა საკუთარ ძმებთან, რომელთაც ჰკლავდნენ, ისევე, როგორც კაენმა მოჰკლა აბელი. თურმე, იაჰვე ნანობდა, რომ შექმნა ადამიანი, ეს უკეთური არსება. “საბედნიეროდ, თითქმის აღარ მივეკუთვნები ცოცხალთა რიცხვს“, გაიფიქრა მათუსალამ. “მალე აჩრდილთა საუფლოში გადავსახლდები“. ირგვლივ ბუზები და კოღოები ფუთფუთებდნენ, მაგრამ ბერიკაცს მათი მოგერიების ძალა არ შესწევდა.

კარავში ნახევრად შიშველი გოგონა შემოვიდა. მათუსალამ არ უწყოდა, ეს მისი ერთ-ერთი შვილიშვილი იყო თუ რომელიმე მხევლის ნაშიერი. ყველა შემთხვევაში გოგონა მათუსალას მოდგმისა იქნებოდა, რადგან მან თავის ხარჭებად აქცია მხევლები. მოხუცს სურდა, ეკითხა სტუმრისთვის, რა გქვიაო, მაგრამ ყელში ლორწო დაუგუბდა და ხმა ვერ ამოიღო. გოგონამ ფინიკის ნახარშიანი თასი მოიტანა. მათუსალამ დალია ტკბილი წვენი და უეცრად გაახსენდა, რომ მისმა ძემ, ლამექმა შვა ვაჟი, სახელად ნოე. ნოეს, თავის მხრივ, რამდენიმე შვილი ჰყავდა. “სად არიან? რატომ მიმატოვეს? ვინ დამმარხავს, როდესაც სული ამომხდება?“, დრტვინავდა ბერიკაცი.

ანაზდად მის წინაშე შიშველი ნოემა აისვეტა. პირმშვენიერს, სახეზე, მკერდსა და მუცელზე ეფინებოდა ჩამავალი მზის მოწითალო სხივები. მათუსალა შეკრთა, წამოიჭრა და დაკოცნა ქალი.

“შენი სახება თანამყვებოდა განუშორებლად, მე-



ლახვრებოდა გული“, - აღმოხდა მას.

“მეც ნიადაგ შენზე ვფიქრობდი“, - მიუგო ნოემამ.

“სად იყავი, სად დამეკარგე?“

“ჩემს ანგელოზთან, აზაელთან ვიმყოფებოდი, უდაბნოში. მანანასა და ნექტარს გეახლებოდი. დემონები მატკბობდნენ სიმღერითა და როკვით. მიწნავდნენ თმას, აზაელს კი - წვერს; მოჰქონდათ ბროწეულები, ნუშის პური, ფინიკები და თაფლი. ჩანგებსა და დოლებზე უკრავდნენ ჩემ გასართობად. მათმა თესლმა განაპოხა ჩემი წიაღი“.

ამ სიტყვებმა მათუსალას ჭაბუკური ვნება აგრძნობინეს. აღტყინებული კაცი ნდომით უცქერდა თვალწარმტაც სატრფოს.

“განა აზაელი არ ეჭვიანობდა?“ - იკითხა მან.

“არა, არა. დაცემული ანგელოზები ჩემი მონა-მხევლები არიან და ჩემს ფეხთნაბან წყალს სვამენ“.

“რისთვის მოხვედი ამდენი საუკუნის შემდეგ?“

“მინდა, წაგიყვანო პაპაჩემის, კაენის მიერ გაშენებულ ქალაქში, რომელსაც მან საკუთარი ვაჟის სახელი დაარქვა. ხომ გახსოვს, ეს ვაჟი იყო იარედის მამა და მალელელის, მათუსალასა და ლამექის პაპა. მან მოჰკლა კაცი და ჭაბუკი, ხოლო ცოლად შეირთო ადა და დედაჩემი, სელა. მკვლელის ასული და კიდევ ერთი მკვლელის შთამომავალი ვარ“, - განაგრძო ქალმა და ამაყად ასწია თავი. “მკვლელის მიერ დაარსებულ ქალაქში ვცხოვრობ. იქ წაგიყვან, ჩემო მეუფევ. განვერიდოთ იაჰვეს, ამ ეჭვიან, ფიცხსა და შურისმაძიებელ ღმერთს, რომელიც ცდის თავის მსახურთ, შემდეგ კი ულმობლად სჯის მათ. ჩვენ, კაენის ქალაქის ბინადარნი, თაყვანს ვცემთ სატანასა და ლილითს. სატანა და მისი ძმა, ასმოდეოსი ავხორცი ღმერთებია და ასეთივეა მათი ცოლი, ქალღმერთი ლილითი. ისინი ერთგულნი როდი არიან და არც თავიანთი სატრფოებისგან მოითხოვენ ერთგულებას. იაჰვე კი, პირიქით, კრძალავს გრძნობიერ ტკბობას და გამუდმებით შიშობს, რომ ადამის შთამომავლები წაართმევენ ძალაუფლებას. ის აპირებს, წარღვნა მოუვლინოს დედამიწას და მოსპოს ყველა ცოცხალი არსება. კურთხეულ იყოს კაენი, რომლის ქალაქის ბჭეებამდე ვერავითარი წყალი ვერ მიაღწევს“.

მათუსალამ იყუჩა, შემდეგ კი იკითხა:

“საიდან იცი ყოველივე ეს?“

“ბევრი მსტოვარი გვყავს“.

“მეშინია იაჰვესი და მისი შურისძიებისა“, - გაუბედავად წაიდუდუნა კაცმა. “ცხრაას სამოცდაცხრა წლის განმავლობაში მრავალჯერ შევცოდე. დღითა და ღამით მკლავდა შენი სურვილი“.

“კაენის ქალაქში სიძვა ცოდვად კი არ ითვლება, არამედ - უმაღლეს სათნოებად“.

მათუსალას უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ ნოემამ უბრძანა:

“გამომყევი, გავფრინდეთ იქ, სადაც ჩემი სარეცელია“.

ქალმა მკლავები გაშალა და მათუსალა მასთან ერთად ზეაფრინდა. საოცარი შეგრძნება დაეუფლა. გაგონილი ჰქონდა, იაჰვე სასწაულებს უჩვენებსო თავის ერთგულთ, მაგრამ ახლა მანაც, ყველაზე მხცოვანმა ცოდვილმა, იხილა სასწაული.

მათუსალამ იცოდა, რომ დედამიწა უზარმაზარი და მშვენიერი იყო, ამჯერად კი თვითონ დაინახა მთები, ველები, მდინარეები, ტბები, მინდვრები, ტყეები, ბაღ-წალკოტები. სანამ მათუსალა ჭამდა ან თვლემდა, ადამის შთამომავლებმა გააშენეს ქალაქები და სოფლები, გაიყვანეს გზები, ააგეს იალქნიანი გემები. ის ნოემასთან ერთად მიფრინავდა კაენის ქალაქის თავზე, სადაც ბუზებივით ირეოდნენ სხვადასხვა ეროვნებისა და ფერის ადამიანები. ტაძრებიდან გაისმოდა ზარების რეკვა. ქურუმები საკურთხევლებზე ჰკლავდნენ სამსხვერპლო ცხოველებს და იქაურობას სისხლს ასხურებდნენ. ხმალამოწვდილი მეომრები აწამებდნენ და ჰკლავდნენ შებორკილ ტყვეებს. ოქროსა და ვერცხლის სამშვენისებით შემკული სიძვის დიაცნი, რომელთაც მკერდზე ფალიკური სიმბოლოები ეკიდათ, თავიანთ ბინებში ეპატიჟებოდნენ მწყემსებსა და ქარავანთა მარეკებს. ქალაქში ღამე ჩამოწვა და აქა-იქ კოცონები დაანთეს. მოედნებზე შეკრებილი ადამიანები ხარხარებდნენ, იმანჭებოდნენ, ყვიროდნენ, როკავდნენ, ყირაზე გადადიოდნენ. შეშლილი კაცი საზარლად გაჰკიოდა. იქ, სადაც ქალაქი მთავრდებოდა, უდაბნოში, სავსე მთვარის შუქზე, მათუსალამ იხილა ღია ჭიშკარი და ქვესკნელისკენ ჩამავალი საფეხურები. ეს, ალბათ, ჯოჯოხეთიაო, გაიფიქრა. მათუსალა მზად იყო სიკვდილისთვის, მაგრამ მაინც ძრწოდა, თუმცა - ცნობისმოყვარეობასაც გრძნობდა. გაგონილი ჰქონდა, რომ ქვესკნელის ბინადარნი ებრძოდნენ იაჰვეს. სიცოცხლე - არყოფნაა, მხოლოდ სიკვდილია ჭეშმარიტი სიცოცხლეო, აცხადებდნენ ისინი. ჭეშმარიტება არ არსებობს, მარტოოდენ სიცრუეა ჭეშმარიტებაო, აღიარებდნენ. ნოემას დედამ, სელამ, აუწყა თავის ასულს, რომ ბოროტი სულები არსებობდნენ ჯერ კიდევ პირველყოფილ წყვდიადში, სამყაროს შექმნამდე. ისინი თვითმარქვია ღმერთს უწოდებდნენ იაჰვეს, რომელმაც შემუსრა სანას გოდოლები და წაბილწა სამყარო ნათლითა და სიცოცხლით. რა უცნაურია, რომ მათუსალა ხელთ ჩაუვარდა ღვთის მტრებს სწორედ მაშინ, როდესაც მისი სხეული თითქმის მტვრად იყო ქცეული.

ნოემამ მათუსალა თავის სახლში შეიყვანა, და თუმცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბნელოდა, მათ დაინახეს სარეცელზე გაშოტილი ვეება კაცი. ეს იყო აზაელი, დაცემული ანგელოზი. აზაელმა თავი ზანტად ასწია და ჩასისხლიანებული თვალები მიაპყრო შემოსულთ. "მათუსალა ხარ?", იკითხა მან ჩახლეჩილი ხმით. "ნოემა ერთთავად შენ გახსენებდა. საკვირველია, ჩემნაირი ბუმბერაზის ალერსსა და კოცნას მან ამჯობინა კოლო რამ უძლური".

"ის ტანმორჩილია, მაგრამ ნამდვილი მამაკაცის ჟინით მეტრფის, - შეეკამათა ქალი, - "შენი თესლი კი ოდენ წყალია ქაფნარევი".

აზაელი შეიჭმუხნა, წამოდგა და წასვლა დააპირა. ბრძენკაცთა თავყრილობაზე მივდივარო, მოიმიზეზა.

მათუსალა მყისვე მოეხვია ნოემას და შეიცნო ის. რამდენიმე ხნის შემდეგ ჟინდამცხრალმა ქალმა გაანდო მიჯნურს ცისა და მიწის საიდუმლოებანი. "მამაშენი, ენუქი, იაჰვეს მთავარანგელოზად იქცა, შენი ვაჟი, ლამექი კი სასუფეველშია, აჩრდილთა შორის". ნოემამ ისიც აცნობა მათუსალას, რომ დედამისი, სელა, მრუშობდა თავისი ქმრის ყველა მეგობართან და მტერთან. მან შვა ნოემა ადას ერთ-ერთი ვაჟისგან, იობალისგან, რომელიც მეჩანგეთა და მესტვირეთა მამამთავარი გახლდათ. "იცოდე", ჩასჩურჩულებდა ქალი მათუსალას, "იაჰვემ გულისხმაჰყო, რომ ის ხელმოცარული შემოქმედია სამყაროსი. ახლა მან უბრძანა შენს შვილიშვილს, ნოეს, ააშენოს კიდობანი მისი ოჯახისა და ყველა ცოცხალი არსების გადასარჩენად, როდესაც მიწას წარღვნა წალეკავს. იაჰვე მოხუცდა და დაუძლურდა, მხოლოდ ქადილის უნარიღა შერჩა. იმუქრება, რომ გახსნის ზეცის სარკმლებს და წარღვნის დედამიწას, მაგრამ ეს არ მოხდება. ჩვენ, ამ თაობის დემონები, მრავალნი ვართ და ძალ-ღონეც გვერჩის - ვიცით, როგორ ავიცილოთ თავიდან წარღვნა. მთელი ამ საუკუნეების განმავლობაში მეცნიერება დიალაც განვითარდა. სწავლულებს ძალუძთ თმის ბეწვის გახლეჩა, ბუზის თვალების დათვლა, გველის შხამის უვნებელყოფა, ნიანგებისა და ობობების მოშინაურება. მათ იციან, რამდენი ქვიშის მარცვალია ზღვაში და დაეუფლნენ მოხუცთა გაახალგაზრდავების, შლეგთა მოჭკვიანებისა ად სქესის შეცვლის ხელოვნებას. უსაზღვროა მათი უკეთურება. დარჩი ჩვენთან, მათუსალა, და ეზიარე სიბრძნესა და ძალმოსილებას".

ნოემა მიელაციცა მათუსალას, შემდეგ კი შენიშნა: "ალბათ, არ იცი, რომ იაჰვეს მხოლოდ ერთი ცოლი ჰყავს, სახელად - შექინა. ისინი უთვალავი წლის წინ დაცილდნენ ერთმანეთს, რადგან იაჰვე მიხრწნილია, შექინა კი - ვნებათუქონელი. იაჰვე კრძალავს ყოველივეს, რაც ახარებს ადამიანებს - ქურდობას, მკვლელობას, სიძვას... მაგრამ ჩვენ დავუბრუნდით შეცოდებათა უზენაეს ხელოვნებას. წამოდი ბრძენკაცთა თავყრილობაზე და დარწმუნდები, რომ მალე დადგება ბედნიერების ხანა. იქ ნახავ არა მარტო აზაელს, არამედ - სხვა დაცემულ ანგელოზებსაც, რომელთაც გული აიყარეს მოკვდავ ასულებზე და ახლა ერთმანეთთან შედიან. თუ აქ დარჩები, მოგიძღვნი ჩემს ყველა მხევალსა და მრავალ ქაჯს, რათა ერთად დავტკბეთ".

ნოემა და მათუსალა სარეცლიდან წამოდგნენ და ქალმა ლაბირინთში გაიყვანა თავისი მეტრფე. ისინი შევიდნენ ტაძარში, სადაც ყოველი ბრძენკაცი ჰყვებოდა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის შესახებ.

სოდომელმა ბრძენმა მოუთხრო შეკრებილთ, რომ ისინი ასწავლიდნენ ყრმებს მკვლელობას, ცეცხლის წაკიდებას, სხვისი ქონების მითვისებას, მოტყუებას, ძარცვას, ღალატს, მოხუცების დაბრიყვებასა და ყმაწვილთა გაუპატიურებას. ნინევიელი ღორმუცელა განმარტავდა, როგორ უნდა შეჭამო ჯერ კიდევ ცოცხალი ცხოველი და გამოსწოვო სისხლი. შეკრებილებმა დააჯილდოვეს საუკეთესო ქურდები, მძარცველები, ყალბისმქნელები, მატყუარები, მეძავები, ჯალათები, აგრეთვე - ის ვაჟები და ქალიშვილები, რომლებიც შეურაცხყოფდნენ საკუთარ მშობლებს, და - ქვრივები, რომელთაც მოწამლეს თავიანთი ქმრები. დადგენილ იქნა, დაარსებულიყო ცრუმოწმეობისა და ღვთის გმობის კურსები, სადაც დიდი ნებროთი თვითონ ასწავლიდა მსმენელებს ცხოველთა წამებას.

ბებერმა დემონმა, სახელად შავრირიმ, განაცხადა: "იაჰვე წარსულის ღმერთია, ჩვენ კი - მომავლისა. იაჰვე კვდება ან, შესაძლოა, უკვე მოკვდა, მაგრამ ეშმაკი ცოცხალია და ბადებს უამრავ ეშმაკს ლილითთან და მის მხევლებთან თანაცხოვრების წყალობით. ციური ანგელოზნი დაბრმავდნენ ნათლისგან, ჩვენ კი დავაბრუნებთ ჟამთუწინარეს წყვდიადს".

გაისმა ხმამაღალი მუსიკა. შეკრებილნი ისერიგად აჩხავლდნენ, რომ მათუსალა ლამის დაყრუვდა. ღრიანცელში გაისმოდა ქალი-დემონებისა და ჭინკების ჭყივილიც. ამგვარი მხიარულება ჩემთვის ძნელად ასატანიაო, ამოიკვნესა მათუსალამ და შეევედრა ნოემას, დაებრუნებინა ის წნულ კარავში, ნეტარ სიბერეში. მას, თითქმის ათასი წლის განმავლობაში პირველად, აღარ ეშინოდა აღსასრულისა და მზად იყო, უდრტვინველად მოედრიკა თავი სიკვდილის უამრავთვალა, ხმალმომარჯვებული ანგელოზის წინაშე.

მეორე დილას მხევალმა გოგონამ მათუსალას კვლავ მიუტანა ფინიკების ნახარში, მაგრამ მოხუცი უკვე მომკვდარიყო. ნოემ გაიგო პაპამისის გარდაცვალების შესახებ, მაგრამ ვერ მიატოვა თავისი ცოლი და ვაჟები - სემი, ქამი და იაფეთი, ისევე, როგორც - კიდობანი, რომლის აშენება ღვთისგან ჰქონდა ნაბრძანები. დედამიწას წარღვნა ემუქრებოდა. ცის სარკმლები ნელ-ნელა იხსნებოდა და მათი დახურვა არავის ძალუძდა. სოდომის, გომორისა და ნინევიის მეუფეები უნდა ამომწყდარიყვნენ. ქაჯებმა, მათ შორის - ნოემამ, ქვესკნელს შეაფარეს თავი. სიკვდილის წინ მათუსალამ განჭვრიტა მომავალი: ღმერთი აპირებდა, აღთქმა დაედო, რომ არასოდეს აღგვიდა ხორციელთ პირისაგან მიწისა. მან იცოდა, რომ ყოველგვარი სასჯელი ამაო იყო, რადგან ადამის მოდგმა უკეთურებას ვერ მოიშლიდა. ადამიანები იმთავითვე იყვნენ და სამარადისოდ დარჩებიან სამყაროს ბინძურ ნამუსრევად, უფლის სიბრძნის, მოწყალებისა და დიდსულოვნების მიუხედავად. ღმერთმა უბოძა ადამის შთამომავალთ დაუძლეველი ეგოიზმი და აზროვნების არასაიმედო უნარი, ისევე, როგორც - სივრცისა და დროის ილუზია, მაგრამ არ აღჭურვა ისინი ძლიერი ნებითა და სამართლიანობის გრძნობით. ადამიანი მარადჟამს უსაზმნოდ იძრომიალებს დედამიწის ზედაპირზე, სანამ უფლის აღთქმას ყავლი არ გაუვა და ადამიანის სახელი სამუდამოდ არ წაიშლება ცხოვრების წიგნში.

ინგლისურიდან თარგმნა

**თამარ ლომიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარენ ჰიუიტი

# გრემ სვიფტის შესახებ

## თანამედროვე ინგლისელი რომანისტი. ოჯახები, ცდუნებები და "უკანასკნელი განკარგულებები"

1996 წელს გრემ სვიფტმა მიიღო ბრიტანული ბუკერის პრემია რომანისათვის "უკანასკნელი განკარგულებები". პრემია მწერალს პრაქტიკულად ერთსულოვნად, წინააღმდეგობების გარეშე მიენიჭა, რამეთუ ბევრს მიაჩნდა, რომ სვიფტს იგი უფრო ადრეც უნდა მიეღო რომანისათვის - "წყლიანი მხარე" ("Waterland", 1983). თუმცა 1997 წლის დასაწყისში ვინმე ავსტრიელი პროფესორი მას ბრალს სდებდა პლაგიატობაში და აცხადებდა: ავტორმა უამრავი რამ ისესხა უილიამ ფოლკნერის წიგნიდან "სული რომ ამომდიოდა", ისე, რომ ამის შესახებ არსად არაფერი უხსენებია; ისარგებლა თითქმის იმავე ტექნიკური ხერხებით და გარდა ამისა, მოახდინა მთელი ფოლკნერისეული სიუჟეტის კოპირება. სვიფტი კი გაგულისებული პასუხობდა პროფესორს, რომ ასეთი ბრალდების წაყენება სისულელე იყო. ასე რომ, საწინააღმდეგო აზრი მაინც გაჩნდა.

მე თუ მკითხავთ, სვიფტმა ბუკერის პრემია სამართლიანად მიიღო, მით უმეტეს, რომ საეჭვოა დღესდღეობით ის საუკეთესო ბრიტანელ რომანისტად ითვლებოდეს. ხოლო მისი პლაგიატობაში დადანაშაულება ხელოვნების არსში გაურკვევლობის შედეგი მგონია. მიუხედავად ამისა, კრიტიკოსები სვიფტს უპირობოდ თუ არა, ყოველ შემთხვევაში ნაწილობრივ მაინც ამტყუნებენ. ასე რომ, ეს სტატია მხოლოდ სივფტზე კი არა, იმაზეც არის, როდის უნდა დასდო მწერალს ბრალი დაუშვებელ სესხებაში და როდის არა.

გრემ სვიფტი უჩვეულო მწერალია. იგი რეალისტია, რომელსაც უზომოდ აინტერესებს თავისი პერსონაჟების ცდუნებები და ფანტაზიები; რთული სიუჟეტების გამომგონებელია, რომელთაც შემდგომში კიდევ უფრო ხლართავს მომხდარის თაობაზე ან ბედის და პირადი არჩევანის შესახებ კითხვების დასმით; რომანისტი ინტელექტუალია, თავის იდეებს ემოციურად დატვირთული სიმბოლოებით რომ გამოხატავს. ეს ყველაფერი კი სვიფტს სხვებისგან განცალკევებით მდგომ ავტორად წარმოგვიდგენს.

ახალგაზრდა მწერლები თავიანთი რომანის გმირად ყმაწვილკაცს ირჩევენ ხოლმე, ვისი გრძნობები, აზრები და შეხედულებებიც მათთვის ნაცნობი და ახლობელია. სვიფტის პირველი რომანის "საკონდიტროს მეპატრონის" ("The Sweet-Shop Owner") გმირი, სახელად უილი ჩაპმენი, ხანდაზმული კაცია; მას სიმშვიდე ესაჭიროება და ამიტომ ტოვებს მაღაზიას (რომელშიც იყიდება საკონდიტრო ნაწარმი,სიგარეტები,ნაბეჭდი პროდუქცია და სათამაშოები). ჩვენ ვგებულობთ უილის ინვალიდ ქალთან ქორწინების შესახებ, რომელიც მისგან უზარმაზარი მსხვერპლის გაღებას მოითხოვს და ვხედავთ მის უნიათობას საკმაოდ ჭკვიანი, მაგრამ ცხოვრებისგან გაბოროტებული საკუთარი ქალიშვილის, დორისის წინაშე თავის მართლებისას. უილი მშვიდი, წყნარი ადამიანია, რომელიც მწარე მოგონებების გარეშე იხსენებს წარსულს და ვისაც რთულ სიტუაციებში ჭკვიანური არჩევანის გაკეთების უნარი შესწევს. სვიფტის რომანის ყველაზე შთამბეჭდავი თავისებურება კი, ალბათ, მაინც გულწრფელი თანაგრძნობაა ადამიანის მიმართ, რომელთანაც ცოტა რამ აქვს საერთო არა მხოლოდ ავტორს, არამედ მკითხველთა უმრავლესობასაც. სვიფტმა ერთხელ ასეთი რამ თქვა: ცხოვრება თუ არ გალიე, მას ვერ შეიცნობო. იმიტომაც დასჭირდა წარმოედგინა და შეესწავლა მოხუცის ცხოვრება.

სვიფტის მეორე რომანში "ბედის სათამაშო" ("Shuttlecock"), მთხრობელად მთავარი გმირი, პრენტისი გვევლინება. "ბედის სათამაშოს" შეიძლება ეწოდოს ეთიკური თრილერი. პრენტისს სტანჯავს ეჭვები საკუთარი



თავის, ოჯახის, სამუშაოს, მამამისის სამხედრო წარსულის შესახებ და ამ ეჭვებთან გამკლავება მხოლოდ საკუთარი ტვირთის სხვებისთვის აკიდებით შეუძლია. თავისი არსით, სიუჟეტის განვითარება პრენტისის მიერ იმის გამორკვევას წარმოადგენს, თუ რომელ კითხვებზე უნდა ეპოვნა პასუხი საკუთარი თავისა და სხვების შესახებ. ეს კითხვები კი ბევრ მორალურ პრობლემას წარმოშობს და მკითხველს ყველა ამ სირთულეში გარკვევას აიძულებს. ამავე დროს, ეს არის უჩვეულო და მეტად ჩამთრევი ისტორია.

თავის ყველა რომანში, მეორედან დაწყებული, სვიფტი თხრობას პირველ პირში აწარმოებს. ამიტომაც გვესმის მისი მთავარი გმირის ან გმირების ხმა. თითქოს ამბობს: "სამყარო სავსეა გამოცანებით და მე, ავტორი, არა ვარ დარწმუნებული, რომ უფლება მაქვს მოგითხროთ ისტორია, რომელშიც მომხდარის მიმართ დომინირებს ჩემი დამოკიდებულება. გაცილებით საინტერესოა იმ ადამიანის ცნობიერებას ჩაწვდე, ვისაც საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება, საკუთარი შეხედულებები აქვს და ეთქმის თავისი სიტყვა, რომელიც ჩემსას არ ემთხვევა". სხვაგვარად რომ ვთქვათ, სვიფტის რომანების გმირები არ წარ-

მოადგენენ თავად სვიფტის გამარტივებულ ასლებს. ის არ განეკუთვნება იმ მწერლების კატეგორიას, რომლებიც თავისი გმირებით ინილბებიან, საქმის დროს გულში მჯილს იცემენ და თავს გახვევენ აღიარებებს საკუთარი ცხოვრების შესახებ.

სვიფტის ყველა გმირი დახვეწილი და განათლებული როდია, მაგრამ ჭკუა არავის აკლია. მათ უყვართ იმაზე ფიქრი, თუ რა დაემართათ. განუწყვეტლივ იხსენებენ წარსულს. ცდილობენ როგორც საკუთარი, ისე მეგობრებისა და ნათესავების საქციელის ახსნას,გამუდმებით უსვამენ კითხვებს საკუთარ თავს. რატომ ვუთხარი ცოლს უარი იმის მიცემაზე, რასაც მთხოვდა? რამ მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მამაჩემი ცუდი ადამიანია? რატომ მივეცი მიტოვების უფლება ქალიშვილს, რომელიც ასე მიყვარდა? იქნებ ღირდეს ამ პრობლემისადმი სხვა კუთხით შეხედვა? იქნებ ჩემთვის სულ სხვა რამეა მნიშვნელოვანი და ჩემი ცოლის, მამისა და ქალიშვილისთვის კი სულ სხვა? ვაითუ ვცდები? ან იქნებ მეხსიერება მღალატობს?

ყველა ამ კითხვამ საბოლოო ჯამში, შეიძლება ძალიან ჩახლართული ამბავი წარმოშვას, ან მიგვიყვანოს ეგზისტენციალურ სიტუაციამდე იმათ მსგავსად, რომლებიც იკვლევენ; მაგალითად, ალენ რობ გრიე - ფრანგული nouvelle vague-ს წარმომადგენელი, ვის ნაწარმოებებშიც სიუჟეტის კვალი უკიდურესად წაშლილია. როგორც წესი, სვიფტი გამორიცხავს ამგვარ რამეს (თუმცა, "ბედის სათამაშოში" არის რამდენიმე უაღრესად გაურკვეველი მომენტი). იგი, როგორც აღვნიშნეთ, რეალისტია და მოსწონს ცხოვრების შესახებ თხრობა, ასეთი მონათხრობებიდან კი მკითხველისთვის ადრე თუ გვიან ნათელი უნდა გახდეს, თუ რა მოხდა სინამდვილეში; სხვაგვარად ის მალე მოიწყენს და გაღიზიანდება.

თავისი გმირების პირით სვიფტი ძალიან საინტერესო ისტორიებს ყვება, მაგრამ არა ყველაზე იოლი გზით. ამისათვის თითქოს იყენებს ფოტოაპარატს უამრავი ობიექტივით. ვთქვათ, ერთ ობიექტივში ხედავთ ადამიანს, რომელიც მდინარიდან დამხრჩვალი ბიჭის სხეულის ამოთრევას ცდილობს. ობიექტივის გადიდებით თქვენ შეგიძლიათ ამ ადამიანის სახისა და დამხრჩვალის სახეზე ნაჭრევების დანახვა. ობიექტივი "თევზის თვალი" საშუალებას გაძლევთ თვალ-ყური ადევნოთ სხეულის გადაადგილებას შემოფარგლულ სივრცეში, საითაც ის დინებამ წაიღო. ხოლო ფართოკუთხიანი ობიექტივი მხედველობის არეში აქცევს უკვე სხვა ადამიანებსაც, რომლებიც აქამდე არ ჩანდნენ. თუ აპარატით ხელში ამ ერთ-ერთი სხვათაგანის ზურგსუკან დავდგებით, უკვე გადავიღებთ მისი თვალით დანახულ სურათს, მაგრამ ეს არ დაემთხვევა ჩვენს მიერ დანახულს. აღწერილ სიტუაციაში სურათების ასეთი მრავალგვარობა პოლიციას კარგ სამსახურს გაუწევდა. სვიფტი კი მათ იყენებს თავისი ეთიკური დრამების შესაქმნელად, სადაც ემოციები გრძნობებთანაა გადახლართული.

დამხრჩვალის წყლიდან ამოთრევის ეს მაგალითი მოყვანილია სვიფტის მესამე რომანიდან - "წყლიანი მხარე". ამის წაკითხვის შემდეგ პირველი თავის დასასრულს მკითხველს, ბუნებრივია, ებადება სურვილი გაიგოს, თუ ვინ დაიხრჩო და როგორ მოხდა ეს ამბავი. შესაძლოა, მას იმ ადამიანის სულიერი განცდებიც აინტერესებს, ვისაც სხეული წყლიდან ამოაქვს. პასუხები ამ კითხვებზე გვეძლევა საკმაოდ ჩქარა, მაგრამ იბადება ახალი კითხვები; ჩნდება აუცილებლობა თავდაპირველ სცენას და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს შევხედოთ სხვადასხვა ობიექტივიდან. რომანის დასასრულს ჩვენზე შთაბეჭდილებას არა მხოლოდ მომხდარი ახდენს (ჩვენ უკვე ვიცით ყველა კითხვის პასუხი), არამედ ისიც, რასაც ეს სიკვდილი აღნიშნავს.

იმის წყალობით, რომ სვიფტმა მომხდარს რამდენიმე კუთხიდან, რამდენიმე სხვადასხვა ობიექტივიდან შეხედა, დამხზრჩვალი ბიჭის სიკვდილი დაკავშირებული აღმოჩნდა სამი ადგილობრივი ოჯახის ბედთან, იმ დაბლობის გეოგრაფიასთან, სადაც უბედურება მოხდა, ორას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ამ მხარის ეკ-



კადრი ფილმიდან „უკანასკნელი განკარგულებები", რეჟ. ფრედ შეპისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონომიკის ისტორიასთან, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ერთი აკვიატებული აზრების მქონე კაცთან, მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკელების ქცევასთან ინგლისში, იმ უცნაურ ფორმებთან, რომლებსაც ადამიანური სიყვარული იღებს, გველთევზების ცხოვრების წესთან, ისტორიის მასწავლებლის წასვლასთან, რომელსაც სიმშვიდე სურდა და ოცდაათი წლის შემდეგ მოიპოვა და მოზარდებში გაჩენილი მომავალი ბირთვული ომის შიშთან.

ასე რომ, სვიფტი უბრალოდ მთხრობელი კი არა, "იდეათა რომანების" ავტორია. მას უყვარს იმის ჩვენება, თუ როგორ არის საზოგადო დაკავშირებული პირადულთან; თუ ადამიანის დღევანდელი პასუხისმგებლობა როგორ ჩნდება სამოცი და უფრო მეტი წლის წინ სხვა ადამიანთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად. რომანში "ამ სამყაროს მიღმა" ("Out Of This World", 1988) თხრობას აწარმოებს ორი მთავარი გმირი: სამხედრო ფოტოგრაფი ჰარი და მისი ქალიშვილი სოფი. სოფის თავზარს სცემს მამის პროფესია და მისი მზადყოფნა, ფირზე აღბეჭდოს ძალადობის მსხვერპლთა ტანჯვა. არ ესმის, რომ ჰარის არჩევანი განპირობებული იყო მამამისთან - იარაღისა და საბრძოლო მასალების მსხვილ მწარმოებელთან უთანხმოებით. ერთი ოჯახის შიგნით თაობათა შორის კონფლიქტის კვლევით, სვიფტს ეძლევა საშუალება, იმსჯელოს ომის ეთიკურ პრობლემატიკაზე და იმაზე, კარგია თუ არა განზე დგომა, როცა სხვები იბრძვიან.

შესაძლოა ეს მეტისმეტად სწორხაზოვნად ჟღერდეს: ბევრი რომანისტი ხომ იდეებს თავის პერსონაჟებს შორის კონფლიქტებისა და ბრძოლების მაგალითზე სწავლობს. მაგრამ სვიფტის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ კამათის ნებართვისთვის ის სიმბოლოებისკენ გარბის.

ჩვეულებრივ, ავტორები სიმბოლოებს საჭირო ატმოსფეროს შესაქმნელად იყენებენ - გაიხსენეთ ლონდონის ნისლის შესახებ, რომელშიც გახვეულია მართლმსაჯულების მთელი სისტემა დიკენსისეულ "ცივ სახლში". ან იმის შესახებ, თუ რომანში "ტეს დერბერვილი" ჰარდი როგორ გადასცემს ალტაცების ნაზავსა და სულელურ წინათგრძნობებს ეინჯელაზე შეყვარებულ ტესს, ცვრიანი, უზომოდ ცვრიანი მდელოების სიმწვანეზე, რომელზეც ისინი მუშაობენ. პოეტები კი ხშირად, გადმოსცემენ თუ არა საჭირო აზრებს - სიმბოლოების დახმარებით, - რეალობიდან საერთოდ წასვლისკენ მიისწრაფიან. დიდი უ.ბ.იეიტსის ლექსები გაჟღენთილია უცნაური, ეზოთერული სიმბოლოებით. ერთ მის ადრეულ ლექსში გახელებული მწირი ყვება, თუ როგორ დაეძებს დაკარგულ სატრფოს. ხოლო როდესაც იპოვის, ისინი ერთად კრეფენ "მთვარის ვერცხლის ვაშლებს,/მზის ოქროს ვაშლებს". რა ვაშლებია ეს? არავინ იცის; უბრალოდ, მისტიკური მომავალი ბედნიერების სიმბოლოებია.

ზოგჯერ სიმბოლო განსაზღვრავს რომანის თემას. ლოურენსის მეოთხე რომანში - "ცისარტყელა", ცისარტყელა თაღია, რომელსაც შეიძლება ბავშვმა თავი შეაფაროს, ხიდია, რომელზეც ქალმა შეიძლება გაიაროს და არის ნაშალი,ჩამორღვეული მიწის გამთლიანების იმედის გამოხატულება. ლოურენსი არ განგვიმარტავს სიმბოლოებს, ის მხოლოდ მაშინ იყენებს ამ ცოცხალ სახეებს, როცა სურს თავისი წიგნის თემა შეგვახსენოს.

გრემ სვიფტი სხვაგვარად მოქმედებს; ისეთ სიმბოლოებს ეძებს, რომელთაც იდეის ახსნა შეუძლიათ. მოთხრობაში "გვირაბები", კრებულიდან "ვსწავლობთ ცურვას" (1983), ის წერს ორ, ერთმანეთზე შეყვარებულ გაქცეულ თინეიჯერზე, რომლებიც ლონდონის ერთ ჭუჭყიან ბინაში თავისუფლებით ტკბებიან. მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ მათი თავისუფლება ტყვეობად გადაიქცევა - ჩხუბობენ, კამათობენ ფულზე და უწინდებურად აღარ უხარიათ ერთად ყოფნა. შემდეგ გმირი ფანჯრიდან უთვალთვალებს ბიჭებს, რომლებიც გვირაბს თხრიან. ამ საქმეს ისინი რამდენიმე დღეს მოანდომებენ. გვირაბი გადის იმ კედლის ქვეშ, რომლითაც სკოლის ეზოა შემოღობილი.

ბოლოს და ბოლოს, ბიჭები ამოძვრებიან მიწიდან, სიხარულისგან ჰაერში ხტიან და გარბიან, მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს მათ ასეთი გზით იმიტომ დააღწიეს ტყვეობას თავი, რომ სკოლის ეზოდან გამოსასვლელად უფრო იოლ გზას ვერ მოძებნიდნენ. მაშ, რა საჭირო იყო გვირაბის გათხრა? გასართობად? იმიტომ, რომ თავიანთი ფანტაზიებისთვის ხორცი შეესხათ? იმიტომ, რომ ვიღაცას თავში ასეთი აზრი მოუვიდა და მათაც ინტერესი გაუჩნდათ, შესწევდათ თუ არა უნარი ამ სამუშაოს ბოლომდე მისაყვანად? იმიტომ, რომ თავისუფლები არიან? მათ შეუძლიათ ყოველ წუთს შეწყვიტნ მიწის თხრა, მაგრამ ამას არ აკეთებენ. გვირაბის სიმბოლო სვიფტს ეხმარება იმ სიტუაციის ჩაწვდომაში, თავისუფლების შეგრძნების უნარდაკარგული ახალგაზრდა ადამიანები რომ აღმოჩნდნენ. თუმცა მათ ბოლომდე არც კი ესმით, რატომ მოხდა ასე.

რომანში "ამ სამყაროს მიღმა" ერთ-ერთი სიმბოლოს როლს თამაშობს აეროფოტოგადაღება. ჩვენს საუკუნეში ფოტოგრაფიის ტექნიკა ვითარდებოდა სამხედრო ტექნოლოგიების პარალელურად. ჰარი, სამხედრო ფოტოგრაფი ზეციდან იღებდა ინგლისელების მიერ 1944 წელს დაბომბილ დრეზდენს. მოგვიანებით, პატარა აეროპლანიდან ის იღებს წყნარი ინგლისური პროვინციის ბევრ სურათს.

თავად ჰარისთვის კონტრასტი მოსალოდნელთან შედარებით ნაკლებად აშკარა იყო. ბოლოს და ბოლოს, მას ის აინტერესებს, თუ რატომ ხიბლავს უამრავ მოკვდავს ადამიანური ბუნების დაუნდობლობა და მისი დამანგრეველი სისასტიკე. სამხრეთ ინგლისის მშვიდობიანი ზეცის თავზე თავისი აეროპლანით მფრენი ჰარი ამბობს:

"ვიცი, რომ ეს სანახაობა ცრუ და მოჩვენებითია. ცოცხალი ღობეები, ეკლესიები და დასახლებული ადგილები არ შეიძლება მივიჩნიოთ ნამდვილ ინგლისად. წაშალე რუკა და ის ცივილიზაცია, რომელსაც ჩვენ ვიცნობდით, გაქრება. დადგება ბრინჯაოს ხანა... უილტშირისა და დორსეტის ნახევარი, ჰემპშირისა და ბერკშირის უდიდესი ნაწილი, არმიის, თავდაცვის სამინისტროს კუთვნილებაა. იქ უცხო პირთა შესვლა აკრძალულია. ეს სოფლური მხარეა, კომუფლიაჟზე არც ისე დიდი. როდესაც პიტერს ზეციდან ჩემი დაკვირვებების შესახებ ვუამბე, ისე ჩვეულებრივად დამიქნია თავი, თითქოს არქეოლოგიურ შპიონაჟში საკუთარმა გამოცდილებამ ისიც იმავე აღმოჩენამდე მიიყვანაო. მითხრა: "კი მაგრამ, რა არის ამაში ახალი. ჩახედე ბრინჯაოს ხანის დროინდელ ბრიტანეთის რუკას, - რა მოგხვდება პირველად თვალში? სამხედრო ბანაკები და თავდაცვითი სიმაგრეები. რა იყო ბრინჯაოს ხანის უდიდესი გამოგონება? - ომის გაძღოლის ხელოვნება, მახვილი. მისი გამოყენება მხოლოდ XIX საუკუნეში შეწყვიტეს. უხეშად რომ ვთქვათ, ჩვენ ჯერ კიდევ რკინის ხანაში ვცხოვრობთ..."

ამგვარად, აეროფოტოგადაღებები უნებურად გვეხმარება სხვა თვალით შევხედოთ ჩვენი საუკუნის ძალადობის ისტორიას. ეს არქეოლოგი ბრძენი კაცია. აი ასე, სიმბოლოების მეშვეობით სვიფტი ჰარის იმის გაცნობიერებისკენ უბიძგებს, თუ რა საერთო ჰქონდა უაზრობასთან იარაღის წარმოებაზე უარის თქმას. არა, ეს უაზრობა არ ყოფილა, მაგრამ ჰარისთვის ოჯახურ ბიზნესზე უარის თქმას გაცილებით დიდი სარჩული უდევს, ვიდრე აქამდე ფიქრობდა.

სვიფტის გმირების გონება მიმართულია სიკვდილის, ომისა და ძალადობის აღწერისკენ; ამის გათვალისწინებით გავრისკავ და შევიქმნი ისეთ შთაბეჭდილებას, თით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოს თავად ისაა სისასტიკესა და საშინელებაზე ფიქრებით შეპყრობილი. მაგრამ ეს ასე არ არის. ყველა მისი რომანი გაჯერებულია სინაზითა და საოცარი, მოკრძალებული სიყვარულით - მშობლების, შვილების, ძმების, დებისა და უპირველეს ყოვლისა, ცოლებისადმი (ქმრების შესახებ ცოტა რამ ვიცით, რადგან სვიფტის ბოლო წიგნამდე მთხრობელ-გმირებს შორის, მხოლოდ ერთი იყო ქალი მთხრობელი). ამ ოჯახურ კავშირებში სჭარბობს არა ცინიზმი, ბოროტება ან გულისწყრომა - გრძნობები, რომლებიც ამდენ თანამედროვე რომანში იმარჯვებს, არამედ სევდა იმაზე, რომ შეუძლებელია,ყველაფერი ცოტა უფრო სხვაგვარად იყოს. ქმრებზე მხურვალედ შეყვარებული ცოლები ან იღუპებიან, ან უშვილოები არიან ან გამოუსწორებელი მარტოსულები; ძმები გონებრივად ჩამორჩენილები ან რაღაც სხვა მიზეზის გამო ურთიერთობებში უუნარონი, სინაზე კი მიმართულია მაძიებელი, იმედით სავსე, ტანჯული უბრალო ადამიანებისკენ, რომელთაც თითქმის საერთოდ დაკარგეს პირვანდელი აღფრთოვანების უნარი, მაგრამ მაინც მზად არიან ვაჟკაცურად შეხვდნენ უსიხარულო მომავალს. და თუ ეს სევდიანად ჟღერს, მაშინ ეს სევდა ყოვლისმომცველი არ არის; აქ, ამ მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანს, განსაკუთრებით კი მოხუცებს, იუმორი აძლებინებს.

სვიფტის შემდეგი რომანის "ამიერიდან და სამუდამოდ" ("Ever After) გმირი - ხანშიშესული ქვრივი ხდება "დონი", ანუ კემბრიჯის უნივერსიტეტის მასწავლებელი. მსახიობი ცოლის სიკვდილმა იგი ნერვულ აშლილობასა და თვითმკვლელობამდე მიიყვანა. ახალგაზრდა ვიქტორიანელის დღიურების შესწავლით ის სულიერი წონასწორობის აღდგენას ცდილობს. ას ოცდაათი წლის წინ ამ ახალგაზრდის ცნობიერებაშიც მოხდა ერთგვარი გარდატეხა. გაწონასწორებული, კარგი ოჯახის შვილი, უცებ აღმოაჩენს - ამის შესახებ წერს თავის დღიურში, - რომ ღმერთის რწმენა დაკარგა. მისი ნათესავებისთვის ეს მიუღებელია. თუ მას უნდა შეინარჩუნოს იმის რწმენა, რაც მისი ახლებური გაგებით ჭეშმარიტებაა, უნდა მიატოვოს ცოლი, შვილები, ერთობ პატივსაცემი სიმამრი და რადგანაც დარვინის მიმდევარია, განაცხადოს, რომ ღმერთი - ყოველ შემთხვევაში ის ღმერთი, რომლის შესახებაც აქამდე იყო მისთვის ცნობილი - ტყუილი ყოფილა.

ჩვენ ვსვამთ კითხვას,"რატომ არ შეუძლია ამ ვიქტორიანელ ახალგაზრდა კაცს უბრალოდ გაჩუმდეს და თავისი აზრები დამალოს? რატომ აცხადებს ასე ხმამაღლა თავისი მრწამსის შესახებ და რატომ ინგრევს ამით საკუთარ ცხოვრებას?" იმავდროულად, ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ ადამიანისთვის, რომელიც მორალურ და ინტელექტუალურ პატიოსნებას "ყველაფერზე მაღლა აყენებს, სხვა არჩევანი არ არსებობს, მაგრამ დანარჩენებს, რომლებიც არ იზიარებენ ფრენსისის მრწამსს, ელახებათ თავმოყვარეობა. დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ფრენსისის საქციელი გავლენას ახდენს მთხრობელზე, უნივერსიტეტის მასწავლებლის ცხოვრებაზე. ეს საქციელი აიძულებს მას გადახედოს ჯერ მამინაცვალთან, დიდსულოვან ამერიკელთან, შემდეგ კი მშობელ მამასთან ურთიერთობას.

სწორედ ამ, სვიფტის მეხუთე რომანის შემდეგ ხდება ნათელი, რომ აკვიატებული იდეების ზღვარზე მყოფ მწერალს ყველაზე მეტად აინტერესებს ურთიერთდამოკიდებულება მამასა და შვილს შორის. ის განუწყვეტლივ უბრუნდება ამ თემას, სწავლობს მას, ცდილობს სხვადასხვაგვარ მიდგომას და აღებს გრძნობათა იმ სიღრმეებს, რომელთა ახსნაც არ შეიძლება მოვლენების უბრალო გარეგანი მსვლელობით.

ამგვარად, ჩვენ მივადექით სვიფტის ყველაზე გვიანდელ შესანიშნავ რომანს - "უკანასკნელი განკარგულებები". უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ეს არის წიგნი, რომლის წაკითხვაც ყველა ჭეშმარიტ ინგლისელს ეადვილება, მაგრამ უცხოელისთვის იგი ძალიან რთული გასაგებია. მასში თხრობა სხვადასხვა ადამიანის პირით მიმდინარეობს, რომელთა უმრავლესობას ბერმონტში, ლონდონის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონში მცხოვრები ხანდაზმული ადამიანები წარმოადგენენ. ისინი არ სჯერდებიან იმას, რომ მეტყველებენ სასაუბრო ენით და იყენებენ ადგილობრივ სლენგს. როგორც ეს დამახასიათებელია ძველი ნაცნობებისთვის, ხშირად შუა საუბრისას წყვეტენ აზრს ან ფრაზას და მეგობრებს (ან მკითხველს) უტოვებენ დასამთავრებლად. სვიფტმა ისე ოსტატურად მოაწყო ტექსტი, რომ ინგლისელი მკითხველი ხვდება, თუ რა სიტყვები და იდეები იგულისხმება იქ, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რა უნდა მოუხერხოს უცხოელმა მკითხველმა ამ სანახევროდ ნათქვამ ფრაზებს. აქ ასევე ბევრია სიტყვებით თამაში, რომელიც ენის ძალიან კარგ ცოდნას მოითხოვს. თვით წიგნის სათაურსაც კი ორი მნიშვნელობა აქვს. "უკანასკნელი განკარგულებები" ყასაბი ჯეკის ნება-სურვილია - გადმოცემული სიკვდილი წინ დაწერილი წერილით. ის სთხოვს მეგობრებს, მისი ფერფლი პატარა სანაპირო ქალაქ მარგეიტიდან ზღვაზე მიმოაბნიონ. სწორედ ამ სიკვდილისწინა სურვილზეა აგებული წიგნის სიუჟეტი,მაგრამ სათაურში მოყვანილი სიტყვა აღნიშნავს "უკანასკნელ შეკვეთებსაც", - პაბის მეპატრონის სტანდარტული განცხადება ახსენებს შემომსვლელებს, რომ ის იძულებულია სპირტიანი სასმელებით ვაჭრობა კანონით დაწესებულ დროს შეწყვიტოს. "უკანასკნელი შეკვეთები, გეთაყვა", - წამოიძახებს მეპატრონე იმის გათვლით, რომ კლიენტები დასალევად დახლს მიაწყდებიან. ინგლისელს ამის ახსნა არ სჭირდება - მისთვის ისედაც ცხადია ყველაფერი, მაგრამ თავად ასეთი ბუნებრივი სიტყვიერი თამაშის ჩვეულება ქმნის კაცების მრავალწლიან მეგობრულ ატმოსფეროს, რომლებიც თავისუფალ დროს ლონდონის ერთ არაფრით გამორჩეულ, საკმაოდ ღარიბ კუთხეში მდებარე მშობლიურ პაბში ატარებენ.

ყასაბი ჯეკი კვდება. მისი მეგობრები - ხილ-ბოსტნეულის გამყიდველი ლენი, დამკრძალავი ბიუროს მეპატრონე ვიკი (დაკრძალვის განმკარგულებელი და ორგანიზატორი), რეი, კანტორის მოსამსახურე და დოღის მოყვარული, აგრეთვე ჯეკის ნაშვილები ვინსი, ნახმარი მანქანებით მოვაჭრე - მიდიან მარგეიტში; გზაში ისინი ფიქრობენ თავიანთ მეგობრობაზე ჯეკთან, ცოლებზე, ოჯახებსა და პროფესიებზე, მეორე მსოფლიო ომზე, რომელშიც უფროსი თაობის ყველა წარმომადგენელი მონაწილეობდა, ჯეკის უკანასკნელ დღეებზე საავადმყოფოში და ბოლოს იმაზე, თუ რას ნიშნავდა მათთვის ეს სამოცდაათზე მეტი (ვინსისთვის ორმოცზე მეტი) წელი.

მოკლე თავებში ისინი თავიანთი გადასახედიდან ყვებიან ყველაფერს. მთხრობელთა შორის არა მხოლოდ ეს ოთხი კაცი, ჯეკის ქვრივიცაა, რომელმაც უარი თქვა მათთან ერთად გამგზავრებაზე; არის აგრეთვე ერთ-ერთის ცოლი და მხოლოდ ერთ თავში თვით ჯეკიც. ჩვენ თანდათანობით ვერკვევით მოვლენებში, რომლებმაც ისინი ერთმანეთთან დააკავშირა - ნაწილობრივ მათი სურვილების საწინააღმდეგოდ და ნაწილობრივ ოჯახური და მეგობრული კავშირებიდან გამომდინარე. სიუჟეტი მეტად ორიგინალურად და საზრიანადაა აგებული: იმისათვის, რომ ბოლომდე ჩაწვდე გმირების ნათქვამსა და ნაფიქრალს, წიგნი ორჯერ უნდა წაიკითხო.

სიცოცხლე, სიკვდილი და ოჯახი - სვიფტისთვის ის მასალაა, რომელიც მყარ ნიადაგს ქმნის ღრმა და ნაწილობრივ მტკივნეული განცდებისთვის. მის ადრეულ წიგნებში მსგავს განცდებს აღწერდა და იკვლევდა ერთი მთხრობელი - ამ მხრივ აღსანიშნავია "წყლია-




ნი მხარე“, სადაც ყველაფერს სკოლის მასწავლებელი ტომ კრიკი გვამცნობდა (და გარკვეულწილად აკონტროლებდა კიდეც), მაგრამ სვიფტისეული სტილისთვის, რომელშიც ყველაფერი ერთმნიშვნელოვნად, ეჭვით იხსნება დაფარული, აშკარა ხდება მრავალხმიანობის უპირატესობა და ამ ხერხთან დაკავშირებულმა ექსპერიმენტებმა, რომელიც ავტორმა დაიწყო რომანებში “ამ სამყაროს მიღმა“და “ამიერიდან და სამუდამოდ“, განვითარების თვალსაზრისით შეუდარებელი წინსვლა განიცადა “უკანასკნელ განკარგულებებში“. ოთხ კაცს ჯეკის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს, მაგრამ თანდათან ნათელი ხდება, რომ ისინი ერთმანეთის მიმართაც საწინააღმდეგოდ არიან განწყობილნი. როჩესტერის პაბში ლენი ზომაზე მეტ ლუდს დალევს და ვინსს დაცინვას დაუწყებს მკითხველისთვის საკმაოდ კარგად ცნობილი მიზეზის გამო. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ არის ლენის მიერ განცდილი და მონათხრობი: ის მეტისმეტად გაცეცხლებული, მეტისმეტად აგზნებულია და არ შეუძლია, ობიექტურად შეაფასოს გრძნობები, რომელსაც მასში იწვევს ვინსი. ამიტომაც სცენაზე დაკვირვებას რეის თვალით ვახდენთ. რეი უყურებს ლენის, რომელსაც “სახე თითქოს ერთიანად დასიებია“, რამდენიმე წუთში კი ისევ ეცვლება, “გეგონება სწორედაც თავს ებრძოდა და ახლა უკვე აღარ იცის, როგორ მოიქცეს“. ამავე დროს რეი ვინსსაც ადევნებს თვალყურს - მშვიდს, თავის თავში დარწმუნებულს და ნირშეუცვლელს მანამდე, სანამ წელში არ მოიხრება მოულოდნელი დარდისა და უსუსურობისგან. მსგავსი სცენები აღწერილია ჯგუფის სხვადასხვა წევრების მიერაც და მთელი მგზავრობის მანძილზე ისინი მათ ახსნას ცდილობენ - სწორად იქნება ეს თუ შეცდომით. ამ ხერხის მეშვეობით სვიფტი იმ ადამიანების სუფთა გრძნობებისა და გონივრული, “ბრძნული“კომენტარების შეჯერებას ახდენს, რომლებიც დამკვირვებლის როლში გვევლინებიან. მის ზოგიერთ წიგნში გვხვდება ისეთი ადგილები, როსელიც მკითხველს იქითკენ უბიძგებს, რომ სვიფტის გამომგონებლური რეფლექსია ხელს უშლის გრძნობების პირდაპირ გადმოცემას. ამ რომანში მსგავსი რამ არ ხდება; აქ ძლიერი ტრაგიკული და კომიკური ემოციების მონაცვლეობა ტექსტის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.

სვიფტის პირველ რომანზე საუბრისას ხაზგასმით აღვნიშნავდი, რომ ის შთაბეჭდილებას ახდენს იმ ადამიანის მიმართ თანაგრძნობისა და ცოცხალი ინტერესის წყალობით, რომელიც არც თავად ავტორს ჰგავს და არც მის მკითხველს. იგივე შეიმჩნევა “უკანასკნელ განკარგულებებშიც“. თუმცა აქ ავტორი თავისი სათქმელის თქმის უფლებას პერსონაჟებს აძლევს და ამით განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებს მათ. ეს ხანშიშესული ადამიანები ახლებურ დამაჯერებლობას სძენენ პასუხებს იმ შეკითხვებზე, რომელიც მოელით; მაგალითად, კითხვაზე, თუ რას ნიშნავს მამობა. აი, ლენი. იგი იხსენებს, თუ როგორ დაჰყავდათ ჯეკსა და მის ცოლს, ემის, მისი პატარა ქალიშვილი სალი ზღვის ნაპირზე მათ ნაშვილებ ვაჟთან, ვინსთან ერთად. საღამოობით ისინი ხორცის ფურგონით ბრუნდებოდნენ და მოჰყავდათ მანქანის წინა სკამზე ნახევრადმძინარე სალი. ლენი და მისი ცოლი ჯოანი კი ხვდებოდნენ.

“დიახ, ერთი თავისუფალი დღე ნამდვილად არ გვაწყენდა. მე ვთქვი, რომ უკანასკნელი პლაჟი, სადაც ვირუჯებოდი, სალერნო იყო; ესეც იმიტომ კი არა, რომ პლაჟებზე ვგიჟდები, უბრალოდ, დასვენება არ გვაწყენდა. უარს არ ვიტყოდი საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი ემის ყურებაზე. მაგრამ მიმაჩნია, რომ როდესაც შვილები გყავს, ვალდებული ხარ სპეციალურად ამოაძრო ჩალის ღერი. ყველანი ვერც ჩავეტეოდით მათ ფურგონში - წარმოდგენა არა მაქვს, ოთხივე შიგ როგორ მოთავსდა. ასე რომ, ეს ყველაფერი სალისთვის გაკეთდა; ჯეკისა და ემისთვისაც, მაგრამ, რა თქმა უედა, უფრო ემისთვის“.

როგორც სხვა დანარჩენები, ლენიც სამხრეთ ლონდონური დიალექტით ლაპარაკობს. ნაწყვეტში არის შეფარული ხუმრობა: “უკანასკნელი პლაჟი, სადაც ვირუჯებოდი, სალერნო იყო; ესეც იმიტომ კი არა, რომ პლაჟებზე ვგიჟდები“ (მეორე მსოფლიო ომის დროს მოკავშირეები გადმოსხეს იტალიაში, სალერნოს პლაჟებზე). ის ფიქრობს მშვენიერ ემიზე, ვისი გონებრივად ჩამორჩენილი, სამყაროსგან აბსოლუტურად მოწყვეტილი ქალიშვილიც, ცხოვრებას საავადმყოფოში ატარებს. სალი თითქოს მისი ქალიშვილის ადგილს იკავებდა, ოღონდ მცირე ხნით. ლენის ეს ისევე კარგად ესმის, როგორც ის, რომ შვილების ყოლა უამრავი სიძნელისა და ხელმოკლეობის, სიმწრის გადატანას ნიშნავს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ადამიანები მიდიან ამაზე, თუმცა წინასწარ არასოდეს იციან, როგორი გაიზრდება ბავშვი. დასკვნამდე ლენის ფრაზას მივყავართ: “მიმაჩნია, რომ როდესაც შვილები გყავს, ვალდებული ხარ სპეციალურად ამოაძრო ჩალის ღერი“ (ის, ვინც გრძელი ღეროების კონიდან მოკლეს ამოაძრობს, უნდა შეასრულოს რაიმე უსიამოვნო სამუშაო,ან მძიმე საქმეზე წავიდეს). თუ ვის შეხვდება მოკლე ჩალის ღერი, რა თქმა უნდა, შემთხვევითობაზეა დამოკიდებული, მაგრამ შემთხვევითობის ასეთი თამაში, ხშირად ბედისწერად აღიქმება. ლენის ამაში თავისი დამატებითი აზრი შეაქვს: მშობლები შეგნებულად ემორჩილებიან ბედს, რომლის წინაშეც უძლურნი არიან. წინააღმდეგობრიობა, რომელსაც ლენის ფრაზა შეიცავს, მშვენივრად გადმოგვცემს მშობლის ხვედრის პარადოქსულობას.

მოყვანილი ნაწყვეტი იმის ნათელი ილუსტრაციაა, თუ როგორ ცდილობენ ადამიანები ერთმანეთს გაუგონ. ლე-

ნის მხოლოდ საკუთარი და ცოლის განცდები არ აინტერესებს. ის წარმოიდგენს, თუ რას გრძნობენ სალი, ჯეკი, ემი (განსაკუთრებით ემი) და ვინსი. და ეს აახლოვებს ხალხთან, რომელიც ადრე სძულდა. რომანის ყველა გმირის მსჯელობაში შეიმჩნევა გრძნობის აზრიანობა.

ისე, როგორც სვიფტის წინა რომანებში, მამებისა და შვილების ურთიერთდამოკიდებულების თემას ამ წიგნშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მაგრამ თუ რომანებში "ბედის სათამაშო", "წყლიანი მხარე", "ამ სამყაროს მიღმა" და "ამიერიდან და სამუდამოდ", ეს ურთიერთობა უმეტესწილად ვაჟის გადმოსახედიდანაა აღწერილი, აქ პრევალირებს მამის თვალსაზრისი (როგორც "საკონდიტროს მეპატრონეში"). ამჯერად შვილებს შორის ვაჟების გარდა ქალიშვილებიც გვხვდებიან. მამები ხომ სვიფტთან ძალაუფლების მოყვარულები და ძლიერები კი არა, გულმოკლულები და გაუბედავები არიან - მათ საკუთარი შვილების დაცვა სწყურიათ, მაგრამ საშინელ შეცდომებს უშვებენ. უშვებენ იმიტომ, რომ მარტოობამ ისინი გააჯიუტა. მამები ოცნებობენ, შვილები კი ამსხვრევენ მათ ოცნებებს. მაგრამ როდესაც კაცი სიკვდილის პირასაა მისული, ადვილი არ არის იგნორირება გაუკეთო მის ოცნებებს ან აჰყარო შენზე თავისი უფლებები. წიგნის ერთ-ერთი, ყველაზე ამაღელვებელი თავი გვიჩვენებს, წყენისა და გულისწყრომის მიუხედავად, როგორ არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვულები მომაკვდავი ჯეკი და მისი გერი ვინსი.

მე უკვე ვისაუბრე იმის შესახებ, რომ სვიფტი იდეებს სიმბოლოების დახმარებით გამოიმუშავებს. ამ რომანში თავად სიტუაცია ისეა შეკრული და სიცოცხლითა და სიკვდილით გაჯერებული, რომ სხვა სიმბოლოებს მათ გარდა აღარ საჭიროებს. ოთხ ადამიანს კონტეინერით ზღვისკენ ფერფლი მიაქვს და თან მიჰყვებათ მოგონებები. ეს ისეთი უნივერსალური სიუჟეტია, რომ იწვევს უამრავ ლიტერატურულ ასოციაციას. მაგალითად,"კენტერბერიული მოთხრობებიდან", სადაც რამდენიმე ყარიბი ლონდონიდან კენტერბერიაში მიდის (მარგეიტი სწორედ კენტერბერთან ახლოსაა) და გზაში ერთმანეთს ათასგვარი ისტორიებით ართობენ. ან ბავშვების შესახებ დიკენსისეული მოთხრობებიდან, რომლებიც სახლიდან გამოყარეს - ასევე სადღაც ახლო-მახლო. ან "ულისედან", სადაც დასაფლავებაზე, მეგობრებთან ერთად მყოფ ლეოპოლდ ბლუმს ენატრება თავისი გარდაცვლილი ვაჟი. ამ კონტექსტში შეიძლება პლაგიატობაში დადანაშაულების გადამოწმება.

დავიწყე თუ არა "უკანასკნელი განკარგულებების" კითხვა, მაშინვე გამახსენდა კიდევ ერთი მშვენიერი ეპიკური რომანი - "სული რომ ამომდიოდა", სადაც ჩვეულებრივი ოჯახი დედას ასაფლავებს. ტექნიკური თვალსაზრისით სვიფტიც და ფოლკნერიც მრავალხმიანობას ირჩევენ. ფოლკნერის რომანის კითხვისას მივხვდი, რომ ადრე იქნება თუ გვიან, მოგვიწევს თვით გარდაცვლილი დედის, ედი ბუნდრენის ხმის გაგონებაც. ამიტომ ჩემთვის წინასწარვე ნათელი იყო, რომ "უკანასკნელ განკარგულებებში" თავად ჯეკ დოდს უნდა ელაპარაკა. სიუჟეტის ლოგიკასაც აქამდე მივყავართ: ეს სწორედ ის არის, რისი გაკეთებაც ლიტერატურას შეუძლია და აკეთებს კიდეც - წარმოსახვა, შემოქმედებითი მიდგომით გადამუშავებული ადამიანური გამოცდილება.

დიახ, ორივე რომანში ჩვენ გვესმის გარდაცვლილი კაცის ან ქალის ხმა. მაგრამ ეს პლაგიატობა არ არის - ამას უბრალოდ მხატვრული აუცილებლობა განაპირობებს. სვიფტის რომანში არაფერია ისეთი, რაც სამყაროს მისეული აღქმიდან არ მომდინარეობდეს ან უცხო იყოს წერის მისეული მანერისთვის. წიგნებს შორის განსხვავება ისეთივე დიდია, როგორც მსგავსება. ფოლკნერის გმირები იმ ატანილ ადამიანებს ჰგავნან, რომლებიც შეუპოვრად და თავგანწირვით ებრძვიან ხანძარს, წყალდიდობას და სხვა უბედურებებს. სვიფტის გმირები გულჩათხრობილი მოხუცები არიან და რომანის მსვლელობისას მათი შეპყრობილობის ჩანაცვლება ხდება მწუხარებით და სიყვარულით.

"სული რომ ამომდიოდა", მრავალთაგან მხოლოდ ერთი ლიტერატურული პარალელია სვიფტის რომანისა, რომელიც მკითხველმა შეიძლება ვერც შეამჩნიოს, მაგრამ ამით პრაქტიკულად არაფერს კარგავს. ფოლკნერის მსგავსად, სვიფტიც ღრმა, ტრაგიკომიკურ თემას ირჩევს და სარგებლობს ტექნიკური ხერხებით, რომელიც უპრობლემოდ შეუძლია თავისად ჩათვალოს.მას არ უსარგებლია ფოლკნერის რომანით და იქიდან არაფრის კოპირება მოუხდენია. ეს წიგნები იქ თანხვდებიან ერთმანეთს, სადაც ჭეშმარიტება უთანაბრდება ლიტერატურას (სვიფტი უსაფუძვლოდ არ შეუდარებიათ ტომას ჰარდისთვის - არც ფოლკნერისთვის. ამ სამივე მწერლის შემოქმედებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადგილმდებარეობის, ისტორიებისა და დანაკარგების თემა). რომანის "სული რომ ამომდიოდა" დასასრული საშინელებისა და კომიკური გროტესკის ნაზავია. სვიფტის რომანის დასასრული ჩემთვის ცნობილ დასასრულთაგან ერთ-ერთი უბრწყინვალესია. როცა "უკანასკნელი განკარგულებების" გმირები, განსაკუთრებით რეი, იხსენებენ ცხოვრებას ჯეკთან ერთად და მის გარეშე, ჩვენ ვგრძნობთ, რომ დიდსულოვნებითა და სიყვარულით ნაკარნახევ მათ ქმედებებს შეუძლია იმედის ნაპერწკალი ჩაუსახონ ყველაზე განადგურებულ სულებსაც კი. სვიფტის სამყაროში მნიშვნელოვანია იმაზე ფიქრი, თუ რას აკეთებ. აუცილებელია სიბრძნე და გაწონასწორებულობა (სვიფტს არ სჯერა, რომ კეთილგონიერებამ ადამიანი შეიძლება მიიყვანოს შეშლილობამდე, როგორც ეს ფოლკნერთან ხდება). კითხვები მოითხოვენ პასუხებს. ადამიანები საკუთარ თავს კითხვებს უსვამენ, ფიქრობენ, იცვლიან შეხედულებებს და დიდი ძალისხმევის შედეგად პოულობენ პასუხებს. და სწორედ ამ, სვიფტის ყველაზე ოპტიმისტურ რომანში, ბრძნულ და ზუსტ პასუხებს მართალია რთული გზით, მაგრამ მაინც მივყავართ სიყვარულთან და სიყვარულის გაგრძელებასთან სიკვდილის მიჯნაზეც კი.

თარგმნა ანი არჩვაძემ

არილი



გრემ სვიფტი და ფრედ შეპისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ე.ლ.დოქტოროუ**

# სიტყვის ძახილი



სახელად ედგარი იმიტომ დამარქვეს, რომ მამაჩემი თაყვანს სცემდა ედგარ ალან პოს შემოქმედებას. ამასთან, მას ჯეიმს ფენიმორ კუპერიც უყვარდა და, ფაქტობრივად, მოსწონდა უამრავი უხეირო მწერალი (ჩემდა სასიამოვნოდ, პო მათგან ყველაზე სახელმოხვეჭილია). რამდენიმე წლის წინ მოხუცებულ დედას ვკითხე: ხვდებოდით თუ არა შენ და მამაჩემი, რომ ალკოჰოლიზმითა და ნარკომანიით დაავადებული, მანიაკალური პარანოიით შეპყრობილი და ნეკროფილური მიდრეკილებების მქონე პიროვნების სახელი დამარქვით-მეთქი? "ედგარ", მომიგო მან ნაწყენი კილოთი, "ნუ ლაზღანდარობ".

რა თქმა უნდა, ბავშვობისას არ ვიცოდი, რომ პოს სძაგდა ამერიკის დემოკრატიული მასები და ამჯობინებდა, არისტოკრატულად ჩაკეტილიყო საკუთარ სოლიფსისტურ სამყაროში, რამაც გამოხატულება ჰპოვა საპყრობილეების, კუბოების, ჩახუთული, ბნელი ოთახებისა და მისი ნაწარმოებების სხვა ყბადაღებული ატრიბუტების სახით. დროთა განმავლობაში შემიყვარდა ეს ბრწყინვალე მჯღაბნელი, ეს ბოგანო ვიზიონერი, მისი თანამედროვე ლიტერატურის ეს ანჩხლი კრიტიკოსი. ახალი ინგლისის ლიტერატურული ქურუმების მიერ აშკარად ათვალწუნებულმა პომ საკუთარი გზა მოძებნა: გარდაცვლილ სატრფოთა მეხოტბედ და ადამიანის მახინჯი სულიერი გამოვლინებების ფსიქოლოგად იქცა.

მაგრამ ბავშვობისას ვიცოდი მხოლოდ ის, რომ მშობლებმა გამოჩენილი მწერლის სახელი დამარქვეს. ამ სახელის შესაბამისად, კითხვამ გამიტაცა. გამუდმებით ვიქექებოდი ჩვენს საოჯახო ბიბლიოთეკასა და იმ წიგნებში, რომლებიც დედაჩემს მოჰქონდა შინ. გარდა ამისა, ნიუიორკის საჯარო ბიბლიოთეკის ბრონქსის ფილიალში ჩავეწერე.

რვა წლის ასაკში ბრმა ნაწლავი გამისკდა და საავადმყოფოში დამაწვინეს. სწორედ ამ დროს მომიტანეს რბილყდიანი ე.წ. "ჯიბის წიგნები", რომლებიც მხოლოდ 25 ცენტი ღირდა. არ მეგონა, რომ სიკვდილის პირას ვიმყოფებოდი და თუმცა დროდადრო გონებას ვკარგავდი, მაგრამ შუალედებში ვკითხულობდი ფრენკ ბაკის რომანს "დაბრუნებისას ისინი ცოცხალნი უნდა იყვნენ", აგრეთვე ავსტრიელი მწერლის ფელიქს სალტენის უსიცოცხლო "ბემბის", შემდეგ ჯეიმს ჰილტონის აღმოსავლური მისტიციზმით გამსჭვალულ მდარე რომანს "გაუჩინარებული ჰორიზონტი" (რომელმაც მაზიარა ზებუნებრივი მოვლენების სამყაროს და, მაშასადამე, ყველაზე მოსაწყენი რამ იყო ამქვეყნად), ბოლოს კი - "ქარიშხლიან მწვერვალებს", რომანს მოზრდილ ადამიანთა ცხოვრების შესახებ, რაც სულაც არ მაინტერესებდა. ეს იყო "ჯიბის წიგნების" ფირმის მიერ გამოშვებული პირველი გამოცემები. მათ ახლაც ვინახავ. მახსოვს, ეს წიგნები ავგაროზებივით დამიდეს სასთუმალთან ფერმკრთალმა, შეწუხებულმა მშობლებმა. მშობლების სიყვარული ძალასა და ენერგიას გვანიჭებს, სანამ ისინი ცოცხალნი არიან, მაგრამ მხოლოდ მათი სიკვდილის შემდეგ ვამჩნევთ ამ სიყვარულის ნათელ შარავანდს, თავს რომ დაგვნათის - აი, თურმე რა გვასულდგმულებდა.

ჯანმრთელობის აღსადგენად ჩემი მშვიდი და დარბაისელი მამიდის მშვიდსა და დარბაისლურ სახლში (უესტჩესტერის გარეუბანში) გამგზავნეს. აქ შევიცანი უშფოთველი ცხოვრებისა და თავაზიანი საუბრების აუცილებელი და საკმარისი პირობები: ვეება სახლი, შინამოსამსახურეები, მზით გასხივოსნებული მყუდრო ოთახები, ფართო ეზო, ხეები და მოლი. ყოველივე ეს მიუწვდომელი იყო ჩემი მშობლებისთვის, რომელთა ბინა ბრონქსში ეკუთვნოდა აგრეთვე დედაჩემის უმუშევარ ძმას, მუსიკოსს (თავის დროზე ჯაზ-ორკესტრის სახელგანთქმულ დირიჟორს) და ჩემს მოხუც, გამოთაყვანებულ ბებიას.მართალია, მშობლები მზრუნველად გვექცეოდნენ,მაგრამ ისინი თავშეკავებულობით არ გამოირჩეოდნენ - განუწყვეტლივ დავობდნენ იმის შესახებ,რა უნდა ელონათ, რომ თავი გადაერჩინათ დეპრესიის დროს... და როგორიც არ უნდა ყოფილიყო საკუთარ ოჯახში ცხოვრების უპირატესობები, სიმშვიდე იქ არ სუფევდა. რა თქმა უნდა, ლოიალური ვიყავი ჩემიანების მიმართ, მეორე მხრივ, შესაძლოა, ქვეცნობიერად მთრგუნავდნენ ის ადამიანები, რომელთა შორისაც აღმოვჩნდი. ისინი ჩამოშორდნენ ლათინთა და ანგლო-საქსთა გარემოს, კიდევ უფრო მეტად კი - ებრაელ თანამოძმეებს. ამიტომ ვერ ვეთვისებოდი კომფორტს, სიმშვიდესა და მყუდროებას, რომელთაც უზრუნველყოფდა ჩემი დარბაისელი მამიდა. მანუგეშებდა მხოლოდ მამიდაშვილის საბავშვო წიგნთა ბიბლიოთეკა, განსაკუთრებით კი - ფრენკ ბაუმის რომანები "ოზის ქვეყნის" შესახებ.

შინ დაბრუნებისას საჯარო ბიბლიოთეკიდან წამოვიღე ჯეკ ლონდონის ორი რომანი: "წინაპართა ძახილი" და "თეთრი ეშვი". პირველ მათგანში აღწერილი იყო ამბავი ძაღლისა, რომელიც, გატაცების შემდეგ, იუკონზე მარხი-



ედგარ ალან პო

ლებს ეზიდებოდა, მეპატრონეთა სისასტიკემ კი აიძულა, წინაპართა გზას დასდგომოდა და მგლად ქცეულიყო; მეორე რომანის მთავარი პერსონაჟი გახლდათ მგელი, რომელიც ადამიანის გულთბილი მოპყრობის შედეგად მოშინაურდა და იქცა ალერსიან, თვინიერ ძაღლად. ჯეკ ლონდონმა იპოვა ნაწარმოებების აგების შესანიშნავი რეცეპტი და ამერიკაში ფართო პოპულარობა მოიხვეჭა. მას ახლაც კითხულობენ მთელ მსოფლიოში, თუმცა თანამედროვე დახვეწილი მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ქმნილებების ფონზე ლონდონის ხმა უფრო ყრუდ გაისმის.

მორალი, რომელიც "წინაპართა ძახილის" საფუძველს წარმოადგენს, ეხმიანებოდა ჩემს ცხოვრებას: ერთი მოხუცი კაცი ყოველდღე აკაკუნებდა ჩვენს კარზე და დედაჩემს ფულს სთხოვდა ევროპიდან ებრაელთა გამოსახსნელად; პარკში თამაშის დროს ვერიდებოდი შეხვედრას დანებით შეიარაღებულ ბიჭებთან, რომლებიც აღმოსავლეთ ბრონქსიდან მოდიოდნენ, რათა ბავშვებისთვის ჯიბის ფული წაერთმიათ; მამაჩემმა, რომელიც ფლობდა ქალაქის ცენტრში განლაგებულ გრამფირფიტების მაღაზიას, შესანიშნავად იცნობდა კლასიკური მუსიკის რეპერტუარს და მეგობრობდა უდიდეს თანამედროვე შემსრულებლებთან და კომპოზიტორებთან, ეს მაღაზია დაკარგრ 1940 წლის დეპრესიის დროს; შერეკილი ბებიაჩემი სახლიდან გაიპარა და ქუჩებში დახეტიალობდა, სანამ ის პოლიციამ არ იპოვა და შინ არ მოიყვანა. ჩვენ გავკოტრდით. ავბედითი "ომის ღრუბელი" სულ უფრო მუქდებოდა. ჩემი ძმა ომში წაიყვანეს. ზამთარში, როდესაც ბრონქსი, იუკონის მსგავსად, თოვლმა დაფარა და ქალაქში ცხოვრება ჩაკვდა, წინაპართა ძახილმა ველურად მაქცია, ყმაწვილთა ბანდას სათავეში ჩავუდექი და მზად ვიყავი, ყელი გამომეღადრა ყოველი ადამიანისთვის, ვინც ჩემი ოჯახის რომელიმე წევრს დაიბრიყვებდა ან აწყენინებდა.

გარკვეულ მომენტში ჩავწვდი იმ პირველყოფილი ძალის არსს, რომელიც დაეუფლა არა მარტო ძაღლს, ან არა ფაქტობრივად ძაღლს. ამ დროისთვის - მგონი, ცხრა წლის ვიყავი - გადავწყვიტე, მწერალი გავხდები-მეთქი. ეს იყო იმდენად მტკიცე რწმენა, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში არ მიგრძვნია არავითარი მოთხოვნილება, ნამდვილად დამეწერა რაიმე. ავადმყოფობამ ისე გამომფიტა და დამასუსტა, რომ თამაშისა და სირბილის თავი არ მქონდა. სამაგიეროდ, სიამოვნებით ვკითხულობდი წიგნებს ან ვუსმენდი ლიტერატურულ რადიოგადაცემებს. ძალზე მაინტერესებდა, როგორ იწერებოდა მოთხრობები. კითხვისას ჩვენ ვერთვებით აღწერილ მოვლენებში, დიახ, ეს ასეა, მაგრამ ამ პროცესს წარმართავს ავტორი - ეს თავაწყვეტილი წინამძღოლი, პირველყოფილი ძალმოსილების ეს დიდებული განსახიერება, რომლის კვალდაკვალ იოლად გადავევლებით ხოლმე თავს ნებისმიერ ლიტერატურულ უფსკრულებსა და ღრანტეებს.

თავდაპირველად, "პესიმიზმის" პერიოდში, ვკითხულობდი ე.პოს, უ.უ.ჯეკობსს, მერი შელისა და სხვა "სისხლს მოწყურებულ" ავტორებს. მამაჩემი ამას დიდად არ შეუშფოთებია, რადგან იუმორის გრძნობით საკმარისად იყო დაჯილდოებული. ერთხელ მან ბაბუაჩემის ბიბლიოთეკიდან წამოღებული წიგნი მომცა და შენიშნა: "რაკი ეს აბდაუბდა მოგწონს, "მწვანე ხელი" წაიკითხე. ჩემი აზრით, სათაური მართლაც რომ ამაზრზენია". წიგნი მაშინვე გადავშალე და დავრწმუნდი, რომ მასში მოკვეთილი,გაშეშებული ხელის ხსენებაც არ იყო; ავტორი აღწერდა ახალგაზრდა მეზღვაურის თავგადასავალს. მამაჩემის ოინმა გასჭრა და ამიერიდან დავეწაფე წიგნებს ზღვაოსანთა მოგზაურობების შესახებ. ბაბუაჩემის ბიბლიოთეკიდან წამოვიღე და წავიკითხე "გროსვენორის დაღუპვა", "კაპიტანი მარიეტი", "მობი დიკი"და ა.შ.

ბაბუაჩემი პროფესიით ტიპოგრაფი გახლდათ. ახალგაზრდობისას, 1885 წელს ის რუსეთიდან ნიუ-იორკში გადმოსახლდა. ლიტერატურა ძალიან უყვარდა - რამდენიმე ენაზე კითხულობდა - და ამერიკაში საკმაოდ მოზრდილი ბიბლიოთეკა ჩამოიტანა. სწორედ მისგან გავიგე პირველად ტოლსტოის სახელი - ლევ ტოლსტოისა. ბაბუამ მაჩუქა თავისი ერთ-ერთი წიგნი, ტომ პეინის "გონების საუკუნე", რომლის ავტორი სარკასტულად აკრიტიკებდა ბიბლიურ ფუნდამენტალიზმს. "ჩემი ტაძარი ჩემი გონებაა", მკრეხელურად აცხადებდა ის. ამ წიგნმა, სხვა გაბედულ აქტებთან ერთად, ამერიკული რევოლუციის გამოჩენილი გმირი-მწერალი ახალ მთავრობას დაუპირისპირა. შევნიშნავ, რომ ჩემი ოჯახის წევრები სხვადასხვაგვარად ეკიდებოდნენ რელიგიას: მამაკაცები - ბაბუაჩემი და მამაჩემი - სკეპტიკოსები გახლდნენ, ხოლო ქალები - ბებიები და დედა - ერთგულად იცავდნენ რელიგიურ წესებს, შაბათობით ისვენებდნენ, სანთლებს ანთებდნენ და ა.შ.

თანამედროვე პედაგოგებისა და ფსიქოლოგების აზრით, ბავშვობა იდეალური ასაკია. ამასთან,ჩემი სიყრმე მოშხამული იყო ოჯახის მოზრდილ წევრთა გაუთავებელი ბრძოლით საარსებო საშუალებების მოსაპოვებლად. საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ჩემს ცხოვრებას იდეალური ეოქვა? ეს გახლდათ ცხოვრება და სხვა არაფერი, ანუ ნორჩი არსების ჩვეულებრივი, გამაღლებული სვლა სიმწიფისკენ. ჩვენს ბინაში გამუდმებით გაისმოდა მუსიკა და არა მხოლოდ გრამოფონის ხმები, არამედ - ფორტეპიანოსიც. დედაჩემი საუცხოო პიანისტი იყო და მისი მშფოთვარე სული ნუგეშს შოპენის ყველაზე ბობოქარ პიესებში პოულობდა. ჩემი უფროსი ძმის მიერ ჩამოყალიბებული ჯაზ-ორკესტრი რეპეტიციებს ჩვენს ბინაში ატარებდა. ამგვარად, ჩვენთან ჟღერდა ყოველგვარი და ყველა ეპოქის მუსიკა. გარდა ამისა, ჩემიანები შესანიშნავად ფლობდნენ თხრობის ხელოვნებას. ისინი ჰყვებოდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯაკ ლონდონი

ორდინარულ ამბებს, მაგრამ გამონაგონით შელამაზებისას ეს ამბები საგანგებო მნიშვნელობასა და ღირებულებას იძენდა. რა თქმა უნდა, საყვარელ, ახლობელ ადამიანებს ყოველთვის ინტერესით ვუსმენთ ხოლმე (გარკვეული გაგებით, პროფესიონალ მწერალს დაბრკოლებას უქმნის ის გარემოება, რომ მკითხველი პირადად არ იცნობს მას), მაგრამ თუ ამას არ ჩავთვლით, მთხრობელებს, რომელთაც მე ვუსმენდი, გააჩნდათ ძალზე მყარი თვალსაზრისი სამყაროს შესახებ. სხვა შემთხვევაში ისინი ვერ შეძლებდნენ მის ეგზომ მახვილგონივრულ გაქირდვას.

ადამიანებისგან განსხვავებით, წიგნები მუდმივად მთელი ჩვენი სიცოცხლის განმავლობაში მოგვითხრობენ და ვინ შეედრება ისეთ მთხრობელებს, როგორიც იყვნენ მარკ ტვენი და ჩარლზ დიკენსი? მშობლების ბიბლიოთეკაში ვიპოვე "დევიდ კოპერფილდი". დიკენსის სხვა თხზულებები საჯარო ბიბლიოთეკიდან გამოვიტანე. იქ მისასვლელად პურის საცხობი ქარხნის გვერდით უნდა გამევლო, საიდანაც მთელ ქუჩას ეფინებოდა ახალგამომცხვარი ჭვავის პურისა და ფუნთუშების საამო სურნელი. "დიდი იმედების" ეგზემპლარი იმდენად გაცვეთილიყო, რომ წიგნის ხაოიანი ფურცლები ხავერდს წააგავდა.

როგორი მღელვარებით ვიცანი საკუთარი განცდები "ტომ სოიერში". ტომის მსგავსად,მეც მძულდა წყალი და საპონი; ყოველთვის კეთილგანწყობით როდი ვექცეოდი ძაღლებსა და კატებს; თანავუგრძნობდი ტომის ოცნებას სახლიდან გაქცევის შესახებ; დაწყებით სკოლაში მეც მიყვარდა ბეკი ტეტჩერისნაირი კეკლუცი ქერა გოგონა; შემეძლო, ჩემს თავზე ამეღო "სატრფოს" მიერ ჩადენილი დანაშაული. ყველაზე მეტად კი ის ტაქსონომიური სამყარო მეცნო, რომელშიც ტომ სოიერი ცხოვრობდა, კერძოდ, შეურიგებელი წინააღმდეგობა ბავშვსა და მოზრდილ ადამიანს შორის, რომლებიც, ამასთანავე, ერთიანდებიან ხოლმე კრიზისულ პერიოდებში. და ბავშვისთვის ძალზე მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ მისი შეცოდებები - მე კი უსასრულოდ ვცოდავდი, დაწყებული საშიში ავადმყოფობითა და დამთავრებული მუსიკის მოუმზადებელი გაკვეთილებით - არც ისე ტრაგიკული რამაა, რომ მოზრდილსა და ყრმას შეუძლიათ გაუგონ და აპატიონ ერთმანეთს ყოველგვარი ბრალეულობანი.

ვირჯინია ვულფი თავის ერთ-ერთ ესეში "როგორ უნდა ვიკითხოთ წიგნი?" გვირჩევს: "იქეცით ავტორად, მისი შემოქმედების თანამონაწილედ... შესაძლოა, რომანისტის შრომის არსს უკეთ ჩასწვდით არა კითხვის, არამედ წერის მეშვეობით; შეეცადეთ, დამოუკიდებლად გაუმკლავდეთ ლიტერატურულ შემოქმედებასთან დაკავშირებულ სიძნელეებს".

ასეც ვიქცეოდი და, ბოლოს, მეტ-ნაკლებად გავიწაფე წერაში. ჩემი ძმა ოკეანის გაღმა იბრძოდა, ხოლო მამაჩემი ყოველ საღამოს ყურადღებით კითხულობდა გაზეთებში გამოქვეყნებულ ახალ ამბებს. მეზობლებმა ფანჯრებში ლურჯვარსკვლავებიანი ალმები გამოკიდეს. კინოთეატრებში აჩვენებდნენ ტანკებს, ბომბების აფეთქებებს, საბრძოლო გემებს, მე კი, რომელსაც ედგარი მერქვა, ჰერმეტული ტრადიციისთვის არ მიღალატია და გატაცებით ვწერდი მიწისქვეშა საპყრობილეების ან იდუმალებით მოცული, გაყინული სახლების შესახებ. ყველა მოთხრობას დაახლოებით ამგვარად ვიწყებდი:"ბნელსა და ნესტიან დილეგში...".

გარკვეული ხნის შემდეგ "პოს პერიოდი" დამთავრდა, მაგრამ მისი ზეგავლენა ჩემზე არ შენელებულა. უეცარი იდეები და ცერებრალური აღგზნება ხორცს ისხამდა სიუჟეტებსა ან სიტუაციებში, ერთი-ორი აბზაცის შეთხზვის შემდეგ კი ბურთის სათამაშოდ მივრბოდი. იმ დროს რადიოეთერი ეთმობოდა უამრავ ლიტერატურულ გადაცემას, რომელთაც, სათანადო განწყობილების შესაქმნელად, წინ უძღოდა მუსიკალური შესავალი. ამ გადაცემათა მიბაძვით ვუსმენდი ოპერების უვერტიურებს და ჯაზურ მელოდიებს, რომლებიც ბიძგს მაძლევდა ამა თუ იმ სცენისა ან ეპიზოდის დასაწერად.

ჩემს სამწერლო საქმიანობაზე უეჭველი ზეგავლენა მოახდინა იმ სეისმურმა შოკმა, რომელიც განვიცადე სქესობრივი მომწიფების ასაკში. ამასთან, აღმოვაჩინე თეოფილ გოტიეს პიკანტური რომანი "მადემუაზელ დე მოპენი", რომლის ზოგიერთმა ეპიზოდმა გული ამიძგერა და გამაწითლა. ამ დროისათვის ომი დამთავრდა, ჩემი ძმა უვნებლად დაბრუნდა შინ და თავისი სტუდენტური კარიერა დაასრულა სიტი-კოლეჯში, სადაც ლიტერატურული დაოსტატების კლასში ჩაეწერა. მთელი ზამთრის განმავლობაში ის ყოველ ღამე თხზავდა რომანს სამშობლოში დაბრუნებული ვეტერანების წინაშე წამოჭრილი ცხოვრებისეული სიძნელეების შესახებ. ფაქტობრივად, ომისშემდგომი პერიოდის ყველა რომანი ამ თემას ეძღვნებოდა, ამიტომ ახალგამომცხვარმა მწერალმა გული აიცრუა თავის ნაწარმოებზე, მაგრამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა იმან, რომ ომგადახდილი გმირი სერიოზულ საქმიანობად მიიჩნევდა წერას.

ერთი წლის შემდეგ აღმოვჩნდი ბრონქსის საბუნებისმეტყველო სკოლაში, რომელიც გაჭედილი იყო აუტანლად ნიჭიერი მოზარდებით. ისინი სრულიად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დროთა განმავლობაში მოიპოვებდნენ ნობელის პრემიას ფიზიკაში, რასაც ზოგიერთმა მათგანმა მიაღწია კიდეც. მე კი, ლაბორატორიული სამუშაოების შესრულების ნაცვლად, კაფკას მოთხრობებს ("მეტამორფოზას" და სხვებს) ვკითხულობდი და ტექნიკის მოძულე სხვა ჰუმანიტარებთან ერთად მთელ დროს ვატარებდი პატარა ოფისში, სადაც სასკოლო ლიტერატურული ჟურნალი იბეჭდებოდა. იქ გამოქვეყნდა ჩემი ნოველაც სათაურით "The Beetle", რომელიც სხვა არაფერი გახლდათ, თუ არა ლიტერატურის დიდოსტატის მართლაც რომ გაბედული გროტესკის ყმაწვილური მიბაძვა. წერის დაუძლეველი ჟინი მოსვენებას არ მაძლევდა და როდესაც საშუალება მომეცა, ჩავწერილიყავი ჟურნალისტიკის კლასში, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

სიმართლე რომ ითქვას, ლიტერატურულ ნათლობათა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფრანც კაფკა

რაოდენობა არ ჩამორჩება საეკლესიო ნათლობათა რიცხვს (ამ სიტყვის ჯოისისეული გაგებით). ვგულისხმობ ზნეობრივი თვითგამორკვევის მომენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის ბედს. საბედნიეროდ, მოვახერხე ამ ფაქტის რეტროსპექტულად დაფიქსირება ჩემს ცხოვრებაში. აი, რა მოხდა: ჟურნალისტიკის პედაგოგმა დაგვავალა საინტერესო პიროვნებების ინტერვიუირება. დავალება ბეჯითად შევასრულე და სკოლაში მივიტანე ინტერვიუ, რომელიც ჩამოვართვი კარნეგი-ჰოლის ხანდაზმულ კარისკაცს. ეს იყო გერმანულ-ებრაული წარმომავლობის ემიგრანტი, საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი ტყვე, ნაადრევად დაბერებული სათნო კაცი, რომელიც ძველმოდურ ორბორტიან ფრენჩსა და ულაზათო ყავისფერ შარვალს ატარებდა. ის ყოველ საღამოს მოდიოდა სამუშაოზე და თან მოჰქონდა ქაღალდში გახვეული ნუზლი თერმოსითურთ. ჩაის ძველებური წესით სვამდა: ერთ კვნიტ შაქარს წუწნიდა და ზედ ცხელ სურნელოვან სითხეს აყოლებდა. მოხუცს ცხოვრება დანგრეოდა, მაგრამ მაინც მხნედ იყო. ის კარგად იცნობდა რეპერტუარს და საინტერესოდ მსჯელობდა კომპოზიტორებისა და შემსრულებლების შესახებ. ბევრი გამოჩენილი მუსიკოსი (მაგალითად, ჰოროვიცი, რუბინშტეინი, იაშა ჰეიფიცი) კარისკაცს სახელით ("კარლ") მიმართავდა.

ჩემს პედაგოგზე ამ ინტერვიუმ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ გადაწყვიტა, სასკოლო გაზეთში გამოექვეყნებინა. გარდა ამისა, პედაგოგმა მოინდომა, ინტერვიუს ილუსტრირების მიზნით კარლისთვის ფოტოსურათები გადაგვეღო. ამგვარ ენთუზიაზმს არ მოველოდი და შევნიშნე, რომ კარლი არასოდეს დათანხმდებოდა ფოტოსურათების გადაღებაზე.

"რატომ?", - იკითხა პედაგოგმა.

"ის ძალიან მორცხვია".

"რამდენად მორცხვია? ხომ გესაუბრა, არა?"

"მთლად ასე არაა, - მივუგე მე, - არ არსებობს არავითარი კარლი, ის გამოვიგონე".

ამგვარად, თვითონვე გადავიკეტე გზა წარმატებული სასკოლო კარიერისკენ. პედაგოგს ჩემი დირექტორთან მიყვანა და ამ ამბის ჩემი მშობლებისთვის შეეტყობინებინა უნდოდა. მე კი ვფიქრობდი, რომ გაცილებით საინტერესო იყო მოხუცი კარისკაცის გამოგონება, ვიდრე ინტერვიუს ნამდვილად ჩამორთმევა ვინმესთვის. თუ კარლი არ არსებობდა, ის უნდა გამომეგონა. ბოლოს და ბოლოს, კაფკაც იგონებდა ისეთ ამბებს, რაც არ შეესაბამებოდა ყოველდღიურ ცხოვრებისეულ მოვლენებს, მაგრამ სავსებით შეესაბამებოდა ჭეშმარიტებას.

თავის მართლება არ მიცდია, თუმცა ამჟამად, რა თქმა უნდა, ავუხსნიდი პედაგოგს, რომ იგივე მოვიმოქმედე, რასაც ჟურნალისტები ყოველდღიურად სჩადიან.

ეს ინციდენტი თავისებური იგავია, რომელიც ასახავს რომანისტის დაბადებას. პრაქტიკამ მასწავლა, რომ ყოველგვარი შემოქმედებითი ძალისხმევა უნაყოფოა, თუ წერას თან არ ახლავს დანაშაულებრიობის ერთგვარი განცდა, ზუსტად ისეთი, როგორსაც ვგრძნობდი კარნეგი-ჰოლის კარისკაცის, კარლის სახის გამოგონებისას. მწამს, რომ ფასეული ნაწარმოების შესაქმნელად ავტორი წინ უნდა აღუდგეს მოარულ შეხედულებებს ადათ-წესების, ჩვევების, რწმენის შესახებ, გააშიშვლოს იდუმალების საფარით შენიღბული ფაქტები, კრიტიკულად მიუდგეს პოლიტიკურ ორთოდოქსალობას, ისტორიას, ლიტერატურულ პირობითობას, ესე იგი, საზოგადოებაში დაკანონებულ ყოველგვარ ნორმებს. შემოქმედება წარმოუდგენელია იმ შინაგანი თავისუფლების გარეშე, რომელიც მწერალს საშუალებას აძლევს, დაარღვიოს კანონები,ან თუნდაც, დაძლიოს შიში თავისი სამუშაოს, როგორც მიუტევებელი შეცოდების წინაშე.

კარლი წააგავს იმ დარაჯს კაფკას "პროცესიდან", რომელიც კანონის კარს იცავდა და საცოდავ მთხოვნელს აუწყა, რომ ეს კარი სწორედ მისთვის იყო განკუთვნილი. ჩემმა კარისკაცმა, რომელიც მუსიკის სამყაროს კართან იდგა, მომმართა (ამის გამო უსაზღვრო მადლიერებას ვგრძნობ მის მიმართ):

"გაბედულად გააღე შენთვის განკუთვნილი კარი, ჩემო ბიჭუნა. ეს შენი კარია. გააღე ის".

Guardian
2003, ივნისი

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ





ე. ლ. დოქტოროუ

# უოლტერ ჯონ ჰარმონი



როცა ბეტიმ მითხრა, ამაღამ უოლტერ ჯონ ჰარმონთან მივდივართ, არ მეგონა სახე თუ შემეცვლებოდა. მაგრამ მან თვალებში ჩამხედა და, როგორც ჩანს, რაღაც შენიშნა. ალბათ, ჩემი უხალისო და უიმედო გამომეტყველება. და ისიც მიხვდა, რომ ჩემი შრომისა და ძალისხმევის მიუხედავად, მეშვიდე საფეხურამდე ჯერ კიდევ ბევრი მაკლდა.

- ძვირფასო, - მითხრა მან, - ნუ ხარ. ასე სასოწარკვეთილი. სიძნელეები ვის არ შეხვედრია. უოლტერ ჯონ ჰარმონმა შესანიშნავად იცის ეს და მხარსაც გიჭერს. შენ შეგიძლია თავად შეხვდე მას, ეს ხომ ქმრების პრეროგატივაა.

- არა, - მივუგე, - არაფერი მიჭირს.

ბეტი რომ წავიდა, მოსაღამოებული იყო და საძოვრებისკენ გავისეირნე. აქაურობა ძალიან მომწონდა, ჩემს თვალწინ ფართო ველი გადაშლილიყო, ბორცვებით, წყაროებით და ბუნებრივი წყალსატევებით. ლამპიონები აქ, ცხადია, არ იქნებოდა და ამიტომ არაფერი უწევდა მეტოქეობას ვარსკვლავების კიაფსა თუ თვითმფრინავების სასიგნალო ნათებას. სწორედ აქ უნდა მოვლენოდა ქვეყნიერებას წმინდა ქალაქი. კომუნის წევრებმა სულ რაღაც ორიოდ წელიწადში ნაწილ-ნაწილ შეისყიდეს ეს ტაფობი. მე უძრავი ქონების საკითხებს განვაგებდი შარლოტში და სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ არც თუ მცირე წილი მედო ამ ჩვენ წამოწყებაში. მართლაც სასწაული იყო, რომ უოლტერ ჯონ ჰარმონმა ასე ძალდაუტანებლად გვაქცია ამდენი კაცი თავისი მოძღვრების მიმდევრად და რაც კი გვებადა, ყველაფერი გავიღეთ - არა პირადად მისთვის, არამედ იმ დიდი საქმისთვის, რომელსაც ის შესჭიდებოდა. ჩვენ არც სულელები ვართ და არც კერპთაყვანისმცემლები! ბევრი დაგვცინოდა, რომ ვიღაც ავტომექანიკოსს, რომელიც ყმაწვილკაცობაში ციხეშიც მჯდარა მანქანის ქურდობისთვის, როგორც ღვთის მოციქულს, ისე ვეთაყვანებოდით. მაგრამ ამ ნეტარმა ადამიანმა სრულიად შეცვალა ჩვენი ცხოვრება. მასთან ურთიერთობის პირველივე წამიდან განმიმტკიცდა საკუთარი თავის რწმენა. უეცრად ყველაფერმა თავისი ადგილი დაიკავა. მე ვიქეცი იმად, რადაც უნდა ვქცეულიყავი. ძნელია ამის ახსნა: გარესამყარო სურათის ნეგატივივით ჩაბნელებული მეჩვენა, თავად მე კი ნათელში ვცურავდი. ამას თითქოს მისი მზერაც ადასტურებდა. უოლტერს ღია ცისფერ, ღრმად ჩამჯდარ თვალებს სანახევროდ უფარავს ხშირი წარბები. მისი რბილი გამოხედვაც კი ჟრჟოლისმომგვრელია - არაამქვეყნიური, იდუმალი, ამოუცნობი.

შინაგანი სიცარიელე ვიგრძენი, როცა იმ ღამით ბეტი განწმენდისთვის დაიბარეს, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, უოლტერი თავს არ დაიმდაბლებდა ხორციელ ვნებამდე - ამ რიტუალში ხომ ყველას ცოლები იღებდნენ მონაწილეობას, მეტად შეუხედავებიც კი. ეს პროცედურა საერო ცხოვრების ყველა შეცოდებას გვიხსნიდა. მაგალითად, მე და ბეტის ქორწინებამდეც არაერთხელ შეგვიცოდავს. კომუნის ბავშვებს კი, თეთრებში გამოწყობილ პატარებს, რომლებისთვისაც უცხოა ხორციელი ცოდვა, უოლტერ ჯონ ჰარმონისთვის შეხედვაც კი ეკრძალებათ, ცდუნებისგან დაცულნი რომ იყვნენ, იმიტომ. ესენი ხომ უცოდველი არსებები არიან, ეს ბიჭები და გოგონები, რომელთა სიმღერაც ესოდენი სიხარულით აღავსებს მის გულს. ის, რა თქმა უნდა, მათ არაფერსეუბნება, მხოლოდ იღიმება და ნაბავს თავის ღირსშესანიშნავ თვალებს და ცრემლები ისე მოედინება მის ლაწვებზე, როგორც წვიმა ფანჯრის მინაზე.

უოლტერ ჯონ ჰარმონის შესახებ მე და ბეტიმ ინტერნეტიდან შევიტყვეთ. ვიღაცის ვებ-ინფორმაციას ვკითხულობდი - ვერც კი ვიხსენებ, როგორ გადავაწყდი იმ სტრიქონებს. ახლა კი დარწმუნებული ვარ, რომ ამით დაიწყო ყველაფერი, რადგან ამ ღვთის შექმნილ ქვეყანაში შემთხვევით არაფერი ხდება. მე დავუძახე ბეტის და ჩვენ ერთად წავიკითხეთ იმ ყბადაღებული მოვლენის შესახებ - ლაპარაკია ტორნადოზე, რომელიც ერთი წლის წინ დაატყდა თავს დასავლეთ ვირჯინიის ქალაქ ფრიმონტს. ამ რაიონთან დაკავშირებით სხვა ცნობებიც ვნახეთ და ყველა მათგანი იმავე მოვლენას ეხებოდა. ინტერნეტში ადგილობრივი გაზეთების არქივის გადათვალიერების შემდეგ დავრწმუნდი, რომ იმ პერიოდში ტორნადოთა მთელ წყებას გადაუვლია ამ შტატზე და განსაკუთრებით დამანგრეველი ქარბორბალა ფრიმონტს დასტეხია თავს. მაგრამ ყველაზე მთავარი არც ერთ გაზეთში არ იყო ნახსენები. ფრიმონტის Sun-ledger-შიც კი ვერ შეხვდებოდით ცნობას ციკლონის ერთი ძნელადასახსნელი გამოვლინების შესახებ, რომლის მოწმეც ქალაქის ცენტრში გახდნენ - ქარიშხალი აქ ჰაერში ისროდა მანქანებს, ამსხვრევდა ვიტრინებს და სწორედ მისი მიზეზით გაუჩნდა ცეცხლი სადგურ გეტის ავტოსარემონტო სახე-



ლოსნოს რეილროუდისა და დივიჟენის ქუჩების გადაკვეთაზე, სადაც მექანიკოსად უოლტერ ჯონ ჰარმონი მუშაობდა.

მეხსიერებაში კარგად ჩამებეჭდა ამ ამბის შესახებ ვებსაიტიდან მოპოვებული ცნობები და ქალაქის მაცხოვრებელთა ჩვენებები - ეს უკანასკნელნი უოლტერის მიმდევრები გახდნენ და ახლა კომუნის უხუცესები არიან. თავად უოლტერ ჯონ ჰარმონი ვერ დაიყოლიეს წერილობით ჩვენებაზე და მას არც სხვა მოწმეებისთვის მიუცია ამის უფლება. "ახლა ამის დრო არ არის", ამბობს ის, და იქვე ამატებს, "შესაძლოა, ამის დრო არც არასოდეს დადგეს, რადგან ეს დრო მაშინ მოვა, როცა წავიბორძიკებთ და გზა აგვებნევა". კაცმა რომ თქვას, კომუნაში არც არაფერი იწერება. დოქტრინები, განკარგულებები, დავალებები და ვალდებულებები ზეპირად წარმოითქმის და, რაკი ერთხელ გაისმის წინასწარმეტყველის ბაგეთაგან, საუკუნოდ აღიბეჭდება ყოველდღიურ ლოცვებში. ტორნადოს სახით მოვლენილი სასწაული ჩვენი გონების წარმოსახვაშია დაუნჯებული და ჩვენც მუშაობისას ან საზოგადოებრივ კრებებზე სულ ამის შესახებ ვსაუბრობთ და რაც დრო გადის, უფრო და უფრო მტკიცდება ჩვენი შინაგანი სიმართლის შეჯერებული ცალსახოვნება და ველარც მის ჭეშმარიტებაში დაეჭვდება ვინმე.

ის თავის სახელოსნოში ცეცხლმოდებული საწვავის გუბესთან იდგა, როცა ჯერ კარი, შემდეგ კი სახურავი და ჩამონგრეული კედლები ბზრიალით აიჭრა ზევით, ბნელ მორევში. მხოლოდ უოლტერ ჯონ ჰარმონი იდგა იმავე ადგილას, შემდეგ კი აუჩქარებლივ ზეაღიმართა დიდებული ამაღლებით და მოღრიალე წყვდიადში დატრიალდა დინჯი ტრიალით, მშვიდად და უხმოდ, ფართოდ გაშლილი ხელებით, ქარბორბალათი ატაცებული ჩვენი ყოფის უბადრუკი ატრიბუტები კი - ავტომანქანის "ფრთები", სამრეცხაოს მანქანები, შლიაპები, უპატრონო პალტოები და შარვლები, მაგიდები, ლეიბები, თეფშები და დანა-ჩანგალი, ტელევიზორები და კომპიუტერები - უზარმაზარი შავი ცხოველის ავი ყმუილით დასტრიალებდნენ თავს. შემდეგ კი ერთი ვიღაც ბავშვი უოლტერ ჯონ ჰარმონის მარცხენა მკლავში აღმოჩნდა, მეორე კი - მარჯვენაში და მასაც მტკიცედ ეპყრა ორთავე ყრმა, ვიდრე მშვიდობით არ დაეშვა თავის უწინდელ ადგილას. შემდეგ ჩადგა სულისშემხუთავი საშინელი ქარი, თითქოს თავი გაიცამტვერაო. ქალაქის გარშემო ველები კი თავიანთი დაღუპული თუ მომაკვდავი მფლობელების სხეულებით იყო მოფენილი. სახელოსნოს აღმოდებული იატაკის ადგილას ახლა ჩაშავებული ცემენტილა ჩანდა, მზემაც გამოანათა და კაცი ვერც კი იფიქრებდა, რომ ცოტა ხნის წინ აქ ტორნადო მძვინვარებდა, იმ ბავშვების დედები სირბილით მოვარდნენ და იხილეს თავიანთი დალილავებული, დასისხლიანებული და მტირალი, მაგრამ, მადლობა უფალს, ცოცხალი შვილები. მხოლოდ ამის შემდეგღა მოითქვა სული აქამდე სუნთქვაშეკრულმა უოლტერ ჯონ ჰარმონმა, თუმცა ადგილიდან მაინც ვერ იძვროდა, არც შერხეულა, მერე კი უგონოდ დაეცა მიწაზე.

ყოველივე ზემოთქმული კონსენსუსის შედეგია. სასწაულის დანარჩენი ელემენტების ირგვლივ კომუნაში დღემდე არ წყდება კამათი და, ვფიქრობ, ჩვენც ისინი აპოკრიფად უნდა მოვიხსენიოთ. ერთ-ერთი უხუცესთაგანი, ანსელ ბერნსი, ტანსაცმლის მაღაზიის ყოფილი მფლობელი, ამტკიცებს, ფრიმონტის საქმიანი რაიონის ერთ-ერთი ქუჩის ვერცხლისწყლის შვიდი ლამპიონი თავისთავად აინთო და ტორნადოს ბობოქრობის დროსაც სულ ენთოო. მე ბოლომდე ვერ ვიჯერებ ამას. Sun-ledger-ს თუ დავიმოწმებთ, ელექტროენერგია იმ დროისთვის მთელ ფრიმონტში იყო გათიშული და ადგილობრივ სამსახურებს ორი დღე დასჭირდათ ყველაფრის წესრიგში მოსაყვანად.

მე და ბეტი აქ რომ მოვედით, უკვე თორმეტიოდე წლის დაქორწინებულები ვიყავით, თუმცა ბავშვები არ გვყოლია. აქაურობა იმითაც გვიზიდავს, რომ აქ თითოეული ჩვენგანი კომუნის ყველა ბავშვის მშობლად ითვლება. ისევე, როგორც კომუნის გარეთ, აქაც უფროსები თავ-თავიანთ ბინებში ცხოვრობენ, მაგრამ ბავშვები ერთ საერთო მთავარ სახლში არიან განწესებული. ამჟამად ჩვენი გაერთიანება მოიცავს ორმოცდაათ ოჯახს და მის მთავარ საგანძურს - სამოცდათვრამეტ ბავშვს ორიდან თხუთმეტ წლამდე.

მთავარი სახლის გარდა, რომელიც ოდესღაც მოხუც კათოლიკე მონაზონთა თავშესაფარი ყოფილა და რომელსაც ჩვენ ახალი ფლიგელი მივაშენეთ, კომუნის უკლებლივ ყველა შენობა აგებულია უოლტერ ჯონ ჰარმონის მითითებების საფუძველზე თავად კომუნის წევრთა ხელით. უფროსებისთვის მისი ბრძანებით აშენდა ოთხკუთხა, ყუთისმაგვარი ნაგებობები ორფერთა სახურავებით - ყოველი მათგანი ორი ოროთახიანი ბინისგან შედგება. თავად მისი საცხოვრებელი ოდნავ უფრო დიდია, მანსარდიანი სახურავით კი საჯინიბოს მოგაგონებთ. კომპლექსის ყველა შენობა თეთრადაა შეღებილი - როგორც ფასადისთვის, ისევე ინტერიერისთვის, იკრძალებოდა ფერადი საღებავის გამოყენება. აქ ვერც რკინის დეტალებს შეხვდებით, ფანჯრის ჩარჩოები ხისაა, წყალს ჭიდან ხელით ეზიდებიან, ბინებში არაა წყალგაყვანილობა, ხოლო კარვებში სახელდახელოდაა მოწყობილი კაცებისა და ქალების საშხაპეები. უოლტერ ჯონ ჰარმონმა ერთხელ ბრძანა: "ჩვენ ხოტბას ვასხამთ არამარადიულს, დავკანკალებთ ყოველივე წარმავალს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს ურწმუნობას - ამ ყველაფრის შედარებაც კი არ შეიძლება იმასთან, რაც სამომავლოდ გველის."

მთავარი შენობის ახალ ფლიგელში განთავსებულია ჩვენი ბიზნეს-აქსესუარები - კომპიუტერები, ფაქსის აპარატები, ასლგადამღებები და ა.შ. მთელ ამ აპარატურას ელექტროენერგიით სახლის უკანა მხარეს დამონტაჟებული ბენზინის გენერატორი უზრუნველყოფს, თუმცა ამ მიზნით მზის ბატარეების გამოყენებასაც ვგეგმავთ. ყოველივე ამით სარგებლობა შესაძლებელია განსაკუთრებული ნებართვის საფუძველზე, რადგან, რაოდენ დასანანიც არ უნდა იყოს, ჩვენ მაინც გვიწევს საქმიანი ურთიერთობა გარესამყაროსთან. ჩვენ გვიხდება სასამართლო დავებში მონაწილეობა შტატის და ოლქის წარმომადგენლებთან და გვიწევს მოპასუხის როლში გამოსვლაც კომუნის წევრთა უგნურ და ოპორტუნისტულად განწყობილი ნათესავების კერძო სარჩელებთან დაკავშირებით. მაგრამ მხოლოდ კომუნის იურისტებს, უხუცეს რაფაელ ალტმანს, რომელიც გახლავთ ჩვენი მთავარი ფინანსისტი და C.P.A., მის ბუღალტერს და კანცელარიის მუშაკ ქალებს აქვთ შენობის ამ ნაწილში შესვლის უფლება.

პერსონა
ბიბლიოთეკა



სამი ჩვენგანი იურიდიული საქმიანობითაა დაკავებული და დილის ლოცვის შემდეგ ჩვენც, სხვების მსგავსად, მუშაობას ვიწყებთ. უზენაესი ნებართვით ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ იურისტისთვის აუცილებელი სამოსი - კოსტუმები, პერანგები, ჰალსტუხები, გაპრიალებული ფეხსაცმელი. ამ ყველაფრით მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიკაზმებით, როცა კომუნის გარეთ გავდივართ საქმიან შეხვედრაზე დაპირისპირებულ მხარესთან. ორიოდ მილს ცხენშებმული ოთხთვალათი მივჯაყჯაყებთ მოასფალტებულ გზამდე, სადაც შეგვიძლია გადავსხდეთ იმ სამ S.U.V.-თაგან ერთ-ერთში, ჭიშკართან რომ გველოდება, მაგრამ არა "ჰამერში" - ამ უკანასკნელით მხოლოდ უოლტერ ჯონ ჰარმონი სარგებლობს. ის არ ეწევა პროზელიტურ საქმიანობას, მაგრამ დროგამოშვებით აწყობს რელიგიურ შეკრებებს კომუნის გარეთ. ზოგჯერაც ესწრება რომელიმე რელიგიურ ან სოციალურ თემაზე გამართულ ეკუმენურ ან სამეცნიერო კონფერენციას. მას არასდროს არ სთავაზობენ სიტყვით გამოსვლას, მაგრამ უსიტყვოდაც შთამბეჭდავია - მანტიაში გამოწყობილი, თავდახრილი, მოკრძალებული, ჩამოშლილი თმა თითქმის მთლიანად უფარავს სახეს, ხელები კი ნიკაპქვეშ გადაუჯვარედინებია.

ბეტი დილაადრიან დაბრუნდა, მზის სხივებმა მასთან ერთად შემოაღწიეს ღია კარში და მეც მაგრად ჩავიკარი გულში - დილაობით თვალს ვერ ვწყვეტ ხოლმე მის სახეს. ის ძალიან ლამაზია და როცა ილვიძებს, ბავშვივით წითლად უღუის ლოყები, მისი თაფლისფერი თვალები კი სიცოცხლეს ასხივებენ. ის ისეთივე მოქნილი და ნორჩია, როგორც მაშინ, კოლეჯში, ბალახის ჰოკეის რომ თამაშობდა. თუ კარგად დააკვირდებით, მისი თვალის კუთხეებში შეიძლება წვრილი ხაზებიც შენიშნოთ, მაგრამ ეს კიდევ უფრო მომხიბვლელს ხდის. ხორბლისფერი თმა დღემდე მოკლედ აქვს შეკრეჭილი □ პირველად რომ ვნახე, მაშინაც ასე ჰქონდა. ის ჯერაც საოცრად მსუბუქად დააბიჯებს და ნებისმიერ საქმეს ძველებური ხალისით აკეთებს.

ჩვენ ერთად ვილოცეთ და შემდეგ დილის საუზმეც მივირთვით, თან მასლაათი არ შეგვიწყვეტია. ბეტი კომუნის მასწავლებლად მუშაობდა, საბავშვო ბაღში, და იმ დღის გეგმებზე მელაპარაკებოდა. თავს ახლა უკეთ ვგრძნობდი. ლამაზად თენდებოდა, ბალახი თეთრ თრთვილს დაეფარა და დღეც შესანიშნავად იწყებოდა. თავს ბედნიერად ვგრძნობდი.

ჩემთვისაც სრულიად მოულოდნელად გონება ყოვლად ამაზრზენმა ავხორცულმა სცენებმა დამიბინდა. რაღაცის თქმა მინდოდა, მაგრამ სუნთქვა შემეკრა.

- ჯიმ, გამაგებინე, რა გემართება?

ბეტი ხელში ჩამფრენოდა. თვალები დავხუჭე და ზმანების გაქრობას დაველოდე, მერე კი, როგორც იქნა, სული მოვითქვი.

- ო, საყვარელო, - მეუბნება ბეტი, - ბოლოს და ბოლოს, გასული ღამე პირველი ხომ არ იყო. განა შეიცვალა რამე ჩვენ ცხოვრებაში? დამიჯერე, ეს არაა ჩვეულებრივი ადამიანური აქტი და ამას არც რაიმე ჩვეული შედეგი არ მოჰყვება.

- არ მსურს ამის მოსმენა. არაა აუცილებელი ვისმენდე ამას.

- ეს, არც მეტი, არც ნაკლები, წმინდა საიდუმლოა. ეს სხვა არაფერია, თუ არა მღვდლისგან ობლატის მიღება.

მე ხელაწეული გავშეშდი. ბეტი გამომცდელი თვალით მიყურებდა, როგორც ეს ოდესღაც სჩვეოდა, ლამაზ ყელმოღერებულ ჩიტუნიას მოგაგონებდათ, თითქოს ცდილობდა გაეგო, ბოლოს და ბოლოს, რა კაცი იყო მისი ქმარი.

- იცი, - მეუბნება - უნდა მეთქვა უოლტერ ჯონ ჰარმონისთვის. შენ ის უნდა ნახო. შეხედე, როგორ ბრაზობ.

- ეს მას შენ არ უნდა უთხრა, - მივუგე.

და მე გავაცნობიერე ჩემი წმინდა დანიშნულება.

გარეთ გავედი, მზეზე, ჩავისუნთქე მდელოს ტკბილი ჰაერი და შევეცადე დავმშვიდებულიყავი. ირგვლივ ნეტარ უშფოთველობას დაესადგურებინა. ჩვენ ძალიან წყნარი ხალხი ვართ. კომუნაში ვერასდროს ვერ გაიგონებთ ხმამაღალ კამათს და არც ბობოქარ გრძნობათა საჯარო გამოხატვა გვაქვს აქ წესად. ჩვენი ბავშვები არასოდეს ჩხუბობენ, ერთმანეთს მუჯლუგუნებით არ უმასპინძლდებიან, არც ბანდებში ერთიანდებიან, როგორც ეს ბავშვებს სჩვევიათ. მუსლინის სამოსი, ჩვენი სიწმინდის ნიშნად რომ გვეცვა, სულს გვიმშვიდებდა. ლოცვები, ჩვენ რომ აღვავლენდით და საკვები, რომელსაც თავად მოვიპოვებდით, უსაზღვრო და მარადიულ ნეტარებას გვაზიარებდა.

ბეტი გარეთ გამომყვა. - ჯიმ, საყვარელო, უნდა დაელაპარაკო, ის არ იქნება წინააღმდეგი.

- მართლა? და სამუშაოდან რომ დამითხოვონ, რომ გამათავისუფლონ, ვინ გამოვა პროცესზე მოპასუხედ?

- რა პროცესზე?

- შენ არ გჭირდება ამის ცოდნა. მაგრამ დამიჯერე, ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

- თუ ასეა, მაშინ ის არ დაგითხოვს.

- შენ რა იცი? შეიძლება უხუცესი არც ვიყო, მაგრამ ის კი ვარ, ვისაც აქვს უფლება გავიდეს ჭიშკრის გარეთ. განა ეს მეშვიდე ხარისხს არ ნიშნავს?

თავი რატომ უნდა მემართლებინა?

- გეთაყვა, - ვუთხარი, - მეტი აღარ მსურს ამაზე ლაპარაკი.

ბეტიმ ცივად შემაქცია ზურგი. აკვიატებული მქონდა, რომ ეს განწმენდის პროცედურები არანაირ ტკივილს არ მომაყენებდა, თუკი შევძლებდი აღარ მეყვარებოდა ჩემი ცოლი.

დღის ბოლოს, ვახშმობისას, მან რაღაც წვრილმანის გაკეთება მთხოვა, რაღაც ჩვეული წვრილმანის, რასაც მისი თხოვნის გარეშეც გავაკეთებდი, და მისი ხმა მეტისმეტად სათნოდ მეჩვენა.

განა მხოლოდ კომუნის გარეთ ჩემი იურიდიული მოღვაწეობა იყო ის ერთადერთი მიზეზი, რაც არ მაძლევდა იმ უზენაესი დანიშნულების ხორცშესხმის საშუალებას, უოლტერ ჯონ ჰარმონი რომ მიწინასწარმეტყველებდა? იქნებ თვალი გაქცევაზე მეჭირა? ნუთუ ეს არც იყო ჩემი მოწოდება? მას თვითონ უთქვამს ჩვენთვის, რომ უმაღლესი საფეხურები მოუხელთებელი და ძნელად მისაღწევია, და რომ ისინი, თითქოს ცნობიერი არსებები ყოფილიყვნენ, თავიანთი თავის ნაცვლად მხოლოდ რიოშ ორეულებს გვთავაზობდნენ - ჩვენი სიმტკიცის გამოსაცდელად. ასე რომ, წარუმატებლობის შემთხვევაშიც სამარცხვინო არც არაფერი იქნებოდა. შესაძლოა, ამ ნაბიჯის გადადგმა სწორედ ჩემთვის იყო აუცილებელი. მაგრამ ას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთ შემთხვევაში ისე ხომ არ გამოდიოდა, რომ ჩემ ინტერესებს კომუნის ინტერესებზე მაღლა ვაყენებდი? და ხომ არ ნიშნავდა ეს მეექვსე საფეხურზეც უარის თქმას?

მეორე დილას, სამუშაოს დაწყებამდე, სამლოცველოს მივაშურე.

კომუნის სამლოცველოს ფუნქციას ერთი ფარდული ასრულებს. ის მდელოს განაპირას დგას, თვითონ ეს მდელო კი ვაშლოვანს ესაზღვრება. ჩვენივე ხელით გაკეთებულ ხის მაგიდაზე, რომელიც არც ჩუქურთმებით გადაგვიტვირთავს და რომლისთვისაც არც გადასაფარებელი გაგვიმეტებია, დევს თეთრი ქვა და გასაღები. ბალახზე მოვიდრიკე მუხლი, მაგრამ ლოცვაშიც ვერ ვპოულობდი შვებას. ბაგენი ლოცვის სიტყვებს წარმოთქვამდნენ, თავში კი მხოლოდ ერთი კითხვა მიტრიალებდა: მაინც როგორ აღმოვჩნდი კომუნაში, ჩემი გულის კარნახით თუ ჩემივე ცოლის რწმენის პატივისცემით? ერთი სიტყვით, ეჭვები ტვინს მიღრღნიდა.

თავი რომ ავწიე, სამლოცველოში უოლტერ ჯონ ჰარმონი დავინახე. მე არ გამიგია მისი მოსვლა, მასაც არ გამოუხედავს ჩემკენ. მიწას ჩასჩერებოდა და თავის საფიქრალს მისცემოდა.

უოლტერი არასდროს კითხულობს ქადაგებებს, რადგან, როგორც ის ამტკიცებს, ჩვენ აღმსარებლები კი არ ვართ, არამედ - თავად განსხეულებული გამოცხადება. ზეგარდმო ძალების კარნახით, დღის ნებისმიერ საათს, კვირის ნებისმიერ დღეს, ის გაუფრთხილებლად სტუმრობს ხოლმე სამლოცველოს. ასეთ დროს მისი ხმით ზეგარდმო სიტყვა წარმოითქმის და ვინც იმარჯვებს და მოასწრებს მორბენას, ხომ თავად მოისმენს, ის კი, ვისაც სამუშაო არ აძლევს ამის საშუალებას, იძულებულია თანამოძმეთა მეხსიერებას დაენდოს და უკვე მოგვიანებით მათი პირით ეზიაროს მართალ სიტყვას.

ხალხი ახლაც თავქუდმოგლეჯილი მორბოდა. მიიღეს რა მხედველობაში უოლტერ ჯონ ჰარმონის დაბალხმოვანი უბნობა, ერთხელაც უხუცესებმა გადაწყვიტეს განკარგულება გაეცათ რადიომიკროფონისა და ხმის გამაძლიერებლების თაობაზე. როგორც კი გამოჩნდებოდა სამლოცველოში (მოულოდნელად, როგორც ეს მას ჩვეოდა), და როგორც კი თითებით მსუბუქად შეეხებოდა ხის მაგიდას და დაიწყებდა ლაპარაკს - იმისდა მიუხედავად, ჰყავდა თუ არა მსმენელი - ვინმე მაინც მოქანდებოდა და წინ დაუდგამდა მიკროფონს. წინასწარმეტყველის ხმა, ასე გაძლიერებულიც კი, ძნელად თუ სცილდებოდა ჩურჩულს. მის ქადაგებას აშკარად აკლდა თავდაჯერებულობა, რადგან, როგორც თავადაც არაერთხელ უთქვამს ჩვენთვის, ეს წინასწარმეტყველება მისდაუნებურად წარმოითქმებოდა. ის არც ეძიებდა და არც ეშურვოდა ამას. იქამდე, ვიდრე ღმერთი არ გამოეცხადა იმ ციკლონის დროს, მას არც უფიქრია რელიგიაზე. ყმაწვილკაცობაში უწესო ცხოვრებას ეწეოდა და ბევრი უკეთურებაც ჩაედინა, და ეჭვი ჰქონდა, რომ სწორედ ამიტომაც გახდა რჩეული - როგორც ნიშანი ღვთის იდუმალი სიდიადისა.

აი, რას ამბობდა უოლტერ ჯონ ჰარმონი იმ დილას: ყველგან და ყოველთვის, მთელ კაცობრიობას გამოთვლები აერთიანებს. ეს იმიტომაა ასე, რომ ღმერთი განსხეულებულია რიცხვებში, როგორც დედამიწასა და ვარსკვლავებში. ვუმატებთ თუ ვაკლებთ, ვყოფთ თუ ვამრავლებთ, ვაერთებთ, ვაცალკევებთ თუ ვაჯამებთ, ადამიანები, მათი მოდგმისა და ენის მიუხედავად, ყოველთვის ერთნაირად აღიქვამენ მათ. ღმერთი, რაოდენობრივი ჭეშმარიტების ფორმით აწონის ნაყოფს სასწორზე, გაზომავს თქვენ სიმაღლეს, ის დაგინესებთ თქვენ ორგანოთა გამძლეობას და დაგიდგენთ თქვენი მოგზაურობის ხანგრძლივობას. ის მოგვცემთ რიცხვებს მარადიულს და უსასრულოს, ჩვენ კი ამას უსაზღვრობას ვარქმევთ, რადგან ჩვენი მათემატიკოსები თვლისას ღვთისკენ ისწრაფიან. და როცა იესო ძე ღვთისა ეწამა ჩვენი ცოდვებისთვის, მან მიიღო ცოდვათა უსაზღვრობა, რადგან ის ღვთის ძე იყო და შეეძლო მომკვდარიყო ყველას - მკვდრების, ცოცხლების, ჯერაც არგაჩენილთა - ცოდვებისთვის.

წინასწარმეტყველი არ არის ძე ღვთისა, ის ერთ-ერთი თქვენგანია, ჩვეულებრივი, თქვენივე მსგავსი მონანიე ადამიანი, და მისი რიცხვები ისევე სასრულია, როგორც მისი სიცოცხლის წლები. ის ვერ მოკვდება მთელი კაცობრიობის ცოდვებისთვის, მას თავისი ღვაწლით შეუძლია მხოლოდ ცალკეულ სულებს მოუხსნას ცოდვა, მიიღოს მათი შეცოდებანი და დაუმატოს საკუთარ ცოდვებს. რა ცოდვაც არ უნდა მიგიძღოდეთ ღვთის წინაშე - იქნება ეს თქვენი ხორციელი ვნებები, სიხარბე, თუ თქვენი ერთგულება ყოველივე წარმავალის მიმართ - თქვენი მოკვდავი წინასწარმეტყველი თავად იტვირთავს მათ. და ის არ შეწყვეტს ამის კეთებას, ვიდრე რიცხვთა სიმძიმე არ ჩაფლავს მიწაში და ჯოჯოხეთი არ მიიღებს. ის ხომ ჩვეულებრივი მოკვდავია, და თუკი ის თავის თავზე იღებს თქვენ ცოდვებს, ისინი მის ცოდვებად იქცევა და მასაც მხოლოდ ჯოჯოხეთი ელის - არა ღმერთი, არამედ სატანა და ჯოჯოხეთის მარადიული ტანჯვა. "მხოლოდ ამ წინასწარმეტყველებით განწმენდილი მოზრდილები შეუერთდებიან უმანკო ბავშვებს მომავლის წმინდა ქალაქში," ბრძანებდა უოლტერ ჯონ ჰარმონი, "ჩემთვის კი არ იქნება იქ ადგილი."

ამ სიტყვების გაგონებაზე ყველა შიშის ძრწოლამ აიტანა. ჩვენ ვიცოდით, რომ უოლტერი იმიტომაც ვერ მოხვდებოდა წმინდა ქალაქში, რომ სხვათა ცოდვების მიღება იყო მისი სწავლების საკვანძო დოქტრინა. ჩვენს შეკრებებზე არაერთხელ გვიმსჯელია ამაზე. მისი წინასწარმეტყველება ქრისტესას ჰგავდა, მაგრამ ქრისტესი აშკარად არ იყო, მოსესას მოგაგონებდათ, მაგრამ არც მოსესი ეთქმოდა. გვაოგნებდა ამ მათემატიზებული ქადაგების მოსმენა - ხალხი იდგა და ცრემლებად იღვრებოდა, რადგან უოლტერ ჯონ ჰარმონს ისეთი უტყუარი არგუმენტები მოჰყავდა, როგორიც მათემატიკური სიდიდეებია, ისევე ადვილად გასაზომი, როგორც წონა ან მოცულობა, და ამგვარი მკაცრი და მშრალი ფორმულების მოსმენა ერთობ თრგუნავდა აუდიტორიას.

სიტყვა რომ დაასრულა, კი არ წავიდა, იდგა და ძლივს შესამჩნევი ღიმილით შემოგვცქეროდა. იქნებ ხვდებოდა ბედისწერის გარდუვალობას? ამ დილით თავისი ჭაღარაშერეული ქერა თმა უკან გაეკრა და ოცდაჩვიდმეტ წელს არც მისცემდით. იმ წუთას მისი ღია-ცისფერი თვალები იმ ყმაწვილის თვალებს მოგაგონებდათ, ვერაფრით რომ ვერ შეუგნია თავისი ცხოვრების ტრაგიზმი. იდგა ასე და რაღაცას ელოდა, კომუნის წევრებიც, მისი დუმილის შემყურენი, ნელნელა მშვიდდებოდნენ. ჩვენ მივუახლოვდით, მუხლი მოვიყარეთ და მის მანტიას ვეამბორეთ. შესაძლოა, იმ დღეს მხოლოდ მე ერთს დამეუფლა ისეთი შეგრძნება, თითქოს ის პირადად მე მომმართავდა. მისი სიტყვები თითქოს ჩემს ტანჯვას ეხმაურებოდა, კაცს შეიძლება ეფიქრა, უოლტერ ჯონ ჰარმონი, გრძნობდა რა, რომ მასთან მოთათბირების დიდი სურვილი არ მქონდა, ამ გზით ცდილობდა შეეხსენებინა ჩემთვის თავისი სიმართლე და განემტკიცებინა ჩემი შერყეული რწმენა. მაგრამ ეს ალბათ მხოლოდ შთაბეჭდილება იყო - მისი სიტყვის ძალა ხომ ყოველთვის იმაშია, რომ რაღაც იდუმალი მანქანებით ყოველთვის ზუსტად ესადაგება იმას, რაც თავში გიტრიალებს, თუმცა კი ამას, შესაძლოა, ადრე არც აცნობიერებდი.

იმ დღეს ვინც კი უსმენდა, ყველა ეზიარა მისი წინასწარმეტყველების ჭეშმარიტებას და ყველამ შეიცნო მორჩილების სიტკბოება და სიმშვიდე. კვლავაც

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვიგრძენი, რომ უეჭველად მხვდებოდა მეშვიდე საფეხურზე ყოფნის პატივი. უსაზღვროდ მიყვარდა უოლტერ ჯონ ჰარმონი. როგორღა უნდა დამეყვედრებინა ჩემი ცოლისთვის ის გრძნობა, რასაც ის უოლტერის მიმართ განიცდიდა?

ამ ამბებიდან ერთ კვირაში კი საგარეოდ გამოვეწყვე, ჩავჯექი ერთ-ერთ ჩვენ S.V.U.-ში და გეზი გრენჯერისკენ ავიღე - შტატის სასამართლოში მქონდა საქმე. ასე, სამოციოდე მილი უნდა გამევლო. როცა კი არ უნდა შემედგა ფეხი სასამართლოს შენობაში, ისეთი შეგრძნება მეუფლებოდა, თითქოს უცხო მიწაზე მოვხვედრილიყავი. მაგრამ, რადგანაც სამ მომიჯნავე შტატში წარმატებით ჩავაბარე საადვოკატო გამოცდები და ჩემი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილიც სასამართლოებში მაქვს გატარებული, ეს შენობები მაინც აღძრავდა ჩემში რაღაც მშობლიური პროფესიული კერის განცდას - მათ შორის ესეც - ეს წითელი ქვით ნაგები და თაღებით დამშვენებული საშინელება, ქალაქის ცენტრალურ მოედანს რომ გადაჰყურებდა. მას ჩემი საკუთარი ამერიკული წარსულის არქიტექტურულ განსახიერებად აღვიქვამდი და როცა ავუყევი გაცვეთილ საფეხურებს და ჩემი ფეხის ხმა მკაფიოდ გაისმა შენობის ჰოლში, იძულებული გავხდი შემეხსენებინა ჩემი თავისთვის, რომ ახლა მომავლის წარმოგზავნილი გახლდით და ამა სოფლის ბნელ მაცხოვრებლებთან მათივე ენაზე ვაპირებდი დალაპარაკებას.

საქმის მოსმენა ადმინისტრაციულ დარღვევათა მოსამართლესთან იყო დანიშნული. შტატის განათლების სფეროს წარმომადგენელმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში და ითხოვდა კომუნას შეჩერებოდა ის ლიცენზია, რომელიც მას იქ მცხოვრები ბავშვების სწავლების უფლებას აძლევდა. ამ მოთხოვნის საფუძვლად სახელდებოდა ის ფაქტი, რომ არსებობდა შეუსაბამობა იმ დებულებასთან, რომლის თანახმადაც წერა-კითხვის სწავლება სავალდებულო იყო ყველა ბავშვისთვის.

ჩვენ სასამართლო დარბაზის ნაცვლად შეგვიყვანეს ოთახში, სადაც, როგორც წესი, სამოქალაქო საქმეებისთვის ნაფიც მსაჯულთა შერჩევა ხდებოდა. უზარმაზარ ფანჯრებზე დილის მზისგან დასაცავად მუქი მწვანე ფარდები იყო ჩამოფარებული. შტატს სამი ადვოკატი წარმოადგენდა. მოსამართლე სხვა მაგიდასთან იჯდა. დამსწრე საზოგადოებისთვის კედლების გასწვრივ სკამები ჩაემწკრივებინათ - ყველა სკამი უკვე დაკავებული იყო. რამდენადაც ვიცოდი, ამ მოსმენის თაობაზე არანაირი საჯარო განცხადება არ გაკეთებულა. კარებთან ორი პოლიციელი იდგა.

შტატი ამტკიცებდა, რომ რამდენადაც ბავშვებისთვის წერა-კითხვის სასწავლებლად ჩვენ მხოლოდ "გამოცხადებას" ვიყენებდით, მეტიც, შემდგომაც ვუკრძალავდით რაიმეს წაკითხვას ამ წიგნის გარდა, და ნებას ვრთავდით გადაეწერათ რაიმე მხოლოდ და მხოლოდ ამ წიგნის ფურცლებიდან, ჩვენ ვარღვევდით დებულებას წერა-კითხვის შესახებ. აქცენტი კეთდებოდა განათლებასა და აღზრდას, როგორც იდეათა ჩანერგვას, შორის სხვაობაზე და ითქვა, რომ ჩვენი კულტმსახურება (მე გავაპროტესტე ესოდენ დამამცირებელი იარლიყი) სწორედ იდეათა ჩანერგვით იყო დაკავებული, ეს უკანასკნელი კი არღვევდა წერა-კითხვის სწავლების იმ პრინციპს, რომლის უპირველესი მიზანია ფართო თვითგანათლების საშუალება მისცეს ბავშვს და ხელმისაწვდომი გახადოს მისთვის ნებისმიერი ინფორმაცია. მაშინ, როცა სწავლების ჩვენი მკაცრად შეზღუდული მეთოდი, რომლის მიხედვითაც ბავშვმა თავის სიცოცხლეში მხოლოდ და მხოლოდ ერთი ტექსტი უნდა იკითხოს, მოყვეს თუ იგალობოს, აშკარად ეწინააღმდეგება წერა-კითხვის სწავლების შეუზღუდაობის პრინციპს. ბავშვი დაიზეპირებს ტექსტს და თუთიყუშივით გაიმეორებს ნასწავლს ისე, რომ არც კი დასჭირდება თავისი ენობრივი ჩვევების გამოყენება.

მე მივუგე, რომ წერა-კითხვის ცოდნა სულაც არ მოიცავს ასეთ ფართო გაგებას, რომ ის უბრალოდ ნიშნავს კითხვის უნარს და რომ როცა თვით შტატის საგანგებო ინსპექტორები დაესწრნენ გაკვეთილებს პირველ-მეორე კლასებში, ისინი სავსებით დააკმაყოფილა იმან, თუ როგორ ისწავლებოდა წერისა და კითხვის საფუძვლები, კერძოდ, სიტყვათა ამოცნობა, ფონეტიკა, მართლწერა და გრამატიკა და რომ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მაღალი კლასების შემოწმებისას შეიტყვეს, რომ "გამოცხადება" ბავშვებისთვის ერთადერთი სასწავლო ტექსტი იყო - მხოლოდ ამის შემდეგ შეიტანეს სარჩელი კომუნის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ჩვენ ბავშვებს შეუძლიათ ნებისმიერი ტექსტის წაკითხვა და წერა-კითხვის მცოდნედ უნდა ჩაითვალონ. ჩვენ მათ ვაკითხებთ და მივმართავთ მათ გონებას ამ წმინდა ტექსტზე, და რადგანაც ის ჩვენი რწმენისა და სოციალური ორგანიზაციის საფუძველს წარმოადგენს, კომისარი ცდილობს ხელყოს ჩვენი რწმენის თავისუფლება, რაც გარანტირებულია პირველ შესწორებაში. ყველა რელიგია გადასცემს თავის საფუძვლებს მომავალ თაობებს, და ყველა მშობელს აქვს უფლება აღზარდოს ბავშვი თავისი რწმენის შესაბამისად. სწორედ ამას აკეთებენ ჩვენ კომუნაში გაერთიანებული მშობლები და ამის სრული უფლებაც აქვთ, მაშინ, როცა შტატის სარჩელი წერა-კითხვის არასათანადო სწავლებასთან დაკავშირებით იყო მხოლოდ და მხოლოდ იმის მცდელობა, რომ აღეკვეთა უმცირესობის არასასურველი რელიგიური საქმიანობა.

მოსამართლემ გადაწყვიტა შეეჩერებინა ჩვენი ლიცენზია, მაგრამ იმავდროულად განაცხადა, რომ რადგან წარმოდგენილ იქნა არსებითი კონტრარგუმენტები, ის გადადებდა თავისი განკარგულების აღსრულებას და მოგვცემდა დროს გასაჩივრებისთვის. სწორედ ასეთ გადაწყვეტილებას ველოდი. მე და ადვოკატებმა ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და ამ ეტაპზე ჩემი მისიაც ამოიწურა.

მაგრამ ოთახიდან რომ გავდიოდი, დამსწრეთაგან ერთ-ერთმა გამაჩერა - ხანშიშესული კაცი იყო, კოჟრიან ხელში ხელჯოხი ეჭირა - და მეუბნება - სერ, თქვენ ეშმაკის ადვოკატი ხართ. გრცხვენოდეთ, გრცხვენოდეთ - მომძახოდა ზურგში. შემდეგ კი, დერეფანში ერთი ნაცნობი რეპორტიორი დამეწია: რელიგიის თავისუფლებაზე თამაშობთ არა, მრჩეველო? იცოდეთ, ახლა კი მართლა მოგესევიან. ეს ფაქტების შესწავლაო, ტესტებიო, ვიდეოფირებიო, სასკოლო ჩანაწერებიო, ერთი სიტყვით, დიდი ალმოჩენები გველის.

გამიხარდა-მეთქი თქვენი ნახვა, მივუგე.

- რაც არ უნდა იყოს, ექვსი თვე გამოსტყუეთ. კიდევ ექვსი თვე გააგრძელებთ თქვენ საქმიანობას. თუ, რა თქმა უნდა, ის თქვენი ჯეელი იქამდე ჯვარს არ აცვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ჯვარს ქრისტე აცვეს-მეთქი, - არც მე დავიბენი.

კი, რა თქმა უნდა, - მეუბნება, - მაგრამ არა იმისთვის, რომ ანგარიში ჰქონდა შვეიცარიის ბანკში.

მშობლიურ "დიდ ველში" ჩასულმა ისეთივე შვება ვიგრძენი, როგორც თავის ნაწილში დაბრუნებულმა ჯარისკაცმა. უქმე დღეების მოახლოებასთან ერთად ყველა მღელვარე მოლოდინით იყო აფორიაქებული: ჩვენ "დიდი მიღება" გველოდა.

ეს ღონისძიება ყოველთვიურად ეწყობოდა - ჩვენი კომუნა იღებდა სტუმრებს, რომელთაც რაღაც სმენოდათ მის შესახებ და სურდათ უფრო ახლოს გაცნობოდნენ ჩვენ ყოფას, ან ვინც უოლტერ ჯონ ჰარმონის რომელიმე შეკრებაზე იყო ნამყოფი და იმდენად დაინტერესდა ამ ყველაფრით, რომ გადაწყვიტა, ერთი დღე ჩვენ შორის გაეტარებინა. სტუმრებმა მანქანები ჭიშკართან დააყენეს და გზა უკვე ჩვენი თივის ოთხთვალებით გააგრძელეს. უწინ უსაფრთხოების ზომებზე ნაკლებად ვფიქრობდით, ახლა კი ვიწერდით მათი მართვის მოწმობების მონაცემებს, ხელსაც ვაწერინებდით და მათი ოჯახის წევრთა სახელებსაც ვინიშნავდით.

მაისის ამ შაბათ დილას ასე, ოცდახუთამდე სტუმარი გვეწვია, ბევრს ბავშვებიც წამოეყვანა. ჩვენც ყველას გულითადი ღიმილით შევეგებეთ და მუხის ქვეშ გაშლილ სუფრაზე ყავითა და ნამცხვრით გავუმასპინძლდით. მე არ ვიყავი სტუმრების მომსახურე ჯგუფის წევრი, სამაგიეროდ ბეტი იყო ამ საქმით დაკავებული, ბეტის ყოველთვის ეხერხებოდა მასპინძლობა. იმ დღესაც ის მეტად ალერსიანი და ყურადღებიანი იყო, და თანაც საოცრად მომხიბვლელი. უტყუარი ალღოთი სცნობდა ყველაზე მიუსაფარ სულებს და დაუყოვნებლივ მათკენ მიეშურებოდა. რა თქმა უნდა, მათ შორის, ვინც ჩვენთან ამ უქმეებზე მოდიოდა, დიდად დალხენილს ვერავის ნახავდით (აბა, მაშინ ჩვენთან რაღა უნდოდათ), მაგრამ ზოგიერთი ფრთხილი და მელანქოლიური იყო, ზოგიც კი სასოწარკვეთის იმ ზღვრამდე იყო მისული, რომ სკეპტიკოსის უხეში ნიღაბი მოერგო.

საბოლოოდ კი, ჩვენი "მიღების" სითბო და კეთილგანწყობა ყველას ატყვევებდა. ნებისმიერ სტუმარს ჩვენ ისე ვხვდებოდით, როგორც დიდი ხნის უნახავ მეგობარს. და შესანიშნავად ვახერხებდით მათ გართობას: ვაწყობდით მათთვის ექსკურსიებს ჩვენ საცხოვრებელ კომპლექსში და მთავარ სახლში, სადაც ბავშვების გუნდი საგალობლებს ასრულებდა. და კიდევ, მათ ჩვენი კომუნის მანტიებში ვმოსავდით. ყველა სტუმარს ვურიგებდით მუსლინის მანტიებს ტანსაცმლის ზემოდან გადასაცმელად. ამით საკმაოდ ერთობოდნენ, მათთვის ეს რაღაც თამაშის მსგავსი იყო, მაგრამ ამავე დროს, სწორედ ამის წყალობით აღარ ეუცხოვებოდათ ჩვენი სამოსელი. სადურგლო სახელოსნოდან რამდენიმე გრძელი მაგიდა გამოვიტანეთ და სტუმრებიც გვეხმარებოდნენ სუფრის გაშლაში, მაგიდებზე აწყობდნენ სხვადასხვა ნუგბარით გავსებულ ჯამებს და სინებს - რას არ ნახავდით აქ - ხორცის ღვეზელებს, ჩვენი ბაღის ბოსტნეულს, ჩვენივე საცხობის პურებს, ჭის ცივი წყლით სავსე დოქებს, შინაურ ლიმონათს. ბავშვებისთვის ცალკე გაიშალა სუფრა, უფროსებისთვის - ცალკე და ყველანი მზის ალერსიანი სხივებით ვთბებოდით. ყოველ სტუმარს კომუნის ორ წევრს შორის მივუჩინეთ ადგილი, მის მოპირდაპირე მხარეს კი სხვა სტუმარი იჯდა. ჩვენმა უხუცესმა შერმან ბიზლიმ თავისი ბუბუნა ხმით აღავლინა ლოცვა და ამის შემდეგ ყველანი საჭმელს დაეცხრნენ.

დაუვიწყარი დღე იყო. შემეძლო ასე ვმჯდარიყავი გრძელი მაგიდის ბოლოში, დროებით დამევიწყებინა ის საფრთხე, ჩვენ კომუნას რომ ემუქრებოდა და ნეტარებას მივცემოდი ამ ლურჯი ცის შემყურე, სახეზე მოლამუნე მზის სხივები კი ღვთის კურთხეულ სითბოდ აღმექვა.

ხუფრასთან გაცხოველებული საუბარი არ წყდებოდა. ჩვენ მიღებული გვქონდა მითითება, რომ ყველა შეკითხვაზე რაც შეიძლება დიპლომატიურად გვეპასუხა. კომუნის დოქტრინის შესახებ და თეოლოგიაზე კრინტიც არ უნდა დაგვეძრა - ეს მხოლოდ უხუცესების პრივილეგია იყო.

ხელმარცხნივ მჯდომმა ერთმა მოკრძალებულმა ქალმა მკითხა, კომუნაში რატომ არ გყავთ არც ერთი ძაღლიო. სქელმინებიანი სათვალე ეკეთა, გარეგნობით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდა და ისე იჯდა, თითქოს ეშინია, ვინმე არ შევავიწროვოო. აქაურობა დიდ ფერმას მაგონებსო, მეუბნება თავისი წრიპინა ხმით, მე კი არასოდეს მინახავს ისეთი ფერმა, ერთი-ორი ძაღლი მაინც რომ არ ჰყავდეთო.

ძაღლები უწმინდურები არიან-მეთქი, მივუგე.

მან თავი დამიქნია, მერე მცირე ხნით ჩაფიქრდა, ლიმონათი მოსვა და, აქ ყველა ისეთი ბედნიერიაო, მეუბნება.

თქვენ ეს უცნაურად გეჩვენებათ-მეთქი, ვეკითხები.

ცოტა არ იყოსო.

გამელიმა. უოლტერ ჯონ ჰარმონია ჩვენთან-მეთქი, ვუთხარი.

ლანჩის შემდეგ ჩვენი დიდი სიურპრიზის დროც დადგა. ყველანი დასავლეთ სექტორში წავიყვანეთ, სადაც საგანგებოდ გამზადებულ ბეტონის ფუნდამენტზე სახლი უნდა აგვეშენებინა კომუნაში ახლადმიღებული წყვილისთვის. კარკასი უკვე აგებული იყო და ახლა, ბალახზე მოკალათებული სტუმრების თვალწინ ჩვენ, კომუნის კაცები, ჩვენივე დურგლების ხელმძღვანელობით, ზოგი კედლების შეფიცრვას შევუდექით, ზოგი სახურავის ჭოკებზე აძვრა და გადასახურავი ფიცრების დაჭედება დაიწყო, ჩვენ შორის ყველაზე ხელმარჯვეები კი კარებსა და ფანჯრებს სვამდნენ. რა თქმა უნდა, იმ დღეს არანაირი შიდა სამუშაოები არ მოესწრებოდა, მაგრამ სტუმრებზე გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა თვით ის ფაქტი, რომ ამდენი ჩვენგანი ასე შეხმატკბილებულად და ასე სწრაფად აშენებდა საცხოვრებელ სახლს. ეს საჩვენებელი გაკვეთილი უფრო იყო, რაღაც წარმოდგენის მსგავსი, რადგან ჩვენ აქამდეც არაერთხელ აგვიშენებია ზუსტად ასეთივე სახლები და ყოველმა ჩვენგანმა იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა და სად ჩაეჭედებინა თითოეული ლურსმანი. ეს ყველაფერი - ჩაქუჩის კაკუნი, ხერხვა, ფიცრების თრევა და ხრიგინი ერთმანეთს რაღაც მუსიკალურ რიტმად ერწყმოდა და შიგადაშიგ ჩვენს ყურამდეც აღწევდა მაყურებლების ხალისიანი სიცილი და აპლოდისმენტები.

საბოლოოდ, უხუცესმა მანფრედ ჯექსონმა ყველას თვალწინ გადასცა გრაგნილი პირველი სართულის ახალ ბინადრებს - დონალდსონებს, თმაშევერცხლილ წყვილს, რომლებიც ხილიხელჩაკიდებულები იდგნენ და ქვითინებდნენ. კომუნის წევრები სათითაოდ ეხვეოდნენ დონალდსონებს, უხუცესი ჯექსონი კი მიუბრუნდა სტუმრებს და აუხსნა, თუ იმ წუთს რისი მოწმენი გახდნენ ყველანი: მათ იხილეს ნეტარების "მესამე საფეხური".

მანფრედ ჯექსონი ერთადერთი შავკანიანი იყო უხუცესთა შორის - წარმოსადეგი, მაღალი, ახალგაზრდულად მხრებგაშლილი, არც იფიქრებდით, რომ ოთხმოცს იყო გადაცილებული. თეთრი თმა ჰქონდა და თავის მანტიას მართლაც მეფურად ატარებდა. მან ამცნო საზოგადოებას, რომ მესამე საფეხურზე ამაღლებასთან ერთად ეს "ზეგარდმო გამოცხადებას" ნაზიარები წყვილი უარს ამბობდა მთელ თავის პირად ქონებაზე და მას წინასწარმეტყველს გადასცემდა; რომ "მესამე საფეხური" მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან ამა ქვეყნის ფუჭი ფასეულობების უარყოფა და ამ ჭუჭყისგან გათავისუფლება არაა სახუმარო საქმე; რომ, როგორც ამას წინასწარმეტყველი გვასწავლის, ღვთის ღირსნი რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავხდეთ, შვიდი საფეხური უნდა გადავლახოთ; რომ ჩვენ შევალთ უმანკოთა და პატიებამიღებულთა საუფლოში, რადგან ყოველივე იმას, რასაც ვფლობთ და რის გარეშეც ვერ წარმოგვიდგენია ცხოვრება, ვაბარებთ ჩვენ წინასწარმეტყველს, რათა მან ზიდოს ეს მძიმე ტვირთი; რომ სწორედ მან მოგვიყვანა აქ, რათა ურწმუნოთა ამაო და ცრუ საქმენი შორს ყოფილიყო ჩვენგან; რომ ჩვენ სხეულს მისი მუსლინი მოსავს, ნიშნად ჩვენი ზესწრაფვისა; რომ სახლებს, რომლებშიც ჩვენ გვიდევს ბინა, ღვთიური ტორნადო ალგვის პირისაგან მიწისა. მანფრედ ჯექსონმა იმ დაბლობისკენ გაიშვირა ხელი, სადაც წმინდა ქალაქი ცით უნდა მოვლენოდა ამ ქვეყანას. ჩვენ ისეთ ნეტარებას ვეშურვით, მზეც რომ აღარ დაგვჭირდებაო, ბრძანა მან.

უოლტერ ჯონ ჰარმონი არ გამოჩენილა მთელი ამ ხნის განმავლობაში. რაც მეტი დრო გადიოდა, ხალხს უფრო და უფრო ეტყობოდა მოუთმენლობა და თვალებით ეძებდა იმ კაცს, რომლის გულისთვისაც გამოევლო ამხელა გზა. მზე რომ გადაიწვერა, უკვე ყველა დაგეგმილი ღონისძიება, მათ შორის გუნდის გალობა, ექსკურსია წმინდა მიწაზე და სხვა ამგვარი მოთავებული გვქონდა და სტუმრებმაც წასვლაზე დაიწყეს ფიქრი. ჩვენ შევაგროვეთ მათი მუსლინის მანტიები, თითქოს იმის ნიშნად, რომ მეტს აღარ ვაკავებდით. ხალხი გაურკვევლობამ მოიცვა. მათი პატარები ჯერ ისევ გართულნი იყვნენ კომუნის ბავშვებთან თამაშით. მშობლები კი ელოდნენ, პირველი ვინ გაემართებოდა სათივე ოთხთვალებისკენ. ამავე დროს უხუცესები და ჩვენ, კომუნის რიგითი წევრები, განვაგრძობდით მათთან ერთად სეირნობას და ვარწმუნებდით, რომ მათმა ჩამოსვლამ ძალზე გაგვახარა - თანაც მათ სვლას ძალდაუტანებლად სამლოცველოსკენ მივმართავდით. ჩვენ კი წინდაწინ ვიცოდით, იქ რასაც ვნახავდით, მაგრამ არ გვინდოდა მათთვის მოგვეკლო მოულოდნელი აღმოჩენით განცდილი აღტაცება, როცა ხის მაგიდასთან წყნარად მჯდომ წინასწარმეტყველს იხილავდნენ. ერთმა ბავშვმა პირველმა დაინახა ის და წამოიყვირა, მას სხვებმაც აუბეს მხარი და ყველა წინ გაქანდა. უკან მშობლები მისდევდნენ. და ყველას მოწიწება გამოესახა სახეზე, როცა ბოლოს და ბოლოს შეგროვდნენ მდელოზე და უოლტერ ჯონ ჰარმონს მიაჩერდნენ.

ტანში ჟრუანტელმა დამიარა, ეს იყო იმდღევანდელი “მიღების“ კულმინაცია. ხედავთ? - მინდოდა მეყვირა - ხედავთ, ხალხნო? - გული სიამაყით მევსებოდა.

წინასწარმეტყველს წესად ჰქონდა სტუმრებთან გასაუბრება, მაგრამ დღეს ის ფიქრებს მისცემოდა. თვალნი დაეხარა, ოდნავ წინწახრილი იჯდა სკამზე, ფერხნი სათნოდ გადაეჯვარედინებინა და ხელები მორჩილად დაესვენებინა მუხლებზე. ფეხშიშველი გახლდათ. ხალხი ბალახზე განთავსდა და სმენად იქცა, ბავშვებიც კი გაინაბნენ. მიწა გრილი იყო. საღამოს მზეს ნელ-ნელა ძალა ეცლებოდა, ბალახს სიომ გადაუქროლა და წინასწარმეტყველის თმაც შეარხია. სულ უფრო მეტი კომუნის წევრი გვიერთდებოდა. სრულმა სიჩუმემ დაისადგურა. მოულოდნელად ჩემს გვერდით ბეტი აღმოჩნდა, მუხლებზე დამხობილი მაგრად მიჭერდა ხელს.

გადიოდა წუთები, ის კი ხმას არ იღებდა. დუმილი ისე გაგრძელდა, რომ უხერხულობისა თუ მოლოდინის ზღვარი გადალახა და რაღაც ნიშანდობლივი ღრმააზროვნება შეიძინა. ზეგარდმო სიმშვიდე დამეუფლა, სიოს ჩურჩულს ვუსმენდი და ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ჩვენი წინასწარმეტყველი მესაუბრებოდა. როცა ცაზე ღრუბელი გამოჩნდა და წუთით მზე დაფარა, მიწაზე მისი ჩრდილი წინასწარმეტყველის ხელნაწერად აღვიქვი. თითქოს მისი დუმილი წმინდა საუფლოს ენად ქცეულიყო. ყველაფერი კარგად იქნებაო, მეუბნებოდა, ტანჯვას ბოლო მოეღება და თქვენი გულებიც განმრთელდებაო.

დუმილი ისე გაუგრძელდა, რომ აუტანელი შეიქნა მისი სიტკბოება და ხალხიც აქვითინდა. ვიღაცამ გვერდით ჩამიარა და წინასწარმეტყველისკენ გაემართა, რომელიც ისევ თავის სკამზე იჯდა, უშფოთველი და მარტოსული. ეს ვიღაცა კი ერთი სტუმართაგანი იყო, ასე, თხუთმეტთექვსმეტი წლის პირმრგვალი გოგონა. როგორც კი უოლტერ ჯონ ჰარმონს მიუახლოვდა, მიწაზე განერთხა, სამად მოკეცილმა ემბრიონის პოზა მიიღო და შუბლით მის ტერფებს ემთხვია.

იმ დღეს ექვსი სტუმრად მოწვეული ოჯახი საზეიმოდ აღუთქვამდა კომუნას თავისი შემოსავლის ერთ მეათედს. ეს გახლდათ “პირველი საფეხური“. მაგრამ რაც უფრო იზრდებოდა ჩვენი კომუნა, რაღაც დაწყევლილი პროპორციით იზრდებოდა ამ შარიანი სამყაროს არაჯანსაღი ინტერესიც ჩვენ მიმართ. საუბედუროდ, “მიღების“ ერთ-ერთი სტუმართაგანი დენვერის გაზეთის მიმომხილველი აღმოჩნდა, რომელმაც, როგორც ჩანს, ინკოგნიტოდ შემოაღწია იმ ჩვენს ღონისძიებაზე. უნდა ითქვას, რომ იმ დღის მოვლენები მან საკმაო სიზუსტით აღწერა (ეყო ცბიერება), მაგრამ სტატიის ტონი ქედმაღლური, დამამცირებელიც კი იყო. ვერ გამეგო, რაში დასჭირდა გაზეთის მიმომხილველს დენვერიდან ამსიშორეზე წამოსვლა და ჩვენზე ქილიკი. იურიდიული თვალსაზრისით, სტატიას ცილისმწამებლურს ვერ დავარქმევდი, მაგრამ ვერაგულად მოტყუებულად ვიგრძენი თავი, როცა ავტორის ფოტოზე ის შეუხედავი, სქელლინზებიანი ახალგაზრდა ქალი ამოვიცანი, ტრაპეზზე ჩემ გვერდით რომ იჯდა და კითხულობდა, ყველა ასე ბედნიერი ნეტა რატომ არისო. თურმე რა თვალთმაქცთან მქონია საქმე, რა ბოღმას იტევდა თურმე ეს უბადრუკი არსება!

მმართველი კომიტეტის სხდომაზე უხუცესებმა გადაწყვიტეს, რომ ამიერიდან ყოველთვიურ “მიღებებზე“ მხოლოდ ბავშვიანი ოჯახები დაიშვებოდნენ. მე თუ მკითხავთ, ცხოვრებისეულ საჭიროებათა გათვალისწინებით, ეს არც თუ გონივრული გადაწყვეტილება იყო, მაგრამ ჩვენ უკვე მივიღეთ გამოწვევა და ველარაფერი შეგვაჩერებდა. კომუნის გარეთ მცხოვრები ნათესავები, მეგობრები თუ კოლეგები ყურებს გვიჭედდნენ უკვე ათასგზის გაგონილი ბრალდებებით, აქაოდა, თქვენი წინასწარმეტყველი ლოთიაო, ცოლ-შვილი ჰყავს მიტოვებულიო, თქვენ ხარჯზე გამდიდრდაო. განა შეიძლება ეს სიახლე ყოფილიყო ჩვენთვის - ჩვენი წინასწარმეტყველი ხომ ახლა იყო ის, რანიც ჩვენ ვიყავით ოდესღაც? განა უოლტერ ჯონ ჰარმონმა არ მიიღო მთელი ჩვენი მანკიერება, თავად ჩვენ კი, უკეთური მიდრეკილებებისგან, ხორციელი ვნებებისგან თუ უგნური სიხარბისგან განძარცულნი, ნეტარებას ვეზიარენით!

ის არაფერს გვიმალავდა. სინანული იყო მისი მუდმივი თანამგზავრი. მაგრამ რად გინდა, კომუნის გარეთ, ფოტოსურათის ნეგატივივით უკუღმართ ქვეყანაში, ლოგიკაც ასეთივე უკუღმართი ჰქონდათ.

ყოველი ახალი არაკეთილგანწყობილი სტატია ახალი სარჩელისა თუ მოკვლევის საბაბი ხდებოდა. ერთხელაც უხუცესმა რაფაელ ალტმანმა გვაუწყა, რომ I.R.S.-ს სასამართლოსთვის მიემართა, რათა მას განკარგულება გაეცა კომუნის წიგნების სასამართლოში წარმოდგენის თაობაზე. ერთ-ერთი ჩვენი ადვოკატი წარგზავნილ იქნა შემხვედრი სარჩელის შესატანად. კომუნის დანარჩენი იურისტები კი, რომლებიც კომუნის გარეთ წარმოებული პრაქტიკის წყალობით კვლავაც არც თუ ურიგო ფორმაში ვიყავით, გარესამყაროს მზარდი აგრესიულობის ფონზე მოქმედების ზოგადი სტრატეგიის შესამუშავებლად უხუცესთა რიგგარეშე თათბირზე შევიკრიბეთ. აქამდე ყველა მტრულ პუბლიკაციას სათნო დუმილით ვპასუხობდით. ახლა კი გადავწყვიტეთ, რომ მოვიდა დრო, საჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რო განცხადებებით დაგვეცვა წინასწარმეტყველის სახელი და ჩვენებებიც მიგვეცა. პროზელიტურ საქმიანობას არ ვაპირებდით, მაგრამ საკადრის პასუხს კი ყველა მიიღებდა. ამ მიმართულების კურირება ჯადსონ ბერგლუნდს დაევალა, ერთ იმათგანს, ვინც "უმაღლეს საფეხურს" იყო ნაზიარები, კომუნაში მოსვლამდე კი პიარის საკუთარი ფირმა ჰქონდა კალიფორნიაში. როცა ნაციონალურმა ყოველკვირეულმა გაზეთმა ეჭვის ქვეშ დააყენა ტორნადოს სასწაული ფრიმონტსა თუ კანზასში, სწორედ ბერგლუნდმა იზრუნა იმაზე, რომ იმავე გაზეთის რუბრიკაში "წერილი რედაქტორს" დაბეჭდილიყო უხუცესთა ჩვენებებიც. ცნობილი ანტიკულტისტის მტრული წერილი უშიშრად შევიტანეთ ჩვენ ვებსაიტში და თანაც ჩვენი ათეულობით წევრის გამამართლებელი გამოხმაურებებიც დავურთეთ. ერთი სიტყვით, გვარიანი ჯაფა გვადგა.

ჩვენ მხოლოდ ის მოგვეთხოვებოდა, რომ გაწონასწორებული, მტკიცე და ამავე დროს შემწყნარებლური პასუხი გაგვეცა ყოველ გამოხდომაზე.

თავსდატეხილ პრობლემებს უოლტერ ჯონ ჰარმონი ჩვეული უდრტვინველობით შეხვდა, მაგრამ ზაფხული რომ მიილია და მუხის ფოთლებსაც სიყვითლე შეეპარა, ისიც თითქოს სულ უფრო და უფრო იკეტებოდა საკუთარ თავში, და ხშირად ვხედავდით ისეთს, "მილების" დროს რომ იყო. თითქოს აღიზიანებდა, რომ მისი არც ერთი ნაბიჯი არ რჩებოდა შეუმჩნეველი, თითქოს თრგუნავდა ჩვენი უანგარო ერთგულება. მაგრამ ღვთის რჩეული აბა რის ღვთის რჩეული იქნებოდა, უარს თუ არ იტყოდა პირად ცხოვრებასა თუ პირად გრძნობებზე. ასე რომ, მასზე ზრუნვა ჩვენ ვითავეთ. წინასწარმეტყველის სულიერმა მდგომარეობამ, ცოტა არ იყოს, გაგვინელა ნეტარი ცხოვრებით, ღვთის წინაშე ჩვენი მართალკაცობის მათრობელი შეგრძნებითა და წმინდა ქალაქის ამ ჩვენს მწვანე პლანეტაზე მოვლინების ღვთისნიერი მოლოდინით გამოწვეული აღმაფრენა. ბავშვების გალობაც კი აღარ აღელვებდა. დიდი ხნით იკარგებოდა და მარტოდმარტო სეირნობდა იმ ჩვენ წმინდა ველებზე. ჩემ თავს ვეკითხებოდი, იქნებ მისი მოკვდავი სულისთვის უკვე აუტანელიც იყო ჩვენი ცოდვების სიმძიმე.

ახლა მხოლოდ ისღა მახსოვს, ერთხელ უოლტერ ჯონ ჰარმონი და ჩემი ცოლი, ბეტი რომ შევნიშნე ხეხილის ბაღში, სამლოცველოს ზემოთ. ოქტომბრის სუსხიანი და პირქუში დღე იყო, საღამოვდებოდა. ცაზე შავი ღრუბლები დაცურავდნენ და ქარიც ქროდა. ამ ბაღში ვაშლის, მსხლისა და ატმის ხეები სულ სამი-ოთხი წლის თუ იქნებოდნენ, ბევრად არც ასცილებოდნენ კაცის სიმაღლეს. მარტო ვაშლის ხეებს ესხათ და ბეტის აღსაზრდელებიც წინ და უკან დარბოდნენ და ხან მიწიდან კრეფდნენ ხილს და ხანაც ქვედა ტოტებიდან წყვეტდნენ. და დავინახე იმ პირქუშ, ქარიან დღეს, თუ როგორ გაუწოდა ბეტიმ ვაშლი უოლტერ ჯონ ჰარმონს. ამ უკანასკნელმა კი ხელი ჩასჭიდა მაჯაში, დაიხარა და ნაყოფი ისე ჩაკბიჩა, არც გამოურთმევია. მერე ბეტიმაც მოკბიჩა. იდგნენ და ერთმანეთს შესცქციცინებდნენ თვალებში, თანაც ვაშლს ახრამუნებდნენ. მერე ერთმანეთს ჩაეფსკვნენ, ქარმაც დაბერა და მანტიები ურცხვად შემოატმასნა სხეულზე. მე უბედურს კი მესმოდა, როგორ იცინოდნენ ბავშვები და ვხედავდი, სირბილით როგორ უვლიდნენ გარს ერთმანეთს ჩახუტებულ უოლტერ ჯონ ჰარმონსა და ჩემ ცოლს.

ამ ამბიდან სულ რამდენიმე დღე იქნებოდა გასული, რომ ერთ მშვენიერ დილას სალოცავად მისულმა კომუნის წევრებმა სამლოცველო მაგიდის გვერდით მიწაზე დაგდებული მანტია შენიშნეს. წყალი არ გაუვიდოდა, წინასწარმეტყველისა იყო - ღვთისმსახურების დროს ის მუსლინის ნაცვლად სწორედ ასეთი ტილოს მანტიით იმოსებოდა. ჩანდა, პატრონს ეს მანტია ძირს დაეგდო და იქაურობას გასცლოდა. გასაღები კი იდო მაგიდაზე, მაგრამ თეთრი ქვა ძირს გადმოეგდოთ. საქმის გასარკვევად სასწრაფოდ იხმეს უხუცესები. შეკრებილ კომუნის წევრებს ხელი რომ არაფრისთვის ეხლოთ, დურგლებმა სარებით შემოსაზღვრეს ეს ადგილი.

ძალას არ ვიშურებდით უოლტერ ჯონ ჰარმონის ადგილსამყოფელის დასადგენად. არასდროს გადაგვიბიჯებია მისი კარის ზღურბლისთვის. ახლა კი კარი ღია იყო. შიგნით ყველაფერი არეულ-დარეული დაგვხვდა. ლიქიორის ცარიელი ბოთლები, დამსხვრეული ჭურჭელი. საკუჭნაო ოთახი ცარიელი იყო. ქიშკართან მისულებმა კი მისი "ჰამერი" ველარსად ვნახეთ.

შუადღისას მუშაობა შეგვაწყვეტინეს და გაოგნებულ კომუნას გამოგვიცხადეს, რომ უოლტერ ჯონ ჰარმონს, როგორც ჩანს, მეტს ველარც ვიხილავდით. სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ბობ ბრიუსმა ბრძანა, უხუცესები მალე შევიკრიბებით და გავარკვევთ, რას უნდა ნიშნავდეს წინასწარმეტყველის გაუჩინარებაო. მან ლოცვა აღავლინა და მერე კი გვირჩია, ყველა თქვენ-თქვენ საქმეს დაუბრუნდითო. მასწავლებლებს უთხრეს, ბავშვები საკლასო ოთახებში წაეყვანათ, და როცა ყველა დაიშალა, ბავშვების მარტო ერთი ჯგუფი დარჩა ადგილზე - მათი მასწავლებელი არსად ჩანდა. ეს ბეტის კლასი იყო. ბავშვებს ბეტის შეფიქრიანებულმა კოლეგებმა მიხედეს. ყველა აფორიაქებული და მწყობრიდან გამოსული იყო.

შემეძლო ყველასთვის მეთქვა, ამასწინ ღამით რომ გავიგონე, როგორ ადგა ბეტი თავისი საწოლიდან, კაბა გადაიცვა და კარებში გასრიალდა, წინასწარმეტყველმაც, ალბათ, იმ ღამით მიგვატოვა-მეთქი. იმ წყნარ ცივ ღამეში კარგად გავიგონე, სადღაც შორს როგორ დაქოქეს მანქანა, მერე კი ყველაფერი ისევ მიწყნარდა.

როცა გაიგეს, რომ წინასწარმეტყველი ჩემ ცოლთან ერთად გაიქცა, უხუცესთა საბჭოზე დამიბარეს. უხუცესებმა მათ თათბირებში მონაწილეობა შემომთავაზეს. შეიძლება ფიქრობდნენ, რომ მოტყუებული ქმარი მათზე მეტ სიბრძნეს იქნებოდა ნაზიარები. შესაძლოა, ჩემი დასწრება მათთვის სხვა მიზეზით იყო მნიშვნელოვანი. ასეა თუ ისე, კომუნის სხვა არც ერთი წევრის რწმენა არ დამდგარა ისეთი გამოცდის წინაშე, ჩემსას რომ ხვდა პატივად და თუკი ამასაც გავუძლებდი და ღმრთის სადიდებელს დავამღერებდი, ვიღა არ იწამებდა მის ღვთაებრივ გულმოწყალებას?

რა მიზეზითაც არ უნდა მოეცათ ასეთი წინადადება, ჩემთვის ეს მაინც დიდი შევბა იყო. ჩემმა პირადმა უბედურებამ საზოგადოებრივი მნიშვნელობა შეიძინა. სულიერი სიმშვიდისთვის ამ კრიზისის დროული დაძლევა მესაჭიროებოდა. თანაც, საღი აზრი იმასაც მკარნახობდა, რომ თუკი შევძლებდი ბეტის ღალატი ღვთისნიერი მიმტევებლობით მიმეღო და კარგად გამეცნობიერებინა ამ ყველაფრის უზენაესი მნიშვნელობა, დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დსაც შევიმსუბუქებდი და უხუცესთა თვალშიც ერთიორად ავმაღლდებოდი, როგორც ჩვენი იდეალების განსხეულების სათნო მაგალითი. ჩვენი კომუნის მსგავს საზოგადოებაში მავანის მორალური ტვირთი ერთ მშვენიერ დღესაც ცხოველმოქმედ ძალად შეიძლება იქცეს.

დებატები სამი დღე გრძელდებოდა. ჩემ გამოსვლებში აშკარად შეინიშნებოდა მზარდი თავდაჯერებულობა და თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ საქმის განხილვაში არც თუ მცირე წილი მედო. კონსენსუსი ასე ჟღერდა: უოლტერ ჯონ ჰარმონმა მოიმოქმედა ის, რასაც მისივე მოძღვრება მოითხოვდა მისგან და რაც უბრალოდ გარდაუვალიც იყო. თავისი გაქცევით ერთ-ერთ განწმენდილ დიაცთან ერთად მან არამარტო ბედის ანაბარა მიგვატოვა მისი მოყვარული და ერთიანად მასზე დამოკიდებული სამწყსო, არამედ ეჭვის ქვეშ დააყენა თავისი მოძღვრების ფუნდამენტური პრინციპები. თვით ის ფაქტი, რომ ჩვენი მოძღვარი ასე უიმედოდ ჩაინთქა ცოდვისა და უკეთურების მორევში, ბრწყინვალე დასტური იყო მისი სწავლების ჭეშმარიტებისა. ამაზე ფიქრიც კი გვაჟრჟოლებდა. საკითხს კიდევ უფრო მეტი ფილოსოფიურობით უდგებოდა უხუცესი ალ სემუელსი, ოთხმოცს გადაცილებული ერთი ციდა მოხუცი, წივანა, ჩახლეჩილი ხმა რომ ჰქონდა. საქმე გვაქვს ერთ მეტად მოსწრებულ პარადოქსთანო, ბრძანებდა, როცა მოძღვრება თავისი თავის უარყოფით მკვიდრდებაო. ამის გაგონებაზე უხუცესი ფრედ სანდერსი, რომელიც განსაკუთრებით გვიყვარდა მისი სიფიცხის გამო, ფეხზე წამოხტა და დაიღრიალა, დიდება უფალს ჩვენი კურთხეული წინასწარმეტყველის მოვლინებისთვისო! ყველანი წამოვდექით და ჰალილუია დავძახეთ.

სანამ საქმის ფილოსოფიურ მხარეს ვიხილავდით, კომუნა ხელში გვაკვდებოდა. ზოგი მოთქვამდა, ზოგიც სასოწარკვეთილი წინ და უკან დაეხეტებოდა. ხალხი გულს ვერ უდებდა სამუშაოს. კონტინგენტს დამატებით ვიწვევდით სალოცავ შეკრებებზე, მაგრამ ძალიან ცუდი დასწრება იყო. კომუნის რამდენიმე წევრმა კი, იმ მიუსაფარმა საცოდავებმა, მოხვეტეს თავიანთი უბადრუკი ბარგიბარხანა და ისე, რომ ყური არავისთვის უთხოვებიათ, მთავარი ჭიშკრისკენ წაჩანჩალდნენ. ახლა კი ვხვდები, როგორ გაჟონა ინფორმაციამ ჩვენ სავალალო ყოფაზე - ამ სულიერად გატეხილი დეზერტირების მეშვეობით. ყველაფერ ამასთან ერთად ახალი ამბების გამოშვებაში უჩვენეს ჩვენი კომუნის კადრები, ვერტმფრენიდან გადაღებული, კადრსმიღმა კი კომენტატორი ღაღადებდა, შეხედეთ ამ მოტყუებულ, გაძარცვულ, დამცირებულ, უკაპიკოდ დარჩენილ და ბედის ანაბარა მიტოვებულ ხალხსო.

რაღაც უნდა გვეღონა. ჯადსონ ბერგლუნდის რჩევით, რომელიც აქამდე შესანიშნავად უძღვებოდა პიარს, დიდი ზეიმი მოვაწყვეთ - სმენას ჩვენი სიმებიანი ორკესტრი გვიტკბობდა, მაგიდები იზნიქებოდა ნაირ-ნაირი კერძებით და სარიტუალო ღვინოც ჩანჩქერივით მოედინებოდა. მუშაობა და სწავლა დროებით შევაჩერეთ, რათა ჩვენი ხალხისთვის შეკრების საშუალება მიგვეცა და მათთვის ერთად ყოფნის სიამოვნება არ მოგვეკლო. მადლობა უფალს, ოქტომბრის იმ დღეს ამინდმაც პატივი გვცა და მზეც საამოდ გვეალერსებოდა თავისი ოქროსფერი სხივებით. და მაინც, გაურკვევლობისა და დაბნეულობის გრძნობა არ ტოვებდა ხალხს. ყველას სურდა უხუცესთა მართალი სიტყვის გაგონება. ისიც შევამჩნიე, რომ ზოგიერთ ბავშვს მოეძებნა თავისი სისხლისმიერი მშობელი და ახლა უკვე გვერდიდიან აღარ სცილდებოდა.

ლანჩის შემდეგ მუსიკა დადუმდა და ყველამ სამლოცველოს წინ მოიყარა თავი. შვიდი უხუცესი ხის სკამებზე მოკალათებულიყო, სახით ხალხისკენ. სიტყვას რიგრიგობით წარმოთქვამდნენ. აი, რას ბრძანებდნენ: წინასწარმეტყველს არაერთხელ გავუფრთხილებივართ, რომ ეს დღეც დადგებოდაო; სულ იმას გვეუბნებოდა, რომ ის არ იქნებოდა იმ ნეტართა რიცხვში, ვინც წმინდა ქალაქში ცხოვრებით გაიხარებდაო; მისმა წასვლამ ყველას, ვისაც კი ის გვიყვარდა, ის კი ყველას გვიყვარდა, უზარმაზარი ტკივილი მოგვაყენა, მაგრამ ახლა კიდევ უფრო მეტად უნდა შევიყვაროთ - ასე რომ მოიქცა, სწორედ იმიტომო, მოკლედ, ასე გვიბრძანებიაო; ჩვენ მას ვერ განვიკითხავთ, რადგან ეს მისი უკანასკნელი მსხვერპლი იყოო: მან მოგვაშორა და თავად იტვირთა ჩვენი სიმდიდრე, ჩვენი ხორციელი ვნებანი, ყველა ამქვეყნიური ცოდვა, რაც კი ოდესმე ჩაგვიდენია და ყველაფერი ამით დამძიმებული დაუბრუნდა მიწიერ ყოფასო, და ეს იმისთვის გააკეთა, ჩვენ რომ ღვთის წინაშე მართლები ვყოფილიყავითო; მასზე გლოვის გამოცხადებაც არ ივარგებსო: თუკი ჩვენ ისევ ისე ვცხოვრობთ, როგორც ადრე ვცხოვრობდით, ისევ ისე ვსწავლობთ, როგორც ადრე ვსწავლობდით, განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის, სადაც არ უნდა იყოს ახლა, მაინც ჩვენს შორის არისო? ჰოდა, რაკი ასეა, ამიერიდან ჩვენ, უხუცესები, მისი სახელით ვილაპარაკებთო; მის სათქმელსაც ჩვენ ვიტყვით და მის საფიქრალსაც ჩვენ ვიფიქრებთო; ის კი, რასაც მოძღვარი გვიწინასწარმეტყველებდა, ახლაც ძალაშია, რადგან გულისფანცქალით ველით მარადიულობასთან ზიარებასო; ქვა რომ ჩამოაგდო მაგიდიდან, გასაღებისთვის ხომ ხელი არ უხლია, ჰოდა, სწორედ იმ გასაღებით გავაღებთ ღვთის სასუფევლის კარსო; და როცა ოთხი მხედარი მოევლინება ქვეყანას და ცას მიაზმა დაფარავს, მზე რომ გაშავდება და მთვარე სისხლისფრად შეიღებება, როცა ცეცხლოვან ქარიშხალში ჩაინთქმება მთელი ქალაქები და ბირთვული ომის მეომრები ამოჟუჟავენ ერთმანეთს, წინასწარმეტყველი ჩვენთან იქნება, ამ ხოცვა-ჟლეტასა და ნგრევას უვნებლად გადარჩენილიო. რადგან ერთ მშვენიერ დღეს უფალი მოევლინა ამ ქვეყანას ქარბორბალას სახით და დატრიალდა ამ მოკრძალებული კაცის ირგვლივ, ვისი სათნოებაცა და ზნეკეთილობაც ოდენ უფალმა ცნო და დაადგინა თავის წინასწარმეტყველადო. ჩვენ, თქვენმა უხუცესებმა ჩვენი თვალით ვნახეთ ეს ყველაფერიო; და გეუბნებით თქვენ, არა ვითარცა ქარბორბალა, არამედ ვითარცა დიდებისა და მშვიდობის ბრწყინვალე მანათობელი ქალაქი მოევლინება ის ქვეყანას და ჩვენ, ვისაც უოლტერ ჯონ ჰარმონის ჭკუით გვიცხოვრია, მარადიულ ნეტარებას ამ წმინდა საძოვრებზე მივეცემითო.

უხუცესთა სიტყვებმა თავისი ქნა. კომუნის წევრთა სახის გამომეტყველებისა და მიმოხვრის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, მათ ჩვეული სიმტკიცე უბრუნდებოდათ. ბევრის მზერა ჩემკენ იყო მომართული. ჩემი ვერაგი ცოლის დიდების სხივებში ვბანაობდი - უოლტერ ჯონ ჰარმონმა ხომ სწორედ ის აირჩია თავისი უკანასკნელი ცოდვის თანამგზავრად, კომუნის ღალატის თანამზრახველად.

ორიდე დღე თუ იქნებოდა გასული ამის შემდეგ, როცა ერთ-ერთმა ქალმა, რომელიც წინასწარმეტყველის სახლში შევიდა დასალაგებლად, ისეთი რამ აღმოაჩინა სკამის ქვეშ, რაც იმ ალიაქოთში ვერავინ შენიშნა: ფანქარი, ჩვეულებრივი ფანქარი.

ჩვენი წინასწარმეტყველი არასდროს არაფერს არ იწერდა.

სასწრაფოდ გამოძახებულმა უხუცესმა კიდევ იპოვა რაღაც: ბუხრის ფერფლში ეგდო ქაღალდის სამი ნახევრადდამწვარი ფურცელი, რომელიც, მართალია, დაგრეხილიყო და კიდეებიც დანახშირებოდა, მაგრამ, რაღაც სასწაულით, მაინც გადარჩენილი ეთქმოდა.

ამ ფურცლებზე უოლტერ ჯონ ჰარმონს იმ კედლის გეგმა დაეხატა, რომელიც გარს უნდა შემოევლოთ კომუნისთვის. გეგმაზე ესკიზიცა და ზომებიც დაეტანა. გზატ-

კეცილზე გამავალი ჭიშკარი აქეთ უნდა გადმოეწია, ჩვენი სახლებიდან ზუსტად ასათი იარდის დაშორებით. კედელი ქვისა უნდა ყოფილიყო, სამი წყრთის სისქის და ოთხი წყრთის სიმაღლის. ქვები საძოვრებზე, წყაროებსა და ნაკადულებთან უნდა მოეგროვებინათ. მათ შესადუღაბებლად ცემენტის ხსნარი უნდა გამოეყენებინათ, რომლის პროპორციებიც ზუსტად იყო მითითებული. მთელ ამ უცნაურობას არანაკლებ უცნაური წარწერა აგვირგვინებდა, რომელიც უკანასკნელი გვერდის ბოლოს მიეწერა წინასწარმეტყველს: “თავის დროზე ამ კედლის დანიშნულებაც გაცხადდება.“ ეს იყო და ეს.

ამ აღმოჩენამ ყველას მოსვენება დაგვაკარგვინა. უამრავი კითხვა გვიჩნდებოდა. ქვის კედელი არანაირად არ შეესაბამებოდა არამარადიულობის იმ პრინციპს, რომელიც საფუძვლად ედო ჩვენ ყველა ადრინდელ მშენებლობას. ნეტავ ეს რაღას ნიშნავდა? ახალ დოქტრინას ხომ არა? და როდის უნდა დამდგარიყო ეს “თავისი დრო“? მაგრამ მან ხომ ცეცხლში გადაუძახა ამ გეგმას. ნეტავ რატომ?

უბრალოდ არ ვიცოდით, რა მოგვეხერხებინა ამ გეგმისთვის. თავად ავტორს რომ არ გადაეგდო, ალბათ უზენაესი ბრძანების ძალა ექნებოდა.

შემდგომ შესწავლამდე ფურცლები გამჭვირვალე პლასტმასის საქაღალდეში ჩადეს და ბიზნეს-განყოფილების სეიფში შეინახეს.

ამასობაში, ჩვენ საერთო სიტუაციაშიც უნდა გავრკვეულიყავით. ძალიან მცირე საბრუნავი კაპიტალის ამარა ვიყავით დარჩენილი. ადგილ-მამულები ჩვენ ირგვლივ, ოდესღაც კომუნის წევრთა საკუთრება რომ იყო, ჩვეულებისამებრ, უოლტერ ჯონ ჰარმონის რამდენიმე ანგარიშზე ირიცხებოდა შვეიცარიის ბანკში ფასიანი ქაღალდების სახით - სასამართლო ყადაღის თავიდან ასაცილებლად. ის პირადად გასცემდა ხოლმე თანხას ჩვენი ფინანსურ საქმეთა უხუცესის რაფაელ ალტმანის განაცხადის შესაბამისად. საკვებსა და უბრალო ტანსაცმელს თავადვე მოვიპოვებდით მიწაზე დაუღალავი შრომით, მაგრამ ვალები მაინც დაგვდებოდა იმ სამშენებლო მასალის გამო, გამუდმებით რომ სჭირდებოდა ახალმოსახლეთა ბინების მოწყობას. შეიძლებოდა გარკვეული დროით უარი გვეთქვა ახალი წევრების მიღებაზე, მაგრამ იმისთვის რაღა მოგვეხერხებინა, რომ წმინდა ქალაქისთვის გათვალისწინებული დაბლობის ზოგი ნაკვეთი უიმედო გირაოში იყო ჩადებული. და საკმარისი იყო წაგვეგო თუნდაც ერთი მოსალოდნელი სამოქალაქო პროცესი, რომ უმძიმეს მდგომარეობაში აღმოვჩენილიყავით.

რაც დრო გადიოდა, სულ უფრო აშკარა ხდებოდა ჩვენთვის, რომ წინ გრძელი და ცივი ზამთარი გველოდა; და უმძიმესი გამოცდა. ჩვენი ლაზარეთი, სადაც მხოლოდ ერთი ექიმი და ორი ექთანი მუშაობდა, ავადმყოფი ბავშვების მოვლას ვერ აუდიოდა. უხუცესი ალ სემუელსი პნევმონიამ შეიწირა და ჩვენ ის ხეხილის ბაღის უკან, ბორცვზე დავასაფლავეთ. ყველას ძალიან უყვარდა ეს პატარა, წელში მოკაკული ბერიკაცი თავისი წვრილი ხმით, და ის ფაქტი, რომ როცა გარდაიცვალა, უკვე ოთხმოცდაათს უკაკუნებდა, დიდი ვერაფერი ნუგეში იყო კომუნისთვის. ჩემი პირადი სევდა მხოლოდ მცირედ თუ შემიმსუბუქა იმ ცნობამ, რომ ჯერაც ცოცხალი უხუცესები თავიანთ რიგებში მიპირებდნენ მიღებას. ჩვენ ახალგაზრდული სისხლი გვჭირდებაო, მეუბნებოდა უხუცესი სანდერსი და თან მკლავში ჩამფრენოდა. ჩვენ გადაწყვეტილებას დეკრეტით გაახლებთო.

ახლა უკვე იანვარია, ახალი წელი, მე ჩემს სახლში განვმარტოვდი და სხვებისგან მალულად ვწერ ამ სტრიქონებს. იქნებ მართალიცაა წინასწარმეტყველი, როცა ამბობს, რომ მოვლენათა წერილობითი აღნუსხვის დრო მხოლოდ მაშინ დგება, როცა ჩვენზე ეს ქვეყანა მძლავრობს. დაე ასე იყოს. ეს რწმენის დაკარგვას როდი ნიშნავს - ჩემსას ვერაფერი შეარყევს. მე კვლავინდებურად მტკიცედ მწამს უოლტერ ჯონ ჰარმონის და მისი წინასწარმეტყველებისა. სკეპტიკოსთა გასაგონად ვამბობ: დიახ, მართლაც დაუჯერებელია, რომ ერთმა უსწავლელმა, უიღბლო და ასეთმა არასრულყოფილმა გარაჟის მექანიკოსმა ესოდენ დიდებული რამ დააფუძნა. ამას ვერც ავხსნიდით, უფალს თავისი წმინდა შეხებით რომ არ აღებეჭდა მისი ალალი შუბლი.

ამ თოვლიან დაბლობებზე შეყუჟული კომუნა ახლა უფრო მცირერიცხოვანია, მაგრამ სწორედ ამის გამო ის ერთ მუშტადაა შეკრული და უფრო მტკიცეცაა. ჩვენ ყოველ დილას ვიკრიბებით, რათა მადლობა შევწიროთ უფალს, თავისი შეცნობის ღირსი რომ გაგვხადა. მაგრამ ეს სამყარო ჩვენ დაჯაბნას ელტვის და თუ ვერ გავუძელით მის შემოტევას, იქნებ ის მაინც გაკეთდეს, რომ ამ და სხვა მისმა მსგავსმა აღსარებებმა ჩვენ რწმენას აზიაროს მომავალი თაობები.

უხუცესთა სოლიდური ასაკისა და მათი შეზღუდული ქმედუნარიანობის გამო მე ახლა ისეთსავე ფუნქციებს ვასრულებ, როგორსაც - მთავარი პარტნიორი საადვოკატო კანტორაში. უოლტერ ჯონ ჰარმონი კი ახლა ჩემში ცოცხლობს და ჩემი ხმით ქადაგებს. მე შევისწავლე მისი გეგმების ის სამი გვერდი და გადავწყვიტე, რომ დათბობისთანავე გავაგზავნოთ ხალხი წმინდა საძოვრებზე ქვა-ღორღისა და ლოდების შესაგროვებლად ჩვენი კედლისთვის. კომუნის ერთ-ერთმა ახალმა წევრმა, არმიის გადამდგარმა პოლკოვნიკმა, რომელსაც ვუჩვენე ეს გეგმა, ნაბიჯებით საგულდაგულოდ გაზომა ტერიტორია და მითხრა, ვერ დამიჯერებია, რომ ჩვენი წინასწარმეტყველი სამხედრო საქმეში გამოუცდელი იყო, რადგან ეს კედელი ისეა ჩაფიქრებული, რომ სრულადაა გათვალისწინებული ადგილის რელიეფი და საშუალებას იძლევა გამანადგურებელი გრძივი ცეცხლი ვაწარმოოთ მოწინააღმდეგის მიმართო.

ჩვენ გარანტირებული გვაქვს კარგი ხილვადობისა და განფენილობის საცეცხლე სივრცე.

The New Yorker
2003, მაისი

ინგლისურიდან თარგმნა
ასმათ ლეკიაშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

## თამარ სუხიშვილი

# რეზო კიკნაძე
# სიჩუმეთა გახმიანება

"ჩემი მუსიკის შეფასების ყველაზე მნიშვნელოვან კრიტერიუმად დარბაზში გამეფებული სიჩუმე ხდება. უკვე ვისწავლე სავსე დარბაზის სიჩუმიდან კონკრეტული გრადაციების ამოცნობა. იგი ყოველთვის სხვადასხვაგვარია - ფორმალური, ზრდილობიანი, ინტელიგენტური... მაგრამ არსებობს ისეთი სიჩუმეც, როდესაც თითოეული მსმენელის თანამონაწილეობასაც გრძნობ, რაც უხილავი ძაფების სახით მკვიდრდება ადამიანთა და მუსიკის სულში... შესაძლოა ვცდები, მაგრამ მე მსგავსი სიჩუმე მომისმენია... პირადად მე გაცილებით მნუსხავს ის იდუმალი სიჩუმე, რომელიც წინ უსწრებს ბგერის დაბადებას. და ამის პარალელურად არსებობს ბგერების სამყაროც, რომელთა აჟღერების შემდეგ სიჩუმე მუსიკად გარდაიქმნება. სიჩუმეს მუსიკა ამზადებს, თუმცა ხშირად თავად სიჩუმე აღიქმება მუსიკალური ბგერების სახით. ამგვარი სიჩუმის მიღწევა - ჩემი ოცნებაა".

გია ყანჩელი
საგაზეთო ინტერვიუდან



ნებისმიერ ენციკლოპედიაში ამოიკითხავთ, რომ ბგერის ფიზიკური ცნება არ შემოიფარგლება ადამიანის სმენადობის შესაბამისი სიხშირის ბგერით. ადამიანი შეიგრძნობს მხოლოდ 16-დან 20 000 ჰერცამდე სიხშირის ბგერებს, არ შეიგრძნობს 16 ჰერცზე დაბალი სიხშირისა (ინფრაბგერებს) და 20 000 ჰერცზე მაღალი სიხშირის ბგერებს (ულტრაბგერებს), ასე რომ, ადამიანის სმენადობა (აკუსტიკური შესაძლებლობა) შეზღუდულია. ლოგიკურად, რაც ადამიანის სმენითი შესაძლებლობის მიღმა რჩება, ის სიჩუმეა. თუმცა ძველმა ადამიანმა არა სმენით, არამედ გულისყურითა და გულისხმით უკვე იცოდა, რომ აბსოლუტური სიჩუმე არ არსებობს, რომ სიჩუმე ადამიანის აკუსტიკური ილუზიაა და მას თავისი ხმიანობა თუ ხმოვანება აქვს. თუნდაც ქართული ზღაპრის პერსონაჟი გავიხსენოთ, მიწას რომ მიყურადებულა და ჭიანჭველების ხმაურს რომ უსმენს:

"ცოტა რომ გაიარეს, გზაზე ერთ კაცს გადაეყარნენ. კაცი მიწაზე გაწოლილიყო, ყურიც მიწისთვის დაედო და სიცილით კვდებოდა. მივიდა დედაბრის შვილი და ჰკითხა, ან მიწაზე რადა წევხარ ან ასე გულიანად რა გაცინებსო.

- ქვესკნელში ჭიანჭველებს ომი აუტყდათ, - უთხრა კაცმა, - იმათ ალიაქოთს და მუქარას ვისმენ და იმაზე ვიცინიო.

დედაბრის შვილს ეს კაცი უფრო გაუკვირდა, ჩვენ დედამიწის მაღლა ერთ საბელზე კაცის ფეხის ხმა არ გვეყურება, შენ კი ქვესკნელიდან ჭიანჭველების ხმაც გესმისო?" ("დედაბრის შვილი")

ყოფით რეალობაში სიჩუმე ისეთი ვითარებაა, როდესაც ხმა, ხმაური არ ისმის, სიჩუმეა ხმის ამოუღებლობაც (ასეა ახსნილი ეს სიტყვა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში), ამ სიჩუმეს არღვევს ის არასასურველი აკუსტიკური დაბრკოლებები, რაც ხელს უშლის ბგერის, მუსიკის აღქმას, სიჩუმეს არღვევს ის ბგერებიც, რომლებიც ხელს უშლის ადამიანს მუშაობასა და დასვენების პროცესში, მაგრამ ასეთი აღქმა სუბიექტურია. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, თუკი რაიმე ხმიანობა ადამიანს აღიზიანებს, ის ხმაურად აღიქმება, თუ არა და - სიჩუმედ. ასეთ სიჩუმეს აქვს თავისი გრადაციები, თავისი ხმიანობა ან ხმოვანება, თქვენ წარმოიდგინეთ, თავისი მუსიკა (შემთხვევითი არ არის, რომ საბა მუსიკას ხმოანებად განმარტავს), სიჩუმის ამ მუსიკას კი ყველაზე მძაფრად პოეტები გრძნობენ.

"რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმი ღამე..."
"მესმის ბილიკთა სიხარულით გადანაზაფრი
უვერტიურა..."

(გალაკტიონი)

„ზედაზნის ტყეებზე ციმციმებს ვენერა,
ციმციმებს ვენერა
ლურჯ სხივთა მფენელად, ნაზ სხივთა მფენელად,
მკრთალ სხივთა მფენელად...
რამდენი ხმებია, როგორი მუსიკა,
რა უცნაური!.."

(ანა კალანდაძე)

იმის გაგებას, რის შესახებაც ახლა ჩვენ ვისაუბრებთ, მცირეოდენი პოეტის გულისხმა მაინც სჭირდება.

* * *

ამასწინათ კუმურდოსა და ახალქალაქის მთავარეპისკოპოსმა, მეუფე ნიკოლოზმა კალიფორნიელი მამის - სერაფიმ როუზის ერთ-ერთი ლექციის წიგნად გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვიტა აუდიოვერსიასთან ერთად. აუდიოწიგნის აკუსტიკური გაფორმება გერმანიაში მცხოვრებ ქართველ კომპოზიტორსა და საქსოფონისტს - რეზო კიკნაძეს შესთავაზა. მუსიკოსი სერაფიმ როუზის ნაწერებს გაეცნო, დათანხმდა და გადაწყვიტა, რომ როუზის ტექსტის აუდიოჩანაწერს ფონად სიჩუმე დასდებოდა, რადგანაც სიჩუმე ხშირად უფრო ბევრისმთქმელია.

ამის შემდეგ დაიწყო რეზო კიკნაძის, რეჟისორ ლევან ღლონტისა და მეუფე ნიკოლოზის მოგზაურობა წმინდა ადგილებში: ფოკა, ახალქალაქი, ვარძია, გორი, უფლისციხე... მუსიკოსი მიკროფონით ხელში გადადიოდა მონასტრიდან მონასტერში და სიჩუმეს იწერდა... ამჯერად რეზო ისევ გერმანიაშია და სწორედ ზემოხსენებული წიგნის გაფორმებაზე მუშაობს, რომლის შედეგსაც ალბათ სულ მალე ვიხილავთ.

## რეზო კიკნაძე - შტრიხები პორტრეტისათვის

ერთი თვისება გენიოსისა კი ნამდვილად აქვს რეზოს, ძალიან დაბნეულია, - ხუმრობს რეზოს დედა, ქალბატონი ლამარა გვარამაძე. რეზო კი დედას ასე გვაცნობს: დედაჩემი ჩემი "პიარიაო".

ერთ-ერთ სატელევიზიო სიუჟეტში რეზო კიკნაძე ქართველ ემიგრანტად მოიხსენიეს. ძალიან მოხვდა ყურში: ვინ არის ემიგრანტიო. თუმცა უკვე 11 წელია, რაც ლიუბეკში ცხოვრობს.

რეზოს მშობლები მუსიკოსები არ არიან, მაგრამ ამ ოჯახში მუსიკა ძალიან უყვართ. ბავშვობაში ფორტეპიანოზე დაკვრას სწავლობდა, რაღაც პატარ-პატარა კომპოზიციებსაც აგებდა, ისე, როგორც ამას აკეთებს ხოლმე ყველა ნიჭიერი ბავშვი. პირველი მელოდია მაშინ შეთხზა, როცა ძაღლის ლეკვი დაკარგა, ძალიან განიცადა, აღარ იცოდა, რა ექნა, ადგა და დაკვრა დაიწყო.

რატომღაც (არ იცის რატომ) ყოველთვის იზიდავდა საქსოფონი და თავისი ჯიუტი "ტრფობით" საწადელსაც მიაღწია: "ჩვენს სახლთან მაღაზიაში იყიდებოდა საქსოფონი, ყოველდღე შევდიოდი ხოლმე იმ მაღაზიაში, დავდგებოდი და გაშტერებული მივჩერებოდი ინსტრუმენტს. ერთხელ დედაჩემმა რომ ჩაიარა, გამყიდველმა უთხრა: არ გეცოდებათ ეს ბავშვი, ასე შემოდის ხოლმე და საქსოფონს უყურებსო. დედამ არც აცია, არც აცხელა და მიყიდა ეს სანატრელი ინსტრუმენტი, რომელიც, სხვათა შორის, საკმაოდ ძვირი ღირდა. ასე დავიღუპე," - იცინის.

რეზომ თსუ კლასიკური ფილოლოგიის ფაკულტეტი კი დაამთავრა, მაგრამ ამ სპეციალობას აღარ გაჰყოლია. ეკლესიაში გალობდა თავის მეგობართან დათო შუღლიაშვილთან ერთად, თან რაღაცეებს "ჯღაბნიდა" (როგორც თვითონ ამბობს). ერთხელაც დათომ ამ "ნაჯღაბნებით" თავის მამასთან, კომპოზიტორ მიხო შუღლიაშვილთან მიიყვანა. "ნაჯღაბნები" არც ისეთი ნაჯღაბნები აღმოჩნდა, როგორც რეზოს ეგონა და ბატონი მიხოს საქებარი სიტყვებით შეგულიანებულმა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კონსერვატორიას მიაშურა.

გერმანიაში წასვლა რომ გადაწყვიტა, ჯერ თავის მასწავლებელს, მიხო შუღლიაშვილს დაეკითხა. მერე მასწავლებელი აუდიოკასეტაზე ჩაწერილ მითითებებსა და რჩევებს უგზავნიდა უკვე უცხოეთში მცხოვრებ მოსწავლეს.

გერმანიაში იმიტომ წავიდა, რომ წასვლის საშუალება მიეცა; მაშინ ხალხი გარბოდა საქართველოდან, საქსოფონისთვისაც აღარავის სცხელოდა. ახლა, როგორც ზემოთ ვთქვით, ლიუბეკში ცხოვრობს. ქმნის კომპოზიციებს, უკრავს სამ ჯგუფში, სხვათა შორის, ერთ ჯგუფს RESOlution Band-ი ჰქვია, მისი სახელის მიხედვით. პერიოდულად უკრავს ორღანზე ეკლესიაში. ამასწინათ დუდუკზე დაკვრაც დაიწყო და, როგორც გვითხრა, საკმაო წარმატებებიც აქვს...

მოსმენით ყველანაირ მუსიკას უსმენს, თუმცა ამბობს - თანამედროვე პოპ-მუსიკაში დიდად ვერ ვერკვევიო. რომ კითხოთ, რა ჟანრს მიეკუთვნება მის მიერ შექმნილი მუსიკა, ალბათ ვერ გიპასუხებთ - ეს დაყოფა ხომ პირობითია, იქნებ ჯაზის და კიდევ რაღაცის ნაზავი - რასაც ქმნის, ეს მისი შინაგანი სამყარო, მისი ემოციები, მისი ფიქრებია.

დაბოლოს, რეზო კიკნაძე ძალიან საინტერესო მოსაუბრეა და, ვფიქრობ, თვითონ უკეთ გიამბობთ საკუთარ თავზეც, მუსიკაზეც და იმ ახალ პროექტზეც, სულ მალე რომ უნდა ვიხილოთ.

## არჩევანი ფართოა

**- რომელმა მუსიკოსებმა მოახდინეს გავლენა თქვენს შემოქმედებაზე?**

- დიდი და ცნობილი ავტორების ხსენებას არ მოვყვები, შორსაც წაგვიყვანს და, რაც უნდა ვეცადო, მაინც არასრული ჩამონათვალი გამოვა. თანაც თავისთავად ცხადია, რომ ბახის იქნება თუ მალერის, ვებერნის თუ ქსენაკისის, ან უამრავი სხვა შემოქმედის თუნდაც მხოლოდ არსებობაც კი მუსიკოსისთვის, რომელიც დღეს ცხოვრობს და დღევანდელ მუსიკაში ცდილობს რაღაცის გაკეთებას, ისევე ვერ დარჩება გაუთვალისწინებელი, როგორც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განვითარებული და დღემდე გვერდიგვერდ არსებული სხვადასხვა ტრადიციული ეთნომუსიკალური კულტურები. თავი რომ დავანებო იმას, რომ ნებისმიერი ახალი მუსიკალური შეხვედრა, დადებითი იქნება თუ უარყოფითი, თავის საქმეს აკეთებს და რაღაცას მაინც მასწავლის ახალს, რაღაცისკენ მიბიძგებს ან, პირიქით, რაღაცაზე შეიძლება ხელი ამაღებინოს, მე მაინც იმ მუსიკოსებს (და არა მარტო მუსიკოსებს) ვახსენებდი, რომელთაც უშუალო როლი ითამაშეს ჩემს ცხოვრებაში, ვინც დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და სტიმული მისცა ჩემს შემდგომ მუსიკალურ არსებობას.

## პირველი შეხება "ელექტრონულ მუსიკასთან"

ბავშვობას შეიძლებოდა გადავხტომოდი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი და უძლიერესი მუსიკალური შთაბეჭდილებები ალბათ მაინც სწორედ იქიდან მომდევს; შუბერტის ექსპრომტები და მუსიკალური მომენტები მახსოვს, პატარა ვიყავი, ალბათ - სამი წლის, ფირფიტების საკრავის ახლოს ვკოტრიალობდი იატაკზე, ვბზრიალებდი, ვთამაშობდი და რაღაც კონკრეტულ ფანტაზმებს და სიუჟეტებს ვუგონებდი მუსიკას შინაარსად, თუ პროკოფიევის "Петя и волк" იყო, რუსული ხმა ამბობდა - აი, კატა ჩიტს ეპარებაო და მეც ვუსმენდი კლარნეტის ფიგურას დაბალ რეგისტრში, თან რბილს, თან სასაცილოს, თან საშიშს... "ძილისპირულის" მუსიკა გამახსენდა უცებ, ინტენსიური ტემბრის და ხმოვანების გამო პირველ აკორდზე საშინელ ზრიალს იწყებდა რადიოს საწყალი დინამიკი. ეს **DISTORTION** ალბათ ჩემი პირველი შეხება იყო "ელექტრონულ მუსიკასთან" (მაღალი ძაბვის ბუნკერებს თუ არ ჩავთვლით, რაც **მაშინ** ნამდვილად არ აღმიქვამს მუსიკად... ნუ გეშინიათ, საკმაოდ ნორმალური ბავშვი ვიყავი!)...

## ოჯახი

პროფესიონალ მუსიკოსებში არა, მაგრამ, მე მგონი, ძალიან მუსიკალურ ოჯახში ვიზრდებოდი და გარს მეხვია ბახი, ბრამსი (სავიოლინო კონცერტი,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ETERNA - ეწერა ფირფიტის ლეიბლს და ტრიალებდა), ჰაინრიხ შიუტცი მასტიკის მოსმის დროს, კახური სიმღერა საახალწლო რადიოში, კუბური სიმღერები (რომელთა ბუმიც 30 წლის მერე მოედო მთელ ევროპას ვიმ ვენდერსის წყალობით) - ამ შთაბეჭდილებებს და მათ ასოციაციურ სიძლიერეს თუ წონას (მარტო ასაკს არ ვგულისხმობ) დღევანდელი გადასახედიდან მართლა გია მირზაშვილი უნდა აღსაწერად. მე, ჯობია, შევეშვა.

## ჯაზის რამდენიმე ფირფიტა და...

ათიოდე წლის ვიყავი, ლიანა ენგიბაროვასთან ვსწავლობდი ფორტეპიანოს და ერთ მშვენიერ დღეს ჩემმა ძმამ (ნოდარ გაფრინდაშვილი, მხატვარი, ჩემზე თოთხმეტი წლით უფროსი, გიჟს ვგავდი ხოლმე, ჩვენთან რომ მოვიდოდა და პიანინოს მიუჯდებოდა) აკვარელის პაპკით ჯაზის რამდენიმე ფირფიტა მომიტანა. იყო ლუი არმსტრონგი, ელლა ფიტცჯერალდი, ოსკარ პიტერსონი და დეივ ბრუბეკი, ერთი ჯეკ ტიგარდენიც, მგონი. ალბათ ეს იყო მეორე ძლიერი ფაქტორი ჩემს მუსიკალურ არსებობაში; ასეა დღესაც. როგორც ყველა მოზარდი, „ბიტლზსაც“ ვუსმენდი, „სუპერსტარსაც“, ერთი-ორი როკის ჯგუფიც ამომიჩემებია პერიოდულად, მაგრამ ვერცერთ ამ გატაცებას ოდნავადაც ვერ შევადრი იმ მუსიკას, რომელიც სულ, გამუდმებით თან მდევდა, გარს მეხვია, ყოველ წუთს, ყველა სიტუაციაში.

## 630-მანეთიანი საქსოფონი თუ კლასიკური ფილოლოგია

მუსიკოსობა მაინც არ დამიპირებია კარგა ხანს. ფილოლოგების შვილი კლასიკურ ფილოლოგიაზე შევედი უნივერსიტეტში და დავამთავრე კიდეც, არცთუურიგოდ. მაგრამ უკვე მეორე თუ მესამე კურსზე დავიწყე ჯერ კლარნეტზე დაკვრა (ნახმარი მაყიდინა ერთმა ამხანაგმა იაფად) და მერე, დედაჩემმა რომ რამდენიმე თვეში ალტსაქსოფონი მიყიდა (ახალთახალი, გერმანული - მაღაზიის გამყიდველს დაუნამუსებია, მეცოდება შენი შვილი, ყოველდღე მოდის და შესცქერის ამ საქსოფონსო!... 630 მანეთი ღირდა - მაშინ ჩვენთვის უზარმაზარი ფული, რას წარმოვიდგენდი!..), აი, მაშინ კი შეუდგა წყალი ჩემს ფილოლოგიურ კარიერას... თითქმის მაშინვე შევედი უნივერსიტეტის ბენდში, ენრი ლოლაშვილი გვამეცადინებდა. მერე მისი წყალობით ერთ-ორჯერ ჩაწერაზეც მოვხვდი “მელოდიაში“, ტელევიზიაში და უნივერსიტეტშიც...

## მეგობრები და კიდევ მეგობრები

ერთხელ რეპეტიცია არ შედგა, უაზროდ ვიდექი სცენაზე, ვიღაცეებს ველაპარაკებოდი და ჩაბნელებულ პარტერს მივჩერებოდი. უცებ რომელიღაც რიგში ერთი სათვალიანი ტიპი დავლანდე. გოგი ნაკაიძე აღმოჩნდა, ჩემი მოსმენა სდომებია და თავის კვინტეტში „დაძახება“. მოსმენა ჩაიშალა, მაინც დამიძახა და ასე დავუმეგობრდი უნიჭიერეს მუსიკოსს, უსაყვარლეს პიანისტს და, წლობით უნახაობის მიუხედავად, უძვირფასეს მეგობარს გოგი ნაკაიძეს, მასთან ერთად კი - დიმა სალაძეს და ზურა შამუგიას. ამ ბენდში ყოფნამ განსაზღვრა ის, რომ საქსოფონზე დაკვრას და ჯაზს მალევე მივუდექი სერიოზულად. თუმცა ერთი ჩავარდნა კი მქონდა რამდენიმეწლიანი, საკუთარი სისულელით (ამეკვიატა აზრი, თითქოს კომპოზიციაში ხელი მეშლებოდა); მაგრამ ახლა, როცა ისევ ვუკრავ, ვიცი, გოგი და დანარჩენები რომ არა, ჰობის დონეს ვერ გავცდებოდი. ზურა გერმანიაშია, დიმა და გოგი - კანადაში. შარშან თბილისში დიმა და მე ერთდროულად მოვხვდით და ისევ მოგვიწია ერთად დაკვრა, თანაც ვისთან!.. თამაზ ყურაშვილს, საოცარ კონტრაბასისტს, ვირტუოზს - უდახვეწილეს და უგანათლებულეს მუსიკოსს, ქართული ჯაზის მთავარ ფიგურას, ჯაზით დაინტერესებული ახალგაზრდების კერპს და დაუღლელ მასპინძელს ყოველთვის ვეთაყვანებოდი, თბილისის პირველი ჯაზ-ფესტივალიდან მოყოლებული, როცა პირველად ვნახე სცენაზე. ეს იყო 1978 წელი, შარშან კი ბედნიერება მქონდა დამეკრა მასთან, ზურა რამიშვილთან და დიმასთან ერთად...

## კომპოზიციით გატაცება და მასწავლებელი

ამასობაში კომპოზიციამაც გამიტაცა, უფრო სწორად, მუსიკის წერის სურვილმა. რამდენიმე ხნის ჯახირის და წარუმატებლობის შემდეგ ახლადშეამხანაგებულ დათო შუღლიაშვილს (ახლა ჩემს ძმას და მეგობარს) შევჩივლე, მან კი თავის მამასთან წამიყვანა და ასე მოვხვდი მიხო შუღლიაშვილთან... არც მანამდე და არც ამის მერე არცერთი სხვა შეხვედრით (მასწავლებლისა თუ კოლეგისა) არ განმიცდია ამ შეხვედრის შედეგად მიღებული შთაბეჭდილების მსგავსი რამ. ამაში მიხოს ბევრი სხვა მოწაფეც დამემოწმება. მიხო შუღლიაშვილმა წლების მანძილზე მუსიკის კირკიტში, საბჭოთა პერიოდის ტიპური უინფორმაციობისა და ბნელში ჯდომის დროს, უამრავ საინტერესო იდეას და მიგნებას მოუყარა თავი და ყოველ საჭირო მუსიკალურ დისციპლინაში საკუთარი პედაგოგიური მეთოდი თუ სისტემა შეიმუშავა. ეს მეთოდი უნიკალურია თავისი სიმარტივით, ეფექტურობით და კიდევ იმით, რომ ყველას მიესადაგება - განურჩევლად ასაკისა და, მე ვიტყოდი, ნიჭისაც კი. “თქვენი “ნიჭი“ სულაც არ მაინტერესებსო, უთქვამს არაერთხელ; გულისხმობდა, რომ გვასწავლიდა მხოლოდ ხელობას, და სხვა დანარჩენში არ მონაწილეობდა. და მეც ვაკვირდებოდი ამ “ხელობის მსწავლელებს“ - ჯერ ჩვენს თავს - მიხოს “პირველ კლასს“ (მე, ზური ნადარეიშვილი, გურამ გაგოშიძე, ერთ ხანს ნინო ჯანჯღლავაც, ხანდახან ერთი-ორი სხვაც), მერე მიხოს მე-9 მუსიკალური სკოლის კლასს, მიხოთი აღფრთოვანებულ ოც თუ ოცდაათ მასავით აღტაცებულ და მასავით შეპყრობილ ბავშვს, რომლებიც თამაშ-თამაშით ჰყვებოდნენ ორხმიან ატონალურ იმპროვიზაციას და ერთმანეთს ეცილებოდნენ თეორიაში დასმულ შეკითხვებზე პასუხების გაცემაში (ენთუზიაზმი და აღმაფრენა იმდენად არნახული და უჩვეულო იყო საბჭოთა მუსიკალური განათლების სისტემაში, რომ ერთხელ, მახსოვს, რუსეთის სამინისტროდან ჩამოსული ჩინოსნებიც კი დაასწრეს მეცადინეობას და გააგიჟეს ამ მართლაც გასაგიჟებელი და გულისამაჩუყებელი სანახაობით)... ვუყურებდი და ვუსმენდი თვითონ მიხოს (როცა უკვე გერმან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაში ვიყავი წასული და ძირითადად წერილებით და აუდიოწერილებით - კასეტებზე - გრძელდებოდა ჩვენი "შტუდიები"), და როცა დიდი ხნის ნანატრი კომპიუტერი შემოიჭრა მის მუსიკალურ და პედაგოგიურ სამყაროში ("ხომ გეუბნებოდი, კომპიუტერული აზროვნება მაქვს-მეთქი!" - შემომძახა ერთ წერილში), ერთი უშუქო და უიმედო ზამთრის სიცივეში ისე დაეუფლა ნოტაციის და სეკვენსირების პროგრამებს, რომ ზაფხულში ჩამოსულს „თავზე დამაყარა" ათასგვარი ფოკუსები და ილეთები იმისათვის, რომ პროგრამას ის გაეკეთებინა, რაც თითქმის შეუძლებელი იყო... ვუყურებდი მის სულ პატარა მოწაფეებს, დაკრძალვაზე რომ ტიროდნენ (1996 წელს გარდაიცვალა, ბედნიერების მწვერვალზე მყოფი, "სოროსმა" რომ კომპიუტერული მუსიკალური აპარატურა დაუფინანსა კინოსტუდია "კვალის" ერთ ოთახში), და დანამდვილებით ვიცი, რომ მიხო მარტო ჩემთვის არ ყოფილა დაუვიწყარი, გაუნელებელი და გადამწყვეტი იმპულსი მუსიკაში მუშაობის, ფიქრისა და ცხოვრებისთვის. გადაუჭარბებლად ვამბობ და ამით ალბათ პასუხს გავცემ თქვენს კითხვასაც, მიხო შუღლიაშვილი უმთავრესი ფიგურაა ჩემს მუსიკალურ ცხოვრებაში. უმისოდ უბრალოდ არ გავხდებოდი მუსიკოსი, ან, თუ გავხდებოდი, ისეთი არა, როგორიც დღევანდელი მუსიკოსი უნდა იყოს. ათას ვინმესთან მისწავლია, მისწავლია უამრავი რამ, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ის აზროვნება თუ მსოფლმხედველობა, ბევრ სხვადასხვა სფეროში ერთნაირად ინტენსიურად და თანმიმდევრულად მუშაობის საშუალებას რომ მაძლევს, სწორედ მიხო შუღლიაშვილისგან შევითვისე. რაც უნდა მოხდეს, არც მისი ღიმილი დამავიწყდება ოდესმე, არც მისი ხმა, არც ის "ლირიკული გადახვევები", ნებისმიერ თემას რომ ახლდა თან, არც ის გადამდები შეპყრობილობა მუსიკით და არც ის ატმოსფერო, სითბო და სიყვარული, მის ოჯახში რომ სუფევდა, "ვაჟაზე, ძეგლთან".

## გერმანია, გია ყანჩელი და სხვები

გერმანიაში წამოსულს კაი რიგიანი გადაწყობა მომიხდა. იმ დროის უზრუნველი თბილისური ცხოვრებიდან აქაურ სტრესულ სიტუაციაში გადართვა და საარსებო წყაროს ძებნის პარალელურად მუსიკის წერა პირველად მომიწია. ამ საკომპოზიტორო ჯუნგლში გზის გაკვალვა ხომ წარმოუდგენლად ძნელი იყო. მადლობა ღმერთს, მარტონი აქაც არ აღმოვჩნდით, გაჭირვება მოგვიკაკუნებდა თუ არა (მოგვიკაკუნებდა კი არა, ამ გაჭირვებას სულ ბრახაბრუხი გაჰქონდა ჩვენს კარზე...), შველაც დიდხანს არ დააყოვნებდა ხოლმე. ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა, რომ გია ყანჩელს (ამ დროს ისიც უკვე ევროპაში ცხოვრობდა) მოსწონდა, რასაც ვწერდი (პირადად ჩემთვისაც არაერთხელ უთქვამს და სხვებისგანაც მსმენია); მით უფრო, რომ ავანგარდისტებსა და ექსპერიმენტატორებზე დიდად არ გიჟდება. მისი დახმარებით სწორედ უმძიმეს სიტუაციებში გამოიძებნებოდა ხოლმე საინტერესო კონტაქტი ან მნიშვნელოვანი შეკვეთა და ათასი სხვა რამ. ენით ვერ აღვწერ ჩემი აქ შეძენილი კოლეგების და მეგობრების ამაგს, ერთად დაკვრა იქნება ეს, შემსრულებლების ძებნა თუ მუსიკაზე ბაასი (მიხოს ერთ-ერთი საყვარელი სიტყვა..).

ჩემი ოჯახი - ტოტო, გიორგი, ჩემი და ჩემი მეუღლის მშობლები, მეგობრები - ხომ თავისთავად იგულისხმება, როგორც ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი ჩემი მუსიკალური შემოქმედებისა...

**- რას გულისხმობს და ვინ შემოიტანა ცნება "სიჩუმე მუსიკაში"?**

## ნაირნაირი სიჩუმეები

"შემოტანის" დროის დაკონკრეტება ცოტა ძნელია; შევეცდები ავხსნა, - რატომაც. ხომ ფაქტია, რაც მუსიკა არსებობს, არსებობს სიჩუმეც - მართალია, სხვადასხვანაირი, მაგრამ სიჩუმის როლი, მე მგონი, ყველა დროის მუსიკაში საკმაოდ შეგნებული და გაცნობიერებული იყო. თავს ავარიდებ სიჩუმე-პაუზას, მთელი თავისი გრადაციებითა და ფუნქციური მრავალგვარობით (სულის მოთქმა, შესვენება, არდაკვრა, დაკვრის შეგნებული შეწყვეტა ან საარტიკულაციო შემოკლება და ა.შ.); შევეშვები სხვადასხვა ხანგრძლივობის გენერალურ პაუზებს ნაწარმოების შიგნით, რომლებსაც ასევე ათასგვარი მუსიკალური და ფსიქოლოგიური, ტექნოლოგიური და ემოციური საფუძველი შეიძლება ჰქონდეს; არც მალერის მეორე სიმფონიაში I ნაწილის შემდეგ გათვალისწინებულ 5-წუთიან პაუზას (რომელიც თავისთავად უაღრესად საინტერესო მოსასმენი შეიძლება აღმოჩნდეს) შევეხები, რადგან მისი ფუნქციაც ერთი მუსიკის სიმძიმისგან სულის მოთქმა, დასვენება და სხვა მუსიკაზე გადასასვლელად შემზადებაა.

## ჯონ კეიჯის "უხმო" მუსიკალური პიესა

სიჩუმე, რომელზეც ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა, ყველა ამ სიჩუმეთაგან რადიკალურად განსხვავდება და მე-20 საუკუნის მუსიკაში "ბომბის გავარდნად" მიიჩნევა. 1952 წლის 29 აგვისტოს ვუდსტოკში, ნიუ იორკის შტატში, თანამედროვე ხელოვნების მხარდამჭერი საზოგადოების საქველმოქმედო კონცერტზე მოხდა პატარა სკანდალი, როცა პიანისტმა დევიდ ტიუდორმა შეასრულა ჯონ კეიჯის პიესა სათაურით **"4'33"**. ეს სამნაწილიანი ნაწარმოები გრძელდება 4 წუთსა და 33 წამს, ნაწილების ხანგრძლივობაა I - 30 წამი, II - 2 წუთი და 40 წამი, III - 1 წუთი და 33 წამი (ესაა პირველი შესრულების ხანგრძლივობა. მოგვიანებით, ზოგ გამოცემებში, რამდენადმე განსხვავებული დროებია მითითებული). მთელი ამ დროის მანძილზე შემსრულებელი უკრავს - არაფერს, უძრავად უზის ინსტრუმენტს, უჭირავს წამმზომი და მხოლოდ კლავიატურის სახურავის დაშვებითა და აწევით აღნიშნავს ნაწილების დასაწყის-დასასრულს. კონცერტი, რომელზეც ეს პიესა პირველად შესრულდა, პრინციპში ავანგარდული მუსიკის საღამო იყო, პუბლიკასაც სწორედ თანამედროვე ხელოვნების მესვეურნი და მეცენატები შეადგენდნენ, მაგრამ ასეთი რამ მათთვისაც კი მეტისმეტი აღმოჩნდა. მსმენელთაგან ზოგი უკმაყოფილოდ ჩურჩულებდა, ზოგი დარბაზს ტოვებდა. გაცინებითაც კი არ გასცინებია არავის, პუბლიკა გაღიზიანებული და შეურაცხყოფილი უფრო იყო, რადგან დარწმუნდა, რომ "არაფერი არ ხდებოდა" და გაცოფებულმა იფეთქა, როცა ტიუდორმა ბოლოჯერ ასწია კლავიატურის სახურავი და თვითონაც წამოდგა. ვუდსტოკელებო, ამისთანები ქალაქიდან უნდა გავყაროთო, - ყვიროდა თურმე ერთ-ერთი დამსწრეთაგანი, ხელოვანი. კეიჯი იხსენებდა კარგა ხნის შემდეგ - 30 წელი გავიდა, აქამდე ახსოვთ, ბრაზობენ და არ მპატიობენო... არადა, იმ დროისათვის კეიჯი - უკვე ცნობილი ინოვატორი, პრეპარირებული ფორტეპიანოს გამომგონებელი და ერთ-ერთი პირველი ელექტრონულ მუსიკაში, ნამდვილად არ იყო ის ფიგურა 50-იანი წლების მუსიკალურ ავანგარდში, რომ რაიმე იაფფასიანი აქციებით პუბლიკის შოკირება დასჭირვებოდა. ეს ნაწარმოებიც არ განეკუთვნება იმ უცბად თავში მოსულ (თუნდაც გენიალურ) იდეას; პირიქით, იგი კეიჯის მანამდე სულ ცოტა ხუთი წლის ნაფიქრალისა და განცდილის სრულიად ლოგიკურ და, ამასთანავე, უაღრესად დრამატულ შედეგად გვევლინება.

## გზა "სიჩუმისაკენ"

1947 წელს ჯონ კეიჯს ვასარის კოლეჯში საუბრისას პირველად გამოუთქვამს აზრი "უხმო" პიესის შესახებ, მერეც უხსენებია ერთ-ორჯერ თავის გეგმებში, და მაინც, ჩანაფიქრის რეალიზაციას 5 წელი დასჭირდა. არასერიოზული ხელოვანი ან "მუსიკოსის ხუმრობა" ამ ხანგრძლივობის ინკუბაციურ მდგომარეობას ვერ გაუძლებს. თვითონ თქვა ერთხელ: "ვიცოდი, ხუმრობაში ჩამეთვლებოდა, შემოქმედების უარყოფაში; ამასთან, ისიც ვიცოდი, რომ თუ ეს განხორციელდებოდა, იქნებოდა შემოქმედების უმაღლესი ფორმა." იმ წლების გატაცებამ აღმოსავლური ფილოსოფიით, ფუტურისტ ლუიჯი რუსოლოს "ხმაურების ხელოვნებით", და ორმა კონკრეტულმა შემთხვევამ ბოლოს მაინც წარმოქმნა საკმაო იმპულსი ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად:

1. 1951 წელს მოინახულა ჰარვარდის უნივერსიტეტის "უხმო საკანი" (**ANECHOIC CHAMBER**). ელოდა, რომ **ვერაფერს** მოისმენდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. სინამდვილეში კი გარკვევით გაიგონა ორი ბგერა, ერთი მაღალი და ერთი - დაბალი, რომელზეც უთხრეს, ეგ შენი ნერვული სისტემა (მაღალი) და სისხლის მიმოქცევააო (დაბალი). ამან საბოლოოდ მიიყვანა აზრამდე, რომ სიჩუმე როგორც სრული "უბგერობა" ("უხმობა") **არ არსებობს** და რომ ნამდვილი დიქოტომია სიჩუმესა და ხმოვანებას შორის კი არ არის, არამედ ხმების **ყურად ღებასა** და **ყურად არ ღებას** შორის (ქართული იდიომატიკა, მე მგონი, ძალიან ზუსტად მოერგო აქ!). "მთავარი ვერ გაიგეს. სიჩუმე, როგორც ასეთი, არ არსებობს. ის რაც (4'33-ში) სიჩუმე ეგონათ, ვინაიდან არ იცოდნენ, როგორ ესმინათ, სავსე იყო ხმებით. პირველ ნაწილში გარეთ ქარის ქროლვა ისმოდა, მეორეში - წვიმის წვეთები ახმაურდა სახურავზე, მესამე ნაწილში კი ხალხმა თვითონ დაიწყო სხვადასხვა საინტერესო ხმის გამოცემა, ზოგმა ერთმანეთს გადაულაპარაკა, ზოგიც გადიოდა."

2. 1951 წელსვე აღფრთოვანდა თავისი მეგობრის - რობერტ რაუშენბერგის ახლადშექმნილი "თეთრი სურათებით". კეიჯის მიერ ჯერ "ჩრდილებისა და მტვრის აეროპორტებად" და მერე "ჰაერის ანარეკლებად" აღქმული ეს ნამუშევრები გახდა ის უშუალო ბიძგი, რომელმაც ბოლოსდაბოლოს გადააწყვეტინა ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა, თითქოს "ნებაც დართო" რაღაცნაირად. რაუშენბერგმა იმ პერიოდში მთელი სერია შექმნა ამგვარი სურათებისა და ერთ-ერთის (3 ცარიელი, თეთრად შეღებილი დაფა) როგორც პროპორციული შესატყვისობა, ისევე გარეგნული მსგავსება კეიჯის 4'33-ის პარტიტურის ერთ ვარიანტთან მართლაც რომ გასაოცარია.

## თვალი გაადევნეთ "დაუწერელ" ნოტებს

და მაინც, ჩანაფიქრის რეალიზაცია იოლი არ ყოფილა. ეს ჩანაფიქრი, რა თქმა უნდა, უბრალოდ "სამნაწილიან არდაკვრას" ან რაიმე მსგავს სახუმარო აქციას არ გულისხმობდა, როგორც ეს რომანტიზმით ნასაზრდოებ და სოც. რეალიზმის მუქარის წინაშე მოკანკალე ზოგიერთ ხელოვანს ეჩვენებოდა. "ამ პიესის თითოეული ნოტი დაწერილიაო", კეიჯი რომ ამბობს, სწორედ იმას გულისხმობს, რომ არც პიესის საერთო ხანგძლივობა, არც ნაწილების ერთმანეთთან შეფარდება, არც სხვა რომელიმე ასპექტი უაზროდ არაა მითითებული და რომ ყველაფერი ისევეა შედეგი **საკომპოზიციო პროცესისა**, როგორც სხვა ნაწარმოებები. დევიდ ტიუდორი, შესრულების დეტალებზე საუბრის დროს, აუცილებლად მიიჩნევს ამის გაცნობიერებას და მუსიკოსებს ურჩევს, "ნოტებსაც" (რომლებიც არ წერია!) გაადევნონ თვალი. "მხოლოდ ასე შევძლებთ შევიგრძნოთ, თუ როგორ მიდის დრო".

## მუსიკა ჩვენს გარშემოა, უნდა ვისწავლოთ მოსმენა

ეს "უხმო" პიესა გახდა შემობრუნების წერტილი არა მარტო კეიჯის შემოქმედებასა და აზროვნებაში, არამედ მთელ მაშინდელ ხელოვნებაში. მუსიკამ უცებ გაიხსნა გზა იმ სფეროში, რომელსაც პირობითად **წინასწარგანუსაზღვრელობა** (უხერხული ტერმინია, მაგრამ...) შეიძლება ვუწოდოთ, ასპექტი, რომელიც აქამდეც კი მუდამ ახლდა მუსიკას, მაგრამ არასდროს ყოფილა გაცნობიერებული, ტექნოლოგიურად გააზრებული და ესთეტურად დასაბუთებული. "სხვებს ვაგრძნობინე, რომ მათ გარშემო არსებული ხმები ქმნის მუსიკას, რომელიც უფრო საინტერესოა, ვიდრე მუსიკა, რომელსაც საკონცერტო დარბაზში მისულები მოისმენდნენ". ამ ნათქვამის არტისტულად გაზვიადებული (და ამიტომ, ალბათ, საკმაოდ უვნებელი) კატეგორიულობის მიღმა, ჩემი აზრით, ძალიან ლამაზი მსოფლხედვა იმალება, ათასგვარი ფიქრის აღმძვრელი, იმედის მომცემი და ბევრ ტექნოლოგიურ სიტუაციაში კარგი სამსახურის გამწევი, პირადად ჯონ კეიჯისთვის კი - არამარტო მუსიკალური, არამედ მთლად ცხოვრებისეული კრედო. აი, რას ამბობს ერთ საუბარში: "დღე არ გავა, რომ ეს პიესა (4'33) არ გამომადგეს, ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც. ყოველდღე ვისმენ... მოსასმენად კი დაჯდომაც არ მჭირდება, მხოლოდ ყურს მივაპყრობ ხოლმე. ვიცი, რომ გამუდმებით ჟღერს. ცხოვრებას ყველაფერზე მეტად სწორედ ის მიხალისებს. მუსიკა უწყვეტია. ეს ჩვენ განვაპყრობთ ხოლმე მისგან ყურს". 4'33-იც არა მარტო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა მე-20 საუკუნის მუსიკის და, საერთოდ, მუსიკის მთელი ისტორიის მასშტაბით, არამედ თვით ავტორისთვისაც უსაყვარლესი და უმთავრესია საკუთარ შემოქმედებაში. "ვიდრე ახალ ნაწარმოებს დავწერდე, ყოველთვის მასზე ვფიქრობ," - ამბობს ერთგან.

**- რას ნიშნავს თქვენთვის სიჩუმე მუსიკაში? რას უკრავთ, რაზე მუშაობთ, რა გეგმები გაქვთ... აქვე იქნებ გვიამბოთ იმ ახალ პროექტზე, რომელშიც ამჟამად მონაწილეობთ და რომელიც სწორედ ამ სიჩუმეების ჩაწერას ისახავს მიზნად?**

## კომპოზიციის თანამდევი მოვლენები

ამ გაერთიანებულ კითხვებს მეც ასევე ვუპასუხებ. რაც აქამდე ვილაპარაკე, მერწმუნეთ, მარტო წაკითხულ-განაგონი და ინფორმაციად სადღაც მეხსიერების კუნჭულში მიგდებული რაიმე კი არ არის, არამედ ნასწავლი, ნაფიქრი, გამოცდილი, განცდილი და, კეიჯის ნათქვამისა არ იყოს, - უაღრესად "გამოსადეგი", ნაწარმოებზე მუშაობის ბევრ (თუ ყველა არა) ასპექტში თან რომ მდევს და მეხმარება არჩევანის გაკეთებაში, ორჭოფული სიტუაციიდან გამოსვლაში, გადაწყვეტილების მიღებაში. უთვალავჯერ დავრწმუნებულვარ იმაში, რომ ერთხანს პარკში ჯდომა, ქუჩაში სიარული, ზღვის ნაპირას ყიალი თუ ღამე აივანზე ნავსადგურიდან მოღწეული ხმების მოსმენა შემოქმედისათვის უფრო ნაყოფიერია და უფრო წარმატებით გადაწყვეტს პრობლემას, ვიდრე ფორტეპიანოსთან ან საწერ მაგიდასთან ჯახირი. თუმცა ახალს არაფერს ვამბობ და ბევრი სხვა კომპოზიტორია ასე, - მე მაინც მგონია, რომ სწორედ ჩემს კონკრეტულ შემთხვევაში და იმ მოთხოვნაში, რასაც მე ჩემს თავს მუსიკის წერის დროს ვუყენებ, ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია სწორედ ის, რომ დროის რაღაც მონაკვეთში რაღაცას მივაპყრო ყური (აღქმა უფრო სწორი იქნება, რადგან მარტო აკუსტიკურ შთაბეჭდილებას არ ვგულისხმობ, თუმც ძირითადი მაინც ესაა) და დაველოდო რა მოხდება, როგორ წარიმართება, რას მომაგონებს (ასოციაციურად), რას მიემსგავსება, რად

ეროვნული ბიბლიოთეკა

"გადამეთარგმნება". ნაწარმოებზე მუშაობის დროს ისე ხშირად და იმდენ სხვადასხვა რამეზე მიჩნდება კითხვა - "რატომ ასე და არა ისე (რატომ ამდენ ხანს და არა უფრო გრძლად/მოკლედ, ახლა და არა ნახევარ წამში)", და მხოლოდ ესთეტური მოსაზრებით ორივე (სამივე, ათივე) იმდენად შეიძლება იყოს გამართლებული, რომ ზოგჯერ სრულიად "არამუსიკალური" რამ, როგორიცაა მაგ. რაიმე ფიგურის პროპორციები, საგანთა სხვადასხვა მიმართულებით გადაადგილება სივრცეში, შენობის გეგმა, შესრულებისთვის გათვალისწინებულ მუსიკოსთა ან შემკვეთი ორგანიზაციის სახელები ("მუსიკალური და არამუსიკალური" ასოების შეფარდება მათში) ან სხვა ამდაგვარი შეიძლება აღმოჩნდეს ის პრინციპი, რომელიც კომპოზიციის ან ერთ, ან რამდენიმე ასპექტს განაპირობებს, ანდა სულაც ყველაფერი - ბგერწყობაც, მელოდიკა, ჰარმონია, რიტმული და სტრუქტურული პროპორციები, დრამატურგია, ტემბრული განვითარება და ა.შ. მას დაექვემდებარება და ამით, ჯერ ერთი, უზრუნველყოფს იმ ერთიანობას, რომელიც, ტონალობაზე უარის თქმიდან მოყოლებული, ათწლეულიდან ათწლეულამდე სულ უფრო დიდი პრობლემა ხდება და, მეორეც, იძლევა იმ ნამდვილ თავისუფლებას, რომელიც **საზღვრებს შიგნით** უნდა იპოვო, რადგან აბსოლუტური თავისუფლება (სიჩუმისა არ იყოს!..) არც ბუნებაში არსებობს და არც ხელოვნებაში.

## ექსპერიმენტის, "წამხედურებისა" და "ფორმალიზმის"... შესახებ

ძალიან არ მინდა, ახალ მუსიკაზე დაქოქილი სტუდენტის (რომლებიც აქ მრავლად გამიცვნია) კუდაბზიკობაში ჩამეთვალოს ეს ლაპარაკი, ამიტომ შევეცდები ავხსნა, მაინცდამაინც ასე რატომ ვუყურებ კომპოზიციას (ვიმეორებ - საკუთარს!). საქმე ისაა, რომ ვუკრავ ძალიან ბევრს, ჯაზის, კლასიკის, თანამედროვე მუსიკის და იმპროვიზაციის ათასგვარ, ხშირად კარდინალურად განსხვავებულ პროექტში ვმონაწილეობ, დაარსების დროიდან სამი წელი ვგალობდი ანჩისხატის გუნდში, მეტნაკლებად ვიცნობ სხვადასხვა ეთნომუსიკალურ კულტურებს (ინდურს, სპარსულს, ცენტრალური აფრიკისას), ერთი სიტყვით, მაქვს ბედნიერება სხვადასხვა სფეროში ავთენტურად, "ორიგინალში" დავიკმაყოფილო მუზიცირების მოთხოვნილება და ალბათ ამიტომ ვცდილობ კომპოზიციაში იმის მოძიებასა და მოსინჯვას, რაც ჯერ არ გადამხდენია, არ განმიცდია. მიხოს მოწაფეობა იმ თვალსაზრისითაც იყო ჩემთვის ბედნიერება, რომ, როდესაც კომპოზიციაში პირველ ნაბიჯებს ვდგამდი, მასწავლებელმა გამახედა იმ უშრეტი სფეროსკენ, რასაც ექსპერიმენტი, კომბინატორიკა, პარამეტრებში აზროვნება ჰქვია და ამ სფეროსადმი გაცნობიერებული, გააზრებული დამოკიდებულება მასწავლა; ქსენაკისის, შტოკჰაუზენის, ლუტოსლავსკის, კეიჯის და სხვების მასთან გაცნობილი სამყარო გადამწყვეტი აღმოჩნდა ჩემი კომპოზიტორობისთვის. "წამხედურობის", "ფორმალიზმის" და სოციალიზმიდან მომდინარე სხვა იარლიყების არ მეშინია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მუსიკის მთელი ისტორიის მანძილზე გამუდმებით ვხვდებით ამგვარ "ფორმალიზმებს" (ARS NOVA, ბახი, მოცარტი... მთელი XX საუკუნე); მეორეც - ყველა ეს ნაწარმოები, თუნდაც ასე "ფორმალისტურად" რეალიზებული, ყოველთვის ზუსტად და ზედმიწევნით შეესაბამება ჩემს სულიერ და ემოციურ მდგომარეობას მისი შექმნის დროს. რწმენას ისიც მმატებს, რომ რეალიზაციის პროცესში გამოყენებული ეს საშუალებები საბოლოო ჯამში სულაც არ იგრძნობა და, სატრაბახოდ არ ვამბობ, ხშირად დამიფიქსირებია, რომ "ჩვეულებრივი" მსმენელიც კმაყოფილი დარჩენილა, რადგან ნაწარმოების ჟღერადობა და წმინდა ემოციური მხარეც მოსწონებია და "ავანგარდის" სამრეკლოდან მზირალი ახალგაზრდა მაქსიმალისტიც, რადგან ბგერათა რიგების და ტემბრული ფოკუსების საინტერესო ურთიერთქმედება დაინახა ან მოეჩვენა, ან რაიმე სხვა საინტერესო საფიქრალი აღუძრა. ასეა თუ ისე, ცალმხრივობას და ექსტრემიზმს ამაშიც ვერიდები, არასოდეს მიფიქრია, თითქოს რამეს უკეთესად ან უფრო სწორად ვაკეთებდე, ვიდრე ვინმე, ვისაც ექსპერიმენტული მუსიკა ან ციფრებზე და ალგორითმებზე ტვინის ჭყლეტა მუსიკის წერისას იდიოტობად მიაჩნია (და ზოგ შემთხვევაში სავსებით მართალიცაა). პირიქით, ზოგადადაც მიმაჩნია და დროდადრო ისევ და ისევ სიხარულით ვრწმუნდები, რომ სრულიად კონვენციონალური ენით და საშუალებებით დღესაც იქმნება ის მარგალიტები, მთელი ბავშვობა რომ მდევდა თან და ახლაც ხან სად წამომეწევა და შემეშველება ("გამომადგებაო", კეიჯი რომ ამბობს), ხან სად... სხვები კარგად იყვნენ და აქ პირველ რიგში "მშობლიურებს" ვახსენებდი; რა დამავიწყებს ინოლას სიმღერებს, ან გია ყანჩელისას, ან ბიძინა კვერნაძის... სხვათა შორის, პროექტებზე რადგან მეკითხებით, ერთ-ერთი სამომავლო გეგმა სწორედ ამ მიმართულებით მაქვს ჩაფიქრებული (რასაც უახლოეს მომავალში ალბათ ქართველი მსმენელიც მოისმენს) და ჩემს აქაურ თანამუსიკოსებთან ერთად, მგონი, საინტერესო მუშაობა და განცდები მელის წინ.

## მშობლიურ სიჩუმეთა გახმიანება

ახლა კი ისევ გადავხტები სიჩუმეზე ჩემს მუსიკაში და ერთ ამასთან დაკავშირებულ პროექტზე, რომელიც გაგანია მუშაობის ფაზაშია, და არ ვიცი, მალე დამთავრდება, გვიან თუ ძალიან გვიან.

თუ არ ჩავთვლით ორიოდე მოზრდილ პაუზას როგორც ინსტრუმენტულ, ისე ელექტრონულ ნაწარმოებებში, ან რამდენიმე ნახევრად სცენიურ ნაწარმოებს, სადაც დროდადრო აკუსტიკური ასპექტი ან უკანა პლანზე იწევს, ან სულაც გაქრება და მხოლოდ ვიზუალური კომპონენტიღა რჩება (ჟესტიკულაცია, მიმიკა, ცეკვა, იშვიათად - განათება) ხოლმე, ან კიდევ ორიოდე იმპროვიზაციას, რომელიც უჩვეულოდ ხანგრძლივი სიჩუმით დაწყებულა ან დამთავრებულა, აქამდე ისეთი მაინც არაფერი მაქვს რეალიზებული, რომ "სიჩუმის მუსიკად" ან რამე ეგეთად მოიხსენიოს კაცმა.

და უცებ, შარშან, ამჟამად კუმურდოსა და ახალქალაქის მთავარეპისკოპოსმა ნიკოლოზმა, რომელთანაც ერთად გამიტარებია სტუდენტობის საუკეთესო წლები, გამომიგზავნა ერთი ტექსტი, იქნებ დაგაინტერესოს ე.წ. აუდიოწიგნად გამოცემაში მიიღო მონაწილეობა და აკუსტიკურ გაფორმებაზე იზრუნოო. მისთვისაც და ჩემთვისაც ფაქტობრივად მაშინვე ცხადი იყო, რომ ამ ძალიან უშუალო ენით წაკითხული, მაგრამ უაღრესად სერიოზული, აზრითა და დრამატურგიით ძალიან ინტენსიური ტექსტის (მღვდელმონაზონ სერაფიმ როუზის ლექცია ერთ ამერიკულ კოლეჯში) უბრალოდ მუსიკალური თანხლებით მოკაზმვა დიდი ვერაფერი იქნებოდა. გადავწყვიტე (და მეუფე ნიკოლოზმაც მაშინვე აიტაცა), ჩამოვსულიყავი საქართველოში, მომევლო ეკლესია-მონასტრები და წმინდა ადგილები, სადაც კი გავწვდებოდი და, ჩამეწერა - სიჩუმეები, რომლებიც ფონადაც გასდევდა ტექსტს და პაუზების მუსიკასაც წარმოადგენდა. შარშან ოქტომბერში მქონდა ბედნიერება, მეუფესთან და ლევან ღლონტთან ერთად მომევლო მესხეთი, ქართლი, კახეთი და შემეკრიბა ისეთი მასალა, (სულ 7 საათი, არჩევანის გაკეთება და დიდ ნაწილზე უარის თქმა ცალკე პრობლემაა...), რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქამდე შთაბეჭდილების ქვეშ ვარ, მოგზაურობით ცალკე, ხმებით (უკაცრავად, სიჩუმეებით!..) ცალკე, ბავშვობისდროინდელი დეჟავიუებით ხომ - საერთოდ... ემოციებს რომ შევეშვა, წმინდა ტექნოლოგიური და ესთეტიკური თვალსაზრისითაც საკმაოდ საინტერესო სამუშაო აღმოჩნდა.

## ჩემეული სიჩუმე

რა თქმა უნდა, კეიჯის ფილოსოფიისგან ეს **ჩანაფიქრი**, როგორც ასეთი, გარკვეულწილად დავალებულია, მაგრამ რეალიზაციის ეტაპზეც და საბოლოო შედეგითაც კარდინალურად განსხვავდება კეიჯის სიჩუმისგან. განსხვავება ისაა, რომ კეიჯის სიჩუმე არ არის დადგენილი, ფიქსირებული, გათვალისწინებული, ის ყოველი ახალი "შესრულების", "ყურად ღების" დროს გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი და "(ხელ)ახალია"; ჩვენს შემთხვევაში კი, 1. ჯერ ერთი, ეს ყველაფერი კომპაქტ-დისკზე იწერება ისე, რომ ძირითადი "სიჩუმე" უკვე მოცემულობაა და აუდიტორიის "სიჩუმე" (რაც კეიჯის შემთხვევაში პირველადია) მხოლოდ დამატებით შრედ მოიაზრება, ე.ი. მეორადია. 2. მე ვიცი, თუ სად მივდივარ ჩასაწერად, რას ვიწერ (კონკრეტულად, რა თქმა უნდა, არა, მაგრამ სემანტიკურად - საკმაოდ ზუსტად), ვიცი, რომ ვარძიის აღმართზე ავდივარ, "სიჩუმეა", ჩემს ნაბიჯებს თუ არ ჩავთვლი; არც ჩავთვლი, რადგან სულ მალე გადადის ფონის პლანზე, რადგან ფონის "სიჩუმე" სულ უფრო წინ გადმოდის და ახლა უკვე იმას ვუსმენ, თუ როგორ ჟღერს, როცა მიკროფონს კლდეში ნაკვეთი საკნებისკენ მივმართავ და როგორ იცლება, როცა ქვემოთ დაკლაკნილ მტკვარს "გადავხედავ" (ყურს მივაპყრობ)...

კი მაგრამ, **სიჩუმე** რატომ უნდა ვუძახოთ მაინცდამაინც? - ერთ-ორჯერ მე თვითონაც დავეკითხე თავს. იმიტომ რომ - აბა სხვა რაა სიჩუმე? აბსოლუტური სიჩუმე ხომ არ არსებობს. უფლისციხის ცარიელ ეკლესიაში რომ ვდგავარ, სიჩუმეში ვდგავარ, აბა სად?! ეს გარეთაა, ქარს რომ მიაქვს ყველაფერი.

სამეგობროში კი ხმა დაირხა - რეზოა ჩამოსული, სიჩუმეებს იწერსო; იცინოდნენ და უხაროდათ, აქ რომ ვიყავი.



რიჩარდ რორტი

# პოსტმოდერნული ბურჟუაზიული ლიბერალიზმი



ინტელიგენციის მისამართით, არცთუ იშვიათად, სოციალური უპასუხისმგებლობისა და პასიურობის შესახებ ბრალდებები გამოითქმის, რაც, უმრავლეს შემთხვევაში, სოციალური პროცესებიდან ინტელექტუალთა განზე გადგომის, მარგინალური, დამოუკიდებელი პოზიციისა და საზოგადოებისგან განაპირების მისწრაფების მიზეზი ხდება. ამ მისწრაფების რეალიზება, ჩვეულებრივ, მთელიდან (სოციუმიდან) განყენებისა და რომელიღაც სხვა, ალტერნატიულ მთელთან შინაგანი გაიგივების გზით ხდება. მაგალითად - სხვა სახელმწიფოსთან ან სხვა ისტორიულ ეპოქასთან, ან იმავე ისტორიული საზოგადოების წიაღში არსებულ რომელიმე თემთან ან საიდუმლო ჯგუფთან, რომელთა კუთვნილებადაც მიიჩნევს თავს ინტელექტუალი. მარგინალური იდეები არა მხოლოდ ინტელიგენციისთვისაა დამახასიათებელი. ხშირად ამგვარ განწყობას სხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებიც ამჟღავნებენ - სახელმწიფო მოხელეები, ბიზნესმენები თუ მუშები. "United Mine Workers" ("მაღაროს მუშათა გაერთიანება")-ის ჩამოყალიბების პერიოდში მისი წევრები სამართლიან უკმაყოფილებას გამოხატავდნენ მაშინდელი სახელმწიფო ხელისუფლების, კანონების და პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ. ლოიალურ დამოკიდებულებას მხოლოდ ერთმანეთის მიმართ ამჟღავნებდნენ. სწორედ მაშინ, სხვა სოციალურ პოლუსზე, ინტელექტუალთა ერთი ნაწილი - ხელოვნების, ლიტერატურისა და არტისტული საზოგადოების ავანგარდი - მართალია სრულიად სხვა შეხედულებების საფუძველზე, მაგრამ გააზრებულად და მტკიცედ იდგა მარგინალურ პოზიციაზე.

გაუგებარია, ეს პოზიცია რატომ გახდა კრიტიკის საგანი და რატომ მოინათლა "სოციალურ უპასუხისმგებლობად". განა შეიძლება საზოგადოების მიმართ უპასუხისმგებლო ეწოდოს ადამიანს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ამ საზოგადოების წევრად არ მიიჩნევს თავს? მეეჭვება, რრმ ეს ასე იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებოდით, სოციალურად საშიში და “უპასუხისმგებლო“ გვეწოდებინა გაქცეული მონისთვის, რომელიც თავის გადარჩენას სიცოცხლის რისკისა და “დანაშაულის“ ფასად ცდილობს, ან იმ ადამიანებისთვის, ვინც საძირკველი შეურყია ბერლინის კედელს. მაგრამ თუ ამ კრიტიკას მნიშვნელობა მიენიჭა, მაშინ მისი დასაყრდენი შეიძლება მხოლოდ ისტორიის მიღმა, უნივერსალურ ზესახელმწიფოზე (supercommunity) არსებული წარმოდგენები იყოს, სადაც სოციალური პასუხისმგებლობის პოზიცია სავალდებულო იქნებოდა ნებისმიერი ადამიანისთვის, ნებისმიერ კონკრეტულ-ისტორიულ ფორმაციაში. მაშინ, შესაძლებელი იქნებოდა, ოჯახიდან, გვარიდან თუ ერიდან მარგინალური განდგომის შემთხვევაში, ამ “საზოგადოების“ სავარაუდო საჭიროებებზე აპელირება, როგორც განდგომის გასამართლებლად, ასევე პირიქით, “განდგომილთა“ უპასუხისმგებლობის გამო კრიტიკის საფუძვლად. არიან ადამიანები, რომელთაც ამგვარი, ფანტასტიკური საზოგადოების არსებობა სჯერათ. მათ ეჭვიც არ ეპარებათ ისეთი რამეების რეალობაში, როგორიცაა “თანდაყოლილი ზნეობა“ და “ადამიანის ბუნებრივი სამართალი“, მტკიცედ სწამთ ისტორიის საზღვრებს გარეთ განსხვავების აუცილებლობა მორალის მოთხოვნებსა და კეთილგონიერებას შორის (an ahistorical distinction between the demands of morality and those of prudence). ასეთ ადამიანებს “კანტიანელები“ ვუწოდოთ. მათგან განსხვავებით, ადამიანების სხვა ჯგუფი ამტკიცებს, რომ “ჰუმანურობა“ ბიოლოგიური ცნება უფროა, ვიდრე მორალური, რომ არ არსებობს ისეთი “ზოგადსაკაცობრიო“ ზნეობრივი ნორმები და ღირებულებები, რომლებიც სოციალური კონტექსტით არ იყოს მთლიანად განპირობებული, და რომ არ არის აუცილებლობა, საკითხი დაისვას კრიტერიუმების ობიექტურობის, ნეიტრალურობის, ისტორიის მიღმიერობის შესახებ. ასეთ ადამიანებს “ჰეგელიანელები“ დავარქვათ. ინგლისურენოვანი სამყაროს თანამედროვე სოციალურ ფილოსოფიაში ბევრი რამ იწვევს სამმხრივ კამათს. კანტიანელები (რონალდ დვორკინის მსგავსნი) ყოველი მიზეზის გარეშე ცდილობენ “მორალი/კეთილდღეობას“ შორის განსხვავების, როგორც საფუძვლის შენარჩუნებას პრაქტიკებისა და ამჟამად მოქმედი დემოკრატიული ინსტიტუტებისთვის. მეორე მხარეს დგანან ის ფილოსოფოსები, რომლებიც პოსტ-მარქსისტული ევროპელი ფილოსოფოსებისა და ანტიკანტიანელი კრიტიკოსების მსგავსად (რობერტო უნგერი, ალასდერ მაკინტაირი და სხვები), ამ ინსტიტუტებისა და პრაქტიკების, როგორც ლეგიტიმური, მაგრამ თავისი თავის მადისკრედიტებელი ფილოსოფიის გაუქმების აუცილებლობის მტკიცებას ცდილობენ. ფილოსოფოსების მესამე ჯგუფს (მაიკლ ოუკშოტისა და ჯონ დიუის მსგავსად) შესაძლებლად მიაჩნია ამ წესრიგის - ლიბერალური ინსტიტუტებისა და პრაქტიკების - შენარჩუნება ტრადიციულ კანტიანურ დასაბუთებაზე უარის თქმის შემთხვევაში. ბოლო ორი პოზიცია კანტის ეთიკის ჰეგელიანური (ისტორიცისტული) კრიტიკის ჩარჩოში ჯდება. ამასთან, ჰეგელის დოქტრინის მეტაფიზიკური ნაწილი პოსტ-მარქსისტებისა და ნეოპრაგმატიკოსების მხრიდან ნაწილობრივ უარყოფილია და ნაწილობრივ ნატურალიზებული. ასეთია ჰეგელიანელთა პოზიცია. ისინი დაბეჯითებით იმეორებენ, რომ საკითხის გადასაჭრელად - მარგინალური განწყობა (საზოგადოებისგან განაპირების მისწრაფება, “განდგომა“) არის “პასუხისმგებლური“ თუ “უპასუხისმგებლო“, არ არსებობს რაიმე საგანგებო კრიტერიუმი, უფრო საიმედო და უნივერსალური, ვიდრე სხვა ნებისმიერი პრივატული საკითხის გადაჭრის შემთხვევაში, ვთქვათ, როგორიცაა პროფესიის, საქმიანი პარტნიორის ან საყვარლის დროულად ან უდროოდ შეცვლა. ჰეგელიანელებს მიაჩნიათ, რომ პასუხისმგებლური (უპასუხისმგებლო) შეიძლება იყოს ცალკეული ადამიანის პოზიცია სხვა ცალკე აღებული ადამიანის ან კონკრეტულ-ისტორიული საზოგადოების მიმართ, მაგრამ არა “ზოგადად ადამიანის“ მიმართ, ან ყოველგვარი საზოგადოების და “კაცობრიობის“ მიმართ. ამგვარად, კანტიანელების მიერ შემოთავაზებულ “სოციალური პასუხისმგებლობის“ განსაზღვრებას ისინი მცდარად მიიჩნევენ. ვინაიდან ეს განსაზღვრება ეფუძნება ტრადიციულ განსხვავებას მორალისა და კეთილგონიერებისა, საყოველთაოსი (უნივერსალური პრინციპის) და პარტიკულარულისა (კონკრეტულ-ისტორიული სიტუაციის), არ წარმოშობს სოციალური არჩევანის ნამდვილ პრობლემას, ისეთს, რომელიც მუდამ დგას ადამიანების წინაშე - არჩევანი კარგსა და ცუდს, სასარგებლოსა თუ უსარგებლოს, მომგებიანსა და წამგებიანს შორის (მაგ ანტიგონეს არჩევანის პრობლემა - თებესადმი ერთგულებასა და დის მიმართ მოვალეობას შორის, ან ალკიბიადეს არჩევანი სპარსეთსა და ათენს შორის). ეს განსაზღვრება გულისხმობს, რომ არსებობს რაღაც ობიექტური თვალსაზრისი, რომელიც ნებისმიერი ისტორიული საზოგადოებიდან აბსტრაჰირების გზით აკანონებს წესებს, რომელთა მიხედვითაც ფუნქციონირებს ეს საზოგადოება, ნაცვლად ინდივიდთა უფლებებისა, რომლებიც მონაწილეობენ, ან არ სურთ მონაწილეობა, სოციალურ პროცესებში.

კანტიანელების ტენდენციით სოციალურ უპასუხისმგებლობაში დადანაშაულდებიან ისინი, ვისაც ეჭვი ეპარება ასეთი თვალსაზრისის ობიექტურობაში. მაიკლ უოლცერის მოსაზრებით, სწორი იქნებოდა “სამართლიანად ჩაითვალოს ის საზოგადოება, სადაც ცხოვრება მის წევრებს შორის სრული თანხმობის პირობებში მიედინება (society is just of its substantive life is lived in... a way faithful to the shared understandings of the members)“. ხოლო დვორკინი უოლცერსა და მის თანამოაზრეებს ამხელს “რელატივიზმში“. მისი თქმით, “სამართლიანობა ვერ დაიყვანება შეთანხმებამდე თუ ანეკდოტამდე (justice cannot be left to convention and anecdote)“. კანტიანელები მიმართავენ რა თავიანთი ოპონენტების ტაქტიკას, აცხადებენ, რომ ჰეგელიანელების მიერ (უოლცერი და სხვანი) სანიმუშოდ მიჩნეული თანამედროვე დასავლური დემოკრატიული საზოგადოებების ისტორიულად ჩამოყალიბებული ლექსიკა და სოციალური პრაქტიკა განუყოფლად ეთანადება კანტიანელთა თეორიის დისკურსს (მსჯელობა), რომელიც დასაშვებად მიიჩნევს შეხედულებებს “გონიერი და ზნეობრივი ბუნების“, “ბუნებრივი სამართლის“ და ადამიანის “ღირსების“ შესახებ. ჰეგელიანელთა შეხედულებას იმის თაობაზე, რომ თანამედროვე ლიბერალური დემოკრატია წარმატებული ფუნქციონირებისათვის სრულიადაც არ საჭიროებს თეორიულ დასაბუთებას და მისი შედეგიანი საქმიანობისთვის სავსებით საკმარისია სოლიდარობის პრინციპებსა და ურთიერთდახმარებაზე აპელირება, - კანტიანელები “უპასუხისმგებლობად“ და “რელატივიზმად“ ნათლავენ.

ივარაუდება, რომ ლიბერალურ-დემოკრატიული ინსტიტუტები და პრაქტიკები უცილობლად განიცდიან მარცხს, რღვევას (ისე, რომ ვერასოდეს აღდგებიან უწინდელი სახით), თუკი თანამედროვე კულტურის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომძლავრებული სენი - ფილოსოფიური დეკონსტრუქცია - ტრადიციულ კანტიანურ ღირებულებებსაც შეეხება, თუკი, კერძოდ, უარყოფილი იქნება ვითარება "რაციონალურობისა" და "მორალის", როგორც ტრანსკულტურული და ისტორიის ფარგლებს გარეთ მყოფი ფენომენების შესახებ და მორალური კანონის, როგორც აბსოლუტური ინსტანციის შესახებ.

ჰეგელიანელთა პოზიციას, რომლებიც კანტიანელთა დოგმებისგან თავის დაღწევას და თანამედროვე ჩრდილოატლანტიკური დემოკრატიის ლიბერალური პრაქტიკებისა და ინსტიტუტების უპირატესობის დასაბუთებას ცდილობენ, "პოსტმოდერნულ ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს" დავარქმევდი. ბურჟუაზიის ცნებას ვხმარობ იმის გასახაზად, რომ პოლიტიკოსებისა და ფილოსოფოსების დიდი ნაწილი, ვისაც "ჰეგელიანელებად" მოვიხსენიებ, დაეთანხმებოდნენ მარქსისტებს ერთ რამეში, კერძოდ - კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში ხსენებული ინსტიტუტების ფორმირება შესაძლებელი იქნებოდა სავსებით გამოკვეთილი სოციალური, პოლიტიკური და უწინარესად ეკონომიკური პროცესების პირობებში, ანუ იქნებოდა კონკრეტულ-ისტორიულად დეტერმინირებული. "ბურჟუაზიული ლიბერალიზმი", როგორადაც მას ამ შემთხვევაში განვიხილავ, თანამედროვე დასავლური ბურჟუაზიის კონკრეტული ლიბერალური იმედების (შესაძლოა, უტოპიური) განხორციელების იდეალური პროექტია. ამ თვალსაზრისით, მას ფილოსოფიურ (კანტიანურ) ლიბერალიზმს ვუპირისპირებ, როგორც ამ იმედების დასაბუთების მცდელობას. ჰეგელიანელებს სწამთ, რომ მათი ოპონენტების მიერ პოსტულირებული იდეალისტური პრინციპები სასარგებლოა - როგორც მხოლოდ ლიბერალური იმედების გამოთქმის (ე.ი. რეზიუმირებისა და არტიკულაციის) საშუალება, მაგრამ არა მათი საფუძველი. რაც შეეხება ტერმინ "პოსტმოდერნულს", იგი ჟან-ფრანსუა ლიოტარისგან ვისესხე, მასში ჩადებულ სპეციფიკური მნიშვნელობითურთ. როგორც ცნობილია, ლიოტარი "პოსტმოდერნულ ურთიერთობას" განსაზღვრავს როგორც ლეგიტიმაციის დისკურსისადმი, ანუ "მეტათხრობისადმი უნდობლობას". საუბარია ისეთ ნარაციებზე, რაც დიდ მთლიანობებს ეხება: ადამიანი და მისი თანდაყოლილი ბუნება (არსი), აბსოლუტური სული, ცივილიზებული სამყარო, პროლეტარიატი და ა.შ... ამ მეტათხრობას ერთი მიზანი აქვს ყოველთვის - მხარი დაუჭიროს სოციალური მოწყობის გარკვეული ფორმების (ნამდვილი თუ წარმოსახული) და მათი შესაბამისი ქცევის ნორმების (არა აქვს მნიშვნელობა, საზოგადოებისადმი აუცილებელი "მიჯაჭვულობის" თუ მისგან განდგომის") ლეგიტიმურობას. ისინი განსხვავდებიან იმ ნარატივებისგან, რომლებიც მოგვითხრობენ ცალკეული საზოგადოებების ფორმირების ისტორიის შესახებ, წარმოდგენას გვიქმნიან მათი შემთხვევითობის და ცვალებადობის შესახებ და შესაძლო სცენარებს გვთავაზობენ მათი შემდგომი, მეტადისკურსიული სიზუსტით არაპროგნოზირებადი, ტრანსფორმაციების შესახებ.

"პოსტმოდერნულ ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს" ოქსიმორონის სუნი ასდის, ყურს ჭრის. ტერმინი თითქოს აბსურდულია და ურთიერთგამომრიცხავი. ნაწილობრივ იმიტომ, რომ დასავლელი ინტელექტუალების უდიდესი ნაწილი დღეს მეტაფიზიკას ბურჟუაზიულ სულთან აიგივებს (ცნობილი ტარდიციის თანახმად, ასეა მიღებული), ანუ პოსტთანამედროვე ინტელიგენციას არ სურს "ბურჟუაზიად" იწოდებოდეს. ნაწილობრივ ეს იმიტომ ხდება, რომ ძნელია ბურჟუაზიული ლიბერალური ინსტიტუტების გამიჯვნა იმ ენისგან, რომელიც ამ ინსტიტუტებმა მემკვიდრეობით მიიღეს განმანათლებლობისგან. მაგალითად, მე-18 საუკუნის სპეციფიკური ლექსიკის შემცველი ლექსიკონი სოციალური უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ, რომელსაც სამართალდამცველები და სასამართლოს ჩინოვნიკები (დვორკინის კოლეგები) დღესაც იყენებენ, რათა გასაგები იყოს ex officiis. ლოგიკურად და ლინგვისტურად ეს ლექსიკონი "მორალი"/"კეთილგონიერების" დისტინქციის მიხედვით არის სტრუქტურირებული. ჩემი მიზანია, მოცემული დისტინქციისა და შესაბამისი ლექსიკონის ხელახალი გადააზრების ერთი შესაძლო ვარიანტი შემოგთავაზოთ. ისეთი განმარტება, რომელიც სამსახურს გაგვიწევდა ჩვენც, XX საუკუნის "პოსტმოდერნულ ბურჟუაზიულ ლიბერალებსაც". მინდოდა მეჩვენებინა, რომ "მორალი", "სამართლიანობა", "სიკეთე" - არ საჭიროებენ ისტორიის გარეშე დასაბუთებას, ხოლო ინდივიდის ზნეობრითი თვითხატის ფორმირების ამოსავალ პუნქტსა და წინაპირობას რომელიმე კონკრეტულ-ისტორიული საზოგადოებისადმი (ან ტრადიციისადმი) საკუთარი მიკუთვნებულობის შეგნება წარმოადგენს, და რომ ასეთი შეხედულება არც უპასუხისმგებლოა და არც სოციალურად მავნე ან საშიში.

ჩემ მიერ შემოთავაზებულ ინტერპრეტაციაში მნიშვნელოვანი იქნებოდა არ განმემარტა "მორალური" და "რაციონალური" ადამიანური თვითება, როგორც სტრუქტურა, რომელსაც აქვს რაღაც ცენტრი, შინაგანი არსი ანუ "ბუნება", მრავალი პერიფერიული აკციდენციისგან (კერძო შეხედულებები, ინტერესები, ჩვევები და ა.შ.) განსხვავებული. ამის საპირისპიროა წარმოდგენა ადამიანზე, როგორც რწმენის, სურვილების, მრწამსის მოქნილ სისტემაზე, სადაც ეს ყოველივე თვითნებურად (უწესრიგოდ) არის შერწყმული, გადახლართული; როგორც ატრიბუტების ნაკრები სუბსტრატი - ქვემდებარის გარეშე, ცენტრის გარეშე. თუ მორალური და პოლიტიკური მსჯელობიდან (deliberation) და ურთიერთობიდან ამოვალთ, ადამიანი სინამდვილეში ისეთ სისტემას წარმოადგენს, როგორიცაა მაგალითად, თუ ბალისტიკას დავეყრდნობით, მოძრავი სამიზნე, ან, თუ ქიმიას გამოვიყენებთ შედარებისთვის, - მოლეკულათა ჯაჭვი. ეს სისტემა მეტასტაბილურია და, კუაინის მიხედვით, თვითკმარი: იგი თავად ახდენს თავისი თავის ფორმირებას, განახლებას და ტრანსფორმირებას. სისტემის განვითარება არ რეგულირდება არავითარი ზოგადი წესებით ან ნორმებით, იგი სპონტანურია. როგორც ორგანიზმის უჯრედები, გარემომცველი სამყაროს ცვლილებების გავლენით, სპორადულად იცვლიან სტრუქტურას, გადაეწყობიან, რათა შეესაბამებოდნენ ამა თუ იმ გარეგან ზემოქმედებას. კუაინის თვალსაზრისის მიხედვით, "მორალურად" და "რაციონალურად" შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი აგენტის ადაპტირებული ქცევა, რომელიც იდენტური იქნება მსგავს გარემოში მყოფი სხვა სუბიექტების - რომელიმე რელევანტური საზოგადოების წევრების - ქცევისა. "ირაციონალობა" (როგორც ეთიკაში, ისე ფიზიკაში) კი პირიქით, ქცევის ისეთი ფაქტორია, რომელსაც საზოგადოებიდან განაპირებისა და მარგინალური "განდგომისკენ" მიჰყავს ადამიანი. ადაპტირებული ქცევის განმარტება სხვადასხვაგვარია, იმის მიხედვით, რა მიზანს ისახავს ეს განმარტება: ზოგჯერ გამოითქმის როგორც "დასწავლა" ან "გაანგარიშება", ან როგორც "ელექტრომუხტების გადანაწილება ნერვულ უჯრედებში"; ან როგორც "რეფლექსია" ან "არჩევანი". ამ გამონათქვამებიდან არც ერთი მათგანი არ არის სხვებზე აღმატებული (უპირატესი), ასე რომ, ვერც ერთს ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექნება აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე პრეტენზია.

"მე"-ზე ასეთი შეხედულების შემთხვევაში რა რჩება "ადამიანურ ღირსებას"? რა აზრი უნდა ჩაიდოს ამ ცნებაში? ამ კითხვაზე შესანიშნავ პასუხს იძლევა მაიკლ სენდელი წიგნში "ლიბერალიზმი და კანონიერების საზღვრები". იგი ირწმუნება, რომ ჩვენ, მრავალი მიზეზის გამო, თავს ვერ შევადარებთ კანტის სუბიექტებს, რომლებიც "მნიშვნელობის ჩაწვდომას მე"-დან ახდენენ, ანუ სავსებით თავისუფლად და რაციონალურად.

...თუ მხედველობაში არ მივიღებთ სხვებთან საზიარო ჩვევებსა და მრწამსს, რომლებიც პარადიგმულ როლს თამაშობენ და რომელთა მორალური ძალაც ნაწილობრივ იმ ფაქტში აისახება, რომ ამ ჩვევებითა და მრწამსით ცხოვრება განუყოფელია ჩვენივე მე-ს ისეთი გაგებისგან, როგორებიც ვართ სინამდვილეში - კონკრეტული ეპოქის ადამიანები, ამა თუ იმ ტრადიციის, ერის თუ ხალხის წარმომადგენლები, რომელიმე ოჯახის თუ საზოგადოების წევრები, ამ სახელმწიფოს მოქალაქეები.

მიმაჩნია, რომ ეკზისტენციალური ჩვევებისა და მრწამსის "მორალური ძალა" მთლიანად ამ ფაქტშია მოქცეული და სხვას არაფერსა აქვს არანაირი მორალური ძალა. ჩვენი ჩვევებისა და მრწამსისთვის სხვა ობიექტური საფუძველი არ არსებობს, გარდა იმ გარემოებისა, როცა მათი დასაყრდენი რწმენა, სურვილები და განწყობა თანხვდება ჯგუფის მრავალი წევრის რწმენას, სურვილებს და განწყობას. იგულისხმება ადამიანთა ის ჯგუფი, რომელთანაც ვაიგივებთ თავს მორალური თუ პოლიტიკური მოსაზრებების გამო. უმეტეს შემთხვევაში, გაიგივების საფუძველს სხვა ჯგუფებთან თუ საზოგადოებებთან კონტრასტი ქმნის. ჰეგელიანელთა ანალოგიით "შინაგანი ადამიანური ღირსება" იმ სოციალური ჯგუფის "კოლექტიურ ღირსებად" (comparative dignity) გადაიქცევა, რომელსაც მიაკუთვნებს თავს ადამიანი. ამ თვალსაზრისით ერების, ეკლესიების, სოციალური და პოლიტიკური მოძრაობების განხილვა ნათელი ისტორიული მაგალითებია არა იმიტომ, რომ უმაღლესი სინათლის წყაროდან მოფენილ სხივს ირეკლავენ, არამედ სხვა, უარეს საზოგადოებებთან შედარებით მიღებული კონტრასტის ეფექტის გამო. პიროვნებები ღირსებით მოსილი არიან არა შინაგანი შუქით გასხივოსნების წყალობით, არამედ ანალოგური კონტრასტების ეფექტის ძალით. ამგვარი მოსაზრების კვინტესენცია იმის მტკიცებაა, რომ არსებული ინსტიტუტების და ცალკეული ჯგუფების საქმიანობის (მაგ.თანამედროვე ბურჟუაზიის) მორალური გამართლება - ეს უპირველეს ყოვლისა ისტორიული აღწერების საკითხია (აქვე შევა განსხვავებულ პირობებში მომავალი განვითარების შესაძლო სცენარებზე მსჯელობა) და არა ფილოსოფიური მეტათხრობისა. ამ თვალსაზრისით, ისტორიოგრაფიის პრინციპული დასაყრდენი არის არა ფილოსოფია, არამედ ხელოვნება, რომელიც ჯგუფის საკუთარ თავზე შეხედულებების (self-image) ტრანსფორმაციასა და განვითარებას ემსახურება: მაგალითად, თავისი გმირების განდიდებისა და მტრების დემონიზების გზით ჯგუფის წევრებს შორის დიალოგის განვითარება და მათი ყურადღების მიმართვა ცალკეული პრობლემებისკენ.

ამგვარად, "მორალი"/"კეთილგანწყობას" შორის დისტინქცია შეიძლება შეიცვალოს ადამიანური რწმენისა და მრწამსის ორგვარი სახესხვაობის სასარგებლო გარჩევით, რაც პეიროვნების ქცევას განსაზღვრავს საზოგადოებაში. ადამიანური თვითების ორი ნაწილი მრწამსისა და რწმენის ქსელს ქმნის (two parts of the network that is the self). ამ ორი ნაწილის გამყოფი საზღვარი საკმაოდ მოშლილი და პირობითია. "მორალური" ნაწილი შედგება რწმენების, სურვილებისა და განწყობებისგან, რაც იმ საზოგადოების წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის რწმენებს, სურვილებსა და განწყობებს ემთხვევა, რომლის კუთვნილებადაც რაცხს პირი თავის თავს და განსხვავდება სხვა საზოგადოების (უცხო ან მტრული) წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის რწმენების, სურვილებისა და განწყობებისგან. პიროვნება უფრო მორალური მოსაზრებებით ხელმძღვანელობს, ვიდრე კეთილგონიერებისა, როცა თავის გეგმებს და ქმედებებს უფარდებს რწმენის კოლექტიურ სისტემას, რომელიც მის "მორალურ" ნაწილს ქმნის. ამგვარი თვითიდენტიფიკაციის შედეგად, როცა პიროვნება თავს უფლებამოსილად იგრძნობს, "მე"-ს მაგივრად იყენებს "ჩვენ"-ს. უილფრედ სელარსის განმარტებით, მორალი კოლექტიური (ჯგუფური) ინტენციების ან ჩვევების "ჩვენ-მიმართულების" არსია. თვითგაიგივების პრაგმატული ინტენციებისა და საშუალებების არათანხვედრით განპირობებული ეთიკური შეხედულებების მრავალგვარობა უნიფიკაციის ყოველგვარ შესაძლებლობას გამორიცხავს. მორალურ დილემათა უმრავლესობა არის იმ ფაქტის ანარეკლი, რომ მრავალი ადამიანი თავის თავს ერთდროულად ორ ან რამდენიმე საზოგადოებასთან (რეალურ ან წარმოსახულ) აიგივებს, თანაც არ მიიჩნევს საჭიროდ საკითხის დასმას იმის შესახებ, რომელ საზოგადოებასთან დამოკიდებულებაში დაექვემდებარება თვითება მარგინალურ "განდგომას". განათლებისა და კულტურის დონის ზრდასთან ერთად იმატებს იდენტიფიკაციის ნაირსახეობა. ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად იზრდება იმ საზოგადოებათა რიცხვი, რომელთაც შეიძლება გაუიგივოს პიროვნებამ თავი. ამის კვალობაზე შიდასაზოგადოებრივი კონფლიქტები მწვავდება, რაც დვორკინის სამართლიანი განცხადებით, დამახასიათებელია ჩვენი მრავალშრიანი სოციუმისთვის. მაგრამ ამ კონფლიქტების პრაქტიკულად მოგვარებისათვის უკიდურესად იშვიათად მიმართავენ დვორკინის მიერ რეკომენდებულ საერთო პრინციპებს. ყველაზე ხშირად, მარტივად და ეფექტურად იყენებენ იმ საშუალებას, რომელსაც დვორკინი უწოდებს - "შეთანხმება და ანეკდოტი". თანამედროვე სანიმუშო-დემოკრატიული საზოგადოებების პოლიტიკური დისკურსი ღია არალეგიტიმურ კომუნიკაციას წარმოადგენს, რომელიც "გარკვეული პრაქტიკული მიზნებისათვის ქარაგმებითა (reminders) და დაკვირვებებით (ვიტენშტაინი) მოტყუებას ითვალისწინებს, სადაც "ქარაგმები" - ეპიზოდები ან "ანეკდოტებია" წარსული გამოცდილებიდან, მიღწეული შედეგების ან, ცვალებადობის პირობებში, მოვლენების შესაძლო განვითარების პროგნოზების შესახებ. პოსტმოდერნული ლიბერალური ბურჟუაზიის ზნეობრივი ძიებები სიბრტყეზე დევს, კომუნიკაციური დისკურსის ლეგიტიმაციის ტაქტიკისგან განსხვავებული, რომლისთვისაც მიუღებელია საერთო პრინციპებისა და იმპერატივების ფორმულირებები (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამას კონკრეტული სიტუაცია მოითხოვს, მაგალითად: კონსტიტუციის წერა ან ბავშვებისთვის შესასწავლი წესების შედგენა). ზნეობრივ და პოლიტიკურ ძიებებზე მსგავსი შეხედულება დამახასიათებელი იყო დიუის ფილოსოფიის გავრცელებისა და საზოგადოებრივი აღიარების პერიოდში, - როცა "ლეგალური რეალიზმი" ინტერპრეტირებული იყო როგორც გონივრული და მისაღები პრაგმატიზმი, - რაც ტიპურია ამერიკელი ინტელექტუალების დიდი უმრავლესობისათვის. შემდგომში, ეპოქის რომელიღაც გარდატეხის მომენტში, "ანეკდოტისადმი" შემწყნარებლობა შეიცვალა

პრინციპებისადმი ხელახალი ერთგულებით. რატომ?

ამ მეტამორფოზის ახსნა, ჩემი აზრით, ნაწილობრივ იმ ფაქტით შეიძლება, რომ დიუის პერიოდში ამერიკულ ინტელიგენციას ისევ სჯეროდა, რომ ამერიკა ბრწყინვალე ისტორიული მაგალითია, სხვა ხალხებისათვის მისაბაძი სანიმუშო ეტალონი (სოციალური ექსპერიმენტის წარმატებულობის მნიშვნელობით), ამიტომაც მაშინ ინტელიგენციის წინაშე არ იდგა ადეკვატური თვითგაიგივების პრობლემა. ამ ჰარმონიის გაქრობის მთავარი მიზეზი ვიეტნამის ომი გახდა. ომის ფონზე ამერიკის ინტელიგენციის ერთი ნაწილი განზე გადგა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან და, ბუნებრივია, საზოგადოებასთან თავისი თავის გაიგივებაც შეწყვიტა. სხვებმა კი (ხომსკიმ, დვორკინმა და მათი მიმდევრების ჭრელმა არმიამ) კანტის რეაბილიტირება სცადეს, რათა მისი მოშველიებით თეორიულად დაესაბუთებინათ ახალი პაციფისტური პოზიციების მისაღებობა. ამით სურდათ არა მარტო ის, რომ ომისთვის - ამ უაზრო და უჭკუო განაზრახისთვის - ეწოდებინათ ომი, რომელსაც მსხვერპლად შეეწირა ამერიკის ინტერესები, იმედები და თვითშეგნება (self-image), არამედ დაესაბუთებინათ ომის არაადამიანური ამორალური ბუნება და ეჩვენებინათ, რომ ჩვენ არა გვაქვს მასში მონაწილეობის უფლება. დიუი მიხვდებოდა, რომ მსგავსი თვითგვემის გაგრძელების მცდელობა უშედეგო იყო. გარკვეულ ეტაპზე მან ხელი შეუწყო ერის "განწმენდას" და "გამოფხიზლებას", მაგრამ მისი შორეული შედეგი ინტელიგენციის მარგინალური განცალკევება და ნებისმიერი ეთნოცენტრიზმისადმი უსიამოვნო განწყობა იყო, ნაცვლად იმისა, რომ აქტიურად ეძებნათ სოლიდარობის უფრო სრულყოფილი ფორმები. ზემოთქმულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დიუის ნატურალიზებული ჰეგელიანელობა (dewey's naturalisad Hegelianism) ნატურალიზებულ კანტიანელობასთან (naturalised Kantianism) შედარებით ბევრად უფრო ეხმიანება თანამედროვე ღია დემოკრატიულ საზოგადოებათა მოთხოვნებს, რომლებიც ურთიერთდაახლოებისა და გამდიდრებისაკენ, რწმენისა და მრწამსის სისტემების ურთიერთშერწყმისკენ მიისწრაფვიან. თუ ჩვენს შეიარაღებაში გამოვიყენებთ მას (როგორც სოციალური მოწყობისა და კოლექტიური ქცევის "მეთოდს"), იგი ოპტიმალურ პირობებს შეგვიქმნის სხვა საზოგადოებებთან დიალოგისთვის, ხოლო ამერიკის ინტელიგენციას - თანამოქალაქეებთან ურთიერთობისთვის.

დასასრულ, მინდა განვიხილო ორი რამ, რაც ჩემ მიერ ზემოთ თქმულს ეწინააღმდეგება. პირველი ეხება ჩვენი მსჯელობიდან ბუნებრივად გამომდინარე დასკვნას იმის შესახებ, რომ ნებისმიერი მარგინალიზებული სუბიექტი - სოციალური "დევნილი", "არაფორმალი", "უცხო-აუტსაიდერი", რეპრესიებისა და გენოციდის ყველა მსხვერპლი, ლიტოლვილები და ა.შ., ანუ, ყოველი ანომალური ინდივიდი, მისთვის ბუნებრივი გარემოდან ამოვარდნილი და ოსტრაკიზმს დაქვემდებარებული - ნორმალურ, არამარგინალურ წრეში შეიძლება გარკვეულ "ადამიანურ ღირსებებს" მოკლებულ პირად ჩაითვალოს. ბუნებრივი და ლოგიკური დასკვნაა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მარგინალს "ბუნებრივად და ლოგიკურად" უნდა მოვექცეთ როგორც დაბალი დონის ეგზოტიკურ არსებას, როგორც ცხოველს. პირიქით, ჩვენი საზოგადოებისთვის ტრადიციულია პატივაყრილისა და გაძევებულის დაცვა და მიღება, მისთვის წართმეული ღირსების აღდგენა, განაპირებულის "თავისიანად" ქცევის მცდელობა. ჩვენი ტრადიციების ამ ებრაულ და ქრისტიანულ ელემენტს მადლიერებით და იმედით ეჭიდებიან ჩემნაირი ათეისტები, რომელთაც სურთ კანტიანელებსა და ჰეგელიანელებს შორის არსებული "წმინდა თეორიული" და "უკიდურესად ფილოსოფიური" სხვაობის შენარჩუნება. "ადამიანის ბუნებრივი უფლებებისა" და "თანდაყოლილი ზნეობის" რეალურობის შესახებ შეხედულებები არანაირად არ ეხება ჩემ მიერ ჩამოყალიბებულ პრაქტიკულ პრობლემას.

მეორე წინააღმდეგობა დადის მოვლენის იგივეობის კონსტატაციამდე, რაც აღვნიშნეთ ტერმინით "პოსტმოდერნიზმი" და ფილოსოფიურ პოზიციამდე, რასაც ვუწოდეთ "რელატივიზმი", - პოზიციამდე, რომელზეც ამბობენ, რომ თვითუარყოფითია (self-refuting). მართლაც, რელატივიზმი წინააღმდეგობრივი და თვითუარყოფითია, თუმცა სხვაობა არსებობს განცხადებასა, რომ ნებისმიერი საზოგადოება (ერთი) არაფრით არის უკეთესი (ან უარესი) ნებისმიერ მეორე საზოგადოებაზე, და მტკიცებულებას შორის, რომ ჩვენ უნდა მივდიოთ იმ საზოგადოების პრინციპების სისტემებს, კოლექტიურ რწმენასა და მრწამსს, რომელთანაც თავს ვაიგივებთ. პოსტმოდერნიზმი არანაკლებ რელატიურია, ვიდრე ჰილარი პატნემის დასკვნა, რომ შეუძლებელია "ღმერთის თვალსაზრისის" გამოაშკარავება და ექსპლიკაცია, რომ ჩვენ რაციონალობის შესახებ უფრო რაციონალური კონცეფციის შექმნის იმედილა შეიძლება ვიქონიოთ, ან, ჩვენი ტრადიციებიდან ამოსვლის პირობებშია ზნეობის უფრო სრულყოფილი კონცეფციის შექმნის იმედი (if we operate from within our tradition). იმის წარმოდგენა, რომ ნებისმიერი ტრადიცია "საკმარისად" რაციონალური ან ზნეობრივია, ანუ არც მეტად და არც ნაკლებად "პროგრესული", ვიდრე რომელიმე სხვა ან ყველა ტრადიცია ერთად აღებული, - ეს შეხედულება ზებუნებრივია, არაადამიანური, რადგანაც იმდენად აბსტრაქტულია, რომ ყოველგვარ ეჭვს, შეკითხვას თუ კვლევას გამორიცხავს, ისტორიისა და კულტურული დიალოგის პრობლემებიდან ჭვრეტისა და მეტათხრობისკენ გადავყავართ. პოსტმოდერნიზმის რელატივიზმში დადანაშაულება იმის მცდელობას ჰგავს, პოსტმოდერნისტს პირში ჩაჩაროთ მეტაგამონათქვამები. ეს შესაძლებელია, თუ ფილოსოფიისა ("ფილოსოფიური პოზიციის არსებობა") და მეტანარაციის (რომელიც იყენებს "მეტაენას") იდენტიფიკაციას მოვახდენთ. თუ დავიჩემებთ ფილოსოფიის ამგვარ განმარტებას, მაშინ პოსტმოდერნიზმი პოსტფილოსოფია იქნება. მაგრამ განმარტების შეცვლა ხომ მხოლოდ სასარგებლოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




http://www.opentext.org.ge/arili

წკაპ HERE

# "არეტე"

ახალი
გამომცემლობა







ახალი
წიგნები

ეროვნული ბიბლიოთეკა